ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ სალუქვაძე

K 197 384
3



კოსმოსის ბავშვობიდან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ სალუაძე



საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ნაკადული“, თბილისი, 1986

8СГНФ + 8-93:8СГНФ

84 Гр 7
ь 154

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ სადრაძის ფანტასტიკურ მოთხრობებს უკვე იცნობს „ნაკადულის“ მკითხველი. ჯერ კიდევ 1962 წელს გამოვიდა მისი მოთხრობა „ბარათი მარსიდან“, რომელმაც მკითხველთა მოწონება დაიმსახურა.

ამჟამად გთავაზობთ ავტორის ახალი მოთხრობების კრებულს, სადაც მრავალ საინტერესოს იპოვიან ფანტასტიკის მოყვარულები.

К 197.384
3

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

სპეც-2000
ამოწერილია

© „ნაკადული“, 1986

70803—5
С ——————————— 138—86
М—603(08)—86

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგანგებო შემთხვევა

შუქი თანდათან გაძლიერდა, გაკაშკაშდა. ჭერში ჩამალული ნათურა მზესავით გაბრწყინდა. ნუკრი შუქმა შეაწუხა, რაღაც ჩაიბუბუნა, თხელი საბანი თავზე წაიფარა და კედლისკენ გადაბრუნდა. საავარიო წითელი ნათურა აციმციმდა. ეზოდან საგანგაშო საყვირის ხმა მოისმა. ხმა გაძლიერდა და მალე მთელ მიდამოს მოედო. გიგი ლოგინზე წამოჯდა, ყური მიუგდო. ყველა საყვირი ერთდროულად ზმუოდა...

„ასე მხოლოდ საგანგებო შემთხვევისას ხდება“, გაიფიქრა გიგიმ, ნუკრის საწოლთან მიირბინა, საბანი გადახადა.

— ადე, ძილისგუდავ, არ გესმის, ქვეყანა დაიქცა!

ნუკრი უხალისოდ წამოიზლაზნა, თვალები მოიფშვნიტა და ნამძინარევი ხმით იკითხა:

— რა მოხდა?

— ალბათ რაკეტოდრომზე გაფუჭდა რამე.

რაკეტოდრომის ხსენებამ თოფნაკრავივით წამოაგდო ნუკრი ლოგინიდან.

— რას ამბობ, ხომ არ გადაირიე!

ჭრიალით გაიღო კარი. სუსტად განათებული დერეფნის ფონზე მანანას ნამძინარევი სახე გამოჩნდა.

— გადი გარეთ!— იყვირა ნუკრიმ და ჩასაცმელად გამზადებული შარვალი აიფარა.

მანანა თოჯინასავით შეხტა, კედლისკენ შეტრიალდა და აჩეჩილი თმა გაისწორა, მერე ჩაიმუხლა და ფეხსაცმელების თასმების შეკვრა დაიწყო.

— არ იცით, რატომ წამოგვყარეს? — იკითხა მან.

— საიდან გვეცოდინება.

— ჩვენთან კი რას არ ამბობენ. მოვტრიალდე?

— მოტრიალდი.

მანანა ნუკრის საწოლის კიდეზე ჩამოჯდა და ცნობისმოყვარეობით გადახედა დაუმთავრებელ მინიატურულ რადიომიმღებს. ნუკრიმ მიმღები და სათადარიგო ნაწილები ხელის ერთი მოსმით ჩაყარა მაგიდის უჯრაში და გაბრაზებულმა შეუტია:

— აღარ იტყვი, რას ამბობენ?

მანანა უხერხულად შეიშმუშნა.

— მზისავარი ამბობს, ხატიანის ტყეში უცნაურ კვალს წააწყდნენო.

— ეგ გაღმელების ოინბაზობა იქნება, — დაასკვნა გიგიმ, — იმათ უყვართ ეგეთი რამეების მოგონება.

— გაფრენა რომ გადაიდო, ესეც გაღმელების ოინბაზობაა?— გამოაჯავრა მანანამ.

— რას ამბობ, როგორ თუ გადაიდო?

ოთახში ზვიადი შემოვიდა, ბიჭებთან მივიდა და ძლივს ამოღერღა:

— რადიოტელესკოპი მწყობრიდან გამოვიდა. ისევ მოგვიხდება გაფრენის გადადება.

— რატომ?

— რას გაიგებ, ზოგი რას ამბობს, ზოგი რას. დანამდვილებით არავინ იცის.

საგანგაშო საყვირის ხმა უცებ შეწყდა. სიჩუმე ჩამოვარდა. ტელევიზორის ეკრანი ლურჯად აციმციმდა. მიმღები ახმიანდა. გამოსახულება არ ჩანდა, მაგრამ ეტყობოდა, იქ, გადამცემ პულტთან, ვიღაცამ მორიდებით ჩაახველა. მერე ეკრანზე განსაკუთრებული გადაცემის მაუწყებელი წითელი ზოლი გაწვა და მალე დიქტორის დაღლილი სახეც გამოჩნდა.

— ყურადღება, ყურადღება, — მოისმა მიმღებიდან, — ლაპარაკობს პიონერული ბანაკის, „კოსმოდრომის“, ადგილობრივი ტელემაუწყებლობის გადამცემი ცენტრი. რამდენიმე წუთის შემდეგ ჩავრთავთ თბილისს, ყურადღება, ვიმეორებ...

ბავშვებმა გაკვირვებით გადახედეს ერთმანეთს.

— მგონი, აღარ ხუმრობენ, — თქვა ნუკრიმ და სკამზე გასწორდა.

ეკრანზე შავი ხაზები გაწვა, მერე უცებ მოჩქენებასავით გაქრა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და მათ მაგივრად რძისფერ მინაზე ახალგაზრდა კაცის სახე გამოიკვეთა.

— რესპუბლიკური საბჭოდანაა, — თქვა ნუკრიმ.

— რა იცი?

— საქალაქო შეკრებაზე მინახავს.

დიქტორმა მძიმედ ასწია თავი, ორად გაკეცილი ქაღალდი გაშალა და დინჯად, დამაჯერებლად დაიწყო:

„— ეს წუთია, აერონავტიკისა და კოსმოსური კვლევის მთავარი ცენტრიდან მივიღეთ ცნობა, რომ კომეტამ, რომელმაც თხუთმეტ მაისს თავისი ტრაექტორიის ყველაზე აღმავალ წერტილს მიაღწია და თანდათანობით დაიწყო დედამიწისაგან დაშორება, უცებ შეიცვალა მიმართულება და ახლა კატასტროფული სიჩქარით გვიახლოვდება. ღამით მოსალოდნელია მისი შემოჭრა დედამიწის ატმოსფეროში. ვარაუდობენ, რომ კომეტის მიმართულების შეცვლა ხელოვნურად არის გამოწვეული. შესაძლებელია, იგი უახლოესი პლანეტიდან აშვებული შუშხუნაც იყოს. თუ კომეტის ტრაექტორიაში შემდგომი ცვლილებები არ მოხდა, იგი პიონერული ბანაკის „კოსმოდრომის“ მიდამოებში დაეცემა. ამასთან დაკავშირებით პიონერული რესპუბლიკური საბჭო ბრძანებს: დილისათვის მთელი ბანაკი მზად იყოს სალაშქროდ და, კომეტის ახლო-მახლო დაცემის შემთხვევაში, აქტიური დახმარება გაუწიოს მთავრობის მიერ საგანგებოდ შექმნილ ძირითად საძიებო ჯგუფს. ბრძანების გამოცხადებისთანავე ბანაკში შეწყდეს ყოველგვარი საქმიანობა და გაუქმდეს შუშხუნის ახალი მოდელების გამოცდის ყველა ვადა. დაევალოს ბანაკის ადგილობრივ ხელმძღვანელობას — საჭიროების შემთხვევაში გაითვალისწინოს ბანაკის სასწრაფო ევაკუაცია და...“

ნახევარ საათს მაინც ილაპარაკა თბილისელმა დიქტორმა. კიდევ ათასი რამ თქვა. ბოლოს უახლოესი დღეების მოქმედების გეგმა ჩაიკითხა და უეცრად გაქრა ეკრანიდან. წითლად მოციმციმე საავარიო ნათურა გამოირთო. შუქს თანდათან დაეკარგა სიკაშკაშე და უსიამოვნო, მონაცრისფრო ბინდი ჩამოწვა. მერე ფანჯრიდან მთვარემ შემოიჭყიტა და ვერცხლისფერი ზოლით ორად გაყო ოთახი.

ნუკრი ფანჯარასთან მივიდა.

ნათელი ღამე იყო. სავსე მთვარე თავზე ადგა ხატიანის მთას და

მისი შუქი ტყვიისფერ ლაქებად აჩნდა ფერდობებზე შეფენილ მეჩხერ ტყეს. რაკეტოდრომის სანიშნო ბოძზე ბანაკის დროშა ტყლაშუნობდა. შოლტის ხეობიდან მდინარე ხმაურას ხმა ისმოდა. სადღაც შორს, ძალიან შორს ტურა კიოდა.

— რა საინტერესო იქნება, კომეტა რომ მართლა შუშხუნა აღმოჩნდეს, — დაარღვია მყუდროება გიგიმ და ოცნებაში წასულმა მეგობრებს გადახედა.

— შუშხუნაში კი უცხო სამყაროს წარმომადგენლები ისხდნენ, — დაუმატა ზვიადმა.

— თქვენ ხუმრობთ, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ძიების დროს მართლა გადავეყარეთ ასეთ არსებებს, რა უნდა ვქნათ, როგორ უნდა მოვიქცეთ?

— ხვალ დაგვირიგებენ ინსტრუქციებს და ალბათ იქ გათვალისწინებული იქნება ყველაფერი... ესეც არ იყოს, რატომ დაიჩემეთ მაინცდამაინც შუშხუნა, როცა გადმოცემაში მარტო კომეტაზე იყო ლაპარაკი, — თქვა ნუკრიმ.

— გადმოცემაში შუშხუნაც ახსენეს, — შეეპასუხა ზვიადი.

— არა მგონია...

— ეჰ, თქვენი არ ვიცი, ბიჭებო, მე კი ყოველივე ეს ერთი ქართველი მწერლის ფანტასტიკური მოთხრობის დასაწყისს მაგონებს. თუ მოვლენებიც ისევე განვითარდა, როგორც მოთხრობაშია, მერწმუნეთ, რომ მომავალი ჩვენი ლაშქრობა მეტად საინტერესო იქნება.

— რა გაათენებს ამ ღამეს, — თქვა ნუკრიმ, ფანჯარას მოსცილდა, გიგის გვერდით ჩამოჯდა და მხარზე მეგობრულად ხელი მოუთათუნა.

უკვე დიდი ხანია ჩაეძინა ბანაკს. უკანასკნელ ფანჯარაშიც ჩაქრა შუქი. მთვარე მთის იქით გადაიკარგა და მიდამოს კუპრისფერი ღამე დაეუფლა. არ ეძინათ გიგის და მის მეგობრებს. ისხდნენ ჩაბნელებულ ოთახში და ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ. გეგმებს აწყობდნენ, კამათობდნენ. კომეტის უეცარმა შემობრუნებამ ისევ ამოატივტივა კოსმიური რომანტიკის თემა. მოგონებებში წამოიშალნენ ფანტასტიკურ მოთხრობებში წაკითხული ამბები, ტრანსგალაქტიკური შუშხუნების კაპიტნები, გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი ეკიპაჟის უკანასკნელი გაბრძოლება, მეტეორივით გაელვე-

ბული იმედის ნაპერწკალი, სხვა პლანეტის მოაზროვნე არსებებთან შეხვედრები, და ბოლოს რეალობით სავსე ხვალინდელი დღე.

— ნეტა მართლა ჩვენი ბანაკის ახლოს დაეცეს კომეტა, — ინატრა ნუკრიმ, — მაშინ ჩვენ პირველნი მივალთ მასთან...

კიდევ დიდხანს ჩურჩულებდნენ მეგობრები. ბოლოს ოცნებებით გაბრუებულებს ტანგაუხდელად ჩაეძინათ; ჩაეძინათ ისე, როგორც ჯარისკაცებს სჩვევიათ მძიმე ბრძოლის შემდეგ.

შავნაბადმოსხმულმა ცამ საწვიმრად შეიკრა შუბლი. შორეული ჩრდილოეთიდან მოვარდნილი ქარი წივილით შემოიჭრა შოლტის ხეობაში და მშიერი მგელივით ყოველ კუნჭულში შეყო ცხვირი. მდინარე ხმაურამაც აღიმაღლა ხმა და ქაფად გადაევლო გასიპულ ლოდებს. ჰორიზონტს რიჟრაჟმა დაჰკრა. განთიადისას გამაყრუებელმა გრუხუნმა მთელი ბანაკი ფეხზე წამოაგდო. ზედიზედ იძრა მიწა, ზრიალით ჩაიმსხვრა რამდენიმე ფანჯრის მინა. შეშინებული ბავშვები ცნობისმოყვარე თვალებით იცქირებოდნენ ხატიანის მთისკენ, სადაც ვეება სვეტად იდგა ცეცხლის ალი და ჯადოქრული ლანდები ტორტმანებდნენ.

— ტყე იწვის! — იყვირა ვიღაცამ.

მართლაც, ისეთი სანახაობა იყო, გეგონებოდათ, ტყეს ცეცხლი უკიდიაო. გარშემო ყველაფერს მოყვითალო ფერი გადაჰკრავდა. შორიდან მობერილმა ნიავმა დამწვარი ხის სურნელი და ალმოდებული შეშის ტკაცატკუცის ხმა მოიყოლა. ცეცხლის ალმა თანდათან მაღლა აიწია, გამობრწყინდა. მერე ხატიანის მთის წვერი კვამლში გაეხვია და უცებ ყველაფერი გაქრა.

გაწვიმდა.

— მზისავარ თურმანაული! — გაისმა სიბნელეში.

მზისავარი ამხანაგებს გამოეყო და ხმის მიმართულებით გაიქცა.

— ზვიად არშბა!

— ნუკრი კანდელაკი!

— მანანა აბესაძე!

— ვიტალი ბიბა!

— გიგი გიგაური!

ბავშვებმა უფროს პიონერხელმძღვანელთან მიირბინეს და ერთ რიგად მოეწყვნენ.

პიონერული რაკეტოდრომიდან გუგუნის ხმა მოისმა. ბიუროს შვეულმფრენების შავი სილუეტები გამოეყო და კალიისმაგვარი მანქანები ერთიმეორის მიყოლებით გაუჩინარდნენ ხატიანის მთის მიმართულებით.

— ძირითადი საძიებო ჯგუფი გაფრინდა, — თქვა პიონერხელმძღვანელმა. — მალე თქვენი ჯერიც დადგება. ახლა კი ძია შალვასთან წადით და სალაშქრო მოწყობილობა მიიღეთ.

უამრავი ნივთი დაურიგეს ბავშვებს, — ჯიბის ფარნის სათადარიგო ნათურებიდან დაწყებული, მშრალი სპირტის ხელშეუხებელი მარაგით დამთავრებული. ყველაზე მეტი მაინც საჭმელი იყო, ათასფრად მოხატულ სხვადასხვა ზომის თუნუქის ქილებით აივსო ზურგჩანთები. ნეილონის მსუბუქი საძილე ტომრებიც ჩამოარიგეს, ბავშვები ყველაზე მეტად გააოცა მოკლეტარიანმა, გამაბრუებელი გაზით დატენილმა თოფებმა.

— ამას განსაკუთრებით გაუფრთხილდით, — თქვა პიონერხელმძღვანელმა, მინიატურულ რადიოგადამცემს ბუდე შეხსნა და ნუკრის მიაწოდა. — შენ რადიოსაქმეს კარგად იცნობ და ჩვენთან კავშირის დამყარება გევალება.

ნუკრიმ მოწიწებით ჩამოართვა რადიოგადამცემი და პერანგის გულის ჯიბეში ჩააცურა.

ათი წუთის შემდეგ რაზმი მზად იყო სალაშქროდ. უფროსმა პიონერხელმძღვანელმა კმაყოფილებით გადაავლო თვალი ლარივით გაჭიმულ რაზმს. რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია და ომახიანად ბრძანა:

— რაზმო, სმენა! მარჯვნისაკენ! ნაბიჯით იარ!

რაკეტოდრომზე გაბმით ზუზუნებდნენ შვეულმფრენები. ბავშვები რიგრიგობით ადიოდნენ კიბეზე და კედლების გასწვრივ ჯდებოდნენ. უფროსი პიონერხელმძღვანელი სულ ბოლოს ავიდა მანქანაში. ერთხელ კიდევ ჩამოუარა რაზმის წევრებს, სათითაოდ შეამოწმა ყველაფერი და ჯგუფის ხელმძღვანელი დანიშნა.

— ამ წუთიდან თქვენ დამოუკიდებლად მოგიხდებათ გადაწყვეტილებების მიღება, — თქვა მან გამომშვიდობებისას, — საზრიანი მოქმედებისათვის და დასახული მიზნის პირნათლად შესრულების შემთხვევაში რაზმი დაჯილდოვდება პირველი კოსმოსური გაფრენით პიონერულ ორბიტაზე.

პიონერხელმძღვანელი კაბინიდან გავიდა. ტკაცუნით ჩაიკეტა შემოსასვლელი კარი. ლითონის კიბე აიკეცა. უფრო ენერგიულად დაბზრიალდა პროპელერი. შვეულმფრენი მსუბუქად მოსწყდა მიწას და თანდათან უმატა სიმაღლეს. ბავშვები ფანჯრებს გაეკვრნენ.

ინათა.

მზის შუქმა ჯერ ხატიანის მთის წვერი შეაფერადა, მერე თავქვე დაკიდებულ ბილიკზე დაცურდა და ფერდობზე გაწოლილი ხეთა ჩრდილები დაამოკლა. ალერსით ჩაიხედა შოლტის ხეობაში. მდინარეში გამსხლტარი კალმახის ტანზე ათინათინდა. სინათლით და სითბოთი აივსო არემარე.

ნაწვიმარზე ფერები გამოცოცხლდნენ. გარემომ სახე იცვალა. ხევები პატარა ნაკადულებით დაიხაზა. ბალახი წელში გაიმართა, ყვავილნარმა ათასფრად გამოიხედა. ჰაერი დაიწმინდა და ბროლივით გაკრიალდა.

გათენდა.

მონოტონურად გუგუნებდა მოტორი. დროდადრო შვეულმფრენი ნისლში გაეხვეოდა და კაბინის ფანჯრის მინები ნამით იფარებოდა. თანდათან მატულობდა სიმაღლე, თუმცა მიწა ისევ ახლოს ჩანდა. შვეულმფრენი მთის ფერდობის გასწვრივ მიფრინავდა. ნაპრალებს ხევები ცვლიდა, ხევებს — ნაპრალები. ზოგან ბილიკები ძარღვებივით იქსელებოდა, ერთმანეთში იხლართებოდა და მთაც შიშვლდებოდა ასეთ ადგილას.

კაბინა გადაიხარა, მიწა აყირავდა, გიგანტი მთები თავზე წამოემხო ბავშვებს. ასე გეგონებოდა, დედამიწა აგორდა და გეჯახებაო. ბავშვები სახელურებს ჩაებღაუჭნენ, შეშინებულებმა გადახედეს ერთმანეთს.

— ხომ არ გაფუჭდა? — იკითხა მზისავარმა.

ხმა არავინ გასცა. კაბინა გასწორდა. შვეულმფრენი ერთ ადგილზე გაირინდა. მერე დაიწყო დაშვება და ნარნარად შეეხო მიწას. კაბინაში მწვანე შუქნიშანი აინთო, რადიო ახმიანდა, მფრინავმა ბავშვებს ფრენის დასრულება ამცნო.

— გაათავისუფლეთ მანქანა, — მოისმა მიმღებიდან. ავტომატურად გაიღო კაბინის კარები.

ბავშვები აფუსფუსდნენ, ქვევით ჩამოვიდნენ და შვეულმფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რენის შორიახლო შეჯგუფდნენ. ისევ აგუგუნდა მოტორი, შვეულმფრენი მიწას მოწყდა და ცის სილურჯეში გაუჩინარდა.

პირველად გიგი გამოერკვა, არემარე შეათვალიერა და გაიფიქრა:

„აი, თურმე როგორი ყოფილა „მეფის კალო“, აქედან ხატიანის მთამდე ნახევარი საათის სავალიც კი არ იქნება“.

საითაც გაიხედავდით, ირგვლივ ყველგან მთები იყო. უფრო იქით ქლიავისფერი ჭიუხები ჩანდა. ალაგ-ალაგ შარშანდელი თოვლი ნაპრალებს კიდევ შერჩენოდა და „დიდი გამოქვაბულების“ მთის ფერდობი ხევსურულ ძროხასავით აჭრელებულიყო. „მეფის კალოზე“ აქა-იქ მოჰკრავდით თვალს ჯგუფად მდგარ ხეებს, მაგრამ ცოტა იქით მხოლოდ მწვანე ხავერდოვანი მინდვრებიღა ჩანდა. მინდორი ღრმა ნაკვალევს გაეყო, თითქოს ნაწვიმარზე დიდი მორი გაათრიესო. „ალბათ ძირითადმა საძიებო ჯგუფმა გაიარა“, — გაიფიქრა გიგიმ და მზერა სხვა მხარეს გადაიტანა.

მეორე მხარეს „მეფის კალო“ ციცაბო უფსკრულით მთავრდებოდა. ქვემოთ, მთებს შორის, სოლივით გაჭედილიყო ხეობა. ერთმანეთზე გადამჯდარი მთები, გაყინულ ტალღებს ჰგავდნენ, თანდათან დაბლდებოდნენ და ჰორიზონტის დასასრულთან იკარგებოდნენ. მდინარე ხმაურა ელვასავით ჩანასკვოდა ვიწრო ხეობას.

— გესმით, ბიჭებო? — იკითხა მანანამ.

ბიჭებმა მხრები აიჩეჩეს. მართალია, რამდენჯერმე გიგის მოესმა რაღაც ხმები, მაგრამ იფიქრა, მეჩვენებაო, და ყურადღება არ მიაქცია.

— არაფერი გესმით? — ისევ იკითხა მანანამ.

— რა უნდა გვესმოდეს? — დაინტერესდა ნუკრი.

— წუილის მაგვარი რაღაც... ნუთუ მომეჩვენა?

— შენ ყოველთვის რაღაც გეჩვენება, — გამოაჯავრა ვიტალიმ და ბრტყელი ქვა უფსკრულში ისროლა.

ახლა ზვიადსაც მოესმა ხმა, ზვიადს გიგიც დაემოწმა. ცოტა ხნის შემდეგ კი ყველას გარკვევით ესმოდა წუილი, რომელსაც შიგადაშიგ ტკაცატკუციც ერთვოდა, თითქოს თოფს ისვრიანო. ხმა თანდათან გაძლიერდა, მერე უცებ, თვალის დახამხამებაზე უსწრაფესად, მინდორი კონუსის ფორმის მბზინავმა სხეულმა გადასერა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ჭიუხების მიმართულებით გაუჩინარდა. წუილი შეწყდა. პირველი ნაკვალევი ახალმა ნაკვალევმა გადაკვეთა ჯვარედინად.

— ნეტავი რა იყო? — ცნობისმოყვარეობით იკითხა მზისავარმა.

— რომელიმე გეოლოგიური პარტიის მზვერავი ავტომატი იქნებოდა, — თქვა ნუკრიმ.

— არა მგონია, — გიგიმ თავი გააქნია, — აქ ახლომახლო არცერთი გეოლოგიური პარტია არ მუშაობს.

— მაშინ რა იყო? — ჩაეკითხა მზისავარი.

— კაცმა არ იცის, — თქვა გიგიმ და მცირე დუმილის შემდეგ დაუმატა: — რა ვქნათ?

— ხელმძღვანელად შენ დაგნიშნეს და გამოსავალიც შენვე გამონახე, — ნიშნის მოგებით მიახალა ვიტალიმ.

— შენ რომ გამონახო, ტვინი გეღრძობა?

— კარგი ერთი, — გაწყრა ნუკრი, — რა დროს კინკლაობაა, მოვიქცეთ ისე, როგორც ინსტრუქციაში წერია.

— გვეჭამა რამე, — თქვა მანანამ.

— მივალთ გამოქვაბულამდე და ვისადილებთ, — თქვა გიგიმ, — ასე სწერია ინსტრუქციაში.

ბავშვებმა სწრაფად გადაკვეთეს „მეფის კალოს“ მინდორი და გამოქვაბულისაკენ მიმავალ ბილიკს მძივებივით შეეკიდნენ. ქვიშანარევი ნიადაგი იფშვნებოდა, ხელის წასავლები კი არსად იყო. ბილიკი ხშირად სიპ ქვებს შორის იკარგებოდა. ძნელდებოდა გზის გაკვალვა, ყვავილნარი გაქრა, მხოლოდ ბალახი აჩნდა ლაქებად აქაიქ კლდოვან მთას. ზოგან ნაპრალებში ფესვმაგარი ჯუჯა ხეები იდგნენ. ბილიკი საბოლოოდ დაიკარგა, გამოქვაბულებამდე კი კარგა დიდი მანძილი იყო.

„ქვევიდან როგორ ახლოს ჩანდა“, — გაიფიქრა ზვიადმა და წამით შეისვენა. „მეფის კალოს“ თვალი გადაავლო. გაეღიმა. აქედან ისე ჩანდა, თითქოს მწვანე ქაღალდზე შავი ფანქრით ჯვარი დაუსვამთო. ბანაკი და შოლტის ხეობა მთას მოეფარა. ზვიადმა ღრმად ამოისუნთქა და გზა განაგრძო. თავდახრილი მიჰყვებოდა მეგობრების ნაკვალევს. ხანდახან თუ შედგებოდა, თავს ასწევდა ან გვერდზე გადგებოდა, რომ ზემოდან დაგორებული ქვა აეცდინა,

მერე თვალს გააყოლებდა ხტუნვა-ხტუნვით დაქანებულ ქვას და ისევ აგრძელებდა გზას.

ზემოდან ხმამაღალი ლაპარაკი მოისმა; ბავშვები გამოქვაბულის ძირამდე ასულიყვნენ და რაღაცაზე გაცხოველებით კამათობდნენ. ზვიადამდე თითო-ოროლა სიტყვა აღწევდა და ვერაფერს მიხვდა. ნაბიჯს მოუჩქარა, პატარა ნაპრალს თავზე გადაევლო, დიდ ლოდზე აბობღდა და აივნისმაგვარ პლატოზე ამოყო თავი, მძიმედ სუნთქავდა.

— რას ამბობ, ბიჭო, აქ ვინ ააშენებდა კედელს, — გაწიწმატებული ამბობდა ვიტალი. — ეს, უბრალოდ, ქანების გამოფიტვის შედეგია და სხვა არაფერი.

— იქნებ ეს აივანი, ციხის გოდოლის ბურჯის ნანგრევებიც ქანების გამოფიტვის შედეგია? — გამოაჯავრა ნუკრიმ.

— რასაკვირველია, — ამაყად მიუგო ვიტალიმ, — ბუნებაში ისეთ რამეს შეხვდები, რომ...

— მათ შორის შენისთანასაც, — შეაწყვეტინა სიტყვა გიგიმ, რომელიც უკვე ვეღარ ფარავდა გაბრაზებას, — შენ რომ იცოდე, უწინ ამაზე უფრო მიუვალ ადგილებში აშენებდნენ ციხე-კოშკებს თავის დასაცავად, სიცოცხლის შესანარჩუნებლად.

— სახიზრად იყენებდნენ, — წაეხმარა გიგის ზაალი, — ან განძს მალავდნენ.

— ასე რომ ყოფილიყო, აქამდე შეისწავლიდნენ ამ გამოქვაბულებს, — არ თმობდა ვიტალი.

— რომელი ერთი შეისწავლონ? საცა გაიხედავ, ყოველ მთაზე გამოქვაბული და ციხის ნანგრევია.

— გეყოფათ ფილოსოფოსობა, — გასძახა მზისავარმა, — მოდით, ვისადილოთ.

ბიჭებმა კამათი შეწყვიტეს და მიწაზე გაშლილ სუფრას შემოუსხდნენ. გემრიელმა საჭმელმა ყველას გადაავიწყა გამოქვაბულიც და კამათიც. მადიანად ილუკმებოდნენ, ზედიზედ იცლებოდა კამკამა წყაროს წყლით სავსე ნეილონის მათარები. დუმდნენ. ხანდახან ვინმე თუ გადააგდებდა ცარიელ თუნუქის კოლოფს და ლითონის მჭახე ხმა წამით დაარღვევდა მყუდროებას. დაწყნარდნენ, ბავშვებს ისევ გაახსენდათ გამოქვაბული. გიგიმ შვეულად აღმართულ კედელზე უსწორმასწორო რიგებად განლაგებულ, ჩაშავებულ ღრმუ-

ლებს თვალი გააყოლა და, რატომღაც, ვარძია მოაგონდა. მერე მზერა უახლოეს ქვაბზე გადაიტანა და ოცნებაში წასულმა თქვა:

— ვინ იცის, რა საიდუმლოება იმალება ამ ხვრელებს იქით.

— ჩვენ უფრო საინტერესო მოგზაურობა გველის, — თქვა ნუკრიმ, — ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ ხატიანის მთის იქით მართლა დაეშვა შუშხუნა და ჩვენ პირისპირ შევეყარეთ უცნობი სამყაროს წარმომადგენლებს. რა არის ამ საოცრებასთან შედარებით გამოქვაბულის საიდუმლოება? არაფერი.

რატომღაც ყველას „მეფის კალოზე“ მოჩვენებასავით გაელვებული ბრჭყვიალა კონუსი მოაგონდა.

— შენ ხუმრობ, მე კი ვფიქრობ, რომ ასეთი რამ მოსალოდნელია, — თქვა გიგიმ, — ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ვალდებულნი ვართ, ინსტრუქციის მიხედვით ვიმოქმედოთ და, რასაც შევნიშნავთ, მთავარ შტაბს ვაცნობოთ. დანარჩენი თვითონ იციან. ნუკრი, გადაეცი, რომ დანიშნულების ადგილს უკვე მივაღწიეთ და მორიგ დავალებას ველით.

ნუკრიმ აღარ დააყოვნა. რადიოგადამცემი ჩართო, ბერკეტი გადაატრიალა, ისარი საჭირო ტალღაზე დააყენა და უხილავ ანტენებს ელექტროტალღების ჯარი მოსწყდა.

— ალო, ალო, — ამბობდა ნუკრი, — ლაპარაკობს მეხუთე დამხმარე საძიებო ჯგუფი. რაზმმა ოთხი საათისათვის დანიშნულების ადგილს მიაღწია. დაახლოებით ორი საათის უკან „მეფის კალო“ კონუსის ფორმის სხეულმა გადასერა და ჭიუხების მიმართულებით გაუჩინარდა. სხვა არაფერი მომხდარა მნიშვნელოვანი. თავს კარგად ვგრძნობთ, ველით ახალ განკარგულებას.

ნუკრიმ მიღებაზე გადართო აპარატი და გაინაბა. პასუხს დიდხანს არ დაუგვიანია. მიმღებიდან ცივი, ლითონისებური ხმა დაირხა.

„მეხუთე საძიებო ჯგუფს! მდგომარეობა მოულოდნელად გართულდა. თქვენ მიერ შენიშნული საგანი სხვა საძიებო ჯგუფებმაც შენიშნეს. ჯერ კარგად არ იციან, ერთია ასეთი ფორმის სხეული თუ რამდენიმე. ასეა თუ ისე, ერთი მათგანი ძირითად საძიებო ჯგუფს თავს დაესხა და სურსათ-სანოვაგით სავსე ზურგჩანთა გაიტაცა. მისი შეპყრობა ვერ მოხერხდა. ისიც ჭიუხების მიმართულებით გაუჩინარდა. საჰაერო დაზვერვით დადგინდა, რომ ხატია-

ნის მთის იქით უცხო სამყაროს შუშხუნა დაეშვა და, ვფიქრობთ, ამ უცნაური ფორმის სხეულებს უშუალო კავშირი აქვთ მასთან. მეხუთე რაზმმა სასწრაფოდ შეაფაროს თავი გამოქვაბულს და დაიძრას ჩრდილო-აღმოსავლეთით, ჩრდილოეთით გამოქვაბული მეორე მხარეს უნდა გადიოდეს, თქვენ იქ მეოთხე რაზმი დაგელოდებათ. ვინაიდან გამოქვაბული შესწავლილი არ არის, იმოქმედეთ დამოუკიდებლად. გისურვებთ წარმატებას“.

მიმღები დადუმდა. ბავშვებმა ერთმანეთს გადახედეს, მერე გარშემო მიმოიხედეს და ბოლოს მზერა ყველამ ჩაშავებულ ღრმულებს მიაპყრო.

— გაიგონეთ? — იკითხა გიგიმ.

— ყრუ კი არა ვართ, — იწყინა ვიტალიმ.

— რა გვეშველება? — შეწუხდნენ გოგონები.

— ყველაფერი რიგზე იქნება, — დაამშვიდა გიგიმ გოგონები. ფეხზე წამოდგა.

მზე ჰორიზონტისაკენ გადაიხარა. მთები გამუქდნენ. ხეობებში ბინდი ჩასახლდა. ქვემოდან გრილმა ნიავმა წამოუბერა და ხეობებში ჩაწოლილი ნისლი წამოშალა. რძისფერ ბურუსში გაეხვია ფერდაკარგული მზე.

— აბა, სასწრაფოდ ავიბარგოთ! — ბრძანა წინამძღოლმა.

ბავშვები დატრიალდნენ, მაგრამ აბარგებამ მაინც დიდი დრო წაიღო, ყველაფერი თავიდან გასაკეთებელი შეიქნა. ზვიადს ზურგი ეტკინა და მძიმე ტვირთის თრევა აღარ შეეძლო, ამიტომ ხელმეორედ გადაანაწილეს ტვირთი. ბოლოს, როგორც იქნა, ყველაფერი შეკრეს, მოირგეს და ფრთხილად დაიძრნენ გამოქვაბულისაკენ. დუმდნენ, ერთმანეთის დაკარგვისა ეშინოდათ და ჯგუფად მიდიოდნენ. გოგონებიც კი მიყუჩდნენ. რაზმი გამოქვაბულს მიუახლოვდა. ქვაბს ნოტიო სიბნელე გამოხდა. გიგიმ ფარანი მოიმარჯვა და ჩამრთველის წითელ ღილაკს თითი დააჭირა. მოყვითალო შუქმა კუნაპეტ წყვდიადს დაბინდული სილრმე გამოჰგლიჯა. სტალაქტიტები ათასფრად ათინათინდა. გიგი უსიამოდ შეიშმუშნა, მერე გაუბედავად გადადგა პირველი ნაბიჯი. მას ნუკრი მიჰყვა, ნუკრის — გოგოები, მერე — ვიტალი, სულ ბოლოს კი ზვიადი მიაბოტებდა. ზვიადი წამით შეჩერდა, ერთხელ კიდევ მოიხედა უკან გაფართოებული თვალებით და წინ წასულ ამხანაგებს წამოეწია. მალე ქვა-

ბის სიღრმიდან მწყობრი ნაბიჯების ხმა და ჩურჩული მოისმა. მერე ჩურჩული და ფეხის ხმაც მიწყდა, მხოლოდ ჯიბის ფარნები ციმციმებდნენ სადღაც შორს, ძალიან შორს და, მალე ისინიც გაუჩინარდნენ ქვაბის სიღრმეში.

უხილავი მდევარი

— გესმის? — ჩურჩულით იკითხა ნუკრიმ.

— რა გააწყალე გული! — გაწყრა მზისავარი, და როცა ქვაბის კედლებით დაბოხებულმა ექომ უკანვე დაუბრუნა თავისი სიტყვები, ნუკრისთან მივიდა და უთხრა:

— რატომ მაშინებ?

— არც მიფიქრია, — მხრები აიჩეჩა ნუკრიმ, — ნუთუ შენ არაფერი გესმის?

— არა.

ნუკრიმ თავი გააქნია და ჩაფიქრებულმა განაგრძო გზა.

ფრთხილად მიიწევდნენ წინ. ყოველი ნაბიჯი, ყოველი მოსახვევი მოულოდნელობით იყო სავსე. ფარნის მრგვალ შუქზე ხან რა გამოჩნდებოდა და ხან რა. სტალაქტიტებად ჩამოღვენთილ მარილებს ხშირად ისეთი ფანტასტიკური ფორმა ჰქონდათ, რომ ბავშვებს ჟრუანტელი უვლიდათ. ზოგი თმაგაწეწილ ჯადოქარს ჰგავდა, ზოგი გოლიათ ცხოველს, ზოგს სწორი ფორმა ჰქონდა და ძალიან ჰგავდა მინიატურულ შუშხუნას. შთაბეჭდილება იმდენად ძლიერი იყო რომ ხანდახან უსულო არსებანი მოძრაობას იწყებდნენ, ხელებს იქნევდნენ, სუნთქავდნენ, ჩურჩულებდნენ...

— მართლა მოგესმა რამე, თუ იხუმრე? — იკითხა ვიტალიმ, როგორც კი ნუკრის წამოეწია.

— რა მეხუმრება, — შიშნარევი სერიოზულობით უპასუხა ნუკრიმ, — ასე მგონია, ვიღაც მოგვდევს.

— შიშს დიდი თვალები აქვს, — ავტორიტეტულად განაცხადა გიგიმ.

გამოქვაბული თანდათან დავიწროვდა. წრისებრი თაღი ჯერ

ოვალური გახდა, შემდეგ კედლები წელში გაიმართნენ და წვეროწაგვეთილი სამკუთხედი შეკრეს. კირქვიანი ნიადაგი ვრანიტისა და ბაზალტის ქანებმა შეცვალა. ნაბზარებიდან აღარ ჟონავდა წყალი და შედარებით სიმშრალე იყო. სტალაქტიტების ტყე უკახ დარჩა. კედლებმა სწორი გეომეტრიული ფორმა მიიღო და გამოქვაბული დერეფანს დაემსგავსა. გახშირდა ნაპრალები.

ნუკრი ბოლოდან მესამე მიდიოდა; ერთხელ აკვიატებული აზრი მოსვენებას აღარ აძლევდა. მალიმალ იყურებოდა უკან, სიბნელეში. გარკვევით ისმოდა მსუბუქი ნაბიჯების ხმა. ხან ეს ნაბიჯების ხმაც სადღაც შორს იკარგებოდა და ნუკრი გულის მომეტებულ ცემას გრძნობდა.

— ფრთხილად იარეთ! — მოისმა წინიდან.

ბავშვებმა ნაბიჯს უკლეს. ხელის ფათურით მიიწევდნენ წინ. ნაპრალებთან შემოსავლელს ეძებდნენ, და როცა ვერ პოულობდნენ, გადასასვლელებს აკეთებდნენ. გიგი თვითონ ამოწმებდა გადასასვლელის სიმაგრეს. მერე პირველად გოგოებს გაატარებდა, სულ ბოლოს ზვიადი გადადიოდა.

— შესდექ!— გაისმა სიბნელეში გიგის საოცრად დაბოხებული ხმა.

ზვიადმა დრო იხელთა, წინ გაძვრა და ცნობისმოყვარეობით იკითხა:

— რა მოხდა?

გიგიმ პასუხის ნაცვლად ფარნის შუქი ააყოლა შვეულად ამართულ კედელს და გაიფიქრა: „ნუთუ შევცდი და სხვა გზით უნდა წავსულიყავით?.. არა მგონია, — დაასკვნა ცოტა ხნის შემდეგ.— ლურჯი ისარი ყოველთვის ჩრდილო-დასავლეთს მიჩვენებდა, არა, შეცდომა არ დამიშვია. მაგრამ ვაითუ გამოქვაბული, საერთოდ, არ გადის მეორე მხარეს? მაშინ რაღა ვქნათ?“

ამაოდ დაცოცავდა ფარნის მრგვალი შუქი ხორკლიან კედელზე. ნაბზარიც კი არსად ჩანდა. ჩამოცხა, ჰაერი დამძიმდა და ჩამოიხუთა.

— აქეთ, ბავშვებო, აქეთ! ჩემს შუქს გამოჰყევით, — თოფის გასროლასავით გაისმა სიბნელეში ზვიადის ხმა.—აქ კიბისმაგვარი რაღაც უნდა იყოს.

ბავშვებმა ზვიადთან მიირბინეს, შემოეხვივნენ და განცვიფ-

რებულები ათვალიერებდნენ კლდეში გამოკვეთილ მაღალ საფეხურებს. საფეხურები კაცის სიმაღლეზე იყო გაჭრილი და ბავშვებმა ამიტომ ვერ შენიშნეს თავიდანვე. საფეხურები მოკლე და ვიწრო იყო, ადამიანი ძლივს დაეტეოდა. შვეულად აღმართული კედლის თავზე გადადიოდა და ოთხკუთხა ღრმულში უჩინარდებოდა.

— რაღას ვუდგავართ? — იკითხა გიგიმ, — მოდით, მომეხმარეთ.

ერთმა ერთი ფეხი დაუმაგრა, მეორემ მეორე, მესამე უკნიდან მიაწვა და დიდი წვალებით, როგორც იქნა, პირველ საფეხურზე შესვეს. გიგიმ ფრთხილად აიარა კიბეები და უკვე შვეულად აღმართული კედლის თავიდან გადმოსძახა ამხანაგებს:

— ამოდით, აქ გასასვლელია.

რიგრიგობით ავიდნენ ბავშვები ვიწრო კიბეზე და შესასვლელთან შედგნენ. ნუკრიმ და ვიტალიმ ფარნები მიაშუქეს. გამოჩნდა კაცის სიმაღლის ვიწრო დერეფანი. დერეფანს აშკარად ეტყობოდა, რომ ხელოვნურად იყო გაჭრილი. კედლებს გარკვევით აჩნდა მჭრელი იარაღის ნაპირალი. იატაკიც მოსწორებული იყო. გიგი პირველი შევიდა დერეფანში და დანარჩენებს ანიშნა მომყევითო. სიწყნარეს მხოლოდ ფეხის ხმა და წყლის ჩხრიალი არღვევდა. ხმა სადღაც ქვემოდან მოდიოდა და დერეფანს გასდევდა. ლარივით სწორი დერეფანი სხვადასხვა სიმაღლეზე იყო გაჭრილი. ბავშვებს ხშირად უხდებოდათ კიბეებზე ასვლა. აქ კიბეები მოხერხებული, ფართო და უფრო კარგად შენახული იყო. ერთ დერეფანს მეორე ცვლიდა, მეორეს მესამე და ასე დაუსრულებლად. სულ ბოლოს, ერთი ყველაზე გრძელი დერეფანი ღრმა ჭით მთავრდებოდა. გიგიმ ფარნის შუქი ჩააყოლა ჭის სწორ კედლებს, ძირი გაანათა. ყალყზე დამდგარმა მოკლეტარიანმა შუბებმა ეშვებივით გაიელვეს სინათლეზე. გაფითრებულმა ბავშვებმა უკან დაიხიეს.

— როგორ მოვიქცეთ? — იკითხა ზვიადმა.

ხმა არავინ გასცა. შიშისაგან ყველას ენა ჩაუვარდა. კარგა ხანს დუმდნენ, აქეთ-იქით აცეცებდნენ თვალებს. ბოლოს მანანა გამოერკვა და თქვა:

— უკან დავბრუნდეთ.

— უკან? რას ამბობ? — გამოერკვა ნუკრი, — რა დროს უკ-

საქართველოს პარლამენტის

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ან დაბრუნებაა, წინ ფათერაკებით სავსე მგზავრობა გველის. ერთიც ვნახოთ და, განძი აღმოვაჩინეთ, ან თამარ მეფის საფლავს წავაწყდით. რას იტყვით, ბიჭებო, მგონი, ეს უფრო საინტერესოა, ვიდრე რაკეტის შორიდან თვალყურის დევნება.

— კარგი, თუ ძმა ხარ, ზღაპრებს ნუ ჰყვები, — შეუტია გიგიმ, — მაგას ჯობია თოკი გაშალო და ჭაში ჩაეშვა.

— მესმის, მეთაურო! — ნუკრიმ ზურგჩანთის გახსნა დაიწყო.

— ჩვენ არსადაც არ წამოვალთ, — გაჯიუტდა მანანა, — მე და მზისავარს მოგვბეზრდა ამ ჯურღმულში სიარული. ესეც არ იყოს, საცაა თერთმეტი გახდება, გვეძინება.

— ვიპოვით შესაფერის ადგილს და დასაძინებლად დავბანაკდებით, — მშვიდად მიუგო გიგიმ.

— ხომ არ გადაირიე! აქ რა დაგვაძინებს!

—ასე წერია ინსტრუქციაში.

სწორედ ამ დროს დერეფნის ბოლოდან მძიმე ნაბიჯების ხმა მოისმა. ბავშვები გაისუსნენ, ერთად შეეუჩდნენ. ნაბიჯების ხმა იმდენად მკაფიო და ძლიერი იყო, რომ გამოქვაბული შეზანზარდა. ყოველ ნაბიჯს ლითონის ღრჭიალისა და ორთქლის შიშინის ხმა ერთვოდა. ნაბიჯებს შორის კარგა დიდი ინტერვალი იყო. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს გოლიათი მოაბიჯებსო. ბავშვები სულგანაბულნი იდგნენ და არ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ. შუქის ანთებისა ეშინოდათ, ვაითუ ის რაღაცა შუქზე წამოვიდესო, სიბნელე კი ერთიორად აძლიერებდა შთაბეჭდილებას. ნაბიჯების ხმა თანდათან ახლოვდებოდა, ძლიერდებოდა. მერე ამ გამაყრუებელ ხმაურს მუსიკა შეეპარა; სუსტი, მეტისმეტად სუსტი, მაგრამ საამოდ თავბრუდამხვევი. უცნობი იყო მუსიკის ჰანგი, ტაქტი, ყღერადობა, მაგრამ ჯადოსავით მოქმედებდა ბავშვებზე. მუხლები მოეკვეთათ, თვალებზე ბინდი გადაეფარათ. გოგოებს ძილმა წაართვა თვალები. მერე ბიჭებსაც მოერია რული და ყველას ერთბაშად ჩაეძინა. ნუკრიმ უკანასკნელი ღონე მოიკრიბა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, თავი დაიქნია და წამით გონს მოეგო. ხელის ფათურით მოძებნა თოფი, სასხლეტს საჩვენებელი თითი გამოსდო, მარცხენა ხელით ფარანი ჩართო. გაუბედავად გააჩილა თვალი, გულის ფანცქალით გააპარა მზერა ფარნის შუქისაკენ — გაოცდა, დერეფანში არავინ ჩანდა.

კარგა ხანს იდგა ნუკრი გაოგნებული, თვალებს არ უჯერებდა. მერე ამხანაგებს გადახედა. ისინი თანდათან მოდიოდნენ გონს, ფხიზლდებოდნენ. ისე იყვნენ, თითქოს რამდენიმე დღის ღრმა ძილის შემდეგ იღვიძებენო. მთქნარებ-მთქნარებით იფშვნეტდნენ თვალებს.

— სადა ვართ? — მანანა უხალისოდ წამოიზლაზნა.

— დიდხანს მეძინა? — იკითხა ვიტალიმ.

— რომ იცოდეთ, როგორი სიზმარი ვნახე, — წამოიწყო მზისავარმა. — თითქოს დევთა ქვეყანაში ვიყავი და...

— მე კი უცხო სამყაროს ურჩხულებს ვებრძოდი, — სიტყვა ჩამოართვა ზვიადმა. — კონუსისმაგვარი ფორმა ჰქონდათ.

კონუსის ხსენებამ ყველა ერთბაშად გამოაფხიზლა. მოიგონეს, რაც მოხდა და ძალიან გაუკვირდათ, როცა მიხვდნენ, რომ ღრმა ძილით ეძინათ. ერთნი ამ ამბავს დაღლილობით ხსნიდნენ და დაუყოვნებლივ მოითხოვდნენ დაბანაკებას, მეორენი ამტკიცებდნენ — მოგვეჩვენაო. ზოგიც სიზმარს სინამდვილედ ასაღებდა და სისულელეებს როშავდა. ნუკრი ამტკიცებდა, რომ სინამდვილე მხოლოდ მან იცოდა, — მე ჩავრთე პირველად ფარანი და, დერეფანში რომ ვინმე ყოფილიყო, აუცილებლად დავინახავდიო.

— ჩემი აზრით, — დაასკვნა ნუკრიმ, — აკუსტიკურ ეფექტთან გვქონდა საქმე, ჰო, აკუსტიკურ ჰალუცინაციასთან. ასეთი რამ ხშირად ემართებათ კოსმონავტებს. ერთხელ, როცა პიონერთა სასახლეში, კოსმონავტიკის კაბინეტში, მთელ სამ საათს ვიჯექი იზოლირებულ ბაროკამერაში, მომეჩვენა, თითქოს ფასკუნჯი მეძახდა ზორიდან და თავისკენ მიხმობდა. „ეს ვაკუუმის ავადმყოფობაა“, — ამიხსნა მაშინ ძია გიორგიმ.

— ყოველ შემთხვევაში, ყველაფერს აქვს რაღაც ახსნა, — თქვა გიგიმ, — ისე, ტყუილუბრალოდ, არაფერი ხდება ბუნებაში.

— დაიწყო ისევ, — ხელი ჩაიქნია ზვიადმა და გვერდზე გადგა, იატაკს დახედა, დააკვირდა და უცებ იყვირა:

— ნაკვალევი!

მეხი რომ გავარდნილიყო ამ ჯურღმულში, ასე არ გააოცებდა ბავშვებს. ყველამ ზვიადთან მიირბინა, დაიხარნენ. იატაკის ხორკლიან ზედაპირს აშკარად ეტყობოდა უთოს ფორმის ოდნავ ჩაღრმავებული ნაკვალევი.

შავად მოჭიქული კვალი ჯერ კიდევ თბილი იყო.

—ესეც შენი აკუსტიკური ეფექტი, — თქვა ვიტალიმ და ძალიან ვალმნიშვნელოვნად გადახედა ნუკრის, — ხედავთ, სადამდე მოსულა?

უკანასკნელი უთოს ფორმის ანაბეჭდი იქ თავდებოდა, სადაც ადრე ბავშვები იდგნენ. ბავშვებმა ბარგს გადაავლეს თვალი. შეთხელებული ეჩვენათ. ნუკრიმ ფეხი გაჰკრა გროვად დაყრილ ზურგჩანთებს. გულის ჯიბეზე მოისვა ხელი.

— რადიოგადამცემი დაიკარგა, — თქვა მან.

— ჩემი ზურგჩანთაც.

— ჩემი კი განახევრებულია.

მალე გამოირკვა, რომ ყველას რაღაც აკლდა.

— სასწრაფოდ გავეცალოთ აქაურობას! — ბრძანა გიგიმ, — ნუკრი, ჩადი, ჭა დაათვალიერე. როგორმე უნდა მოვახერხოთ მეორე მხარეს გასვლა.

ნუკრი ჭას მიუახლოვდა, შეამოწმა, როგორ იყო თოკი დამაგრებული, დაჭიმა და ზედ დაეკიდა. მკერდზე დამაგრებული ფარანი ჩართო. ფარნის მრგვალი შუქი კუთხიდან კუთხეში დახტოდა. ნუკრი ფრთხილად მიცოცავდა ქვევით. ჭა არც ისე ღრმა აღმოჩნდა და მალე სქელლანჩიანი ფეხსაცმლის ძირით ფრთხილად შეეხო სამართებელივით ალესილ შუბის წვერს. შეჩერდა, შუბებს შორის თავისუფალი ადგილი მონახა, ფეხზე დადგა. მიმოიხედა, ძარჯვნივ ვიწრო გასასვლელი შენიშნა და დაუსტვინა. სტვენას სტვენითვე უპასუხეს ზემოდან და მალე მთელი რაზმი ქვევით ჩაბარგდა.

— ყველა ჩამოვიდა? — იკითხა გიგიმ.

— ყველა.

— მაშ დროს ნულარ ვკარგავთ, წავიდეთ.

ზვიადმა პასუხის ნაცვლად ზემოთ აახედა გიგი. გიგიმ ტუჩზე იკბინა, ზვიადს მთელი ძალით მოუჭირა ხელზე ხელი. ჭა ზემოდან საცობისმაგვარი ლოდით დაიხურა.

— რა გვეშველება? — იკითხა ზვიადმა.

— ჩუ, — თითი მიიდო ტუჩზე გიგიმ, მიმოიხედა. რაკი დარწმუნდა, რომ მათ გარდა ყველას მოესწრო გასასვლელში გაძრო-

მა, ჩურჩულით დაუმატა: -- უკან დასახევი გზა რომ აღარ არის, ჩვენ გარდა არავინ უნდა იცოდეს, გესმის?

— მესმის, — უხალისოდ დაეთანხმა ზვიადი და ალაპლაპებულ შუბებს შორის გზა გაიკვლია, ორად მოიხარა, გასაძვრომში გაყო თავი. მას ფეხდაფეხ მიჰყვა გიგი.

„— ვაითუ მეორე მხარეს გასასვლელი არ არის“, — ფიქრობდა გიგი და სულს უფორიაქებდა ეჭვი, მოსვენებას არ აძლევდა. ხან უნდოდა, ყველაფერი ეთქვა მეგობრებისათვის, თავისი ეჭვები გაეზიარებინა, ხან ერიდებოდა გამხელისა — „ვაითუ ვცდები და ისინიც ტყუილუბრალოდ ავაფორიაქოო“.

ვიწრო დერეფანი გაფართოვდა, გაიშალა. გიგი დაწინაურდა, წინ წაუძღვა ბავშვებს. ნუკრიმ პიონერული მგზავრული წამოიწყო, მოეწონა ექოთი დაბოხებული სიმღერა და უფრო აუწია ხმას. გოგოებიც აჰყვნენ. გიგი და ვიტალიც წამოეშველნენ და რამდენიმე წუთის შემდეგ ჯიბის ფარნებით განათებულ ქვის დერეფანში სიმღერა აგუგუნდა, აზვირთდა. სწრაფად ააწყვეს ფეხი. ნაბიჯს სიმტკიცე და ძალა შეემატა. ბავშვები გახალისდნენ, გამხიარულდნენ. ეხუმრებოდნენ ერთმანეთს და მაინც მთელი საზეიმო განწყობილება მოჩვენებითი იყო, რადგან ყოველი მათგანის გონებაში ღრმად იყო ჩაჭედილი რამდენიმე წუთის წინ მომხდარი ამბავი.

ყველაზე ძეტად მაინც ზვიადი წუხდა. ბოლოს მოთმინების ფიალა აევსო, ნაბიჯს მოუჩქარა, ვიტალის წამოეწია და ჩურჩულით შეეკითხა:

— ნაკვალევს ვერაფერი შეამჩნიე?

— რა უნდა შემემჩნია? — კითხვითვე უპასუხა ვიტალიმ.

— ნუთუ არ მიაქციე ყურადღება, რომ ნაკვალევი მხოლოდ ერთ მხარეს მიდიოდა.

— მერე რა?

— ის, რომ უხილავი მდევარი უკან არ დაბრუნებულა და როცა ჩვენ მის ნაკვალევს ვათვალიერებდით, იქვე, ჩვენს გვერდით იდგა, — ვიტალის მაგივრად ნუკრიმ უპასუხა.

— ჩვენ გვერდით? — გაიკვირვა ვიტალიმ. — კი მაგრამ, რატომ ვერავინ შენიშნა?

— იმიტომ, რომ ანტინივთიერებისაგან არის შექმნილი.

— კარგი ერთი, თუ ძმა ხარ, სხვა რაც უნდა გეთქვა, ყველა-

ფერს დაგიჯერებდი, მაგრამ მაგას კი — ვერა. ახლა პიროვნულ-სელებმაც კი იციან, რომ ანტინაწილაკი ჩვენს სინამდვილეში ვერ იარსებებს. იგი იმწამსვე ენერგიაში გადავა.

— მე მახსოვს, ერთ მოთხრობაში ეწერა, რომ...

— ეჰ, — ამოიოხრა ვიტალიმ, — მოჰყვება ახლა.

— მაგისი რა მოგახსენოთ, — ჩაერია საუბარში ზაზა, — მაგრამ მე ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს უხილავი მდევარი ახლაც მოგვდევდეს.

— სისულელეა, — აჭიჭყინდნენ გოგოები.

— გადამეტება გიყვარს, — თქვა გიგიმ. — იმან თავისი საქმე გააკეთა, ბარგი მოიტაცა და წავიდა.

— კარგია, თუ კიბერია და მარტო ბარგის მოსატაცებლად არის დაპროგრამებული, მაგრამ თუ ცოცხალი არსებაა, მაშინ, არა მგონია, ასე იოლად მოგვეშვას.

— შესვენებაზე გავარჩევთ ამ საკითხს, — თქვა გიგიმ, — ახლა კი ცოტა ფეხს აუჩქარეთ.

გვირაბი უსასრულოდ გაგრძელდა. ლარივით სწორი ლაბირინთი თავსა და ბოლოში ძაფივით წვრილდებოდა და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ბავშვები ყოველთვის შუაში იმყოფებოდნენ. ერთფეროვნება გულისგამაწვრილებლად მოქმედებდა მოლაშქრეებზე და უიმედობის გრძნობას უძლიერებდა. ბოლოს, როგორც იქნა, ერთფეროვნება გვერდებში გაჭრილმა გასასვლელებმა დაარღვია. ყოველ ათ ნაბიჯზე თითო გასასვლელი იყო, ზოგი მარჯვნივ, ზოგი მარცხნივ. გულდაგულ დაათვალიერეს ყველა გასასვლელი, მაგრამ ამაოდ, — რამდენიმე მეტრის იქით გასასვლელები მთავრდებოდა. ბავშვებმა რამდენიმე ქვის საჭრელი იარაღიც იპოვეს და სათუთად შეინახეს მხარეთმცოდნეობის მუზეუმისათვის გადასაცემად.

— აქ ყველაფერი ისეა, თითქოს ახლახან შეწყვიტეს მუშაობა, — თქვა ზვიადმა. ცოტა ხნის დუმილის შემდეგ დაუმატა: — ჩვენ ხომ არ შევუშალეთ ხელი?

— მაგისი რა მოგახსენო, მე კი ასე მგონია, თითქოს ფარაონთა განძთსამალში ვიყოთ, წუთიც და, რომელიმე ლაბირინთში უცნობი ფარაონის სარკოფაგს წავაწყდებით, — თქვა ოცნებაში წა-

სულმა ვიტალიმ, — ასეთ ლაბირინთებში ძველად ფარაონებს მარხავდნენ ან განძეულობას მალავდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საქართველოში ფარაონები არ ყოფილან და, თუ აქ რამეს აღმოვაჩენთ, ჩვენი წინაპრების საკუთრება იქნება. საერთოდ, საოცარია, რატომ აქამდე არ შეისწავლეს ეს გამოქვაბულები, — თქვა გიგიმ, — აქ ყველაფერი სერიოზულ კვლევას მოითხოვს.

— მე კი მოხარული ვარ, რომ გამოუკვლევ გვირაბში მოვხვდი. ყელში ამომივიდა მუზეუმად ქცეული გვირაბები — ლამაზად გამოფენილი უნიკალური ექსპონატებითა და გაზეპირებული ახსნა-განმარტებებით. აქ კი სულ სხვაა, — აღტაცებას ვერ მალავდა ნუკრი. — აქ თითქოს იმ შორეული წარსულის უშუალო მონაწილე ხარ და წინაპართა ნაკვალევზე დააბიჯებ.

— ჩვენ უფრო მეტს ვლაპარაკობთ, ვიდრე ვაკეთებთ, — მკაცრად მოსჭრა გიგიმ, — უკვე თორმეტი საათია და ღამის სათევად ადგილი არ შეგვირჩევია. განძის მოძებნას ხვალაც მოვასწრებთ, ახლა სასწრაფოდ დაუარეთ ახლომახლო გვირაბებს და ადგილი შეარჩიეთ. ათი წუთის შემდეგ ისევ აქ შევიკრიბოთ. რაღას უდგეხართ, იმოქმედეთ.

ბავშვები თვალის დახამხამებაში გაიფანტნენ გასასვლელებში და ძირითადი გვირაბი დაცარიელდა, წყვდიადმა მოიცვა. მხოლოდ სანიშნო ნათურა ბჟუტავდა იატაკზე და დაბინდული შუქი სუსტად ანათებდა იქვე დაყრილ ბარგს. თანდათან სიჩუმემ დაისადგურა. დრო განებივრდა და ზანტად გაიჭიმა. მოჩვენებები სამალებიდან გამოვიდნენ და ყოველდღიურ საქმიანობას შეუდგნენ. თავისებური, სმენისათვის გაუგებარი ხმაურით აივსო იქაურობა. დრო და სივრცე ერთმანეთში აირია. გაბოროტებულმა სიბნელემ ცივად ამოისუნთქა. ობლად მბჟუტავ ნათურას მთლად დაეკარგა ძალა, უფრო გამუქდა ფერები და უცებ კივილის ხმამ ხმალივით გააპო წყვდიადი. მალე მას უფრო სასოწარკვეთილი მეორე ხმა აჰყვა და ნემსივით წვრილმა ბგერამ ჟრუანტელივით დაუარა გამოქვაბულს.

კიოდნენ გოგოები.

მთავარ გვირაბში ერთიმეორის მიყოლებით გაიელვა ჯიბის ფარნებმა და ლანდადქცეული მოფარფატე ჩრდილები ხმის მიმართულებით გაექანენ. გოგოები არ პასუხობდნენ, კიოდნენ და,

როგორც ეტყობოდა, ერთ ადგილზე იდგნენ. ბიჭებმა თოფები მოიმარჯვეს და უფრო სწრაფად გაიქცნენ. სულ წინ გიგი და ნუკრი გარბოდა. ნათურის მრგვალი შუქი ბაჭიასავით დახტოდა დერეფნის უსწორმასწორო იატაკზე. კივილი თანდათან გაძლიერდა და უცებ შეწყდა. ბიჭები თოფნაკრავივით შედგნენ, გაქვავდნენ. ნუკრიმ ცივი ოფლი მოიწმინდა სახიდან და ხელის ფათურით მოძებნა გვერდზე მდგომი ამხანაგი. დაძაბულობისაგან გული ამოვარდნაზე ჰქონდა.

— რაღას გავჩერდით, წავიდეთ! — უფრო თავის გასამხნევებლად იყვირა ზვიადმა და თვითონ პირველი ეკვეთა წყვდიადს. დანარჩენებიც მიჰყვნენ. ცოტა ხნის შემდეგ ზვიადი შედგა, სული მოითქვა.

— სადღაც აქ უნდა იყვნენ, — თქვა მან, — კარგად დაათვალიერეთ, არაფერი გამოგრჩეთ.

— აქეთ არავინ არის, — თქვა ნუკრიმ.

— შეუძლებელია, კარგად მოძებნე.

ნუკრიმ ფარანი მოიმარჯვა და რამდენიმე ნაბიჯი წადგა წინ. მოულოდნელად ფარნის ყვითელმა შუქმა გოგოების ფერდაკარგული სახეები გამოჰგლიჯა წყვდიადს.

— აქეთ, ბიჭებო, აქეთ! — იყვირა ნუკრიმ და გოგოებთან მიირბინა.

— რა მოგივიდათ?

— რა გაკივლებდათ?

— რა მოხდა? — დააყარეს კითხვები.

კედელს აკრული გოგოები უაზროდ მისჩერებოდნენ ბიჭებს და ხმას ვერ იღებდნენ. ნუკრის, ცოტა არ იყოს, შეეშინდა, ნელა მიუახლოვდა მათ და ფრთხილად შეეხო ხელით. მერე უფრო ახლოს მივიდა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, შეანჯღრია. პირველად მანანა მოეგო გონს, კისერზე ჩამოეკიდა ნუკრის და აქვითინდა.

— კარგი, კარგი, დამშვიდდი, — ბუზღუნებდა ნუკრი და მეგობრულად უთათუნებდა მხარზე ხელს.

მანანას გული ამოუჯდა.

ვიტალიმ და გიგიმ ძლივს მოასულიერეს მზისავარი.

— რა მოგივიდათ, რა მოხდა? — იკითხა გიგიმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იქით... — წამოიწყო მანანამ და ხელი სიბნელისაკენ გაიშვირა, მაგრამ აღარ დაამთავრა და ისევ ამოუჯდა გული.

ყველამ ერთდროულად მიანათა იმ მხარეს ფარანი, საითაც მანანამ მიუთითა და მოულოდნელობისაგან უკან დაიხიეს. მზისავარმა სახეზე აიფარა ხელი, ამოიგმინა.

რამდენიმე მეტრის იქით ადამიანის ორი ჩონჩხი ბზინავდა. ჩონჩხები გადახლართული იყო, თითქოს სიკვდილის წინ ერთმანეთს მოეხვევნენო. იქვე ეგდო ჟანგმოდებული ძველებური ორლესულები.

— რა უბედურებაა, — ჩაილაპარაკა ზვიადმა და მზერა მოარიდა ჩონჩხს. გაშეშებული ბავშვები თვალს ვერ აშორებდნენ ამ უცნაურ სანახაობას. გიგიმ იმ კედლებს მიანათა ფარანი და საუკუნეებით შუქს დანატრებულმა ფრესკებმა მადლიანი ღიმილით გამოანათეს გამოყვითლებული ბათქაშიდან. ოდნავ გვერდით წარწერის მსგავსი რაღაც იყო, ჭერი ეკლესიის გუმბათივით მაღლდებოდა.

— ეს ან ეკლესიაა, ან რომელიმე ძველი დიდებულის საგვარეულო აკლდამა,— თქვა გიგიმ და შუქი ისევ ფრესკებს მიანათა.

— აკლდამას არ ჰგავს, — შეესიტყვა ნუკრი, — წინათ ასე არ მარხავდნენ საქართველოში. ხედავ, ერთი ძვირფასი ნივთიც კი არ დევს მიცვალებულთან. მე ვყოფილვარ გათხრებზე, სადაც...

— იქნებ ჩვენამდე აქ ვინმე იყო და აკლდამა გაძარცულია, — შეაწყვეტინა ვიტალიმ, — ან იქნებ განძი სხვაგან გადამალეს?

— არა მგონია გაძარცული რომ იყოს, ძვლები ერთმანეთში იქნებოდა არეული და, საერთოდ, გაძარცულ საფლავებს ყოველთვის ეტყობა ქურდის ხელი.

დუმილი ჩამოწვა. მოულოდნელმა აღმოჩენამ სული აუფორიაქა ყმაწვილებს.

მყუდროება ზვიადმა დაარღვია.

— ხედავთ, ბიჭებო, — თქვა მან, — აქ ხანჯლების გარდა კიდევ არის რაღაც. დაუკვირდით, პერგამენტი უნდა იყოს.

— პერგამენტი კი არა, — გამოაჯავრა გიგიმ.

— მოდი, ვნახოთ, იქნებ მართლა პერგამენტია, — თქვა ნუკრიმ.

ადგილიდან არავინ დაძრულა. შიში ფეხებს უბორკავდა ბავ-

შვებს, თუმცა ნახვის სურვილიც არ აძლევდათ მოსვენებას. ეს გრძნობა თანდათან ძლიერდებოდა, მთელ სხეულს ედებოდა, ცხოვ-ბისმოყვარეობას აღიზიანებდა, აქეზებდა. ბოლოს ნუკრიმ ვეღარ მოითმინა.

— რა მოგვიდათ, გეშინიათ? — გამომწვევად იკითხა მან.

— შენ? — ერთდროულად შეეკითხა რამდენიმე ხმა.

ნუკრი გაფითრდა. მერე სიწითლემ გადაუარა სახეზე. სხარ-ტად შეტრიალდა, სწრაფად მიუახლოვდა ჩონჩხებს, მრგვლად დახვეულ პერგამენტს ხელი დაავლო და სირბილით წამოვიდა უკან.

— აჰა, გამომართვი, — ამაყად თქვა ნუკრიმ და შვებით ამო-ისუნთქა.

— მე მომეცით, ცოტათი ვარჩევ ძველ ქართულს, — წაეპო-ტინა პერგამენტს ზვიადი. გიგიმ არ დაანება.

— მოასწრებ წაკითხვას, ჯერ დავბანაკდეთ, ხომ ხედავ, გოგოე-ბი ძლივს დგანან ფეხზე. არც გვივახშმია. მე, მაგალითად, მშია და საერთოდ, ნუ დავარღვევთ ინსტრუქციას, — გიგიმ მთელი სერიო-ზულობით გადახედა ბავშვებს და გააგრძელა: — ჩემი აზრით, მოსასვენებლად მეექვსე ცრუ ლაბირინთი აჯობებს ყველას. ძირი-თად დერეფანთანაც ახლოს ვიქნებით და ბარგსაც უცებ გადავი-ტანთ. ახლა დავტრიალდეთ და დროზე გადავბარგდეთ.

ბავშვებმა სწრაფად გადაიტანეს ბარგი ცრუ ლაბირინთში და სახელდახელოდ მოეწყვნენ. ბიჭებმა საძილე ტომრები ერთმანე-თის გვერდით გაშალეს. გოგოებმა სურსათ-სანოვაგე ამოალაგეს.

— თუ ძმა ხარ, მათხოვე პერგამენტი, — შეევედრა ზვიადი გიგის, — თორემ ლოდინისაგან სული დამელია.

— ჯერ ვივახშმოთ, — თქვა გიგიმ.

— რა დროს ვახშამია, მიეცი! — გაჯავრდა ვიტალი.

გიგიმ შუბლი შეიკრა, უხალისოდ გადასცა გრაგნილი ზვიადს და გვერდზე გადგა. ზვიადმა ფრთხილად გაშალა გრაგნილი და გა-ხარებულმა წამოიძახა:

— ბიჭებო, ასომთავრულია, წავიკითხავ!

ნუკრიმ უფრო მოხერხებულად მიუნათა ფარანი. ზვიადმა სწრაფად გადაავლო თვალი გრაგნილს და პირველი სიტყვის ასო-ები დამარცვლით ამოიკითხა: „მრა-ვალ-ტან-ჯული“. მომდევნო სამ სტრიქონში ასოების გარჩევა შეუძლებელი იყო. ზაზამ მაინც მოა-

ხერხა რამდენიმე სიტყვის ამოკითხვა: „მონაი ღვთისა“ და „სრულ-
ლიად საქართველოისა“ ... მერე რამდენიმე ნიშანი ეწერა, რომ-
ლის მნიშვნელობა ზაზამ არ იცოდა. ეტრატის ბოლო დაახლოებით
შემდეგი შინაარსისა იყო: „ვითა ეშმაკი მაცდურია... შიში დაგვე-
უფლა, რამეთუ არ გაგვეცა განძთსამყოფელი, რომელიც საიმე-
დოდ ჩავფალით ადგილსა შინა ბრძანებისამებრ. თათბირი ვყავით:
მოგვეკლა ერთურთი და საიდუმლო მხოლოდ უფლისთვის გაგ-
ვენდო. ღმერთო, შეგვინდე. ამინ“.

ზაზამ ხელმეორედ გადაიკითხა ეტრატი და ზოგიერთი ადგი-
ლიც დააზუსტა.

ვიღას ახსოვდა ჭამა. ბავშვები ერთმანეთს აღარ აცლიდნენ აზ-
რის გამოთქმას. ფანტასტიკურ ფერებში ცოცხლდებოდა საქართვე-
ლოს გმირული წარსული. აურაცხელი რბევა-აწიოკება მოიგონეს
ბავშვებმა, მაგრამ ვერაფრით ვერ მოახერხეს ეტრატის დათარი-
ღება.

— აი, გმირებიც ამათ ჰქვია! საიდუმლოს გაცემის შეეშინდათ
და ერთმანეთი დახოცეს, — სიამაყით თქვა გიგიმ.

— ეჰ, — ამოიგმინა ნუკრიმ, — რას არ გააკეთებინებს სამშო-
ბლოს სიყვარული, მე, მაგალითად, წამიკითხავს, რომ...

— სხვა დროს მოგვიყევი, — შეაწყვეტინა ვიტალიმ, — ხომ
ხედავ, რა დღეში არიან გოგოები.

— გამოიძინებენ და ხვალ აღარაფერი ემახსოვრებათ, — ანუ-
გეშა ზვიადმა.

— საინტერესოა, რას ფიქრობს ხელმძღვანელი, განძი უნდა
მოვძებნოთ თუ, ინსტრუქციის თანახმად, გზა გავაგრძელოთ? —
იკითხა ნუკრიმ.

— ისე მოვიქცევით, როგორც ინსტრუქციაში წერია. გზას გა-
ვაგრძელებთ, — კატეგორიულად განაცხადა გიგიმ.

— ძალიან კარგი. რაკი ასეა, მე აქ ვრჩები და მანამ არ გამო-
ვალ ამ ლაბირინთიდან, სანამ განძს არ ვიპოვი. ვინ დარჩება ჩე-
მთან?

მაცდური იყო კითხვა, უფრო მაცდური — განძის პოვნის შე-
საძლებლობა, მაგრამ არავის გამოუთქვამს ნუკრისთან დარჩენის
სურვილი.

— ლაჩრები, — გაბრაზდა ნუკრი. — გეშინიათ?

გიგი ფეხზე ადგა.

— სხვა დროს მაგ სიტყვებისათვის პასუხს გაგებინებდი, ახლა კი მიპატიებია. საერთოდ, გეყოფა ლაყბობა. უკვე გვიან არის, დავიძინოთ.

— დაძინებას ყოველთვის მოვასწრებთ, შენ მხოლოდ ეს გამაგებინე, აპირებ თუ არა განძის მოძებნას?

— განძი არსად გაგვექცევა, უცხო სამყაროს შუშხუნა კი არ დაგველოდება. იქნებ დაგავიწყდათ, რისთვის გამოგვგზავნეს! ხომ არ მოგაგონოთ? — გიგიმ თვალი გადაავლო ამხანაგებს. — განძისათვის ცალკე ლაშქრობას მოვაწყობთ და, თუ ვინმეს გული ერჩის, მაშინ გამოიჩინოს თავი.

— სულ ჩემი დამრიგებელივით ლაპარაკობს, — ჩაიდუდღუნა ნუკრიმ და უხალისოდ გაემართა დასაძინებლად.

გიგის გულზე მოხვდა ნუკრის ნათქვამი, მაგრამ არ შეიმჩნია.

— ოთხი ბიჭი ვართ, — თქვა მან, — ორ-ორ საათს ვიმორიგევებთ. პირველი ვიტალი იქნება, მეორე — ზვიადი, მესამე...

ნუკრის გათენებისას მოუწია მორიგეობა. სწრაფად გაიხადა, საძილე ტომარაში ჩაძვრა და მოხერხებულად მოიკალათა თუ არა, იმწამსვე ჩაეძინა. ძილში სიზმრებმა არ მოასვენა და სულ ერთთავად წრიალებდა. ხან რა ესიზმრებოდა და ხან რა. ხან წარსულში დაჰქროდა, ხან კოსმოსურ ხომალდში იჯდა და უცნობ პლანეტებს იპყრობდა, ხან განძს ეძებდა პირამიდებში, ხან ვიღაც უცნობებს ეჩხუბებოდა, გაურკვეველ სიტყვებს ბურდღუნებდა. მერე წარსული და აწმყო ერთმანეთში გადაიხლართა და ყველაფერი აირ-დაირია. ნუკრი ერთდროულად კოსმონავტიც იყო და გაყიდული ტყვეცაი, იგი ტყვეობიდან იპარება, ყველა ხიფათი უკან ჩამოიტოვა. მარტო ერთი კარიღა დარჩა, და სწორედ აქ გადაეყარა მცველს. გაქცეული ტყვის მიმართ მხოლოდ ერთი კანონი არსებობს. ნუკრიმ კარგად იცის ეს და ვაჟკაცურად ელის განაჩენს. ზეაღიმართა ნახევარმთვარის ფორმის მახვილი. წუთიც და კისერს შეეხება მისი მჭრელი პირი.

სწორედ ამ დროს გამოაღვიძეს. კარგა ხანს ვერ მოვიდა გონს. წამოჯდა, თვალები მოიფშვნიტა. ბოლოს, როგორც იქნა, გამოერკვა, უხალისოდ ჩამოართვა თოფი გიგის და შემოსასვლელში სა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მორიგეოდ გადაბარგდა. გიგი საძილე ტომარაში ჩაძვრა თუ არა, იმწამსვე ფშვინვა ამოუშვა.

ნუკრი შეიშმუშნა, მოხერხებულად მოკალათდა, თოფი ფეხებშუა ჩაიდო. შესცივდა , საძილე ტომარა მოათრია, ფეხებზე გადაიფარა. თანდათან მოიგონა ყველაფერი. იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სინამდვილე ძალიან ჰგავდა სიზმარს. ცხადშიც ისე იყო წარსული და აწმყო ერთმანეთში გადახლართული, რომ ვერ გაიგებდი, სად მთავრდებოდა ერთი ან სად იწყებოდა მეორე.

„ნეტავ იმ წყეულ კიბერს (ასე ეძახდნენ ბავშვები ყოველგვარ კიბერნეტიკულ გონივრულ მანქანას) გადამცემი არ გაეტაცა და სხვა ყველაფერი წაელო, — გაიფიქრა ნუკრიმ, — ბერკეტის ერთი გადაბრუნება, ოპერატიულ შტაბთან კავშირი და... ყველაფერი უცებ გაირკვეოდა. ჩვენი ხელმძღვანელი კი მხოლოდ ინსტრუქციაზე ფიქრობს, სხვა აღარაფერი ახსოვს — თუმცა, გიგი მართალია, — ასე უხეშად არ უნდა მეთქვა. ტყუილად ვატკინე გული“.

ნუკრიმ თავი ჩაჰკიდა, თვალები დახუჭა. იმწამსვე წყვდიადში ჩაიძირა, თუმცა სიბნელე ისე აღარ მოქმედებდა მასზე. ეს იყო მხოლოდ, მარტოობის უსიამოვნო გრძნობამ შეაწუხა. მალიმალ გადახედავდა მეგობრებს. თუ ადრე ზვიადის ხვრინვა მოსვენებას უკარგავდა, ახლა იავნანასავით ეფინებოდა გულზე. საათს დახედა. ეგონა, მისი მორიგეობის დაწყებიდან მთელი საუკუნე გავიდა, სინამდვილეში კი მხოლოდ ნახევარი საათი გასულიყო.

„საათ-ნახევარი კიდევ, — გაიფიქრა ნუკრიმ, — მოდი, ცოტას წავუძინებ, არა მგონია, საათ-ნახევარში რამე მოხდეს“, მაგრამ როგორც კი მოიგონა, რაც გადახდათ, განზრახვაზე ხელი აიღო. გაინძრ-გამოინძრა. თოფი მუხლებზე დაიდო და მტკიცედ გადაწყვიტა — პირნათლად ემორიგა. სულ სხვა ამბებზე დაიწყო ფიქრი, მაგრამ დაღლილობამ თავისი გაიტანა. სხეული მოუდუნდა, ქუთუთოები დაუმძიმდა. ნელ-ნელა დახუჭა თვალები. კარგა ხანს ებრძოდა ძილს, მაგრამ მალე სინამდვილე სიზმარს შეერია — ჩაეძინა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სტარტი

მკრთალად ბჟუტავდა შემოსასვლელში დადგმული ფარანი. ბავშვების სილუეტები მონაცრისფრო-მოშავო ბურუსში იყო გახვეული. სწორად თლილ კედლებს ტყვიისფერი გადაჰკრავდა. ბუნდოვნად ჩანდა მოპირდაპირე კედელი. სხვა დანარჩენი სიბნელეში იკარგებოდა.

გიგიმ ამოიგმინა, მეორე გვერდზე გადაბრუნდა და უსიამოვნო სიზმრით შეწყვეტილი ძილის გაგრძელება სცადა. ვერ მოახერხა, თვალები გაახილა, საძილე ტომრიანად წამოჯდა. ყური მიუგდო. ჩამიჩუმი არ ისმოდა. დროდადრო მყუდროებას ზვიადის ხვრინვა თუ დაარღვევდა. გიგიმ ხელის ფათურით მოძებნა ჯიბის ფარანი და შუქი ჩართო. სიბნელიდან ქვაბის დამუნჯებული კედლები გამოხტა და უფრო მეტად გამოიკვეთა საძილე ტომრებში ჩამძვრალი ბავშვების სილუეტები. საათზე დაიხედა.

„ნუკრის შეცვლის დროა“, — გაიფიქრა და ფარანი შემოსასვლელს მიანათა.

ნუკრი არ ჩანდა.

ამაოდ დაბობღავდა ფარნის მრგვალი შუქი კედლიდან კედელზე. ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში. ნუკრის ჭაჭანება არსად იყო.

„ნუთუ განძის საძებნელად წავიდა“, — გაუელვა გიგის უცებ და მისდაუნებურად წამოიძახა:

— ნუკრი, აუ, ნუკრი!

ხმა გაძლიერდა, უსასრულოდ გაგრძელდა. ბავშვებმა გაიღვიძეს და ზლაზვნით წამოიშალნენ.

— რა მოხდა? — დაბოხებული ხმით იკითხა ვიტალიმ.

გიგი ყოყმანობდა, არ იცოდა, რა ექნა; გაემხილა ეჭვი, თუ ცოტა კიდევ მოეცადა.

— დიდხანს მეძინა? — იკითხა მანანამ.

— საკმაოდ. — მკვახედ მოუჭრა ზვიადმა, ზვიადს ძილი დააკლდა და უგუნებოდ იყო.

მზისავარი ყველაზე ბოლოს წამოდგა, საათს დახედა, გაოცდა.

— გათენებულა, ბავშვებო!

ბანაკი აფუსფუსდა, აიშალა. ყველა საკუთარ ბარგის ალაგება-

შეკვრას შეუდგა. გიგი რამდენჯერმე მთავარ დერეფანშიც გავიდა, მაგრამ ნუკრის კვალს ვერსად მიაგნო.

„თუ მართლა განძის საძებნელად წავიდა, მოსაკლავია“, — გაიფიქრა მან და სწორედ ამ დროს პარალელურ დერეფანში ვიღაცამ იკივლა:

— ნაკვალევი!

შემზარავი ხმა იყო, უფრო შემზარავი კი — ნაკვალევთან დაკავშირებული წარმოდგენები. გიგიმ შეჯგუფულ ბავშვებთან მიირბინა. ფარნების შუქით განათებულ, უთოს ფორმის მოჭიქულ ნაკვალევს დააშტერდა. ნაკვალევი ზუსტად იმ ადგილას თავდებოდა, სადაც ნუკრი იჯდა.

„მოიტაცა“, — გაუელვა თავში გიგის და ხმამაღლა იკითხა: — ნუკრისთვის ხომ არ მოგიკრავთ თვალი?

— არა, რა იყო?

— ნუკრი! — გასძახა გიგიმ.

— ნუკრი! — იყვირა ვიტალიმ.

— ნუკრი! ნუკრი! ნუკრი! — გაიმეორა დერეფანმა და ბოლოს სულ მიილია, მიწყდა ხმა. ყველამ გიგის შეხედა. გიგი ელოდა ასეთ შემოხედვას და არ დაბნეულა.

— განძის საძებნელად წავიდა ალბათ, — იცრუა მან.

ბავშვებმა ნაკვალევზე მიუთითეს. ზვიადმა უკან დაიხია და მოულოდნელად წამოიყვირა:

— აქ არის!

— ვინ?

— ის... — ზვიადს ხმა აუთრთოლდა. — ნუთუ ვერ ხედავთ? კვალი მხოლოდ აქეთ მოემართება. მეორე ნაკვალევი არ ჩანს. მაშასადამე, უკან არ დაბრუნებულა და სადღაც აქვე დგას.

ზვიადმა თოფი დაცალა, მაგრამ არაფერი შეცვლილა. შეშინებულმა ბავშვებმა ბარგს ხელი წამოავლეს და უკან-უკან სიარულით გაეცალნენ საბედისწერო ადგილს. როცა კარგა მანძილზე მოსცილდნენ ნაკვალევს, უცებ შეტრიალდნენ და, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, მოკურცხლეს. სულმოუთქმელად გარბოდხეხ, ერთმანეთს ეკვროდნენ, ხმას არ იღებდნენ. კლდეში ნაკვეთი დერეფანი მოულოდნელად გათავდა და ბავშვები ისევ მიწისქვეშა გამოქვაბულში აღმოჩნდნენ. ქვაბი ყოველ წუთს იცვლიდა ფორმას და მიმა-

რთულებას, იგი ხან მეტისმეტად ფართოვდებოდა, ხან კი ისე ვიწროვდებოდა, ძლივს მიძვრებოდნენ ნაბზარში.

— როდემდე უნდა ვირბინოთ? — იკითხა ვიტალიმ. — იქნებ გავჩერდეთ და მოვითათბიროთ.

— მართალია, — დაეთანხმა ზვიადი.

— გავჩერდეთ, — თქვა გიგიმ.

ბავშვები შედგნენ, ბარგი კედელთან მიყარეს და ზედ ჩამოსხდნენ. მზისავარმა სამგზავრო აფთიაქი გახსნა, ვიტალის დაშავებული მუხლისთავი მოჰბანა და გულდაგულ შეუხვია.

— რაღაც უნდა მოვიფიქროთ, — თქვა ზვიადმა. — მეგობარს ხომ ვერ დავტოვებთ განსაცდელში!

— უნდა მოვძებნოთ და, თუ მართლა თვითნებურად წავიდა განძის საძებნელად, ერთი გემოზე შევახუროთ.

— ვიტალი მართალია, — დაეთანხმნენ გოგოები.

— იქნებ უმჯობესია, ჯერ თავი დავაღწიოთ აქაურობას, — თქვა გიგიმ, — ყველაფერი ოპერატიულ შტაბს ვაცნობოთ და შემდეგ ისე მოვიქცეთ, როგორც ისინი გვეტყვიან.

— რას ამბობ! გაწყრა მზისავარი. — რა დროს ინსტრუქციის მოქმედებაა, დაუყოვნებლივ დავიწყოთ ძებნა. ესეც განძი ხომ არ არის, ადამიანის ბედი წყდება.

— რას გაწიწმატდი, — შეუტია გიგიმ, — იქნებ შენ სხვაზე უფრო მეტად შეგტკივა გული! — მერე დანარჩენებს მიუბრუნდა: — ამას ჰგონია, მე ძებნის წინააღმდეგი ვარ, პირიქით, მაგრამ თუ ნუკრი მართლა უხილავმა მდევარმა მოიტაცა, აქ ჩვენ უქმად დავკარგავთ დროს, გამიგეთ?

— გიგი მართალია, — თქვა ზვიადმა, — სერიოზული ძებნისათვის ჩვენ მოუმზადებელნი ვართ, რამდენიმე საათის შემდეგ სათადარიგო ბატარეები დაიცლება და მერე მშვიდობით — აქედან ველარ გავაღწევთ. იქნებ მართლა ჯობდეს, გავიდეთ აქედან და ყველაფერი მთავარ შტაბს ვაცნობოთ.

— სწრაფად გადავწყვიტოთ. დრო გადის, უხილავი მდევარი შეიძლება ისევ გამოჩნდეს, — თქვა მანანამ და ფეხზე წამოდგა.

უხილავი მდევრის გახსენებამ დააჩქარა გადაწყვეტილების მიღება. სახელდახელოდ ისაუზმეს, ბარგი გადაალაგ-გადმოალაგეს და სალაშქროდ აიშალნენ. მსვლელობას ისევ გიგი ჩაუდგა თავში

და რაზმი დაიძრა. გამოქვაბული თანდათან გაფართოვდა, ამაღლდა, გადიდდა, დარბაზებად დაიყო. გახშირდა გიგანტური სტალაქტიტები. კედლებიდან წყალმა დაიწყო ჟონვა. აქა-იქ ანკარა წყაროები დიდრონი მარგალიტებივით ბრწყინავდნენ შუქზე. წყალი ქვაბის ფსკერზე გროვდებოდა და პატარა ნაკადული რაკრაკით მიიკვლევდა გზას ჟანგისფერ ქვაბებს შორის. ბავშვები ნაკადულს გაჰყვნენ, რადგან იცოდნენ, რომ ბოლოს და ბოლოს წყალი აუცილებლად გარეთ გავიდოდა. ნაკადული თანდათან მდინარედ იქცა, შეტბორდა და რაზმეული პატარა მიწისქვეშა ტბასთან შედგა. ტბა საოცრად წმინდა იყო და სარკესავით კრიალა. მეორე მხარეს, ბექობთან, გამოქვაბულის ჩაშავებული ღრმული ჩანდა. მზისავარმა კეხჭი აიღო და ტბაში ისროლა. ტბაზე რგოლები გაიშალა, ნაპირის სუსტი ტალღა შეეთამაშა. შორიდან გუგუნი და გაურკვეველი ლაპარაკი მოისმა. ბიჭები დაწინაურდნენ. ბექობზე ავიდნენ. ზვიადმა თოფი მოიმარჯვა და იქვე, დიდი ლოდის გვერდით ჩაიმუხლა. მალე გოგოებიც ამოვიდნენ ბექობზე და მზისავარმა ჩურჩულით იკითხა:

— რა ხდება? ვინ არიან?

— ეშმაკმა უწყის, — ჩურჩულითვე უპასუხა ვიტალიმ.

— იქნებ... ნუკრია, — თქვა ზვიადმა და დაიყვირა: — ნუკრი, აუ, ნუკრი!

ქვაბი აგუგუნდა. რომელიღაც სუსტი სტალაქტიტი თაღს მოსწყდა და ტლაშანით ჩავარდა ტბაში. ტბამ დაიბუყბუყა. შორიდან ვიღაც მეტად სუსტად გამოეხმაურა ძახილს. ბავშვებმა სიტყვები ვერ გაარჩიეს. სამაგიეროდ, ახლა ყველამ ერთდროულად დაიყვირა. ექო გრგვინვასავით დაირხა ქვაბში და გუგუნის ხმამ ყურთასმენა წაიღო. შორს, ქვაბის სიღრმეში ჯერ ერთი სინათლე გამოჩნდა, შემდეგ მეორე, მესამე... სინათლეები ბავშვებისაკენ მოძრაობდნენ. ახლა სხვა ბიჭებმაც იკადრეს, ჩასაფრდნენ და გაისუსნენ. ყველაზე წინ გიგი ჩასაფრდა და სულგანაბული ელოდა, რა მოხდებოდა. თვალი თანდათან შეეჩვია სიბნელეს. გიგიმ ადამიანის სილუეტები გაარჩია. მერე მათი ხმებიც მოესმა. ერთ-ერთი ხმა ძლიერ ეცნაურა, ფრთხილად გამოძვრა საფარიდან და ომახიანად გასძახა:

— ეჰეი, რომელი ხარ?

— მეოთხე რაზმი, — იყო პასუხი, მურადი ვარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—მურადი?

ბავშვები ყვირილით გამოცვივდნენ საფარებიდან და შესახვედრად გაექანენ. შეძახილებსა და კითხვა-პასუხებს ბოლო აღარ უჩანდა. ყველა ერთდროულად ლაპარაკობდა, ერთმანეთს ხელს უშლიდნენ. ყველას უნდოდა პირველს ეთქვა, პირველს გაეგო და ამ საერთო ყაყანში კაციშვილს არაფერი ესმოდა. ბოლოს, როგორც იქნა, დაშოშმინდნენ. შეხვედრით გამოწვეულმა პირველმა აღტაცებამ გაიარა და დამშვიდებით მოიკითხეს ერთმანეთი.

— შორს არის გასასვლელი? — იკითხა გიგიმ.

— ნახევარი საათის სავალი თუ იქნება, — უპასუხა მურადმა. — გზა კარგია, ფართო და სწორი.

— აქ როგორ გაჩნდით, რამ მოგიყვანათ? — იკითხა ზაზამ.

— ჩვენ ჯერ, პირობის მიხედვით, გამოქვაბულის გამოსასვლელთან გელოდით; შემდეგ, როდესაც თქვენთან კავშირი გაწყდა, ბრძანება მივიღეთ, შესახვედრად წამოვსულიყავით. თქვენ რაღა მოგივიდათ, რატომ დაიგვიანეთ?

— ეჰ, — ხელი ჩაიქნია გიგიმ, — იმდენი რამე გადაგვხდა, ასე უცებ რას მოგიყვებით. ჯერ იყო, უხილავმა მდევარმა არ მოგვასვენა, მერე მიწისქვეშა აკლდამა აღმოვაჩინეთ, ბოლოს ნუკრი დაიკარგა და...

— ნუკრის დაკარგვის ამბავი ვიცით, — შეაწყვეტინა მურადმა, — ძირითად საძიებო ჯგუფს დაუნახავს, როგორ მიათრევდა კონუსის ფორმის კიბერი შუშხუნისაკენ.

— მერე? — შეშფოთდა მანანა.

— რა მერე? შუშხუნას ვერავინ ეკარება, მხოლოდ წყეული კიბერები დასეირნობენ არხეინად და, რასაც კი ხელთ იგდებენ, ყველაფერს შუშხუნაში მიათრევენ; ვარაუდობენ, რომ შუშხუნა ავტომატურია და ჩვენთან დასაზვერად არის მოფრენილი.

— უფროსები რას ამბობენ ნუკრიზე? — მანანას მოუთმენლობა დაეტყო.

— იმედს არ კარგავენ. ახლა ნუკრის ბედი მილიონობით ადამიანს აინტერესებს. ფიქრობენ, თუ შუშხუნა უეცრად არ აფრინდა, ბოლოს და ბოლოს მოახერხებენ ნუკრის დახსნას; თუ გაფრინდა... — მურადმა აღარ დაამთავრა და შეკრულ საძილე ტომარაზე ჩამოჯდა.

უხერხული დუმილი ჩამოვარდა. ბავშვები მურადის გარშემო შეჯგუფდნენ და ელოდნენ, როდის დაამთავრებდა სათქმელს. მურადი რატომღაც არ ჩქარობდა აზრის დამთავრებას.

„რაღაცას გვიმალავს, — გაიფიქრა გიგიმ, — ნეტავ რას?“ — მერე თავში საშინელმა აზრმა გაუელვა და შეშფოთებულმა იკითხა:

— ცოცხალია?

მურადმა მხრები აიჩეჩა.

ბავშვებმა მოიწყინეს, ყველაზე მეტად — მანანამ.

— რატომ ვზივართ აქ? — იკითხა მან, — წავიდეთ, იქნებ რამე ვიღონოთ, რამეთი დავეხმაროთ.

— მანანა მართალია, — თქვეს ბიჭებმა, — აქ დგომა არას გვარგებს, წავიდეთ.

გაერთიანებული რაზმი დაიძრა.

უკვე იგრძნობოდა გასასვლელის სიახლოვე. ოდნავ დათბა. ჰაერი დაიწმინდა და გასუფთავდა. პაწია მდინარე გასრულდა, კალაპოტი ჩაიხრამა და დატყდა. შუქმა იმატა. ბავშვებმა ჯიბის ფარნები ჩააქრეს. წინ ნაცრისფრად ჩამუქებული ქვაბის ყელი გამოჩნდა. გასასვლელი თაკარა მზეს ამოევსო. გაშმაგებული მდინარე ქვებს აწყდებოდა, ზედ გადადიოდა და, ქაფად ქცეული, ღრიალით მიიწევდა წინ. ვინ იფიქრებდა, რომ იგი წვეთ-წვეთად იშვა უკუნეთში. შეიძლება სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ასე თავდავიწყებით მიილტვოდა სინათლისაკენ. სინათლის მაგიური ძალა ბავშვებსაც თავისკენ უხმობდა და აჩქარებდა. ბოლოს, როგორც იქნა, გააღწიეს გამოქვაბულს და ჩანჩქერთან შედგნენ.

უცებ ზედიზედ იძრა მიწა. მიწისძვრას გუგუნი მოჰყვა, გუგუნი ზმუილმა შეცვალა და თანდათან გაძლიერდა.

„რაღაც ამბავია“, — გაიფიქრა გიგიმ და ხმამაღლა დაიძახა:

— მომყევით!

ორივე რაზმი აბიბინებულ მინდორზე დაეშვა. გარბოდნენ სულმოუთქმელად, ერთმანეთს ასწრებდნენ და ხშირად მოკლე გზის ძებნაში უფრო იგრძელებდნენ გზას. ბილიკი დაბურულ ხეებს შორის მიიკლაკნებოდა. ისმოდა გოგოების წიკვინი და ბიჭების შეძახილები. ერთ ადგილას გოგოები ღელეში ჩაცვივდნენ და გაილუმპნენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შორს რაღაცამ დაიბუხუნა, მერე შიშინის ხმა მოისმა. გიგი მურადს წამოუწია და ჰკითხა:

— რა ხმა იყო?

— შუშხუნის ძრავის ხმას ჰგავდა, — უპასუხა მურადმა.

ამ მოკლე წინადადებით ყველაფერი ითქვა. გიგი შედგა, მთელი ძალით დაუსტვინა და ჩამორჩენილ ამხანაგებს ხელი დაუქნია.

ბილიკმა გაივაკა, გაფართოვდა და საურმე გზას შეუერთდა. ახლა ბავშვები ჯგუფ-ჯგუფად გარბოდნენ და ხმამაღლა ლაპარაკობდნენ. ათას რამეს ვარაუდობდნენ, ზოგს შურდა კიდეც ნუკრის ბედი. ტყე გამეჩხერდა, გზა ვაკეზე გაიჭრა და ბალახებს შორის გაუჩინარდა. ბავშვები ვრცელი მინდვრის პირას შედგნენ.

შორს, საკოლმეურნეო ხნულებს იქით, სამ მონაცრისფრო ამორტიზატორზე უცხო სამყაროს შუშხუნა იდგა და ვიბრატორივით ცახცახებდა, მართალია, შუშხუნა შორის იყო და წვრილმანი დეტალები კარგად არ ჩანდა, მაგრამ მისი სწორი ფორმებით მოხიბლული ბავშვები თვალს ვერ აშორებდნენ. შუშხუნის ახლომახლო სხვადასხვა ფერის კიბერები დარბოდნენ. ხან ერთად ქუჩდებოდნენ, თითქოს საუბრობენო, მერე ისევ გარბი-გამორბოდნენ.

— გასაფრენად ამზადებენ, — თქვა ზვიადმა და ამხანაგებს ურჩია, მოფარებულიყვნენ.

— ჩვენ ისე შორს ვართ, რომ აქ საშიში არაფერია, — შეესიტყვა ზვიადს ვიტალი.

— რასაც გეუბნებიან, დაიჯერე, — თქვა გიგიმ და მიდამო მოათვალიერა.

ბავშვებმა საფარად დიდი ლოდი აირჩიეს და მოხერხებულად მოკალათდნენ. მიმოიხედეს და მხოლოდ ახლა შეამჩნიეს ფერდობებზე შეფენილი ხალხი. ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ უცნაური ფორმის ხელსაწყოებთან. მათ განლაგებაში თავისებური სიმეტრია იგრძნობოდა. გიგიმ დაასკვნა: „ალბათ უფრო მეტად მიახლოება აღარ შეიძლება.“

ვრცელი მინდორი სხვადასხვა ფერისა და კონსტრუქციის შვეულმფრენებით აჭრელებულიყო. აქ იდგა პირადი სარგებლობის ერთადგილიანი და ორჩარჩოიანი სამგზავრო მანქანები. სახელდახელოდ აგებული რადიოლოკატორის დასვრეტილი ბადე შუშხუნისკენ იყო მიმართული. ძირითადი საძიებო ჯგუფი სხვადასხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოდით ცდილობდა შუშხუნასთან დაკავშირებას. ჩვენი ქვეყნის ყოველი გადამცემი ცენტრი ერთდროულად მილიონობით ელექტროიმპულსს უშვებდა ეთერში, იქნებ რომელიმე მათგანს გამოეხმაუროს შუშხუნაო. მძლავრი ელექტრომაგნიტური ველით შუშხუნის ბლოკირება არ მოხერხდა, ვინაიდან ახლომახლო ასეთი დანადგარი არ არსებობდა. ხოლო შორი მანძილიდან ბლოკირებას შედეგი არ მოჰყვა. შუშხუნა საკმაოდ ძლიერი, ჩვენთვის უცნობი, შეუღწეველი ველით იყო დაცული.

გუგუნით გადაუფრინა ძირითადი საძიებო ჯგუფის შვეულმფრენმა ბავშვებს თავზე. თითქოს ამას ელოდაო, შუშხუნა უფრო აცახცახდა. კიბერები გაირინდნენ, მერე ერთიგად დაეწყვნენ, შეხტნენ და შუშხუნაში გაუჩინარდნენ. მრგვალი კარი მჭიდროდ ჩაეხრახნა შუშხუნის კორპუსს. ამორტიზატორები დაიჭიმა. შუშხუნის ბოლოდან ბოლქვებად გამოვარდა თეთრი კვამლი და გარს შემოეხვია.

— სადაცაა გაფრინდება, — თქვა ზვიადმა.

კვამლიდან თანდათან ამოიწვერა შუშხუნა. წვერს მოჰყვა პირველი დანაყოფი, პირველს — მეორე, მესამე, ილუმინატორი...

— ის არის, ის! — იყვირა მანანამ, საფარიდან გამოვარდა და ჭოგრიტიანი ხელის ქნევა დაიწყო. მას მოეჩვენა, თითქოს ილუმინატორთან ნუკრი იდგა.

— დაწექით! — იღრიალა ზვიადმა, მაგრამ გვიანღა იყო. შუშხუნა კვამლს გამოეყო, ამორტიზატორები ბუდეებში შეიკეცა, ცეცხლის კუდი გამოიბა და ზეცას ეკვეთა. მანანამ მკერდში ტკივილი იგრძნო, თვალთ დაუბნელდა. დაბარბაცდა და გულაღმა დაეცა.

* * *

— სადა ხარ ამდენ ხანს? — უსაყვედურა გიგიმ დაგვიანებულ სტუმარს და სკამი შესთავაზა.

— ექიმთან ვიყავი, — თავი იმართლა მანანამ, — არაფრით არ მიხორცდება ჭრილობა. ერთ კვირას კიდევ ასე უნდა ვიარო.

— ბედი შენი, რომ გადაცემა არ დაწყებულა, — ჩურჩულით თქვა ზვიადმა და უბის წიგნაკში რაღაც ჩაინიშნა.

მანანა რაზმის წევრებს მიესალმა და გიგის გვერდით თავისუფალ სკამზე ჩამოჯდა. ტელევიზორი საამოდ აციმციმდა. ეკრანზე განსაკუთრებული გადაცემის მაუწყებელი ნიშანი — წითელი ხაზი — გაწვა და ადგილობრივი დიქტორის სახე გამოჩნდა.

— ყურადღება, ყურადღება, — მოისმა მიმღებიდან, — რამდენიმე წუთის შემდეგ ჩავრთავთ თბილისს. ვიმეორებ...

ყველაფერი ზუსტად ისე იყო, როგორც ამ ცოტა ხნის წინათ. ეს იყო მხოლოდ, ამხანაგებს შორის ნუკრი არ ჩანდა და მაგიდაზე დაუმთავრებელი მინიატურული რადიოგადამცემი არ იდო.

— დღეს ჩვენს აღმოჩენილ აკლდამაზე ილაპარაკებენ, — ჩურჩულით თქვა მზისავარმა, — უფროსმა პიონერხელმძღვანელმა მითხრა, შესაძლოა ექსპედიციაში თქვენც წაგიყვანონო. თუმცა, ისიც თქვეს, რომ...

—მე ნუკრის ბედი მაინტერესებს, — შეაწყვეტინა მანანამ მზისავარს — დღეს უნდა შეხვდნენ კოსმოსში ერთმანეთს ჩვენი და უცხო სამყაროს შუშხუნები. საინტერესოა, მოახერხებენ ჩვენები აბორდაჟს თუ ვერა.

— მოახერხებენ, — დარწმუნებით თქვა ვიტალიმ.

— ძნელია, — ეჭვი შეეპარა ზვიადს.

— ავტომატური შუშხუნის აბორდაჟი იოლია, ავტორიტეტულად თქვა ვიტალიმ, — ასეთი შემთხვევები ბევრი ყოფილა. გახსოვს, როგორ აიყვანეს აბორდაჟზე ჩვენებმა ორბიტას აცდენილი ამერიკული თანამგზავრი?.. ან...

— მათი პროგრამა წინასწარ იყო ცნობილი, ამისი კი, ვინ იცის! გარდა ამისა, ამ შუშხუნას ისეთი ძლიერი დაცვა აქვს, რომ მისი აბორდაჟი შეუძლებელია.

— კოსმოსში სხვა პირობებია, — არ თმობდა ვიტალი.

— კარგი ერთი, — გაწყრა გიგი, — ბოლო აღარა აქვს თქვენს კამათს, მოთმინება იქონიეთ, მოვისმინოთ გადაცემა და მერე თუ გინდ დილამდე ვიკამათოთ.

ბავშვები დადუმდნენ.

თბილისელი დიქტორი ჩვეულებრივი მისალმების შემდეგ პირდაპირ საქმეზე გადავიდა. ჩვენებს მოუხერხებიათ უცხო სამყაროს შუშხუნის დამორჩილება. ნუკრის ბედი გაირკვა. იგი ცოცხალია და რამდენიმე დღის შემდეგ დედამიწაზე დაბრუნდება. მეხუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თე პიონერულ რაზმს დღეიდან „კოსმოსური“ რაზმი ეწოდა და პიონერულ ორბიტაზე პირველი გაფრენის უფლებით დაჯილდოვდა.

ერთსულოვანმა ვაშამ ფანჯრის მინები შეაზანზარა. ბავშვები ერთმანეთს გადაეხვივნენ.

თბილისელი დიქტორი დაწვრილებით მოჰყვა კოსმოსური აბორდაჟის ამბავს. მერე ნუკრის ჯანმრთელობის ბიულეტენი გადმოსცა და პიონერულ ბანაკს „რაკეტოდრომს“ საჩუქრად ერთ კიბერნეტიკულ მზვერავს დაჰპირდა.

— ვაშა, ჩვენ საკუთარი კიბერი გვეყოლება! — წამოიძახა მანანამ და ხელი ხელს შემოჰკრა.

დაიწყო გადაცემის მეორე განყოფილება. ახალგაზრდა დიქტორმა მხცოვან მამაკაცს დაუთმო ადგილი. როგორც შემდეგ გამოირკვა, მოხუცი ერთი იმათგანი იყო, ვინც პირველებმა გაიკეთეს წითელი ყელსახვევი და საქართველოში პიონერულ მოძრაობას ჩაუყარეს საფუძველი. სწორედ მათი ინიციატივით დაუწყია რესპუბლიკურ პიონერულ საბჭოს ლაშქრობა-გართობა გაუკვალავი გზებით. შუშხუნის გამოჩენა შემთხვევით დაემთხვა ლაშქრობას და უფრო მეტი რომანტიკა შემატა მას. მეხუთე რაზმის მიერ აღმოჩენილი ძეგლის მნიშვნელობაზე დიქტორმა დიდხანს ილაპარაკა და იმდენ საინტერესო რამეს მოჰყვა, რომ ყველაფრის დამახსოვრება ველარ შეძლეს ბავშვებმა. ბოლოს გადაცემა დამთავრდა, ეკრანი ჩაქრა და ოთახში დუმილი გამეფდა.

— მე დარწმუნებული ვარ, — თქვა გიგიმ, — რომ მიწისქვეშა სამალავში განძთან ერთად ქართული ლიტერატურის ნიმუშებიც ინახება. ხომ შეიძლება „ვეფხისტყაოსნის“ შოთასეული ხელნაწერიც აღმოჩნდეს!

— მე კი მგონია... — წამოიწყო ვიტალიმ და კამათმა ახალი ძალით იფეთქა.

ზვიადი წამდაუწუმ იყურებოდა საათზე. ბოლოს ველარ მოითმინა და წამოდგა.

— ერთი წუთით მომისმინეთ, მხოლოდ ერთი წუთით, — შეევედრა ბავშვებს, — მე დღეს რაკეტოდრომზე მორიგე ვარ, უნდა წავიდე. არ დაგავიწყდეთ, სამსაფეხურიანი შუშხუნის ახალი მოდელის გამოცდა ზეგ არის დანიშნული. ნუ დაიგვიანებთ.

— ვიცით, ვიცით! — წამოიძახეს ბავშვებმა და შეწყვეტილი კამათი განაგრძეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კოსმოსის მეკობრენი

კატასტროფის წინაშე

— ყურადღება!

საახალწლო მაგიდის გარშემო მსხდომნი უსიტყვოდ ადგნენ. ერთმანეთს გადახედეს და იქით შეტრიალდნენ, საიდანაც უსიცოცხლო, ლითონისებური ხმა დაირხა. სიტყვა ითქვა მეტისმეტად ცივად და მკაფიოდ, თითქოს ფოლადის ფარს ჩაქუჩი დაჰკრესო.

დარბაზი გაისუსა. კედელზე დაკიდებული დროის მრიცხველის ისარმა წამების ათვლა დაიწყო. წითელი შუქნიშანი აციმციმდა. უხმოდ ჩაერთო დროის რელე და ისევ ის ცივი ხმა:

— ყურადღება!

ზედიზედ ჩაირთო ტრანსგალაქტიკური რელეები. საერთო საგებლობის ტელეეკრანს რადიოშუქმა გადაუარა. ფერთა გამა გაიბნა მიმქრალ მინაზე. დარბაზი ათინათინდა. შინდისფერი სავარძლის გვერდით მდგომმა ახალგაზრდამ თავი ასწია, ფეხები გაშალა და მომუჭული ხელები სპეცტანსაცმლის ღრმა ჯიბეებში ჩამალა. ფართო, ჭკვიანი თვალებით შეხედა დამოუკიდებელი დროის მრიცხველს. გაიფიქრა:

„კიდევ ათი წუთი... ათი წუთი მთელი საუკუნეა“.

თავი დახარა. იატაკზე გამომკრთალ თავის გამოსახულებას ჩაშტერდა.

„პირველად ალბათ დამაკვირდება, ეხამუშება ჩემი თმის ფერი... მერე გამიღიმებს და ეშმაკურად მოწკურავს თვალებს“, — ფიქრობდა იგი.

ყრუდ გაიტკაცუნა საკეტმა. მსუბუქად ჩამოცურდა გუმბათის დამცველი ფარი. ჩამობნელდა. ტელეეკრანი აციმციმდა. იატაკზე ჩრდილები გაწვნენ. კავშირის კოშკზე გიგანტმა რადიოტელესკოპებმა „ჯიბეში“ შენახული მხრები გაშალეს და სივრცის იმ მხარეს მიატრიალეს, საიდანაც სიგნალებს ელოდნენ.

ადამიანები იდგნენ, იდგნენ და ელოდნენ. ელოდნენ ცხოვრებაში ყველაზე ნეტარ წუთებს. იდგნენ ჩუმად, სურვილებადაბეჭდულნი. დრო კი გარბის. სამყაროს მაჯისცემას საოცრად სწრაფი ტემპი აქვს. იგი მოქმედებს კოსმოსურ სიჩქარეებით, ვეება მასშტაბებში, პატარა ადამიანის სურვილების ანგარიშგაუწევლად. მაგრამ პატარა ადამიანი ჯიუტია, ყოველდღიურად ახალ-ახალ მიჯნებს იპყრობს და უსასრულობაში ამკვიდრებს თავის არსებობას.

— ყურადღება.

„მესამედ. ახლა კი ცოტაღა დარჩა“, — გაიფიქრა მან. გასწორდა.

დარბაზი წამით შეტორტმანდა. იატაკზე გაწოლილი ჩრდილები გადაიხლართნენ, გაორდნენ. გამომთვლელმა მანქანებმა დაპროგრამებული აბების მორიგი ულუფის გადამუშავება დაიწყეს. ლილისფერი ორმაგი კედელი იატაკში გაუჩინარდა. გამოჩნდა ტრანსგალაქტიკური კავშირის მცირე დარბაზი. პაწაწინა გოგონამ მბრძანებლურად ასწია ხელი.

— ყურადღება, ყურადღება! რამდენიმე წუთის შემდეგ ვრთავთ დედამიწას. — თქვა მან და სამართავ დაფაზე გამოცდილ პიანისტივით აათამაშა თითები.

ადამიანები თვალს ვერ აშორებდნენ ქერათმიან გოგონას. ელოდნენ. ყველაზე მეტად ახალბედები — ადამიანები, რომელთა ცხოვრებაში პირველად ხდებოდა დიდი ლაპარაკი. ეს იმდენად ძლიერი და უჩვეულო გრძნობაა, რომ მისი სიტყვებით გადმოცემა შეუძლებელია. ადამიანი ვერ უძლებს ასეთ ძლიერ დატვირთვას და ამიტომ მთელი მოსამზადებელი პერიოდი უსულგულო მანქანებს გადააბარეს. ძნელია ასეთ დროს საკუთარ თავს ენდო. მანქანის „გონება“ და „ნერვები“ კი მხოლოდ მკაცრ მათემატიკურ ლოგიკას ემყარება. მიუხედავად ამისა, მათი მონაცემებიც მოწმდება დუბლირებული მეთოდით. ისეთ დროს, როდესაც წუთში რამდენიმე წელი უნდა ჩატიო — შეცდომა საბედისწეროა. დიდი ლაპარაკი გალაქტიკის მკაცრ განრიგს ემორჩილება და ზეადამიანურ სიზუსტეს მოითხოვს.

ტაძრისეული სიმყუდროვე ჩამოწვა. ადამიანს გვერდით მდგომი ადამიანის გულისცემა ესმოდა. თითქოს მანქანებმაც იგრძნეს საზეიმო ჟამის მოახლოება და მიყუჩდნენ. ულმობლად ქრებოდა

დრო. უკვე ცოტაღა დარჩა, სულ ცოტა. მალე კონცენტრირებული ელექტრომაგნიტური ტალღები საყვარელ ადამიანთა სახეებამდე დაიშლება ტელეეკრანის რძისფერ მინაზე. პირველად მშობლიური პლანეტიდან ხმა მოვა. სრულიად დედამიწის ჰიმნის მელოდია ადამიანთა სმენას დაატკბობს.

უკიდურესობამდე დაძაბული დრო ამოიწურა. დარბაზში მწვანე შუქი გაიბნა. ადამიანებმა უფრო იგრძნეს, ვიდრე გაიგეს შორეული მელოდიის მოახლოება. იგი თანდათან ძლიერდებოდა. გაისმა პირველი მუსიკალური ფრაზა, მეორე, მესამე. მელოდია გამოიკვეთა, გაძლიერდა. მთელ დარბაზს მოედო, ყალიბივით შეავსო, აგუგუნდა. ეკრანზე ტრანსგალაქტიკური გადაცემების დედამიწისეული ემბლემა ახალგაზრდა გოგონას სახემ შეცვალა.

— მოგესალმებით სრულიად დედამიწის მცხოვრებთა სახელით და მოგილოცავთ დიდი ლაპარაკის დასაწყისს. მოისმინეთ უკანასკნელი ცნობები.

დარბაზი გაისუსა.

„მეორე დიდი ლაპარაკის დროს სხვა დიქტორი იყო, — გაიფიქრა მარტოდ მდგომმა კაცმა. — თუმცა არც ეს არის ურიგო გოგო“.

ახალმა ამბებმა მსმენელთა გაკვირვება გამოიწვია. უკანასკნელი წლების ფანტასტიკური გეგმები რეალობად იქცა და ისტორიას ჩაბარდა. მომავლისათვის უფრო გასაოცარი გეგმები იყო დასახული. პოლუსებზე ხელოვნური მზის ანთება თუ მათი ყინულოვანი საფარის მარსისაკენ ტრანსპორტირება. ზღვისქვეშა ქალაქების განაშენიანება-ექსპლოატაცია. ახალი სინთეზური საწვავის მიგნება თუ... ბევრი, ძალიან ბევრი რამ გაიგეს ადამიანებმა შორეულ დასახლებაზე, მაგრამ მაინც ერთი სული ჰქონდათ, როდის დამთავრდებოდა უკანასკნელი ცნობები. ბოლოს ისიც დამთავრდა. რიო ხალხს გამოეყო. გადამცემ პულტთან დადგა. ავტომატურმა მექანიკამ ვიდეოფონის ობიექტივი დაუმიზნა. ეკრანზე შუახნის ქალი გამოჩნდა ბავშვით ხელში.

— მამა, მამიკო, — გაისმა მიმღებიდან ბავშვის წკრიალა ხმა. — მე მალე კოსმონავტი გავხდები და შენთან მოვფრინდები.

— რიოს ჩაეღიმა.

— რიო, — თქვა ქალმა. — კუმა სამხრეთ პოლუსზე გაემგზავრა ისევ იმ გოგოსთან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— მოსალოცად გქონია საქმე, — თქვა რიომ.

ქალმა უსიამოვნოდ გააქნია თავი.

— რატომღაც გამხდარი მეჩვენები, ან იქნებ ეკრანი ამახინჯებს გამოსახულებას. ხომ არაფერი შეგემთხვა?

გადამცემ პულტზე წითელი ნათურა აინთო. ეს უკვე ლაპარაკის დამთავრებას ნიშნავდა. რიო აჩქარდა, წინ გადაიხარა.

— მე კარგადა ვარ, კარგად! — იყვირა მან. — პატარას გაუფრთხილდი! გამოსახულება გაქრა. რიომ გზიდან ერთხელ კიდევ მოხედა ეკრანს და ახალგაზრდა ქალ-ვაჟის გამოსახულებას შეავლო თვალი. უხალისოდ მიუახლოვდა საახალწლო მაგიდას, ჭიქა ალისფერი სასმელით შეავსო და სულმოუთქმელად გამოცალა.

— მამი, შენ ალბათ ყველაფერს ხვდები, — ისმოდა მიმღებიდან, — ეს კაცი ჩემი ქმარია, ზღვისქვეშა ქალაქების მშენებელი. მოგწონს, მამი?

— მომილოცავს, შვილებო, — აბუბუნდა რადა. და ვინაიდან ახალგაზრდების ახლოს მეუღლეს ვერ მოჰკრა თვალი, იკითხა:

— ლავა სადღაა?

— დედა ექვსი თვით ვენერაზე მიავლინეს, რომელიღაც უცნობი ბაქტერიის შესასწავლად, მალე ჩამოვა.

რადამ თავისუფლად ამოისუნთქა.

— კარგად იყავით, შვილებო, კარგად, — თქვა მან. — მე ალბათ ცვლას ჩამოვყვები, — დაუმატა მერე და ადგილი სხვას დაუთმო.

ასე მოკლე და ასე თითქოსდა უბრალო იყო დიდი ლაპარაკი, შაგრამ ალფა ცენტავრა ბ-105 პლანეტის კოლონისტებისათვის მეტად მნიშვნელოვანი. თუნდაც ერთი წუთით დაინახო ყველაზე საყვარელი ადამიანი, იგრძნო მისი სიახლოვე, სუნთქვა და გულისცემა, საოცრად გაახლოებს დედამიწასთან და ესოდენ დიდი სიხარულის წინაშე მანძილის გალაქტიკური მასშტაბებიც კი კარგავენ თავიანთ კოლოსალურ მნიშვნელობას.

„ერთი კაცის შემდეგ ჩემი რიგია, — გაიფიქრა მარტოდ მდგომმა კაცმა. ნაბიჯი წარსდგა წინ. — საინტერესოა, რომელი მოვა სალაპარაკოდ, ცისა?“

— ვამეხ! — გაისმა ავტომატის მჭახე ხმა.

ახალგაზრდა შეტოკდა. თვალი მოავლო დარბაზს და თანამამად მიუახლოვდა გადამცემ პულტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—მე მზად ვარ, — თქვა მან რამდენადაც შეეძლო მშვიდად.

ტელეეკრანი აიმღვრა. ფართე შავი ზოლებით დაიფარა. მერე აფეთქებასავით გაბრწყინდა.

— ურბა... ეკო... ბო... — ახრიალდა მიმღები.

— „რა ხდება?“ — გაიფიქრა ვამეხმა, მაგრამ ეკრანი თანდათან დაიწმინდა და ვამეხიც დამშვიდდა. ბარიერს დაეყრდნო ხელებით. დაბინდულ მინაზე ანტიკური სილამაზის უცნობი ქალი გამოიკვეთა. თითქმის შიშველი, ჩამოშლილი ალისფერი თმით. ერთადერთი სამოსი გამჭვირვალე შავი ნაჭერი, თეძოზე ჰქონდა შემოხვეული. ფეხთ ეცვა ქოშისმაგვარი ფაჩუჩები, წვივებზე ოქროსფერი თასმებით შეკრული. ტოკავდა და ვერ ისვენებდა. შეშინებული ჩანდა.

ვამეხმა შუბლი და თვალები მოისრისა.

„იქნებ ჩემი რიგი არ იყო და ავტომატს შეეშალა“, — გაიფიქრა მან.

ისევ აიმღვრა ტელეეკრანი. გამოსახულება გაქრა. მიმღებთან გაურკვეველი შინაარსის სიტყვები მოისმა. ვამეხმა მოიხედა. შეწუხებული მზერა მიაპყრო დროის მრიცხველს.

— სამი წუთიღა დარჩა— გაიფიქრა მან. — თუ დროზე არ გამოსწორდა მდგომარეობა, ჩემი ლაპარაკი აღარ შედგება!.. — მთვარეულივით გაიმეორა მან. სახე დაენამა.

ჩურჩულის ტალღა შეასკდა ვამეხის ზურგს. გაისმა აჩქარებული ნაბიჯების ხმა. ვიღაცამ დარბაზი დატოვა. შუქმა იკლო. ეკრანი გამკრთალდა.

— გაურკვეველი მიზეზების გამო, — გამოაცხადა ადგილობრივმა დიქტორმა, — ვწყვეტთ დიდ ლაპარაკს. ვფიქრობთ, ჩვენს ტალღაზე უცნობი სამყაროს ტელეცენტრი ჩაერთო. ვეცდებით მათთან დაკავშირებას. შედეგს მოგვიანებით გაცნობებთ. დასახლების დიდი საბჭო სინანულს გამოთქვამს და თანაუგრძნობს ვამეხს, მაგრამ ასეთი შემთხვევა ერთადერთია და საბჭოს მიაჩნია, რომ...

ვამეხს სიტყვები აღარ ესმოდა. შექანდა. ორივე ხელით ჩაეჭიდა სალაპარაკო პულტის ბარიერს. მთელი ძალით მოუჭირა თი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თები. მერე უცებ მოეშვა, მომჩვარდა. ბოლმა დაუგუნდავდა ყელში. თვალები აუწყლიანდა. უსიცოცხლოდ ჩაჰკიდა თავი.

სიკვდილმისჯილივით იდგა.

„გათავდა, ყველაფერი გათავდა, — ფიქრობდა იგი. — ჩემი დრო ამოიწურა და ჩემი ლაპარაკი აღარ შედგება. აღარ შედგება! — სიმწრის ღიმილმა გადაუარა სახეზე — ერთი სიტყვის თქმა მაინც მომესწრო, მხოლოდ ერთის.“

— სხვა დროს შენ პირველი ილაპარაკებ, — თქვა ვიღაცამ.

„კარგი ნუგეშია, — გაიფიქრა ვამეხმა. — მომავალი ლაპარაკი ათი წლის შემდეგ შედგება. ათი წლის შემდეგ, — მთვარეულივით ვაიმეორა. — ამდენს კი ნამდვილად აღარ დამიცდის.“

უცებ მოტრიალდა. რისხვით სავსე თვალები მოავლო დარბაზს, რაღაცის თქმა დააპირა, გადაიფიქრა და ტყვიანაკრავივით გავარდა.

დარბაზმა ამოიოხრა.

— არ გაუმართლა ყმაწვილს, — თქვა რადამ. — სამწუხაროა, რომ მისი პირველი დიდი ლაპარაკი არ შედგა.

— ძნელია, — დაეთანხმა რუმი, — ახლა ათ წელს უნდა ელოდოს. ათ წელში კი ვინ იცის რა არ მოხდება. თუმცა, მგონი, ვამეხი ცვლასთან ერთად აპირებს გაფრენას.

— გადაიფიქრა. სწორედ ამ დილით ითხოვა ვადის გაგრძელება და დიდმა საბჭომ ნება დართო დარჩენაზე.

— არაფერია. ვამეხს საინტერესო სამუშაო აქვს და ათი წელი ისე გაირბენს, რომ ვერც კი გაიგებს. ჩვენ გაცილებით დიდხანს გვიხდებოდა ლოდინი, წინა თაობა კი მხოლოდ ოცნებობდა ასეთ შორეულ კავშირზე.

— ეგ ვერაფერი ნუგეშია, — ჩაიბუბუნა რადამ.

— სამაგიეროდ, ახალი წლის პირველ დღეს ცვლა მოვა და დეტალურ ინფორმაციას ჩამოგვიტანს.

— თვალს რომ შეავლებ, მაინც სულ სხვაა, — არ დაეთანხმა რუმი. — ხშირად საყვარელი ადამიანის სახის დანახვა უფრო მეტი ღირს, ვიდრე მთელი საუკუნის ფოსტა. ესეც არ იყოს, კაცმა არ იცის, ათი წლის შემდეგ ვინ გაგიღიმებს ეკრანიდან. მოვა ის, ვისაც ელოდი, თუ განსაკუთრებული შემთხვევის გამო დიქტორთან მოგიხდება საუბარი. მით უმეტეს, თუ შეყვარებული ხარ, —

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუმმა ბოლო სიტყვა განგებ გაჭიმა და მრავალმნიშვნელოვნად გადახედა მიას.

მიამ მზერა მოარიდა.

თუ დიდი საბჭოს ვარაუდი გამართლდა, — სალაპარაკო თემა გამოცვალა რადამ, — მაშინ ალბათ ახალი ტრანსგალაქტიკური არხი შეემატება პრესბიუროს. საჭიროა შეიქმნას ჯგუფი...

— მე ვფიქრობ, ამაზე ლაპარაკი ნაადრევია, — შეაწყვეტინა რუმმა, — წინასწარი გამოთვლებით უცნობი გადამცემი ობიექტი იმდენად ახლოს იყო, რომ მისი დანახვა შეუიარაღებელი თვალითაც შეიძლებოდა. სინამდვილეში ახლომახლო პლანეტის ნასახიც არაა. უახლოესი მზის სისტემა...

— მე თქვენს ყურადღებას ანტისამყაროზე შევაჩერებ. მე ვფიქრობ...

— მე არა მჯერა ასეთი სამყაროს არსებობა ჩვენს მეზობლად, და, საერთოდ, თუ ასეთი სამყარო მაინც არსებობს, მისი უახლოესი საზღვარი ჩვენგან მილიონი პარსეკით არის დაშორებული.

—მაგრამ სამყარო გამრუდებულია. შესაძლებელია იგი რომელიღაც ნაწილით ჩვენი სამყაროს განზომილებაში შემოდის და უბრალოდ ვერ ვამჩნევთ.

— შესაძლებელია. ყველაფერი შესაძლებელია, — ჩაილაპარაკა რუმმა, შუშის კედელთან მივიდა, შუბლით მიეყრდნო, გადაიხედა. მერე გასწორდა, ხელები მკერდზე გადაიჭდო და აღტაცებულმა თქვა:

— რა ფერებია. აი, ეს მესმის!

— ყოველი დიდი ლაპარაკი ლურჯი მზის ჩასვლას ემთხვევა. ძალე გარდამავალი პერიოდი დაიწყება — ორფერიანობა. ფერები შენ მაშინ უნდა ნახო, როდესაც ჰორიზონტზე მეწამული მზე ამოიწვერება.

— მე ეს ფერიც ძალიან მომწონს.

— კარგი ფერია, დაეთანხმა რადა. — თუმცა მეტად ლირიულია. გასული საუკუნის პოეტთა ფერია.

რუმმა აღარ უპასუხა. თვალი გაუშტერა ბროლივით წმინდა მოლურჯო სივრცეს.

„მეც რომ ვამეხივით ლექსების წერა შემეძლოს, იქნებ იმ ქვის

ნატეხის გული როგორმე მომეგო“, — გაიფიქრა მან, ღრმად ამოისუნთქა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეზდრა ფრთხილად შეეხო ხელით. მოაბრუნა.

— რა ქალი იყო, — თქვა მან. გაიღიმა.

— ვინ? — ვერ მიხვდა რუმი.

— აი, ის, — თვალით ანიშნა ტელეეკრანზე, — რა ტანი ჰქონდა, რა თვალები. თუმცა ვამეხის საცოლის თვალების მსგავსი მე არაფერი მინახავს ამ ქვეყანაზე.

— მაინც რა არის ასეთი.

— ვერ აგისხნი. რაკეტოდრომზე ვნახე პირველად, ვამეხს აცილებდა. მე დღემდე მახსოვს მისი თვალების ფერი. რაღაც გაურკვეველი ფერია.

„სამი წლის უკან მეც გამაცილებდნენ ალბათ, — გაიფიქრა რუმმა. — მაგრამ რაც ვამეხი ჩამოვიდა, ერთხელაც არ შემოუხედავს წესიერად.“ ხმამაღლა კი დაუმატა: — შენ ყველაფერი გაურკვეველი მოგწონს.

— სიყვარულის გარდა, — ნიშნისმოგებით უპასუხა მეზდრამ და სადისპეჩერო პულტს მიუჯდა. რამდენჯერმე გამოიძახა ვამეხი. ვამეხი არ პასუხობდა.

— უახლოეს დროში ნულოვანი მერიდიანისაკენ სპეციალური ექსპედიცია უნდა გავგზავნოთ. იქნებ სადმე სიცოცხლის ან გამქრალი ცივილიზაციის ნიშნებს წავაწყდეთ.

— ასეთი ხასიათის სამუშაოები წელს არ არის დაგეგმილი. თუმცა, მოელაპარაკე შეფს, იქნებ ნება დაგრთოს.

— დღესვე მოველაპარაკები, — თქვა რუმმა, — ყოვლად შეუძლებელია, ორმზიან პლანეტებზე სიცოცხლე არ არსებობდეს. ვნახოთ, თუ შეფი დავიყოლიე, გამგზავრებას შორს აღარ გადავდებ.

გამჭვირვალე კედელს მიუახლოვდა, ქვევით გადაიხედა, უკვე ამოწვერილიყო მეწამული მზე. ჰორიზონტზე ცისარტყელას ფერები ფარფატებდნენ. ზღაპრულ ხალიჩად გადაშლილიყო მიდამო.

„ამის შემყურე ძალაუნებურად გახდები პოეტი“, — გაიფიქრა რუმმა. ელექტროგაზეთთან მივიდა. ჩართო. დასახლების ახალი ამბები გადაიკითხა და ისევ მეზდრას მიუბრუნდა.

— რა ისმის შორეული კავშირის ბიუროდან?

— დუმილია.

დუმილი? — უფრო თავისოვის გაიმეორა რუმმა და სხვათაშორის დაუმატა: — სამი წუთით ადრე ვამეხი ლაპარაკს ამოსწყვეტდა. მხოლოდ სამი წუთი იყო საჭირო. ვინ მოთვლის, რამდენი ფუჭი სამი წუთი ყოფილა ცხოვრებაში და აღარც კი გვახსოვს. ზოგიერთი კი სიკვდილამდე გვემახსოვრება.

გამოძახების პულტზე წითელი ნათურა აინთო. ტაბლოზე რუმის პირადი ნომერი განათდა.

— შეფი მეძახის, — თქვა მან, — წავალ და იქნებ ჩემი თხოვნაც შევაპარო. ცვლის შემდეგ ვამეხთან ამოდი, დაგელოდები.

რუმი დარბაზიდან გავიდა. მეზდრამ ისევ გამოიძახა ვამეხი, მაგრამ მიმღები ძველებურად, ჯიუტად დუმდა. მეზდრა შეწუხდა.

* * *

ვამეხი, თავის ოთახში, სავარძელში იჯდა. თვალდახუჭული უსმენდა საკუთარ ფიქრს. თავი ოდნავ გადაეწია. უსიცოცხლოდ ელაგა ხელები სავარძლის სახელურზე. მაგიდაზე, უწესრიგოდ გაბნეულ ქაღალდებს შორის, ახალგაზრდა გოგონას სურათი ჩანდა და ფერადი, ცისფერი სიმფონიის უკანასკნელი ვარიანტის ბოლო ფურცელი. პირადი გამოძახების წითელი ნათურა გამუდმებით ციმციმებდა. მიმქრალ ეკრანზე მეზდრას შეწუხებული სახე ჩანდა.

— ას ოცი, ას ოცი! — რატომ დუმხარ, მიპასუხე! — ისმოდა მიმღებიდან მეზდრას მონოტონური ხმა.

ვამეხი ოდნავ გადაიხარა წინ. ხელის მექანიკური მოძრაობით გადააადგილა ბერკეტი. ეკრანი ჩაქრა. ისევ სავარძლის ზურგს მიესვენა. თვალები დახუჭა. კარგა ხანს იყო ასე უმოძრაოდ. მერე უცებ ასწია თავი, შავტუხა გოგონას სურათს დააშტერდა. კარგა ხანს უყურა. ნოტის ფურცელზე გადაიტანა მზერა. გაკრული ხელით მინაწერ სტრიქონზე შეჩერდა.

„შენ შეგქმნა ფერმა, ლურჯმა ფერმა
და სიმფონიის ჟღერადობამ ჩაგიდგა სული“, —

ამოიკითხა მან. მაგიდას დაჭკრა გაშლილი ხელი. ნოტის ფურცელი დაჭმუჭნა.

— ჯანდაბას ყველაფერი! — გამოსცრა კბილებში, ახლავე წა-

ვალ და დიდ საბჭოს გადაწყვეტილებას შევაცვლევინებ. აქ დარ-
ჩენა აღარ შემიძლია, აღარ! — იყვირა უცებ. — მოვა ცვლა-დ
დედამიწაზე გავფრინდები.

ადგა. წინ და უკან დაიწყო სიარული. ფანჯარასთან შეჩერდა. ნერვულად გასწია ფარდა. გადაიხედა, ზუმერის გაბმულმა ხმამ შეაწუხა.

— ას ოცი, ას ოცი. რატომ არ მპასუხობ? — გაუთავებლად ისმოდა მიმღებიდან.

ვამეხი უხალისოდ მიუახლოვდა ტელერადიოეკრანს. არც უფიქრია პასუხის გაცემა. გაუნძრევლად იდგა და სადღაც სივრცეში იყურებოდა. მეზდრა იღიმებოდა და განაგრძობდა ლაპარაკს. ვამეხს სიტყვები არ ესმოდა. არც ის შეუმჩნევია, როდის გამოირთო ეკრანი.

„ნუ წახვალ, ნუ! — ესმოდა შორეული იდუმალი ხმა. — განა დედამიწაზე ცოტა საქმეა. დარჩი, დარჩი, თორემ ათი წელი დიდი დროა და ვინ იცის“...

ვამეხი არ დარჩა. მას ძალიან უნდოდა ვარსკვლავეთში წასვლა და ვერ დარჩა. ვერ დარჩა, თუმცა სიყვარულით დამძიმებული გული თან წაიყოლა.

— დამელოდება, უნდა დამელოდოს! — აღმოხდა უცებ და თითქოს საკუთარ ხმას ემალებაო, სახეზე ხელები აიფარა.

ტაბლოზე წითელი ნათურა აციმციმდა. სამართავ დაფაზე ავარიის მაცნე ჩაერთო. ოსცილოგრაფის ეკრანზე ციცაბო მრუდები აღიმართა. შახტებთან კავშირის ეკრანი გამაფრთხილებელი ყვითელი ფერით დაიფარა.

ვამეხმა მძიმედ ასწია თავი. ხელსაწყოებს გადაავლო თვალი. არ მოეწონა მონაცემები. შახტებთან კავშირის ბლოკი ჩართო. ეკრანზე საშახტო მეურნეობის მთავარი დისპეტჩერი გამოჩნდა, მიმღებიდან ჩქარი ლაპარაკი მოისმა. ვამეხი ყურადღებით უსმენდა. ფითრდებოდა. მერე სასწრაფოდ გამორთო ტელეტელეფონი და გარეთ გავარდა.

„თუ ეს მართალია, დავიღუპეთ“, — ფიქრობდა იგი. სულმოუთქმელად გაირბინა დერეფანი. ჩქარი ლიფტით პირველ სართულზე დაეშვა და სადისპეტჩეროში შევარდა.

— რა ამბავია, რა მოხდა?

— მეხუთე შახტი არ პასუხობს.

ვამეხისათვის ყველაფერი ნათელი გახდა. პირადი საკუთრების კარადას მიუახლოვდა. მსუბუქი სკაფანდრის მორგება-ჩაცმა დაიწყო. სადისპეტჩეროში მიამ შემოჰყო თავი.

— ვამეხ, შეფი გეძახის, — თქვა მან.

— გადაეცი, რომ არა მცალია.

— სასწრაფო საქმეა.

— ამაზე სასწრაფო რა უნდა იყოს... რამდენიმე წუთის შემდეგ მეხუთე შახტი აფეთქდება, — გაბრაზდა ვამეხი. სკაფანდრი კარადაში მიაგდო და სწრაფი ნაბიჯებით გავიდა სადისპეტჩეროდან. მოკლეზე გადაკვეთა ორანჟერეა, ბნელ კარში გაძვრა და შეფთან შევიდა. ცოტა ხნის შემდეგ მიაც შემოვიდა ოთახში და ფანჯარასთან დადგა.

შეფს „ზეცა გაეხსნა“ და ტელესკოპში იყურებოდა. რუმი შორეული ხედვის პულტთან იჯდა. გამომთვლელი მანქანები მთელი დატვირთვით მუშაობდნენ.

დღეს მგონი განრიგით, ვამეხიდის მორიგი პარტია უნდა გაგეყვანათ დედამიწის მახლობელ ორბიტაზე? — იკითხა შეფმა, ისე, რომ ტელესკოპისათვის თვალი არ მოუშორებია.

— დიახ. — თქვა ვამეხმა.

— გადადეთ, დღეს არ მოხერხდება.

— კი მაგრამ, განრიგის დარღვევამ...

— გადადეთ, — შეაწყვეტინა შეფმა და რუმს მოუბრუნდა: — როგორ არის საქმე?

— ძველებურად.

შეფმა ტელესკოპი ავტომატურ მართვაზე გადართო და მაგიდასთან მივიდა. ქაღალდის ნაგლეჯებზე რამდენიმე ციფრი დაწერა, დააჯამა. გასწორდა, ჭაღარა საფეთქლებზე გადაისვა ხელი.

— ცუდად არის საქმე, ვამეხ, ძალიან ცუდად, — თქვა მან.

— გამაგებინეთ, რა ხდება. დრო აღარ ითმენს, რამდენიმე წუთის შემდეგ მეხუთე შახტი აფეთქდება.

— არა, შახტი არ აფეთქდება, — თავისთვის ჩაილაპარაკა შეფმა. ამას კი მგონი აღარაფერი ეშველება. — რუმთან მივიდა. — როგორია სიჩქარე? — იკითხა მან.

— წამში ოცდაათი კილომეტრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშასადამე ნახევარ საათში ყველაფერი გათავდება. გამიგეთ, ცხადეთ განგაში.

— გამაგებინეთ, რა ხდება! — ხმას აუწია ვამეხმა.

— გან-გა-ში! — დამარცვლით გაიმეორა შეფმა და ღილაკისაკენ წაიღო ხელი.

ვამეხი წინ გადაუდგა.

— ნებას არ მოგცემთ!

— სისულელეს თავი დაანებეთ! — გაწყრა შეფი. — დასახლება კატასტროფის წინაშეა. სასწრაფოდ გამოაცხადეთ განგაში. მია, შეამოწმე გარე სამყაროსთან კავშირი.

ვამეხი გაოგნებული იდგა.

— პლანეტის მაგნიტური ველი დაირღვა, — თქვა მიამ. — მისმა ცენტრმა საგრძნობლად გადაინაცვლა ნულოვან მერიდიანისაკენ.

— ასეც ვფიქრობდი, — ჩაილაპარაკა შეფმა. — ახლა ამას კავშირის გაწყვეტა და სრული იზოლაცია მოჰყვება.

— ზუსტად ასეა, — დაეთანხმა მია. — გარე სამყაროსთან კავშირი გაწყვეტილია. აპარატურა დუმს.

— რაღას უყურებთ!

ვამეხმა მექანიკურად წაიღო ხელი წითელი ღილაკისაკენ. გაისმა საგანგაშო საყვირის ხმა. ტკაცანით გაიღო სამოსამსახურო ბიუროს სტანდარტული კარებები. სხვადასხვა ფერის რობოტები დასახლებას შეესივნენ. სასწრაფოდ გადაიკეტა ორანჟერეის თაღი დამცველი ფარით. ჰელიოელექტროსადგურებმა ჩაზნექილი სარკეები „ჯიბეებში“ შეინახეს. შუქმა იკლო. ფიზიოლოგიური საცდელი სადგურიდან ცხოველების ზმუილი მოისმა. ვამეხმა ზევით აიხედა და ყველაფერს მიხვდა.

დასახლებას მოხეტიალე ასტეროიდი უახლოვდებოდა. ყველაფერი მის სიდიდესა და მიმართულებაზე იყო დამოკიდებული. წინასწარი გამოთვლებით კი ასტეროიდი საკმაოდ დიდი იყო და პირდაპირ დასახლებისაკენ მოჰქროდა.

— გადადით სამალებში, დამტოვეთ მარტო! — თქვა შეფმა და ტელესკოპი გამორთო.

ჯერ კიდევ იყო მცირეოდენი იმედი და ადგილიდან არავინ დაძრულა. ადამიანები უმოქმედოდ იდგნენ და ელოდნენ. მათზე უკ-

ვე ალარაფერი იყო დამოკიდებული. ვამეხმა უცებ გაანგარიშა ასტეროიდის მასა, მისი სიჩქარე დაცემისას და შეშფოთებულმა გაიფიქრა:

„წესიერად სულის მოთქმას ვერც კი მოვასწრებთ, რომ სიზმარივით გავქრებით“.

სცადეს ასტეროიდის დამანგრეველი ყუმბარებით აფეთქება. ორი ატომურმუხტიანი მართული რაკეტაც გაუშვეს, მაგრამ უშედეგოდ: რაკეტები შუა გზაში აფეთქდნენ. ადამიანებს კიდევ ერთი იმედის ნაპერწკალი ჩაუქრათ. კატასტროფა ულმობელი სისწრაფით ახლოვდებოდა. ორანჟერეის თაღს პაწაწა მეტეორიტი დაეცა და წამით თვალისმომჭრელად გადააშუქა იქაურობა.

— ეს მხოლოდ ყვავილებია, ნაყოფსაც მალე ვიხილავთ, — ჩაილაპარაკა შეფმა და ხელსაწყოებს თვალი მოარიდა.

მეტეორიტთა ბუღში გახვეული ასტეროიდი უკვე შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანდა. ზედიზედ იძრა დასახლება. როგორც ჩანს, სადღაც ახლოს მოზრდილი მეტეორიტი დაეცა. მინები აზრიალდა, რკინის რთული კონსტრუქციები შეირყა, ალაგ-ალაგ გაიღუნა.

მეტეორიტთა ცვენა გახშირდა. ორანჟერეის დამცველ ფარზე შუქთა მთელი ფეიერვერკი აენთო-აკიაფდა. ცას ჟანგისფერი მტვერი მოედო. ირგვლივ უსიამოვნო მუქი ყავისფერი ჩრდილები გაწვნენ.

„როდემდის გაუძლებს დამცველი ფარი“, — გაიფიქრა მიამ და გაკვირვებით გადახედა გარე სამყაროსთან კავშირის ბლოკს. მოეჩვენა, თითქოს ვიღაც ლაპარაკობდა. უფრო ახლოს მიუჯდა სამართავ პულტს. სმენა არ ატყუებდა. კანტიკუნტად ისმოდა გაუგებარი სიტყვები. მიმღებიდან აშკარად ისმოდა რომელიღაც უცნობი სამყაროს გადაცემა. ვერაფრით ვერ მოახერხა მიამ ხმის დაწმენდა, სიტყვების გაგება.

წამები ზღაპრული სისწრაფით ქრებოდნენ. ტრაგიკულ ბედს შეგუებული ადამიანები გულგრილად შეჰყურებდნენ ზეცას, რომელსაც რამდენიმე წუთის შემდეგ მათი ბედი უნდა გადაეწყვიტა. კულმინაციას მიღწეულმა უსუსურობამ საბოლოოდ მოსპო ადამიანები. ახლა მათ ნაცვლად ხორცით შევსებული სხეულები იდგნენ მხოლოდ. მაგრამ მოხდა სასწაული — დაუჯერებელი ამბა-

ვი. ჩრდილოეთიდან ასტეროიდს უცნობი შუშხუნა მიუახლოვდა. მოჩვენებასავით უეცრად გაჩნდა ჟანგისფერ ცაზე. ასტეროიდში შეიჭრა. ყველაფერი იმდენად სწრაფად და იმდენად მოულოდნელად მოხდა, რომ ადამიანები ვერაფერს მიხვდნენ. იდგნენ ძველებურად და უიმედოდ შეჰყურებდნენ ზეცას. შუშხუნა ასტეროიდის ბულში შევიდა, მზესავით გაბრწყინდა. მისმა ელვარებამ თვალები ბოსჭრა ადამიანებს. მხოლოდ ვამეხი იდგა თვალგახელილი და სუნთქვაშეკრული ქანდაკივით. აფეთქების ტალღამ პლანეტამდე მოაღწია. ელექტრომაგნიტურ გრიგალად გადაუარა. ჯაჭვაზებივით აცეკვდნენ ხელსაწყოების ისრები. დასახლება წამით უარყოფითად დაიმუხტა. ჩამობნელდა. მერე ერთდროულად აენთო ყველა ნათურა და ორანჟერეის დამცველ ფარს ლურჯი ელვის დაქსაქსული ტოტი მოსწყდა. დაიქუხა. ადამიანები შეკრთნენ, გამოერკვნენ. მაგრამ აღარც ასტეროიდი ჩანდა და აღარც შუშხუნა, მათ ადგილას ჟანგისფერი ღრუბელი უცნაურად იწლაწნებოდა და მთელ კოსმოსს ედებოდა. ბოლოს ისიც გაქრა. ცა გადაიწმინდა და პლანეტაზე ორფერიანობა დამკვიდრდა.

— „ნუთუ გადავრჩით, — ოფლი მოიწმინდა შეფმა, სავარძელში ჩაჯდა. ზურგს მიესვენა. თვალები დახუჭა. — ერთი წუთის შემდეგ ყველაფერი უაზრობა იქნებოდა... წარმოუდგენელი სიზუსტეა, წარმოუდგენელი თავდადება“.

ვამეხს ნერვი არ შერჩენია ფერმკრთალ სახეზე, მხოლოდ შურით გაიფიქრა: „რა ძალა იყო, რა ფერები!“ მიამ მექანიკურად ჩართო შორეული კავშირის ბლოკი. ტური და რიო ხელიხელგადაჭვეულნი იდგნენ, სულელურად უღიმოდნენ ერთმანეთს. ვიღაცამ ორანჟერეის დამცველი ფარი გახსნა. დარბაზში ლაცლაცა ლურჯი ფერი გაიბნა. ისევ ამოქმედდნენ საავარიო რობოტები. ალფა ცენტავრა ბ — 105 პლანეტის შორეული დასახლება თანდათან ჩადგა ცხოვრების ჩვეულებრივ კალაპოტში.

— საინტერესოა, ვის უნდა ვუმადლოდეთ გადარჩენას, — დაარღვია ერთფეროვნება რუმმა.

— ვინ იცის? — უფრო თავისთვის თქვა შეფმა. — ფაქტია მხოლოდ, რომ უბედურები ჩვენს გადარჩენას შეეწირნენ. საკუთარი სიცოცხლის ფასად სხვისი გადარჩენა ეწინააღმდეგება კოსმოსის მკაცრ კანონს. ვინ იყვნენ ნეტავ? რომელ ცივილიზაციას ეკუ-

თვნოდნენ? ან კოსმოსის ამ მხარეში რას დაეძებდნენ? იქნებ ყველაფერ ამას რაიმე კავშირი აქვს დიდ ლაპარაკთან, უცნობი სამყაროს ტელეცენტრთან?..

— საოცარი ძალის აფეთქება იყო, — თქვა ვამეხმა და მცირე დუმილის შემდეგ დაუმატა: — ახალი მზის დაბადებას ჰგავდა.

— ძლიერი იყო, — დაეთანხმა რუმი, — ვერცერთი ტრანსგალაქტიკური შუშხუნის კაპიტანი ვერ გაბედავდა მოხეტიალე ასტეროიდთან მიახლოვებას, ღრმად დარწმუნებული რომ არ ყოფილიყო გადაწყვეტილების სისწორეში. კოსმოსის ეს წმინდათა წმინდა კანონი ყველასათვის კარგადაა ცნობილი.

— იქნებ შუშხუნა მართული იყო და...

— ჩუმად, მეგობრებო, ჩუმად, — მგონი ისევ სიგნალებია.

ყველა მიას გარშემო შემოიკრიბა. მიმღებიდან მართლაც ისმოდა გაურკვეველი შინაარსის სიგნალები. სიგნალები ხან ძლიერდებოდა, ხან სუსტდებოდა, ეტყობოდა, გადამცემი სადგური მოძრაობდა.

— კოსმოსური დამახინჯებებია, — დაასკვნა შეფმა. მერე გასწორდა და ვამეხს მიუბრუნდა: — თქვენ, მგონი, მადნის მორიგი პარტიის გაყვანას აპირებდით დედამიწის მახლობელ ორბიტაზე?

— დიახ, მაგრამ...

— შეგიძლიათ გაგზავნოთ. თქვენს განკარგულებაში ოცი წუთია. იმოქმედეთ.

ვამეხი სწრაფად გავიდა ოთახიდან. კიბეები ჩაირბინა, ვაკუუმ-ოთახში შევიდა. მეზდრას გაუღიმა და სკაფანდრის ჩაცმა დაიწყო. ყველაფერი მოირგო, ყველა საკეტი ჩაკეტა. ჟანგბადის მარაგი შეამოწმა. ავტომატური სუნთქვა ჩართო და უწყვეტ ლენტზე დადგა.

ყველგანმავალი მეხუთე ანგარში გელოდება, — ჩასძახა პირადი კავშირის მიკროფონში მეზდრამ და ბილებაზე გადართო აპარატი.

ვამეხმა პასუხად ხელი ასწია. უწყვეტი ლენტი ამოძრავდა და მალე იგი ვაკუუმკარის იქით გაუჩინარდა.

მია და რუმი შეფის ოთახის გამჭვირვალე კედელთან იდგნენ. შორს, სასტარტო მოედანზე, ელექტროამჩქარებლის სპეციალურ ლულაში ვამეხიდის მადნის მოიაგ პარტიას ტვირთავდნენ. გამა-

წონასწორებელი გირაგები წინ და უკან დაგორავდნენ და საოცრად ბზინავდნენ ორფერი მზის შუქზე. კოშკურა ამწეები სასაცილოდ დაცოცავდნენ მადანთმსროლელის გარშემო. ფაქიზად ამოძრავებდნენ საცეცის მსგავს მექანიკურ „ხელებს“. სკაფანდრებში გამოწყობილი ხალხი თეთრთავა ხოჭოებივით დაბობღავდნენ სასტარტო მოედანზე. ვამეხი მადანთმსროლელის კონტაქტებს ამოწმებდა. როცა დარწმუნდა, რომ ყველაფერი რიგზე იყო, ხელი ასწია. სასტარტო მოედანი უცებ დაცარიელდა. მომსახურე პერსონალი ღრმა, დაბეტონებულ სამალებში გაუჩინარდა. მადანთმსროლელის ლულა შეირხა, აიწია და ვერტიკალურ მდგომარეობაში გაჩერდა. ვამეხმა ერთხელ კიდევ ყველაფერი თავიდან შეამოწმა და ყველგანმავალში ჩაჯდა.

„ერთი წუთის შემდეგ გავარდება“, — გაიფიქრა მიამ და შეფს გადახედა. შეფი თითქოს მიუხვდა.

— მე ყოველთვის განსაკუთრებულ სიამოვნებას მგვრის მადნის გაგზავნა, — თქვა მან, — როდესაც კოსმოსში მადნის მორიგი პარტიის გაგზავნას ვუყურებ, მჯერა, რომ ჩვენს შრომას უქმად არ ჩაუვლია.

— ლამაზი სანახავია, — ჩაურთო რუმმა.

— კიდევ წამი და გავარდება, — თქვა მიამ.

— დროა. რატომ აგვიანებს ნეტავ? — შეწუხდა შეფი. — ყოველმა დაკარგულმა წუთმა შეიძლება საბედისწერო შედეგი გამოიღოს.

პირადი სარგებლობის მიმღებიდან ვამეხის აჩქარებული ხმა მოისმა:

— მადანთმსროლელი არ ირთვება. დენის წყარო განიმუხტა. მაგნიტური ველი მერყეობს. მოსალოდნელია ქარიშხალი. როგორ მოვიქცე?

დაგვიანება ყოვლად დაუშვებელი იყო. შეფი გადამცემთან მივიდა და მთელი ხმით ჩასძახა:

— გამორთეთ აპარატურა!

წესიერად წინადადება დამთავრებული არა ჰქონდა, რომ კოსმოსზე დაკვირვების პუნქტიდან ცნობა მოვიდა:

— მეოცე პარალელიდან დასახლებას უცნობი შუშხუნა უახლ-

ოვდება. წრიულ ორბიტაზე გადადის. მოსალოდნელია დაშვება. კავშირს ვერ ვამყარებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეფი წამით დაიბნა. აღარ იცოდა, რა მოემოქმედა, საიდან ელოდა საშიშროება. ან რას ნიშნავდა უცნობი შუშხუნის ხელმეორედ გამოჩენა. რა კავშირი ჰქონდა ყველაფერ ამას ერთმანეთთან. ბოლოს ესღა მოისაზრა: ვამეხს უკან დაბრუნება უბრძანა. თქმა ვერ მოასწრო, რომ გარე სამყაროსთან კავშირის მიმღებიდან ისევ მოისმა გაუგებარი სიტყვები. ამჟამად გარკვევით.

— ურბა. ეკო. ბო.

მიმღები ხრიალებდა. დროდადრო ამ ხმაურს ადამიანური ხმები ჩაერთვოდა, მაგრამ მეტისმეტად სუსტად, სიტყვას ვერ გაარჩევდით. უცნობი შუშხუნა უკვე თვალითაც კარგად ჩანდა. პაწაწკინტელა მნათი წერტილი საოცრად სწრაფად იზრდებოდა. მან უკვე მიიღო გარკვეული, ტრანსგალაქტიკური ტიპის, შუშხუნის ფორმა. ცაზე ვეებერთელა წრე მოხაზა და ტყვიასავით წამოვიდა დასახლებისაკენ. საკუთარი სიმეტრიის ღერძის ირგვლივ შემოტრუნდა. შექანდა. ელვისუსწრაფესად გაიარა სიჩქარის დაკარგვის ზონა. თითქმის აღარაფერი დარჩა დასახლებამდე. ათასი მეტრი.. ხუთასი... სამასი... შუშხუნა შეტორტმანდა. წამით გაქვავდა, მერე ამოტრიალდა და სისხლისფერი ამორტიზატორებით ხარხარად დაეშვა სასტარტო მოედანზე.

— მაღალი კლასის პილოტაჟია, — ველარ დაფარა რიომ აღტაცება.

მადანთმსროლელის კონტაქტებზე მოჭარბებულმა დენმა ფეთქებ-ფეთქებით გაირბინა და გამაყრუებელმა გრუხუნის ხმამ ყურთასმენა წაიღო. ვამეხიდის მადნის მორიგი პარტია დედამიწაზე გაიგზავნა.

— დავიღუპეთ, — ამოთქვა ნირწართმეულმა რუმმა. — დაგვიანებით გასროლილი ტვირთი სხვა ორბიტაზე გავა და დედამიწას დააზიანებს.

— სასწრაფოდ გაიანგარიშეთ ტრაექტორია და, თუ ტვირთი ავარიულ ორბიტაზე გავიდა, მნგრეველი რაკეტები დაადევნეთ. კოსმოსის რომელიმე თავისუფალ კვადრატში ააფეთქონ. ეს როგორ მოუვიდა ვამეხს, — თქვა შეწუხებულმა შეფმა.

მაგრამ საყვედურების დრო აღარ იყო. სასტარტო მოედნიდან

ზარდაცემული მუშები გამორბოდნენ. ვამეხის ყველგანმავალი ალი
გილზე ძიგძიგებდა. უცნობი შუშხუნა თანდათან წითლდებოდა.
მერე მზესავით გაბრწყინდა და სასტარტო მოედანი ორთქლისა
და მტვრის ბუღში გაეხვია. როცა ჰაერი დაიწმინდა, აღარც სასტა-
რტო მოედანი იყო და აღარც მადანთმსროლელი თავისი დამხმა-
რე სათავსოებით. ყველაფერი სიზმარივით გამქრალიყო. მარტო
ვამეხის ყველგანმავალი ეგდო აყირავებული გზის პირას.

— მოამზადეთ მაშველი ჯგუფი! — ბრძანა შეფმა. ყველა შე-
მოსასვლელი ჩაკეტეთ და კიბერნეტიკული მცველები მიუჩინეთ.
სადისპეტჩეროში ჩადით. სწრაფად, რაღას უდგეხართ!

მიამ სულმოუთქმელად გაირბინა დერეფანი და სადისპეტჩერ-
ოში შესვლისთანავე სათვალთვალო საკანი გახსნა. თითქოს არა-
ფერი შეცვლილიყო. თუმცა ვამეხის ყველგანმავალი შეირხა. ისიც
გამოჩნდა, ორადმოხრილი გამოფორთხდა გზაზე და გამოიქცა. ის-
ევ გაბრწყინდა შუშხუნა და უცებ გაჰქრა ყველგანმავალი. ვამეხ-
მა წაიფორხილა, დაეცა. მერე ძლივს აითრია წელი და ისევ გამო-
იქცა.

— სასწრაფოდ გახსენით შემოსასვლელი კარები! — იყვირა
მიამ. — გაამზადეთ ვაკუუმოთახი!

გამეორება არ დასჭირდა. მეზდრამ ჯამბაზივით აათამაშა თით-
ები სამართავ პულტზე. როდესაც ატმოსფერულმა წნევამ ნორმა-
ლურს მიაღწია, კარები გახსნა, მოძრავი იატაკი ჩართო. ვამეხმა
არაფრისმთქმელი მზერა მოავლო ოთახს, დაბარბაცდა და ხელებ-
გაშლილი დაეცა იატაკზე. რისხვით ავსილმა მიამ შუშხუნისაკენ
გაიხედა და ყელში მომდგარი ბოღმა ნერწყვს გადააყოლა.

უცნობი შუშხუნის ზედა საძრომიდან უცნაურემბლემიანი,
დროშისმაგვარი რაღაც გადმოეკიდათ.

ვამეხმა ოდნავ ასწია დამძიმებული ქუთუთოები. შუბლშეჭმუ-
ხნულმა შეათვალიერა ოთახი. თითქოს რაღაცას ეძებსო, ყველა-
ფერს აკვირდებოდა. უხალისოდ წამოდგა. რობოტ მედდასთან მი-
ვიდა. სპეციალურ ჭრილში ჩაჰყო ხელი.

— ტემპერატურა ნორმალური, — მოისმა მიმღებიდან. — უმ-
ნიშვნელო ნევროზი, პერიოდული სპაზმები. საერთო სისუსტე,
მკურნალობის იგივე რეჟიმი.

ვამეხს ირონიულად გაეღიმა. აპარატი გამორთო. კარგა ხანს

იდგა გაუნძრევლად, თავჩაქინდრული. უდროოდ გაგზავნილი ტელ-
რთი მოაგონდა. შუქთა ფეიერვერკი, ქუხილი, ახლაც რომ ზარავს
ლმენას. ტკივილი, არაადამიანური ტკივილი. მერე აღარაფერი ახ-
სოვს. ახსოვს მხოლოდ, რომ ინსტინქტურად მოძრაობდა. გარბოდა,
გარბოდა შორს — უსასრულობაში, ფერთა სამყაროში.

ბეჭები გაშალა. ჩაცმა დაიწყო. ვერცხლისფერბალთიანი ქამა-
რი შემოიკრა წელზე. სქელლანჩიან ფეხსაცმელებში წაყო ფეხ-
ები. ამკრეფით შეიკრა თასმები. ადგა. წვერზე ხელი მოისვა, შუბ-
ლი მოისრისა.

„კარგა ხანს მძინებია, — გაიფიქრა მან. — ოთხდღენახევარი
დედამიწის დროით. — გაეღიმა. მეხუთე წელია აქ არის და ვერა-
ფრით ვერ შეეჩვია ადგილობრივ დროს. გვერდი ასტკივდა, დაილ-
რიჯა. — ჯოჯოხეთი იყო, — ტკივილმა გაუხსენა ისევ. — წამით რომ
დამეგვიანა, ტყვიის პატარა ჭურჭელი და მკვდართა ორბიტა არ
ამცდებოდა. იქნებ, უკეთესიც იყო...“

ცისა მოაგონდა, მერე უცნობი ტელეცენტრის დიქტორი, ისევ
ცისა და ყველაფერი თავიდან.

„საოცარია, — ფიქრობდა ვამეხი, — რატომ ჩაერთო მადანთ-
მსროლელი დაგვიანებით? ნუთუ გაანგარიშებაში შევცდი?.. შეუ-
ძლებელია. რამდენადაც მახსოვს, ყველაფერი რიგზე იყო... იქნებ
გასროლასა და უცნობი შუშხუნის გამოჩენას შორის რაიმე კავში-
რი არსებობს? იქნებ...“

ხელი ჩაიქნია, ოთახიდან გავიდა. ისე გაიარა ორანჟერეა, არა-
ვინ შეხვედრია. არ ესიამოვნა. ასეთ დროს აქაურობა სავსე იყო
ცვლიდან თავისუფალი ხალხით. ნაბიჯს აუჩქარა. ერთ-ერთ კოშკზე
მემონტაჟეები შენიშნა, ახალ ჰელიოელექტროსადგურს ამონტაჟ-
ებდნენ. მოეჩვენა, თითქოს მუშები ჩქარობდნენ და, საერთოდ,
ყველგან და ყველაფერში შინაგანი დაძაბულობა იგრძნობოდა. კო-
სმოექსპერიმენტული ფიზიკის შენობას ჩაუარა, გზა გადაჭრა და
ფართო, გამჭვირვალე კარები შეაღო. ფეხაკრეფით შევიდა დარ-
ბაზში, განმარტოვდა. ლაპარაკობდა რუმი.

— ყურადღებას იპყრობს, — ამბობდა, — იგი, — შუშხუნის
ზედა კარიდან გადმოფენილი ემბლემები. იგი საოცრად ჰგავს ახ-
ალ ზელანდიაში აღმოჩენილ ნიშნებს. მაშინ ეს ნიშნები ორმზიანი
სისტემის გამომსახველ სტილიზებულ ემბლემებად მიიჩნიეს. დღეს

ეს მოსაზრება უფრო მტკიცდება. შუშხუნის აგრესიულობა სრულიადაც არ განსაზღვრავს მის დანიშნულებას, რაც შეეხება ბიორობოტებს, ჩემი აზრით, მათი არსებობა არ არის გამორიცხული.

— საეჭვოა, რომ ბიორობოტები ჩვენს მოსასპობად ან ჩვენს გადასარჩენად იყვნენ დაპროგრამებული, — ჩაურთო ვიღაცამ დარბაზიდან.

— დასაშვებია. — დაეთანხმა რუმი. მაგრამ რითი ავხსნათ მათი უმოქმედობა? შუშხუნა, რომელმაც დასახლება განადგურებისაგან იხსნა, დუმს. სად არის ლოგიკა? არა, მეგობრებო, ასე მხოლოდ ბანქანები იქცევიან. ისინი დაპროგრამებული არიან და, სამწუხაროდ, ყველა მოსალოდნელი შემთხვევა გათვალისწინებული არ არის.

— პირიქით, — გაიფიქრა ვამეხმა. — შუშხუნა მიზანდასახულად და გააზრებულად მოქმედებდა. ვინ გაბედავდა ასტეროიდის აფეთქებას საკუთარი სიცოცხლის ფასად? ეს თვითმკვლელობაა, ყოვლად გაუთვალისწინებელი თვითმკვლელობა. ესეც არ იყოს... — აზრი აღარ დაამთავრა. მას აწუხებდა რაღაც იდუმალი გრძნობა და ეჭვი, მაგრამ რა, კარგად ვერ გარკვეულიყო. — ერთი რამ ცხადია, — ფიქრობდა იგი, — სასწრაფოდ უნდა გაირკვეს სტუმრების მოფრენის მიზანი. კოსმოსი იმდენად სავსეა ხიფათით, რომ ყოველგვარ მოულოდნელობას უნდა ველოდეთ.

ვამეხმა სიტყვა ითხოვა, აუჩქარებლად გავიდა წრისმაგვარ ამაღლებულ მოედანზე, შუაგულში დადგა.

— ჩემი აზრით, — ხმადაბლა დაიწყო მან, — დროა დაცვაზე ვიზრუნოთ. — დარბაზს ჩოჩქოლმა გადაუარა. ვამეხი მცირე ხნით დადუმდა და ისევ განაგრძო: — ასტეროიდი და უცნობი შუშხუნა ერთ სიბრტყეში მოძრაობდნენ. ეს თითქმის უკვე დადგენილია. მაშასადამე, დაჯახება გარდუვალი იყო. შუშხუნა იძულებით მოქმედებდა. კაცთმოყვარეობა გამორიცხულია. მათ, უბრალოდ, სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ. ამიტომაც უკიდურესი, მაგრამ სწორი გზა აირჩიეს. საჭიროდ ვთვლი, მოგაგონოთ ყველასათვის კარგად ცნობილი მეექვსე ექსპედიციის ტრაგიკული ბედი. ანალოგია, ვფიქრობ, ზედმეტი არ იქნება. რაც შეეხება ბიორობოტებს, თუ ადამიანის მსგავს არსებებს, ამას მომავალი გვიჩვენებს. ეს არ არის პირველგადასაწყვეტი საქმე.

— ვამეხი მართალია, — წამოიძახა ადგილიდან რიომ... ცვაზე ფიქრი არ გვაწყენდა. უცნობი სამყაროს ცივილიზაციის წარმომადგენლებთან კონტაქტები ყოველთვის ხიფათიანია. ხშირად, რაც ჩვენთვის გონივრულია. მათთვის სულელურია და პირიქით. შეხედეთ, მეგობრებო, მგონი ჩვენმა სტუმრებმა გაიღვიძეს.

ყველა გამჭვირვალე კედლისაკენ შეტრიალდა. პირველად ვერაფერი შენიშნეს. შუშხუნა ძველებურად იდგა ჟანგმოდებულ ყოფილ სასტარტო მოედანზე. როცა უფრო დააკვირდნენ, მაშინღა შეამჩნიეს განსხვავება. ვამეხს მოეჩვენა კიდეც, თითქოს შუშხუნამ ფერი იცვალა. ყურადღება გაამახვილა. შუშხუნა აშკარად წითლდებოდა. შეირხა. სულ ზემოთ, წვერში, მრგვალი კარი ამოიხრახნა და მის შავ ნახვრეტში წითელი სფერო გამოჩნდა. ერთ ხანს გაუნძრევლად იყო, შემდეგ გადმოვარდა. მიწაზე დაეცა, რამდენჯერმე შეხტა და შუშხუნის ძირში ჩაგორდა.

ვამეხს გაეღიმა.

შუშხუნამ ისევ იცვალა ფერი, გავარდისფერდა. კარებში ვარდისფერი სფერო გამოჩნდა. ისიც პირველივით გადმოვარდა, რამდენჯერმე შეხტა და შუშხუნის ძირში გაუჩინარდა.

— იქნებ ფერთა ცვლა რაიმეს ნიშნავს, ან სფეროთა ცვენა თავისებური მორზეს ანბანია? ათი, თერთმეტი, თორმეტი, — დაიწყო რუმმა თვლა, — ცამეტი.

როდესაც სხვადასხვა ფერის სფეროთა რიცხვმა შუშხუნის ძირში ცამეტს მიაღწია, ერთრიგად გამწკრივდნენ და დასახლებისაკენ გამოგორდნენ. ხტუნვა-ხტუნვით მოგორავდნენ. მაგრამ რიგს არ არღვევდნენ. უახლოეს გორაკზე აგორდნენ. შუაგადაიხსნენ.

ამას კი არავინ მოელოდა. გადახსნილ სფეროთა შორის საოცრად დიდთავა სფეროელნი იდგნენ. საცეცის მსგავსი სამი ფეხი პირდაპირ თავზე ჰქონდათ გამობმული. თავის ქვედა ნახევარი თმას დაეფარა. ზედა ნახევარზე ერთადერთი თვალი მუწუკივით აჯდათ. თავის ძირში, იქ სადაც ფეხები იწყებოდა, ბრეჭყვიალა მილისმსგავსი რაღაც ეკიდათ.

სფეროელნი შეჯგუფდნენ. თითო საცეცი თავებზე დაადეს ერთმანეთს. კარგა ხანს იდგნენ ასე. მერე ყველამ ერთდროულად ჩამოიღო საცეცი. გახსნილ ნახევარსფეროთა შორის დადგნენ და სფეროები შეიკრნენ.

— ტელეპატიური მართვის პრინციპია. — თქვა რუმმა.

— მართალი იქნებოდი, ადამიანები რომ იყვნენ, — შეეპასუხა ვამეხი. — ამათ ისევე ესმით ტელეპატია, როგორც მე ანტისამყაროს წარმომადგენლის ენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუმი მიხვდა, რაზედაც მიანიშნებდა ვამეხი. იწყინა. მაგრამ არ უპასუხა და მზერა ისევ შუშხუნისაკენ გადაიტანა.

სფეროები მინდორზე გაიშალნენ და დასახლებისაკენ გამოგორდნენ ერთნაირი სიჩქარით. ერთმანეთისაგან ერთნაირად დაშორებულნი. ხშირად იცვლიდნენ მიმართულებას. როდესაც დასახლებას მიუახლოვდნენ, ერთი სფერო დაწინაურდა. მიწაყრილზე აგორდა. გადაიხსნა. სფეროელი ერთ საცეცზე აიწურა. გაიჭიმა. დანარჩენი ორი თავზე შემოიწყო. თითქოს მზეს იჩრდილავსო. სამკუთხა პირი ააცმაცუნა. გარე სამყაროსთან კავშირის მიმღები ახრიალდა. მია მაგიდას მიუჯდა და თვითნებურად ჩართული მიმღები ნორმალური მუშაობის რეჟიმზე გადაიყვანა.

— ურბა, ეკო, ბო, — მოისმა მიმღებიდან. ეტყობოდა მიმღები სფეროელის სალაპარაკო ტალღაზე ჩაერთო.

— როგორ მოვიქცე? — იკითხა მიამ.

— იგივე უპასუხე, — თქვა რუმმა. — საინტერესოა რა დაემართება. როდესაც საკუთარ ენაზე მოისმენს პასუხს.

მიამ თხოვნა შეუსრულა. მიწაყრილზე მდგომმა სფეროელმა შუბლთან მიტანილი საცეცები ჩამოიღო, აცახცახდა. თავი დაუნაოჭდა, დაიგრიხა. ხტუნვა დაიწყო. ქვემოთ მდგომმა სფეროელებმაც იგივე გაიმეორეს. ბოლოს ზემოთ მდგომი სფეროელი თითქოს დამშვიდდა. ნახევარსფეროთა შორის დადგა. სფერო შეიკრა. სხვებიც ასევე მოიქცნენ და შეკრული სფეროები შუშხუნისაკენ გაგორდნენ.

— მგონი, ავჩქარდით. — ჩაილაპარაკა შეფმა. — უფრო სერიოზულად უნდა მოგვეფიქრა პასუხი.

— დალახვროს ეშმაკმა, — თქვა რუმმა. — ვერცერთ კოსმიურ კატალოგში ვერ იხილავ მსგავს ფორმებს. იქნებ შევცდი და ბიოკიბერნეტიკული მანქანები მატერიის უმაღლეს ფორმად მივიჩნიე? საინტერესოა, როგორ შეაფასა ანალიზატორმა მისი ლაპარაკი?

— უარყოფითად.

— უცნაურია, მეტისმეტად უცნაური, — ჩაიდუდუნა რუმმა და ციფრებად ჩამწკრივებულ ანალიზატორის პასუხს თვალი გადავავლო.

ვამეხი სამზერ საკანთან იდგა და საუბარში არ ერეოდა. ძველებურად უყურებდა შუშხუნას, რომელმაც ისევ იცვალა ფერი, ახლა მეორე კარი გაიღო პირველის ქვემოთ და სხვადასხვა ფერის სფეროელებმა უწესრიგოდ დაიწყეს ცვენა. ჯაჭვივით გაიჭიმნენ შუშხუნასა და გორაკს შორის. უცნაური ფორმის საგნების გადაწოდება დაიწყეს. ზოგჯერ გორაკზე მდგომი სფეროელი რომელიმე საგანს უკან აბრუნებდა, უმეტესობას კი იქვე, ორმოში ყრიდა. დროდადრო ორმოდან ცეცხლის ენა ამოიწვერებოდა.

— ისე იქცევიან, თითქოს ჩვენ საერთოდ არ ვარსებობდეთ, — შენიშნა ვამეხმა.

— ადვილი შესაძლებელია, მათთვის მართლაც არ ვარსებობთ, — უპასუხა რუმმა. — კაცმა არ იცის, რა არის მათთვის ცივილიზაცია. იქნებ, მათი თვალსაზრისით, ჩვენ მატერიის სწორედ ის ნაწილი ვართ, რომელიც უნდა მოისპოს, როგორც სარეველა ბალახი.

— თქვენი არ ვიცი და მე კი, რატომღაც მანერვიულებს მათი უყურადღებობა, — ჩაერია მია საუბარში.

— თუ ჩვენს სტუმრებს თუნდაც მხედველობის უნარი გააჩნიათ, უნდა მიხვდნენ, რომ აქ ყველაფერი მოაზროვნე არსებების გაკეთებულია. სამყაროში არსებობს გარკვეული კანონზომიერება, რომლის საფუძველზე....

— ჩვენი თვალსაზრისით, მართალია, — შეაწყვეტინა მიამ, — მაგრამ კოსმოსში ჩვენი შეხედულებები სავალდებულო არაა. ყველას კარგად გახსოვთ...

— იქნებ, ჩვენს სტუმრებს შუშხუნა დაუზიანდათ ან საწვავი შემოაკლდათ და აქ აპირებენ მის შევსებას, — თქვა ამ ხნის განმავლობაში ჩუმად მდგარმა რიომ.

— სამწუხაროდ, გარკვევით არაფრის თქმა არ შეიძლება. — დაასკვნა შეფმა. — უმჯობესია ახლა დავიშალოთ და ყოველმა ჩვენგანმა კარგად აწონ-დაწონოს შექმნილი მდგომარეობა, ერთი საათის შემდეგ ისევ შევიკრიბოთ. იქნებ ამ დროისათვის კონკრეტული წინადადებები შევიმუშაოთ.

ხალხი თანდათან გაიკრიფა. დარბაზში მხოლოდ ვამეხი დარ-ზდრა დარჩნენ. ვამეხი სავარძელს მიუახლოვდა, მაგრამ დაჯდომა გადაიფიქრა და სამზერთან მივიდა.

— რამდენ ხანს დააგვიანდება ცვლას? — იკითხა მან.

— ახალი წლის პირველ დღეს ჩამოვლენ, — უპასუხა მეზდრამ.

ვამეხმა დროის მრიცხველს შეხედა, გაიფიქრა:

„ახალწლამდე ჩვენებური ოცი დღეა“, — ღრმად ამოისუნთქა. სამზერს მოსცილდა და ხმამაღლა დაუმატა: — დაუგვიანია როდესმე ცვლას ან დროზე ადრე მოსულა?

— არა, ასეთი შემთხვევა არ ყოფილა.

— როდის შემოვლენ ჩვენთან კავშირის ზონაში?

— მოფრენამდე ორი დღით ადრე. ყველაფერი მარშრუტზე და სიჩქარეზეა დამოკიდებული. ჩვენ არც მარშრუტი ვიცით და არც სიჩქარე.

„მაშასადამე, ახალ წლამდე როგორმე უნდა გავძლო, — გაიფიქრა ვამეხმა. — ჩვენების მოფრენის შემდეგ კი ძალები გათანაბრდება, თავდასხმას ვეღარ გაბედავენ.“ — იარაღი თუ გაგაჩნია? — იკითხა ხმამაღლა.

— ათიოდე მოძველებული სისტემის ატომოკარაბინი, ოთხი ბეტატრონი და საშუალო რადიუსის რამდენიმე ელექტროიმპულსატორი.

— ცოტაა, — ჩაილაპარაკა ვამეხმა.

საუბარში შეუმჩნევლად გაილია დრო. დარბაზი ისევ შეივსო ხალხით. მოდიოდნენ ჯგუფ-ჯგუფად და ცალ-ცალკე. ზუსტად დანიშნულ დროს ყველა ადგილზე შეიკრიბა. შეფი უგუნებოდ იყო, განმარტოებით დაჯდა. თავჩაქინდრული უსმენდა კოლეგებს. ხმას არ იღებდა. ბოლოს თავი ასწია და თვალი მოავლო დარბაზს.

— მდგომარეობა თანდათან რთულდება, — წყნარად დაიწყო მან. — ინფრაწითელი სხივებით დაზვერვამ — შედეგი არ მოგვცა. რადიოკავშირის დამყარებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. სფეროელნი უგულებელყოფენ ჩვენს არსებობას. გაურკვეველი დანიშნულების მშენებლობით არიან გართული. ჩქარობენ. დედამიწიდან ცვლა მხოლოდ ახალ წელს მოფრინდება, ჩვენი დროით ოთხას ოთხმოცსაათში. ეს დიდი დროა, ამიტომ ზოგიერთი საკითხი ახლავე უნდა გადავწყვიტოთ.

— მგონი ვაზვიადებთ მდგომარეობას, — ჩაურთო რომმა ვიმეორებ: ჩვენს წინაშე არიან მაღალცივილიზებული კულტურის ერის წარმომადგენლები. ცივილიზებული ერი კი შეუძლებელია აგრესიულად იყოს განწყობილი. ნუთუ უნდა მოგაგონოთ კოსმიური კოდექსის მეექვსე ჰეშმარიტება?

— კოდექსებით ლაპარაკი არას გვარგებს. კონკრეტულად რაზეს თუ გვთავაზობთ? — შეეკითხა რუმი.

— მე ვფიქრობ... — წამოიწყო რიომ, მაგრამ ვამეხმა აღარ დაამთავრებინა აზრი.

— სტუმრები წიგნში წაკითხულ დანაწევრებულ სახელმწიფოთა დროინდელ დედამიწისეულ მეკობრეებს მაგონებენ. — ვამეხი დარბაზის შუაგულში გავიდა. — ხოლო თუ კანონების მოგონება სავალდებულოა, მეც შეგახსენებთ ზოგიერთს: „როდესაც დასახლება ან ტრანსგალაქტიკური შუშხუნის ეკიპაჟი გარდუვალი საშიშროების წინაშე აღმოჩნდება, უცნობი ცივილიზაციის აგრესიულად განწყობილი ობიექტი დაუყოვნებლივ უნდა მოისპოს.“

— შეუძლებელია! — აღშფოთდა რუმი. — ეს ბარბაროსობაა. კანონები ძველდება, ძველდება ჩვენი შეხედულებები საგნებსა და მოვლენებზე. ჩვენ დავკარგავთ უცნობ ცივილიზაციასთან კავშირის დამყარების ერთადერთ და, ვფიქრობ, უკანასკნელ შესაძლებლობას. ჩვენი მორალური კოდექსი...

— რას იზამთ. — შეაწყვეტინა ვამეხმა, — ასეთია კოსმოსის ულმობელი კანონი. ჩვენ ვალდებული ვართ, დავემორჩილოთ მას.

— გამოუსწორებელ რომანტიკოსად დარჩები, — თქვა რუმმა, მხრები აიჩეჩა, ხელები გაშალა. — საიდან გამოჩხრიკა კოსმოსის მეკობრენი.

— მეტი სერიოზულობა გვმართებს, — შენიშნა შეფმა. — თავისთავად ცხადია, გამოსავალი არსებობს, საჭიროა მხოლოდ მისი პოვნა. როდესაც ასტეროიდი გვიახლოვდებოდა, ჩვენ უსუსურები ვიყავით. ახლა ჩვენი და მოწინააღმდეგის ძალები თითქმის თანაბარია. მხედველობაში მიიღეთ: მალე მეწამული ღამეები დაიწყება და არავინ იცის, როგორ მოიქცევიან ჩვენი დაუპატიჟებელი სტუმრები.

— უნდა ვცადოთ, მოველაპარაკოთ, — თქვა რუმმა, — იქნებ ანალიზატორმა გვირჩიოს რამე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუმმა დისკი შეარჩია, გამომთვლელი მანქანის ჭრილში ჩასმა, ჩართო. თანდათან გახურდა „ტვინი“. პასუხების განყოფილებაში პირველი ციფრები გაჩნდა. დეშიფრატორმა ასოების გამოყვანა დაიწყო, როდესაც გამაყრუებელმა გრუხუნმა ყურთასმენა წაიღო, შენობა შეირყა. მინები აზრიალდა. აპარატურა გამოირთო. საგრძნობლად იკლო შუქმა. ვამეხი სამზერი საკნისკენ შეტრიალდა. მეოთხე ვაკუუმკარის წინ ზეატყორცნილი მიწა ნარნარად ჩამოიშალა, ჰაერი დაიწმინდა. გორაკზე სფეროელნი გამოჩნდნენ. უცნაურად ასავსავებდნენ საცეცებს, ხტოდნენ, იგრიხებოდნენ. ხან სოკოსებრ ნაგებობას მიესეოდნენ. საცეცებს უთათუნებდნენ. კმაყოფილები ჩანდნენ.

— საცდელი გასროლაა, — თქვა ვამეხმა. — როდესაც ამ უცნაური ნაგებობის მონტაჟს დაამთავრებენ, გვიან იქნება. ლოდინი აღარ შეიძლება. წავალ, ვცდი. თუ საერთო ენა ვერ გამოვნახე, შუშხუნის სამანქანო განყოფილებას ავაფეთქებ. ვეცდები, სფეროელნი არ დავაზიანო.

— შენ?

— დიახ, მე.

შეფმა თვალი მოავლო დარბაზს, იკითხა:

— როგორია თქვენი აზრი?

დარბაზი გაისუსა. სფეროელთა საცდელმა გასროლამ მოულოდნელად შეცვალა განწყობილება. ახლა თითქმის ყველასათვის ნათელი გახდა სტუმართა განზრახვა. მშვიდობიანი მოლაპარაკების იდეა სიზმარივით გაქრა. რუმი ვამეხს მიუახლოვდა.

— დალახვროს ეშმაკმა, — თქვა მან, — მგონი მართალი ხარ. მაგრამ იცოდე, სახიფათოა, მეტისმეტად სახიფათო... მე არ გირჩევდი.

ვამეხს გაეღიმა.

ლურჯი მზის უკანასკნელი სხივიც მიილია, ჩაქრა. ჰორიზონტს მეწამული ფერების ჯადოქრული გამა შეეკიდა. მიდამო ჩამუქდა. ყველაფერი ისე უცბად და ისე ძლიერ შეიცვალა, რომ გეგონებოდა, სხვაგან მოვხვდიო. დასახლებამაც იცვალა სახე. ჰელიოელექტროსადგურების ჩაზნექილ სარკეებში ათობით მეწამული მზე ათინათინდა. ადგილობრივმა დიქტორმა მოსახლეობას მოაგონა, რომ დასახლება ცხოვრების ღამის რეჟიმზე გადავიდა. სკაფანდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებისა და ნებართვის გარეშე ათვისებული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ გასვლა, აგრეთვე შახტებისაკენ მიმავალი გზებით სარგებლობა აიკრძალა.

მია ვამეხთან მივიდა.

— ძალიან სახიფათოა, — თქვა მან. — იქნებ გადაიფიქრო?

— რა? — მექანიკურად იკითხა ვამეხმა.

— მე ბევრი წამიკითხავს მეკობრეთა შესახებ. თუ ესენი რაღეთი მაინც ჰგვანან მათ, მაშინ... — ხმაში ბზარი შეეპარა. აღარ დაამთავრა აზრი, თავი ჩაღუნა.

ვამეხმა თანაგრძნობით მოუთათუნა ხელი მხარზე, ნაძალადევად გაუღიმა. რაღაც ჩაილაპარაკა და ოთახიდან გავიდა. თანდათან მოუმატა ნაბიჯს, გაიქცა, სულმოუთქმელად გაირბინა დერეფანი. თავის ოთახში შევარდა. საწოლზე დაემხო და ნერვულად ჩაბღუჯა ბალიში.

„— მით უკეთესი, — ფიქრობა იგი, — ასე უფრო მალე დამთავრდება ყველაფერი... საშიშიაო?... ჰოდა, ძალიან კარგი“. — ფიქრები აერია. წამოჯდა. უაზრო მზერა მოავლო ოთახს. ისე აკვირდებოდა ყველაფერს, თითქოს პირველად ხედავსო. ადგა. სინათლე ჩართო. თაროსთან მივიდა. თვალი გაუშტერა მადნის ეტიკეტს.

„ვამეხიდი, ვამეხიდი, ვამეხიდი“... — დაუსრულებლად კითხულობდა ეტიკეტზე გულდაგულ გამოყვანილ წარწერას. ეს იშვიათი მადანი თავის დროზე ვამეხმა აღმოაჩინა და მის პატივსაცემად ვამეხიდი უწოდეს.

უცებ შებრუნდა: საწერ მაგიდასთან მივიდა. დიდხანს ეძება უწესრიგოდ გაბნეულ ქაღალდებში რაღაც. როგორც იქნა, იპოვა. ახალგაზრდა გოგონას სურათი აიღო. იქვე სავარძელში ჩაჯდა. ჩაფიქრდა. ღიმილმა გადაუარა სახეზე. რაღაც თქვა. შუბლი დაუნაოჭდა. სახე აემღვრა. სურათი მაგიდაზე ისროლა და თოფნაკრავივით წამოვარდა. თავი დააქნია.

„რა მემართება? — გაიფიქრა. — ეს რა აზრები ამეკვიატა. ნუთუ კოსმიურმა ავადმყოფობამ... გადავიღალე? თაროდან ანგარიშმიუცემლად გადმოიღო წიგნი. სადაც მოხვდა, იქ გადაშალა. ხარბად დაიწყო კითხვა. მალე ესეც მობეზრდა. მუსიკალურ ავტომატთან მივიდა. ცისფერი სიმფონიის შესავალი ჩართო. გაირინდა.

„ნუ წახვალ ასე შორს. განა დედამიწაზე ცოტა საქმეა?“ — ჩაესმა შორეული, იდუმალი ხმა.

ვერა და ვერ მოისვენა. რაზეც არ უნდა ეფიქრა, ბოლოს მაინც მისი სახე ეხატებოდა თვალწინ. მარტოობა ვეღარ აიტანა და სადისპეტჩეროში დაბრუნდა.

— ხომ არ გადაიფიქრე? — შეეკითხა რუმი.

— არა! — მოსჭრა ვამეხმა.

— რახან არ იშლი, რას იზამ, ეს პორტატული რადიოგადამცემი გამომართვი. — რუმმა პატარა ფირფიტა გაუწოდა. — სკაფანდრიც შეგირჩიეთ. კომბინირებული, ორმაგი სარქველით, სათადარიგო ჟანგბადის ბრიკეტებით. გვიანმოქმედი ატომონალმი და პირადი სარგებლობის ერთი ბეტატრონი. — რუმმა ნივთები ერთად დაალაგა — სულ ეს არის შენი ბარგი.

ვამეხი მაგიდას მიუახლოვდა, სკაფანდრის ნომერს დახედა.

— ჩამაცვით, — თქვა მან.

ნახევარი საათის შემდეგ ვამეხი ჩამცმელი კომისიის წინ იდგა. ყველაფერი თავიდან შეამოწმეს. სახსრებთან დამატებითი სადებები დაუტანეს. შიგა ტანსაცმლის ნაოჭები გაუსწორეს. გათბობა გაინჯეს. ახალი სისტემის ელასტიკური ხელთათმანები ჩააცვეს. ბოლოს მკერდზე დამაგრებული პიროვნების გამოსაცნობი ფირფიტა კოსმომფრენის კატალოგის ნომრით შეუცვალეს და სკაფანდრის საყელოს გამჭვირვალე მუზარადი ჩაახრახნეს. მუზარადს ორივე მხრიდან წყვილ-წყვილი ანტენები ამოეწვერა.

— როგორ მუშაობს გადამცემი? — ჰკითხა მეზდრამ.

— ჩინებულად.

—ღელავ?

— იმაზე მეტად არა, შუშხუნაში პირველად რომ ვჯდებოდი. ვამეხი შეფის წინ ხელგაშლილი დადგა. სულ ბოლოს შეფი ამოწმებდა სკაფანდრის ვარგისიანობას. იგი კმაყოფილი დარჩა ვამეხის ჩაცმულობით. ტრადიციულად დაჰკრა მხარზე ხელი.

— კეთილი მგზავრობა. — თქვა მან.

ვამეხმა მეზდრა მოიხმო.

— ყველაფერი მოსალოდნელია, — ვამეხს უჭირდა ლაპარაკი. — თუ ჩემი მისია ისე დამთავრდა... ხომ გესმის რასაც ვგულისხმობ? — ხელი ჩაიქნია, — ერთი სიტყვით, მომავალი დიდი ლა-

ჰარაკის დროს, თუ ცისა გამოცხადდება, აუხსენი როგორ ... როა... ეტყვი, რომ...

სიტყვა აღარ დაამთავრა. მუზარადი ჰერმეტულად ჩაკეტა. დისპეტჩერს ანიშნა მზადყოფნა. ტაბლოზე მწვანე შუქნიშანი აინთო. მოძრავმა იატაკმა ვაკუუმოთახში გაიყვანა ვამეხი. მსუბუქად ჩამოცურდა გამყოფი კედელი. ძლიერმა ტუმბოებმა ჟანგბადი გაიწოვეს. ატმოსფეროსმზომის ისარი ნულს გაუსწორდა. კარები გაიხსნა. ვამეხმა უკანასკნელად ერთხელ კიდევ შეამოწმა ყველა აგრეგატის მუშაობა და გასასვლელისაკენ შეტრიალდა. გასწორდა, ცალი ხელი ასწია.

— მე მზად ვარ, — მოისმა მიმღებიდან ვამეხის ლითონისებური ხმა.

— მშვიდობით იარე! — ჩასძახა გადამცემს მეზდრამ

ვამეხი კარებში გავიდა და სიბნელეში გაუჩინარდა.

მიამ ტელერადიოლოკატორი ჩართო.

ელჩობა

ვამეხი შედგა. მოიხედა. მოშავო-მოწითალო ცის ფონზე ფანტასტიკურ ნახატივით ჩანდა დასახლება. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ჰელიოელექტროსადგურის რიგი, გაკაშკაშებული ორანჟერეა. ობობას ქსელივით მოსდებოდა მთელ დასახლებას შახტებთან დამაკავშირებელი დახურული „ბილიკები“. დანარჩენი ჩრდილში იყო და გარჩევა არ ხერხდებოდა. ვამეხმა მზერა შუშხუნისკენ მიმავალ გზაზე გადაიტანა. ფრთხილად გადადგა ნაბიჯი. ხშირად ჩერდებოდა, აკვირდებოდა. ტყვიის სქელლანჩიანი ფეხსაცმელები უსიამოვნოდ ღრჭიალებდა ლურჯად მოჭიქულ ყოფილ სასტარტო მოედანზე, სხლტებოდნენ. ხმაურს შეეძლო სფეროელთა ყურადღება მიეპყრო. ამას კი, ვინ იცის, რა მოჰყვებოდა. ვამეხი უფრო გაფრთხილდა.

„როგორ ყველაფერი სარკესავით მოუსწორებიათ. — უკვირდა ვამეხს. — სადღაა ელექტრომაგნიტური ზარბაზნის აყურული კონსტრუქცია, სათავსოები. რას შეეძლო გამოეწვია ასეთი ნგრევა?

ნუთუ ანტისამყაროსთან შეხებამ...“ კიდევ რამდენიმე მეტრით წაიწია წინ. უკვე შეიძლებოდა შუშხუნის ზოგიერთი ნაწილის გარჩევა. უფრო ახლოს მივიდა. დაელოდა, როდესაც სფეროელნი გაიკრეფნენ, გზა გადაირბინა და შუშხუნის ძირში, ორმოში, ჩაგორდა... ორმო არ აღმოჩნდა ღრმა, ვამეხი წამოდგა და ზურგით შუშხუნის სამართავ ფრთას მიეყრდნო. დააკვირდა.

„ეტყობა, მათ პლანეტაზეც მკვრივი ატმოსფეროა, თორემ ასეთი ფორმის ფრთებს არ გაუკეთებდნენ, — ფიქრობდა ვამეხი, — მოყვანილობითაც ძალიან წააგავს ჩვენებურ შუშხუნას, თუმცა ეს გაცილებით უფრო მასიურია და გრძელი. დასწყევლოს ღმერთმა, ერთი ნაკერი არსად ატყვია. ამხელა მონოლითის მთლიანად ჩამოსხმა არ გინდოდა?“

ორმოდან ამოფოფხდა. შუშხუნას ახედა. უსასრულოდ გრძელი ეჩვენა. ზემო საძვრომში ასვლაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. ლითონისმაგვარი მასალისაგან დამზადებული შუშხუნის გლუვი შინდისფერი ზედაპირი მეტისმეტად მტკიცე ჩანდა და თბილი იყო.

„იქნებ ნალმები სამართავ ფრთებზე დამემაგრებინა, — გაიფიქრა ვამეხმა, თუმცა ეს არაფერს მომცემს. ასეთ დაზიანებას ოლად შეაკეთებენ. მაინც მოლაპარაკებას ვცდი. სოკოსებური ნაგებობისაკენ წავალ. იქნებ იქ გამიღიმოს ბედმა.“

მიმოიხედა. არავინ ჩანდა და ფრთხილად გაუყვა გზას. მოჭიქული სასტარტო მოედანი გაიარა, ვრცელ მინდორზე გავიდა. მეტეორიტის ლოდს ამოეფარა. როცა დარწმუნდა, რომ ახლომახლო არავინ იყო, რამდენიმე მეტრით კიდევ წაიწია წინ. მოხერხებულად წამოწვა ყავისფერი ქვის გვერდით. აქედან კარგად ჩანდა სოკოსებური ნაგებობა და მტვრიან მინდორზე გაკვალული გზა. გზაზე დროდადრო ჯაჭვივით გადაბმული სფეროთა რიგი გამოჩნდებოდა. იმდენად სინქრონულად მოგორავდნენ და ისე რიტმულად ირწეოდნენ, რომ ერთი მთლიანი სხეული გეგონებოდათ. სოკოსებრი ნაგებობისკენ მისრიალებდნენ, გარს უვლიდნენ, შიგნით ძვრებოდნენ და ტყვიანაკრავივით გამორბოდნენ უკან. ისევ გადაებმებოდნენ ერთმანეთს და ახლა შუშხუნისაკენ მისრიალებდნენ.

„ისევ გზაზე გავალ, — გაიფიქრა ვამეხმა, — იქ შეიძლება მარტოხელა სფეროს გადავეყარო. უმჯობესია პირისპირ ველაპარაკო.

იქნებ რამე გავაგებინო. თუ არა და ერთს როგორმე გავუმკლავ-
დები. იქნებ სფეროც წავართვა.“

გზაზე ისევ გამოჩნდა სფეროთა კოლონა. ლამაზად მოსრიალე-
ბდა ათასფრად გასხივოსნებული ვეებერთელა სიგრძის ცეცხლის
ფეიერვერკი. ვამეხმა წამით თვალი მოსწყვიტა გზას და გადამცემის
ჩართვა გადაწყვიტა. გადაატრიალა კიდეც ჩამრთველი, მაგრამ
მისი ყურადღება ხმაურმა მიიპყრო. თავი ასწია. მისკენ მარტოხე-
ლა სფერო მოექანებოდა. ვამეხი გაისუსა. სფერო შორიახლო შე-
დგა და ციბრუტივით დაბზრიალდა. ვამეხმა დრო იხელთა, წამო-
ხტა და ლოდს ამოეფარა. სფეროს არ გამოჰპარვია მისი მოძრაო-
ბა. ბზრიალი შეწყვიტა და მისკენ გამოგორდა.

„ნუთუ შემამჩნია?“ — გაიფიქრა ვამეხმა.

სფერო შედგა, გაირინდა. მერე სწრაფად მიგორდა ვამეხთან
და ზედ მის ცხვირწინ შუაგადაიხსნა. გამოჩნდა შემზარავი არსება
— ერთი თავი და სამი დაგრეხილი საცეცი ჰქონდა.

„ამას რა უნდა გავაგებინო“, — გაუელვა ვამეხს.

სფეროელი თავით დაერჭო. საცეცები ჰაერში გაასავსავა და ვა-
მეხს მყრალი სითხე შეაფრქვია. მერე ბურთივით შეხტა, უცნაუ-
რად დაიგრიხა და ვამეხს წაეპოტინა. ფიქრის დრო აღარ იყო. ვა-
მეხმა ბეტატრონის ლულა ჩასჩარა სფეროელს პირში და გამშვებ-
თითი გამოსდო. ელვასავით განათდა წამით იქაურობა. სფეროელი
გაშეშდა, გაწითლდა. გავარვარებულ ლითონს დაემსგავსა და და-
იფერფლა. ვამეხმა შვებით ამოისუნთქა. საჭირო იყო მოქმედება,
რაიმეს მოფიქრება, ვამეხი კი ისე იყო მოულოდნელობით დაბნე-
ული, რომ არ იცოდა რა მოემოქმედა. უფრო თავისთავად, მექანი-
კურად მოძრაობდა. ნახევარსფეროთა აწევა სცადა. ადგილიდან
ვერ დაძრა. ფეხი მიარტყა, ეტკინა. სფეროს კი არაფერი დააჩნდა.
მერე შემთხვევით ორ სფეროთა შორის მოხვდა და ნახევარსფერ-
ოებში შეიკრნენ. ფეხებთან შუაგახვრეტილი სკამი ამოიწია. წინ ათ-
ასფერღილიანი დაფა გადმოიშალა. კედლები თანდათან გაუფერულ-
და, გაჰქრა. გამოჩნდა დასახლების უღიმღამო პეიზაჟი.

— მივგორავ! — აღმოხდა ვამეხს.

ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს საყრდენის გარეშე ჰაერში
იჯდა გაუნძრევლად და ყველაფერი დანარჩენი მისკენ მოექანე-
ბოდა. თანდათან გაუფერულდა ნაცნობი ადგილები. გვერდით ჩა-

იქროლა იმედის კონცხმა. დიდი მორევის მინდორიც უკან დარჩა. ახალი პარალელის სანიშნო გამოჩნდა. აქედან ნაკლებად შესწავლილი მხარე იწყებოდა, „შავი ურჩხულის ხახა.“ ვამეხს ნერვიულობა დაეტყო. ხან რომელ ღილაკს დააჭერდა თითს და ხან რომელს. ამაოდ ცდილობდა მიმართულება შეეცვალა სფეროსთვის. სფერო ჯიუტად მიგორავდა გაურკვეველი მიმართულებით. ვამეხს თითქმის გადაუწყდა იმედი. სასოწარკვეთილი, ავტომატურად ათამაშებდა თითებს სამართავ დაფაზე და აღარ იცოდა რა ეღონა. უცებ ვარდისფერი შუქი გაიბნა მის გარშემო. საამო ციალში გაეხვია. სფერო შემობრუნდა და მარცხნივ გაქანდა. რაღაც იმედის ნაპერწკალი გაჩნდა. ვამეხი გაშმაგებით აჭერდა თითს ღილაკებს. ერთი ორჯერ მოულოდნელად შეხტა სფერო და თუმცა მსუბუქად დაეშვა უკანვე, ვამეხს გული კინაღამ შეუღონდა. მერე თანთათან რაღაც კანონზომიერება შეამჩნია ღილაკებს შორის. ზოგი რამ გაიგო. მოხვევა და სიჩქარეები ისწავლა. ბოლოს ისე გაიწაფა, რომ საითაც მოინდომებდა, იქით მიჰყავდა სფერო. როცა ნაცნობ ადგილებს მოჰკრა თვალი, საბოლოოდ დამშვიდდა და თავისი მისიის შესრულებაზე დაიწყო ფიქრი. მცირე გამოდგა სიხარული. სფერომ ისევ იცვალა ფერი და მიმართულება. ისე რომ, ვამეხს თითი არაფერზე არ დაუკარებია. რა არ იღონა ვამეხმა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. სფერო აღარ ემორჩილებოდა მის ნებას. იგი შუშხუნისაკენ მიმავალ სფეროებს გამოეკიდა და ბოლოში ჩადგა. მოვლენები სწრაფად ვითარდებოდა. ვამეხი წესიერად ერთ სიტუაციაში გარკვევას ვერ ასწრებდა, რომ ახალი საფრთხის წინაშე იდგა. ახლაც, მის წინ მიმავალი სფერო შეხტა და შუშხუნის ზემო ნახვრეტში გაუჩინარდა.

„ასე თუ გაგრძელდა, ტყვეობა არ ამცდება“. — ამის გაფიქრებაღა მოასწრო. სფერო შეხტა. ზემოთ აფრინდა. რაღაცამ გაიტაცუნა, სფერო შუა გადაიხსნა. ვამეხმა ძლივს მოასწრო წამოხტომა. მისაღებ ბაქანზე იდგა. გარშემო ბუზებივით ირეოდნენ სფეროელნი. ყოველ წამს ახალი სფერო შემოფრინდებოდა ნახვრეტში და გადახსნილი სფეროებიდან თავის ცანცარით გადმოდიოდნენ სტანდარტული ზომის სფეროელნი. გაშტერებული უყურებდნენ ვამეხს. მედუზასავით თრთოდნენ. გამუდმებით აცმაცუნებდნენ ტუჩებს და ბაყაყისმაგვარ ბგერებს გამოსცემდნენ. გამოჩნდა დიდ-

თავა სფეროელი, იმდენად დიდთავა, რომ საცეცები არც კი უჩანდა. რაღაც თქვა. უფრო სწორად, სტვენისმაგვარი ბგერა გამოსცა. ყველამ თავში წაიშინა საცეცები. ისეთი ტყაპატყუპი ატყდა, რომ სკაფანდრში დამონტაჟებული მიმღებები კინაღამ გასკდა. ვამეხმა ისარგებლა არეულობით და ვინაიდან საძრომიდან გადმოხტომას აზრი არ ჰქონდა, კარებს ეცა და შუშხუნის სიღრმისაკენ გაიქცა. ძრავალწახნაგა ოთახში ამოჰყო თავი. ყოველ კედელში კარი იყო დატანებული, რომლის იქით სხვადასხვა ფერის დერეფნები ჩანდა. ოთახში რეფლექტორმომარჯვებული სფეროელი შემოვიდა. ვამეხი კარებს აეკრო, გაისუსა.

„დავიღუპე", — გაიფიქრა მან და ბეტატრონისაკენ გააცურა ხელი.

სფეროელმა ოთახი გულდაგულ დაათვალიერა. მცირე ხნით ვამეხის წინაც შეჩერდა, დააკვირდა, მერე მშვიდად შებრუნდა და ოთახიდან გავიდა.

„აგაშენა ღმერთმა", — ამოისუნთქა თავისუფლად. დერეფნებს დააკვირდა, ალალბედზე შეარჩია ერთ-ერთი. მორიდებით გადადგა ნაბიჯი. ერთი, ორი, სამი. თანდათან გათამამდა. ნაბიჯი ააჩქარა, გაიქცა. რატომღაც ძალიან უნდოდა იქაურობას გასცლოდა და ფეხები თავისთავად მიაქროლებდნენ. დერეფანი სპირალურად ეშვებოდა ქვემოთ. ხან მეტად ფართოვდებოდა, ხან კი ისე ვიწროვდებოდა, რომ გვერდულად ძლივს ახერხებდა გაძრომას. რამდენი ირბინა, არ იცოდა. დერეფანს კი ბოლო არ უჩანდა. თანაც აკვიატებული უსიამოვნო გრძნობა მოსვენებას არ აძლევდა და რაც უფრო მეტად ფიქრობდა არ ეფიქრა ამაზე, მით უფრო ხშირად აგონებდა თავს. მალიმალ იყურებოდა უკან. ასე ეგონა, ვიღაც უხილავი მდევარი მოსდევდა. ერთხელ ისიც კი მოეჩვენა, თითქოს ვიღაც კარნახობდა, როგორ მოქცეულიყო, საით წასულიყო, რა მოემოქმედა. რა არ იღონა და ვერ მოიშორა ეს აკვიატებული აზრი.

„სხვა გზით უნდა წავსულიყავი. ამ დაწყევლილს ბოლო აღარა აქვს. ასე შეიძლება დედამიწამდე ირბინო. კარი მაინც იყოს სადმე ან ფანჯარა", — უკან დაბრუნება დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა. დერეფნის ბოლოდან სფეროელთა ყაყანი მოისმა. ხმა თანდათან ძლერდებოდა. ეტყობოდა, ახლოს იყვნენ. შედგა. უიმედოდ მოა-

ვლო თვალი დერეფანს და წყალწაღებულივით მზერა სახელურის-
მაგვარ გამონაშვერზე შეაჩერა. დრო აღარ ითმენდა. საცაა სფეროე-
ლნი გამოჩნდებოდნენ. უკანასკნელი ღონე მოიკრიბა, შეხტა და
სახელურს ჩამოეკიდა. სახელური ჭერში აიკეცა. ვამეხი სხვა დე-
რეფანში აღმოჩნდა.

„სიზმარია თუ ცხადი, — თვალებს არ უჯერებდა ვამეხი. —
რა ხდება? სად ვარ? ვარ კი საერთოდ? — ფეხი აუსხლტა და ცი-
ვაზე დამჯდარივით დაცურდა. ჯანდაბას! — ფიქრობდა. — რაც
მოსახდენია, მოხდეს. სულერთია, აქედან ცოცხალი ვეღარ გავალ.
აქ გამათავებენ თუ იქ, რა აზრი აქვს“. — ღია კარები შეამჩნია.
ხელი გამოსდო რიდეს. შეჩერდა. ოთახში შებობღდა. დერეფან-
ში ყაპყაპით ჩაიარა ორმა სფეროელმა.

„ეტყობა, შუშხუნა სავსეა სფეროელებით. უკან უნდა წავსუ-
ლიყავი. რაც არ უნდა იყოს, იქ გასასვლელია. ამ გიგანტურ სა-
თაგურში კი ისე ამოიხრჩობი, რომ მზის შუქსაც ვერ იხილავ. —
სმენა გაამახვილა, მიაყურადა. ხმები ისევ განმეორდა. არა, ეს არ
იყო ბგერითი ჰალუცინაცია. კედელს იქით ვიღაც აშკარად იზეპი-
რებდა, ან გადასცემდა. ვამეხმა გარკვევით გაარჩია დამარცვლით
ნათქვამი: — მე-კო-ბრე-ნი. მერე ერთხანს ჩამიჩუმი აღარ ისმო-
და, ვიდრე რაღაც არ გატყდა თუ დაიმსხვრა. უკიდურესობამდის
დაძაბა სმენა. ტყუილად ელოდა. ლაპარაკი აღარ განმეორებულა.
კედელთან მივიდა. ყური მიადო. ისევ მოეძალა უხილავ მდევარზე
უსიამოვნო ფიქრი. კედელზე თავის გამოსახულებას დააკვირდა.
გაფითრდა. მუზარადზე იტაცა ხელი. მუზარადი ღია იყო.

„ჟანგბადი! დავიღუპე!“ — სწრაფად გადაკეტა მუზარადი. ჟან-
გბადის მარაგი შეამოწმა. სარქველები. ხელსაწყოებს დაჰყურა. შე-
ანჯღრია. ეგონა ტყუოდნენ, ისევ დახედა. ისევ მოიფათურა ხელი
სკაფანდრზე. ყველგან ყველაფერი რიგზე იყო. „ნუთუ ჟანგბადით
ვსუნთქავდი. ნუთუ...“ — სუნთქვა შეიკრა. ფრთხილად გააღო
მუზარადი. „რაც არის, არის, ვცდი“, — შუილით ამოუშვა ჰაერი
და ისევ შეისუნთქა“. „ჟანგბადია, ნამდვილად ჟანგბადი“. — გაუ-
ხარდა ვამეხს, იმედის ნაპერწკალმა იელვა.“ ჩვენ ერთი და ივივე
ატმოსფეროთი ვსუნთქავთ. ეს უკვე რაღაცას ნიშნავს. რაღაც სა-
ერთო გაჩნდა. ორივესთვის ერთი და აუცილებელი. მართალია მათ
ჟანგბადს ოდნავი სიმწარე დაჰკრავდა, მაგრამ სიმწარეს ვინ დაე-
ძებს, რახან მათ შორის ხელშესახები დამაკავშირებელი ძაფ

გაჩნდა. ეს ძაფი ჟანგბადია და, ვინ იცის, იქნებ ელჩობამაც შედეგი გამოიღოს. ვამეხმა მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ მთელი იატაკი წრეხაზებით იყო დახაზული. ბევრს ეცადა, როგორმე აეხსნა მათი მნიშვნელობა, მაგრამ ვერაფერს მიხვდა და კარადის კარი გამოაღო. იატაკზე ლურჯად მოლივლივე ქვები გაიბნა. ერთი აიღო. დააკვირდა. ქვა ხელოვნურად იყო დაწახნაგებული და ნიმუშად შეინახა. დანარჩენი მოხვეტა და კარადაში შეყარა.

დერეფნიდან ყაპყაპი მოისმა. ვამეხი კარებს ეცა. დააგვიანდა. მოსახვევში სფეროელნი გამოჩნდნენ. ბევრი არ უფიქრია, კარადაში შეძვრა და ის იყო კარები მოიხურა, რომ ოთახში პირველი სფეროელი შემოტყაპუნდა. პირველს მეორე მოყვა, მეორეს მესამე. მეოთხე და მალე მთელი ოთახი სფეროელებით აივსო. რეფლექტორები კუთხეში მიყარეს. დაიკლაკნენ. თითქოს გააჟრჟოლათო, და ოთახის შუაში დახაზულ წრეხაზის გარშემო დადგნენ. როგორც კი წრეხაზი შეიკრა, იატაკიდან მრგვალი მაგიდა ამოვიდა. მაგიდის გარშემო კი, როგორც ზღაპრებში ხდება, შუაში გახვრეტილი სკამები გაჩნდა. ოთახმა ფერი იცვალა, გაწითლდა. სფეროელებმა თანდათან აუწიეს ხმას. ვამეხს უჭირდა პაწაწკინტელა ნახვრეტიდან ყველაფრის დანახვა, მაგრამ ის მაინც გაარჩია, როგორ მიჰქონდათ საცეცით პირთან კონუსისმაგვარი გამჭვირვალე რაღაც საგანი. უცებ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ერთი სფეროელი მაგიდაზე შეხტა და მთელი ხმით იყვირა:

— ურბა!

— ეკო! — იკივლა მეორემ და ისიც მაგიდაზე შეხტა. დანარჩენები მაგიდას მისცვივდნენ, თითო საცეცი სკამის ნახვრეტში გაჰყვეს და პირდაპირ თავით დასხდნენ.

ვამეხს გაეღიმა.

— ბია! — იყვირა მაგიდაზე პირველად შემხტარმა სფეროელმა.

— ბია! — მიახალა მეორემ.

მაგიდის გარშემო მსხდომმა სფეროელებმა გაკვირვებით გადახედეს ერთმანეთს. ოთახში თეთრთმიანი სფეროელი შემოლაცლაცდა, მაგიდასთან მივიდა და დაწახნაგებული შავი ქვები დადო. პირველმა ოთხი კენჭი აიღო და სამჯერ შემოიკრა საცეცი თავზე.

— ოკო! — თქვა დიდგულად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ბიტა! აღარ დაახანა მეორემ და დარჩენილი ქვები ორი საცეცით მობოჭა.

ყველა გაისუსა, გაირინდა. თვალებდაჭყეტილი შეჰყურებდნენ პირველს. იგი თრთოდა. ყურადღებით ათვალიერებდა პრიალა ქვებს. დუმდა.

— ხაბო! — თქვა ბოლოს.

— ხატიბ! — შეაგება სიტყვა მეორემ.

დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია, როდესაც პირველმა ქვები პირში ჩაიყარა და მცირე ხნის შემდეგ მაგიდაზე გადმოაპურჭყა. იგივე გაიმეორა მეორემ. თეთრწვერამ აკრიფა კენჭები, დიდხანს ათვალიერა და სათითაოდ გადაყლაპა ყველა. პირველთან მივიდა, საცეცი დაადო თავზე და ყველას გასაგონად თქვა:

— ბიკო!

მეხივით გავარდა სიტყვა. ყველა შეხტა და ჰაერში დაბზრიალდა. მერე მოგებულს ეცნენ და თითო საცეცი დაადეს თავზე. მოგებული თანდათან გაფუვდა. ჭერს მიბჯენილი ერთადერთი თვალი კინაღამ გუგიდან ამოუვარდა. ამაოდ აცმაცუნებდა პაწია ტუჩებს, ირგვლივ ისეთი ღრიანცელი იდგა, რომ ზარბაზნის გასროლის ხმას ვერ გაიგებდა კაცი.

— რაბა! — იქუხა თეთრწვერა სფეროელმა. წაგებულმა უხალისოდ შეიყო საცეცი აბუნდულ წვერში და ექვსი ლურჯად მოლივლივე ქვა მოგებულის მიმართულებით ისროლა. მოგებულმა ჰაერშივე დაიჭირა ექვსივე, გადაყლაპა და თავში წაიშინა საცეცები. სფეროელთა სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა. ხტოდნენ, იგრიხებოდნენ და გულისშემაღონებლად ყაპყაპებდნენ.

„ახლა მგონი ყველაზე ხელსაყრელი მომენტია. ისე არიან გაგიჟებული, რომ ჩემს გაპარვას ვერ შეამჩნევენ. უცებ გამოვვარდები კარადიდან და... აზრი აღარ დაამთავრა, კარადას წაგებული სფეროელი უახლოვდებოდა. ვამეხს ცივმა ოფლმა დაასხა. „ნუთუ ჩემს აზრებს კითხულობენ“, — კუთხეში მიიყუჟა. ინსტინქტურად მიაწვა კარადის ზურგს. ისევ მოაგონა თავი უხილავ მდევარზე ფიქრმა. ისევ მოესმა ნაცნობი ხმები. კედელს იქით ვიღაც მონღომებით იზეპირებდა: მე კო ბრე ნი... მე კობ რე ნი. — „გავგიჟდები! ნამდვილად გავგიჟდები! — ფიქრობდა ვამეხი“. ზურგს უკან

რაღაც გატკაცუნდა. კარადის კარი შეტრიალდა და სანამ სფეროელი კარს გამოაღებდა, იგი უკვე მეორე დერეფანში იყო.

— ეეეეე...! — იყვირა მთელი ხმით ვამეხმა.

— ეეეეეე!!!... — დაუბრუნდა წამის შემდეგ ექოდ ქცეული საკუთარი ხმა. საკუთარი ხმის გაგონებამ ოდნავ დაამშვიდა. მიმოიხედა. არავინ ჩანდა. — „ვილაც მმფარველობს. — გაიფიქრა მახ. — თორემ ამდენჯერ ხიფათიდან თავის დაღწევა ზღაპრებშიაც არ ხდება. ან იქნებ ზღაპარში მოვხვდი და რეალობად ვიწამე იგი. იქნებ სხვა განზომილების სამყაროში ვარ და... ეეე! რა გემართება?“ — შემოუძახა საკუთარ თავს ვამეხმა. ასე ფიქრი არ შეიძლებოდა, ეს კარგად ესმოდა ვამეხს და სანამ ჯერ კიდევ გვიან არ იყო, სანამ ჯერ კიდევ შეიძლებოდა მორეოდა კოსმიური მარტოობის შიშს, ცდილობდა არ ეფიქრა ამაზე. „თუ არაფერი გამომივიდა, შუშხუნას მაინც ავაფეთქებ. სიცოცხლის ფასად, მაგრამ მაინც ავაფეთქებ. საჭიროა სამანქანო განყოფილებას მივაგნო, ქვემოთ იქნება სადმე“. — წასვლა დააპირა, მაგრამ მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ მოკლე დერეფნის კუთხეებში ბიუსტისმაგვარი ქანდაკებანი იდგნენ. დააკვირდა. „რა უნდა იყოს?“ — ფიქრობდა იგი. ფრთხილად მიუახლოვდა. ხელით შეეხო. ლითონისებურმა სიცივემ ხელთათმანებში გააცანა. უკან დაიხია. მზერა გააყოლა ჰაეროვან ხალიჩას, რომელიც დერეფნის ბოლოს, კარებთან თავდებოდა. თუმც დერეფანში სხვა არაფერი იყო, ვამეხი რაღაც საზეიმო განწყობილებას გრძნობდა. კარებთან მივიდა. სახელური მოსწია, მიაწვა, მაგრამ ძვრა ვერ უყო. თითის წვერებზე აიწია. ძლივს მისწვდა კარს ზემოთ დატანებულ მინას. ოთახში შეიჭყიტა და თოფნაკრავივით შემობრუნდა. ზურგით მიეყრდნო კარებს. თვალები დახუჭა.

— შეჩვენება, ნამდვილად მეჩვენება. — სცადა თავის დამშვიდება. კარგა ხანს იდგა გაუნძრევლად. ამაოდ ცდილობდა აფორიაქებული გონება დაერწმუნებინა ნანახის რეალობაში. არ გამოსდიოდა. საწინააღმდეგო აზრები ელვისუსწრაფესად ცვლიდნენ ერთმანეთს. თვალები გაახილა. კიდევ ერთხელ გულმოდგინედ შეათვალიერა დერეფანი. ყველაფერი ძველებურად იყო. საკუთარი სხეულიც მოსინჯა. მუზარადი მოიხსნა. დაცვარული შუბლი ხელის ზურგით მოიწმინდა და გაიფიქრა: „არ მომჩვენებია. რაც ვნახე

ამ კარებს იქით, ყველაფერი რეალობაა“. ცნობისმოყვარეობამ სძლია და ისევ აიწია ფეხის წვერებზე. ოთახში შეიჭყიტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარს იქით ქალი იდგა. ჩვეულებრივი, მიწიერი ქალი. გაცვეთილ-ვებული სახით და გაოცებული თვალებით. ნახევრად შიშველი. მხარზე გადაგდებული გამჭვირვალე შავი ქსოვილით, მზისფერი კანით. ფერფლისფერი თმით. იდგა გაუნძრევლად. ქანდაკივით. მხოლოდ შიშველი მკერდი უცემდა ოდნავ და ამით თუ მიხვდებოდი, რომ სილამაზის ეს საოცრება ცოცხალი იყო. ვამეხი ფეხის წვერებზე დგომით დაიღალა და მდგომარეობა შეიცვალა. ქალი შეკრთა. უფრო გაუფართოვდა თვალები. უკან გადადგა ნაბიჯი. ხელები წინ გაიშვირა. რაღაც თქვა. მერე ხელები დაუშვა, თავი დახარა და ასე იდგა უმოძრაოდ.

ვამეხი კარებს მიაწვა. ამაოდ.

ქალმა მკერდზე გადაიჭდო ხელები. ისევ თქვა რაღაც. უხალისოდ მოსცილდა კარებს, შუა გზაზე შედგა, მოიხედა და ხელაპყრობილი დაემხო ტახტზე. ფიფქია თმა ჩამოეშალა, ჩამოეფარა სახეს.

ვამეხმა მიმოიხედა. დერეფანში მის გარდა არავინ იყო. „კარები უნდა შევამტვრიო, უნდა შევიდე, იქნებ ამას გავაგებინო რამე“. — ბეტატრონის ლუკა საკეტში შედო. ჩახმახს ვამოსდო თითი, მაგრამ გამოწევა გადაიფიქრა. სფეროელთა ყაპყაპი მოესმა. ხმა სადღაც ახლოდან მოვიდა. საცაა გამოჩნდებოდნენ. ვამეხმა გაცლა ამჯობინა. კუთხეში მიირბინა და ქანდაკებას ამოეფარა. დიდხანს ლოდინი არ დასჭირვებია. დერეფნის ბოლო კედელი იატაკზე გადმოიშალა და იარაღმომარჯვებული სფეროელნი ქანდაკების წინ დადგნენ. ერთი იმდენად ახლოს იდგა, რომ მისმა შყრალმა სუნმა ნესტოები აუწვა ვამეხს. ჭერი გაუფერულდა, გაქრა. დერეფანში შუქმა იმატა. რაღაცამ გაიტკაცუნა. ზემოდან ოქროსფერი ტახტრევანი ჩამოეშვა. ზედ უცნაურად მორთული სფეროელი იჯდა. თავი პრიალა ლითონით ჰქონდა შეჭედილი და მარტო თვალი და პირი უჩანდა. უთმო იყო, შედარებით დიდი. თავის ძირში ელვარე ქვებით მოჭედილი ქამარი ეკეთა. სალტეზე მინიატურული რეფლექტორი ეკიდა.

„მეთაური თუა“, — გაიფიქრა ვამეხმა.

„მეთაური“ გიჟივით წამოხტა. ცალი საცეცი ასწია, გაირინდა.

შეხტა, დაიგრიხა, დაიკლაკნა. დაპატარავდა. პაწია ბურთივით შეიკუმშა, დამრგვალდა. ჩამოგორდა. იატაკზე გაიშალა, გაიწელა. მთრთოლვარე საცეცებზე წამოიწლაწნა, სიმივით გაიჭიმა, გაიძარცა. კარებს გაუშტერა მზერა. კარები თავისთავად გაიღო. დიდთავამ მზისფერი ფხვნილი თავზე გადაიყარა და მხოლოდ შემდეგ შევიდა ოთახში. კუთხეში მდგომმა სფეროელებმა პირბადე ჩამოიფარეს.

— ხაბა, ობი ხი! — მოესმა ვამეხს დიდთავას ხრინწიანი ხმა.

არავინ უპასუხა.

— ხაბა! — ხმამაღლა გაიმეორა დიდთავამ.

ისევ დუმილი.

— ხაბა! — ახლა უკვე მკაცრად გაისმა სისინისმაგვარი ხმა.

სფეროელნი შეირხნენ, ოდნავ წინ წაიწიეს. ვამეხმა ყურადღება გაამახვილა.

დიდთავა წინ და უკან დარბოდა. უფრო სწორედ ჰაერში დასრიალებდა. იკლაკნებოდა. პროჟექტორივით უბრდღვიალებდა ერთადერთი თვალი. ხან საყვირივით კიოდა, ხან კატასავით კნაოდა. უცებ შუა ოთახში შედგა. ცალ საცეცზე დაბზრიალდა, ყელიდან კვერცხისოდენა ლურჯად მოციალე ქვა ამოიღო და ქალისაკენ გაქანდა. რაღაც ნახევარ მეტრში შედგა. ქვა ქალს მიუგდო და შედარებით ნაზად თქვა:

— ხობაი ხაბა.

ქალს წარბიც არ შეურხევია. მშვიდად აიცილა ქვა, ტახტრევანზე ავიდა, ზურგით მიეყრდნო კედელს და სევდიანი თვალებით გახედა კარებს. ვამეხს გული დაეწვა.

დიდთავა გაწითლდა, გავარვარდა. ქვა საცეცებით აიტაცა და იატაკზე დაანარცხა. მოლივლივე ნამსხვრევები მანათობელ მძივებად გაიბნენ ოთახში. მერე რაც მოხდა, ადამიანისათვის ძნელი გასაგებია. ან რა სისწრაფით მოძრაობდა, ან რა ილეთებს აკეთებდა. ერთი-ორჯერ თავითაც გასრიალდა. რამდენჯერმე ქალსაც მიეკრო ტკიპასავით, კბენა დაუპირა. ქალმა მოხერხებულად მოიშორა. ეტყობა, პირველი შემთხვევა არ იყო. ერთი სიტყვით, გაგიჟდა. ბოლოს სიმწრისაგან საცეცები ერთმანეთში გადაეხლართა, გაენასკვა, კრუნჩხვები დაეწყო.

„რადაც არ უნდა დამიჯდეს, უნდა ვიხსნა, — ფიქრობდა ვამე-

ზი. — ამ ურჩხულს არაფერი აქვს ადამიანებთან საერთო. ეს ქალი კი ტყვეს უფრო ჰგავს, ვიდრე მათ პატრონს. — ისევ მოესმა ნაცნობი ხმები: „მე-კო-ბრე-ნი“. რას უნდა ნიშნავდეს ეს გაუთავებელი შეხსენება. ვინ არის, რომ მოსვენებას აღარ მაძლევს. ან იქნებ ეს უცნაური არსებანი აჯანყებული რობოტებია? ბიორობოტები, ქალი კი მათი ყოფილი ბატონ-პატრონი“.

დიდთავა თანდათან ფუვდებოდა. სოკოსავით ამოიზნიქა, ქოლგასავით გადაიშალა. ერთი წუთით მედუზას დაემსგავსა და არნახული სისწრაფით ქალისაკენ გაქანდა. ქალმა უკანასკნელ წამს ადგილი შეიცვალა, დიდთავა კედელს შეასკდა და უფორმო ლაქასავით ჩამოიღვენთა იატაკზე. მაგრამ არ გასულა წამიც და ამ უფორმო მასისაგან ისევ აღსდგა სიმწრისაგან გალურჯებული დიდთავა. ცალ საცეცზე შედგა, დაბზრიალდა.

„ყველაფერი თავიდან იწყება, — გაიფიქრა ვამეხმა. — ამ საზიზღრობის ყურება აღარ შემიძლია. ქალი უნდა ვიხსნა. ქალში იმალება ყველა საიდუმლო და შესაძლებელია ჩვენი ხსნაც. მაგრამ ვაითუ ესეც ფორმაშეცვლილი სფეროელია და ჩემს მისატყუებლად გამოიგონეს ამ რობოტებმა? — შუბლი მოისრისა, — რაც არ უნდა იყოს, ჩემეულია და თუ ეს მატლები გამოცდას მიწყობენ, მირჩევნია ჩემებურად, ჩემი სიკვდილით მოვკვდე“. — საფარიდან გამოხტა. დიდთავა, ეტყობა, არ ელოდა, ერთ ადგილზე გაიყინა. ვამეხმა ისარგებლა მისი წამიერი დაბნეულობით და ბეტატრონის ლულა პირში ჩასჩარა. ჩახმახს გამოსდო თითი. ოთახი ელვასავით განათდა. დიდთავა შეხტა, დაიგრიხა. ნარნარად დაეშვა იატაკზე და ახარხარდა. სფეროელებმა პირბადეები ჩამოიხსნეს, ეცნენ, მაგრამ მის ნაცვლად მოლურჯო-მონაცრისფრო ფერფლიღა შერჩათ.

„სანამ გონს მოვლენ, უნდა გავასწრო, — გაიფიქრა ვამეხმა.“ ქალს დაუწყო თვალებით ძებნა. ქალი გამქრალიყო. ვამეხი ტახტრევანზე შეხტა და, სანამ რამეს მოისაზრებდა, ათასფრად აჭრელებულ მომცრო ოთახში ამოყო თავი. საითაც გაიხედავდი, ყველგან ღილაკები იყო, მოციმციმე, სხვადასხვა ზომის. ყველაფერი ციალებდა, სივრცე ცოცხალი ორგანიზმივით თრთოდა. — სწრაფად უნდა გავეცალო აქაურობას, — ფიქრობდა იგი. ვიმოძრავებ გასასვლელისაკენ. თუ მოვახერხე გასვლა, ხომ კარგი, თუ არადა შუშხუნასთან ერთად ავფეთქდები... — ქამრიდან ატომონალმები მოიხსნა. კედლის ძირებში დაამაგრა. მაჯაზე დამაგრებული გადამ-

ცემი დასახლების ტალღაზე ჩართო და აჩქარებით დაიწყო გადაცემა. „ჩემი აქ ყოფნა გამომჟღავნდა. კონტაქტს ვერ [illegible] თუ დროზე არ გავეცალე აქაურობას, გამაქრობენ. ვიმყოფები სამანქანო განყოფილებაში. ვეძებ გასასვლელს. ათი წუთის შემდეგ თუ არ დაგიკავშირდით, შეგიძლიათ დაღუპულად ჩამთვალოთ. შუშხუნა აფეთქდება.“ — გადამცემი გამორთო. ბეტატრონს ხელი წამოავლო და დერეფანში გავარდა. გარბოდა უმისამართოდ და უკანმოუხედავად. თუმცა არ კი იცოდა, საით.

„ზემოთ გასასვლელი უნდა იყოს, ზემოთ... — გაუთავებლად იმეორებდა ვამეხი და ყოველი მოსახვევის შემდეგ ელოდა მის გამოჩენას. — ჯერ მრავალწახნაგა ოთახია, შემდეგ მისაღები ბაქანი: უცებ უნდა გამოვეცხადო მცველებს. სანამ მიხვდებიან, ვინა ვარ, იქნებ გავასწრო კიდეც, — აწყობდა გეგმას. შედგა, სული მოითქვა. საათს დახედა. საოცრად სწრაფად გარბოდა დრო, დერეფანს კი ბოლო არ უჩანდა. — მგონი მევე გამოვუტანე განაჩენი ჩემს თავს, — გაიფიქრა ვამეხმა. — წუთებიღა დარჩა შუშხუნის აფეთქებამდე. — დერეფნის კედლები თანდათან წითლდებოდა. ჩამოცხა. სუნთქვა გაჭირდა. ტყვიასავით დამძიმდა ფეხები. — რა მემართება, ნუთუ დგება აღსასრულის ჟამი? ნუთუ ასე სულელურად, ასე უსახელოდ უნდა გათავდეს ყველაფერი. — ღიმილისმაგვარმა ტალღამ გადაუარა სახეზე. — თავად ავირჩიე ეს გზა და ახია ჩემზე. ჯანდაბას ყველაფერი, ოღონდ სწრაფად მოხდეს, უცებ...“

დერეფნის ბოლოდან სფეროელთა ყაპყაპის ხმა მოისმა. ვამეხმა უკანასკნელი ღონე მოიკრიბა. მუზარადი ჰერმეტულად გადაკეტა, ჟანგბადის სათადარიგო ბალონი გახსნა და ოდნავი შვება იგრძნო. ლასლასით გალია დერეფანი, კარი შეაღო და მრავალწახნაგა ოთახში ამოყო თავი. იმედი მიეცა. მისაღები ბაქანის კარებს იქით ჩამიჩუმი არ ისმოდა. — ვცდი! — გადასწყვიტა ვამეხმა. კარი მოსწია და მისაღებ ბაქანზე მოჩვენებასავით გაჩნდა. გასასვლელთან შეიარაღებული სფეროელნი იდგნენ. ხმაურზე მობრუნდნენ, ვამეხისაკენ გამოექანენ.

„გათავდა“, — გაიფიქრა მან და ანგრიშმიუცემლად დაუწყო ძებნა ბეტატრონის ჩახმახს.

ღია გასასვლელში ალფა ცენტავრა ბ-105 პლანეტის ნაცნობი პეიზაჟი ჩანდა.

ალმოდებული შუშხუნა ძიგძიგებდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავდასხმა

მიამ კედელზე დაკიდებულ დროის მრიცხველს შეხედა.

— სათადარიგო კავშირის დროც იწყება, — თქვა მან. — თუ ახლაც არ გაგვაგონა, უნდა ვიფიქროთ, რომ... — აზრი აღარ დაამთავრა.

განაჩენივით გაისმა მიას სიტყვები. ყველა ასე ფიქრობდა, მაგრამ რატომღაც არავის უნდოდა დაჯერება, მით უმეტეს — ხმამაღლა თქმა. ხმამაღლად თქმულმა ნაფიქრმა სავარძლიდან წამოაგდო რუმი, ტელერადიოლოკატორთან მივიდა და ინფრაწითელი სხივების რეჟიმზე გადართო.

დაკავშირების უკანასკნელი წამებიც ამოიწურა. შეფმა ნერვიულად აათამაშა თითები სავარძლის სახელურზე. მკაცრად მოკუმა ტუჩები. თანაგრძნობით გადახედა დარბაზში შეკრებილთ. წამოდგა.

— გათავდა! — ჩაილაპარაკა თავისთვის.

მიამ ვედრებით სავსე თვალები მიაპყრო შეფს.

— ეს თქვენი აზრია, თუ...

— ჩემი! — შეფმა უაზროდ აიქნია ხელი.

„მაშინ ცოტაოდენი იმედი კიდევ რჩება“, — გაიფიქრა მიამ.

— რას გაჩუმებულხართ? — ნაძალადევი სიმხნევით იკითხა შეფმა. — რას ჩამოუშვით ცხვირები. იქნებ გგონიათ, ამით დამთავრდა ყველაფერი?

— ჯერ არა, — თავი ასწია რუმმა, — როდესაც სოკოსებრ ნაგებობას დაამთავრებენ, მაშინ კი შეიძლება მართლაც ყველაფერი დამთავრდეს.

— ადრე თქვენ უფრო ოპტიმისტურად იყავით განწყობილი. რა დაგემართათ?

— ადრე სხვა იყო.

— იქნებ გვირჩიოთ რამე?

— მე? — გაიკვირვა რუმმა. — მე რა უნდა გირჩიოთ. ყველაფერი თავისთავად ნათელია. სტუმრებისაგან კარგს არაფერს უნდა ველოდეთ. რახან ვამეხი ვერაფერს გახდა, მხოლოდ თავდაცვაზე უნდა ვიფიქროთ. — ადგა, სადემონსტრაციო ეკრანი ჩართო. — აი, ჩემი აზრით, ყველაზე უფრო საშიში უბნები. — რუკა-

ზე ელექტროჯოხმა შესატყვისი უბნები მოხაზა. — ჩრდილოეთის ძხარე, წყლის ძირითადი მარაგით. ცენტრალური ნაწილი — ჟანგბადის მარაგით და სამხრეთი — ფეთქებადი ნივთიერებებით. ყველაზე მეტად წყალსა და ჟანგბადს უნდა გავუფრთხილდეთ. ეს სამი პუნქტი არის ჩვენი ძირითადი სასიცოცხლო არტერია. საკვების საკითხი ყველაზე იოლი მოსაგვარებელია.

— თქვენ ფიქრობთ, თავდასხმა გარდუვალია და თავი უნდა დავიცვათ? რითი?

— როგორ თუ რითი? მართალია, კბილებამდის შეიარაღებული არა ვართ, მაგრამ არც უიარაღონი გვქვია. შორეული პლანეტების კოლონიზაციის პერიოდში იყო შემთხვევები, როცა ნაკლებად შეიარაღებულ კოლონისტებს საკმაოდ ეფექტურად დაუცავთ თავი.

— რუმი სწორია, — დაეთანხმა რიო. — საჭიროა ბეტატრონი შევაწყვილოთ. ელექტროიმპულსატორი ზარბაზნად გადავაკეთოთ. ამას დაუმატეთ რამდენიმე ატომოკარაბინი. საქმის კარგი ორგანიზაცია და.....

— ვამეხი დაადგამდა ამ საქმეს თავს, — ამოიოხრა მეზდრამ. რუმი შუა დარბაზში გავიდა. ხელი ასწია.

— გადავიფიქრე, ბატონებო, სასაცილოდ გამოიყურება ჩვენი შეიარაღება. ეგ იგივეა, გოლიათს რომ კენჭების სროლა დაუწყო. არსებობს ერთადერთი გამოსავალი. ნება მომეცით, სანამ გვიან არ არის, მე ვცდი. რაც უნდა იყოს, უცხო სამყაროს წარმომადგენლებთან კავშირის დამყარება ჩემი პირდაპირი მოვალეობაა, მე ხომ კოსმოლოგი ლინგვისტი ვარ. მომეცით უფლება და ის, რაც ვამეხმა ვერ შეძლო, იქნებ მე გამომივიდეს. იქნებ მე გამიღიმოს ბედმა.

შეფმა მრავალმნიშვნელოვნად ასწია წარბი.

— საკმარისია ერთი მსხვერპლი. მეორე კაცის გაშვების უფლება აღარა მაქვს. ესეც არ იყოს, ერთად ყოფნა სჯობს. ერთად გაცილებით უფრო ძლიერი ვართ, ვიდრე ცალ-ცალკე. გარდა ამისა, ჩვენ ყველაფერი ვცადეთ, სისხლის ღვრა რომ თავიდან აგვეცილებინა. ახლა მათი ჯერია. თუ მოლაპარაკება სურთ, თავად გვეახლონ.

— რა ვქნა, სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ, — მხრები აიჩეჩა რუმმა.

— განმეორებითი ელჩობა უფრო გაათავხედებს ჩვენს „სტუმ-

რებს“, — განაგრძო შეფმა. — გარდა ამისა, ვამეხი დუმს. დუმილი კი ჯერ არაფერს ნიშნავს. იქნებ გადამცემი დაუზიანდა, ან იქნება მოლაპარაკება გაჭიანურდა. ფაქტია, რომ შუშხუნა არ აფეთქებულა, არადა უკანასკნელი გადმოცემიდან ზუსტად ერთი საათი გავიდა დამოუკიდებელი დროით. ასე რომ, უმჯობესია, თავდაცვაზე ვიზრუნოთ. დავუკავშირდეთ კოსმიურ ცენტრს, ან უახლოეს დასახლებას, დახმარება ვთხოვოთ. ცვლის მოსვლამდე როგორმე უნდა გავძლოთ. მერე კი, არა მგონია, რამე გაბედონ ჩვენმა „სტუმრებმა“. მოგაგონებთ ერთ ამბავს...

„მოჰყვება ახლა,“ — გაიფიქრა რუმმა და მიასთან მივიდა. — რა ისმის? — იკითხა მან.

— მხოლოდ კოსმიური „ხიხინი.“

რუმმა უსუსურად გაშალა ხელები. — წავალ, ვცდი. — ჩაილაპარაკა მან. — იქნებ ლოკატორის ბადეს მოედოს რამე. — მივიდა, სამართავ პულტს მიუჯდა. მიყოლებით დაიწყო დასახლების ტერიტორიის გაცხრილვა. კაცის ჭაჭანება არსად იყო. აღარც სფეროელნი ჩანდნენ. უფრო მოიახლოვა მხედველობა და თავიდან გაჰყვა ვამეხის „ნაკვალევს“.

„დაახლოებით სადღაც აქ ვამეხმა სფერო ჩაიგდო ხელში, — ფიქრობდა იგი. — შემდეგ შუშხუნისაკენ გაემართა. შესვლა სცადა, შევიდა. — საათს შეხედა. — საათ-ნახევრის შემდეგ დაგვიკავშირდა: „ათი წუთის შემდეგ შუშხუნა აფეთქდებაო“. შუშხუნა არც ათი წუთის და არც საათ-ნახევრის შემდეგ არ აფეთქებულა. თუ ვამეხი ისევ შუშხუნაშია, უნდა ვიფიქროთ, რომ ტყვედ ჩაიგდეს, ან რაღაც სასწაულით თავი დააღწია და ახლა ჩვენკენ მომავალი გზის ნახევარი მაინც უნდა ჰქონდეს გამოვლილი“. — უკან დააბრუნა ხედვის აპარატი. ტელელოკატორის მხედველობის არეში რაღაცამ გაიელვა. უფრო დააზუსტა ფოკუსი. ეკრანზე ყვითელი სფერო გამოიკვეთა. დასახლებისაკენ მოგორავდა“. „—ნუთუ დაიწყო? — გაიფიქრა რუმმა. მეზდრასკენ შემობრუნდა. — რას ხედავ? — იკითხა.

— დასახლებას სფერო უახლოვდებოდა, — თქვა მეზდრამ და საერთო ხედვის ეკრანი ჩართო.

უცებ ყველას გამოცოცხლება დაეტყო. დაფაცურდნენ, დატრიალდნენ. შეფი რუმთან მივიდა.

— კარგად დაძებნე, თუ ღმერთი გწამს. მარტო არ იქნება.

— მეხუთე ბაქანს უახლოვდება. ახლომახლო არავინ ჩანს.

— კარგად ნახე.

— ამაზე კარგად რაღა ვნახო. ყველა დეტალი დღესავით ჩანს. კარს უახლოვდება. როგორ მოვიქცე?

— შეფი ყოყმანობდა. რა გადაეწყვიტა, არ იცოდა. „ვაითუ მზვერავია?“ — ფიქრობდა იგი. — ჩვენს ადგილ-სამყოფელს ეძებს. გამოგვიტყუოს უნდა. ან იქნებ მოსალაპარაკებლად გამოგზავნეს? მაგრამ მარტო რატომ არის? თუმცა ჩვენც ხომ ერთი კაცი გავგზავნეთ. ვაითუ ვამეხია? — წამით გაიფიქრა შეფმა, მაგრამ უცებვე უარყო. — მარტო ვინ გამოუშვებდა. ბადრაგი კი არსად ჩანს.

— კარს მოადგა. რა ვქნა? — ისევ იკითხა მეზდრამ.

„რაც არის, არის“, — გაიფიქრა შეფმა დ ხმამაღლა დაუმატა: — ყველანი მისაღებ ოთახში ჩადით. მოემზადეთ სტუმრის მისაღებად. ყოველ შემთხვევაში, იარაღი თან იქონიეთ. ვინ იცის, რა სიურპრიზი გველის. აბა აჩქარდით.

რამდენიმე წუთის შემდეგ ყველანი მეხუთე მისაღები ბაქნის მთავარი დისპეტჩერის ოთახში იყვნენ. კიდევ რამდენიმე წუთი და მისაღები ბაქნის კარების დამცველ ფარზე სფერო აგორდა. ყველამ შეფს შეხედა.

„სანამ მარტოა და არავინ ჩანს, უნდა შიგნით შემოვიტყუოთ. თუ სამტროდ არის მოსული, აქ უფრო იოლად გავუმკლავდებით, თუ სამოყვროდ“ ...— ფიქრის დრო აღარ იყო. სფერო ისევ აგორდა დამცველ ფარზე და ბრახაბრუხით ჩამოვარდა ქვემოთ.

— ანალიზატორი ჩართეთ? — იკითხა შეფმა.

— დიახ.

— დუმს?

— დუმს.

— რუმ, მოემზადე.

თქვენი ერთი ნიშანი, შეფ, და ბეტატრონის მთელი მუხტი სტუმრის სხეულში გადავა.

— ვიჩქაროთ, თორემ სფეროელთა მთელი ჯარი მოედო სასტარტო მოედანს. მშიერ მგლებივით დაძრწიან, ყველგან დაძვრებიან, თითქოს რაღაცას დაეძებდნენ.

— ასწიეთ დამცველი ფარი! — ბრძანა შეფმა.

მეზდრამ ღილაკს თითი დააჭირა. დამცველი ფარი მსუბუქად აცურდა. კარები გაიღო. ვაკუუმოთახში სფერო შემოგორდა. მეზდრამ ჰერმეტულად ჩაკეტა შემოსასვლელი კარები. ვაკუუმოთახი ჰაერით შეივსო. საოპერატოროს გამყოფი გამჭვირვალე კედელი გადმოიშალა და სფერო სადისპეტჩეროში შემოგორდა. ოდნავ გვერდებშეჭყლეტილი ციცინათელასავით ელავდა. გაუნძრევლად იდგა. რუმს დაძაბულობისაგან ცივმა ოფლმა დაუნამა შუბლი. შეფი სუნთქვაშეკრული ელოდა. სახეზე წამოწითლდა. მოულოდნელად სფერო შუაგადაიხსნა.

— ვამეხ! — აღმოხდა მიას.

ვამეხი თვალებს არ უჯეროდა. იდგა. კურცხალი უციმციმებდა წამწამებზე. ღრმად და ხარბად სუნთქავდა.

მეზდრა მივარდა, მოეხვია.

— სად დაიკარგე? რატომ დუმდი? — გულაჩუყებულმა დააყარა კითხვები. ხელს უფათურებდა ბეჭებზე. — მადლობა ღმერთს, ცოცხალი ხარ. ჩვენთან ერთად ხარ. რას გაჩუმებულხარ? ხმა ამოიღე, ბიჭო!

— მერე! მაგის დრო არ არის, — თქვა ვამეხმა. — შეფთან მივიდა, თვალებში ჩახედა. — მაპატიეთ, — თქვა მან. — დავალება ვერ შევასრულე, მაგრამ ღმერთმა იცის, ჩემი ბრალი არ არის. გამომართვით, ავტომატურად მუშაობს, — ბეტატრონი მიაწოდა. — ახლა კი „სტუმრების“ დასახვედრად მოვემზადოთ. არა მგონია, ასეთი თავხედობა მაპატიონ. უპირველეს ყოვლისა, ჟანგბადი გადავმალოთ. მე ობსერვატორიაში გავმაგრდები. რუმი ჩრდილოეთ მხარეს დაიცავს. დანარჩენები ადგილზე დარჩნენ. — იმდენად მტკიცედ და თვითდაჯერებულად თქვა ვამეხმა, რომ ყველანი სიტყვის უთქმელად დაემორჩილნენ.

სადისპეტჩეროდან გაიკრიფა ხალხი. ბოლოს ვამეხი და შეფი გავიდნენ. უსიტყვოდ დაემშვიდობნენ ერთმანეთს. შეფი თავისთან წავიდა. როცა ის თვალს მოეფარა, ვამეხმა ობსერვატორიისაკენ გასწია. ორანჟერეაში შედგა. თვალი შეავლო თაღის აჟურულ კონსტრუქციას. „თუ ახლა გაუძლო, — ფიქრობდა ვამეხი, — შემდეგ აუცილებლად უნდა გავაძლიეროთ მზიდი ფერმები. დამცველი ფარიც ორმაგი უნდა გაკეთდეს. ანტიმეტეორიტული ველიც უნდა გავზარდოთ“, — გაზონი გადაიარა. „ბნელ“ კარში გაძვრა. მოძრავ

კიბეზე დადგა. ისევ წაიღო ფიქრმა. ტყვექალის გაოცებული სახე დაუდგა თვალწინ. ვედრებით სავსე გამოხედვა. გაავებული დიდ-თავას აჭარხლებული სხეული. სხვადასხვა ფერის დერეფნები და იდუმალი ხმა მოსვენებას რომ უკარგავდა. ყველაფერი თვალნათლივ ახსოვს, ეს არის მხოლოდ, ვერ იქნა და ვერ მოიგონა წამი, როდესაც ერთადერთი და სწორი გადაწყვეტილება მიიღო. კიბე გაჩერდა. ვამეხმა დერეფანი გაიარა და ობსერვატორიის კარის სახელური მოსწია. ოთახში შევიდა.

ოთახში მია იდგა.

— შენ?! — გაკვირვებულმა ვამეხმა გარშემო შემოუარა.

— რა იყო, არ მელოდი? — ჩუმად იკითხა მიამ.

ვამეხმა არ უპასუხა. პირადი ხედვის პულტთან მივიდა. ეკრანი ჩართო.

მია სავარძელს მიუახლოვდა, შედგა. თვალს არ აშორებდა ვამეხს. მერე ფიფქივით მსუბუქად ჩამოჯდა სავარძლის კიდეზე.

— ძალიან გაგიჭირდა იქ? — ჰკითხა მიამ.

ვამეხმა თავი მოატრიალა. წარბებს ქვემოდან გახედა და ამჯერადაც არაფერი უპასუხა.

— ალბათ მეტისმეტად უცნაურები არიან, — განაგრძო მიამ, — თორემ შენ არ გაგიძნელდებოდა საერთო ენის გამონახვა.

ვამეხი სავარძლიანად მოტრიალდა, გაუღიმა.

— უცნაურს კიდევ ეშველებოდა რამე, — თქვა მან, — უბედურება ისაა, რომ ჩვენთან საერთო არაფერი აქვთ.

ისევ დუმილი და ისევ მიამ დაარღვია ერთფეროვნება:

— გეშინოდათ? — იკითხა.

— მეშინოდა? — გაიმეორა ვამეხმა. ჩაფიქრდა — მგონი არა, არ მახსოვს.

მია ადგა. ოთახში გაიარ-გამოიარა. ჩაფიქრებულ სახეზე უსიამო ნერვი აუთამაშდა. რამდენჯერმე დააპირა რაღაცის თქმა, მაგრამ გადაიფიქრა.

მერე ვამეხთან მივიდა, ფრთხილად შეახო მხარზე ხელი.

— ზევით ვიყავი. შენი უკანასკნელი ლექსი წავიკითხე. ძალიან მომეწონა. ალბათ იმას უძღვენი ისევ.

ვამეხმა რატომღაც დამნაშავესავით დაიმორცხვა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ბევრი არაფერია. ისე დავწერე, — იცრუა რატომღაც და ჰკითხა: — იქ რამ აგიყვანა? რა გინდოდა?

მიამ არ უპასუხა. შებრუნდა. ეკრანს შეხედა.

შუშხუნიდან სფეროები ცვიოდნენ. რკალად ეწყობოდნენ. როცა რამდენიმე რიგად მოეწყვნენ, დასახლებისაკენ გამოგორდნენ. შორიახლოს შედგნენ. გადაიხსნენ. ცალი საცეცი ერთმანეთს თავზე დაადეს, პირები ააცმაცუნეს. ვამეხმა ბერკეტი გადასწია.

— ურბა! ეკო! ბო! — მოისმა მიმღებიდან ბრძანების კილოზე.

— ეშმაკმა უწყის, რას ამბობენ, — ჩაილაპარაკა ვამეხმა. — რახან არ იშლი და ჩემთან აპირებ ყოფნას, გამომართვი, — ბეტატრონი გაუწოდა. — უიარაღოდ საშიშია.

მიამ ბეტატრონი ჩამოართვა, სამზერ ფანჯარასთან დადგა.

— შენ ფიქრობ, თავს დაგვესხმიან?

— ყველაფერს ელოდე. ხომ ხედავ, რა დღეში არიან.

— ურბა! ეკო! ბო! — ხრიალებდა მიმღები. ყოველ წუთს მცირდებოდა დასახლებასა და სფეროელთა შორის მანძილი. უცებ ყველა სფერო გაქვავდა. შუაგადაიხსნა. ცალ საცეცზე დადგნენ და ორი ზემოთ გაიწვდინეს. გაირინდნენ. მიმღები გაჩუმდა. ირგვლივ სამარისებური სიწყნარე გამეფდა. მერე უცებ ყველაფერი აირია. დატრიალდა, დაბზრიალდა. სფეროელნი სფეროებში ჩასხდნენ და უწესრიგოდ გამოქანდნენ დასახლებისაკენ. ერთმანეთს ასკდებოდნენ, ასწრებდნენ. თანდათან უმატებდნენ სიჩქარეს. „ურბა! ეკო! ბო!“ — ზანზარებდა მიმღები. უკვე მოადგნენ ორანჟერეას. რამდენიმე დამცველ ფარზე აგორდა. ზოგმა ობსერვატორიამდე მოაღწია. გამჭვირვალე კედელს შემოაბობღდა. შუაგადაიხსნა. სულელივით მიაშტერა ერთადერთი თვალი მიას. შუშაში შემოჰყო საცეცი. პირი ააცმაცუნა. მიას გააჟრჟოლა. ბეტატრონის გამშვებს გამოსდო თითი. ყრუდ გაიტკაცუნა საკეტმა. სფეროელი დაიკლაკნა, დაიგრიხა და სიცილ-კისკისით ჩავარდა ქვემოთ.

— პირში უნდა მოარტყა, — ურჩია ვამეხმა, — ისე ვერაფერს დააკლებ.

შუშხუნის ძირში კი ახალ-ახალი სფეროელები ეწყობოდნენ რკალებად. სოკოსებრი ნაგებობა ბზრიალებდა. ერთი-ორჯერ გაიელვა ორანჟერეის თავზე. ჰაერში ბურთისმაგვარი სხეული გამოეკიდა. მზესავით გაბრწყინდა. დღესავით გადაანათა იქაურობა.

სფეროელნი თითქოს ამას ელოდნენ, დატრიალდნენ, ჭიანჭველებივით შეესიენ დასახლებას. ობსერვატორიის სამზერ ფანჯარა რამდენიმე სფერო შემოაბობღდა. ვამეხი ელოდა, როდის გადაიხსნებოდა ყველაზე ახლოს მდგომი. როგორც კი დრო იხელთა, წუილით დასცალა რეფლექტორი. გაიხარა. პირში მოარტყა. სფეროელი გაწითლდა, გადაიგრიხა და დაიფერფლა, როცა ქვემოთ მდგომთ ფერფლი დაეყარათ, ისინიც გაწითლდნენ, დაიგრიხნენ და დაიფერფლნენ. მათ ადგილზე სხვები გაჩნდნენ, მაგრამ წინ გაგორება ვერ მოახერხეს. ერთმანეთს უშლიდნენ ხელს. ერთ ადგილზე ტრიალებდნენ. ეჯახებოდნენ, ელავდნენ, ნაპერწკლები სცვიოდათ. უცებ სფეროელნი გაქვავდნენ, მერე ამოძრავდნენ და შუშხუნისაკენ გაგორდნენ.

— მგონი გადავრჩით, — შვებით ამოისუნთქა ვამეხმა, სამზერ ფანჯარას მოსცილდა, ბეტატრონი მაგიდაზე დადო და მოწყვეტით ჩაჯდა სავარძელში. — გადავრჩით? — ჩაეკითხა თავს, — ჯერ კი, მაგრამ თუ განმეორდა, არა მგონია გავუძლოთ, — ნაძალადევად გაიღიმა. — როგორ მოგეწონა პირველი საბრძოლო ნათლობა? — შეეკითხა მიას.

— ჩვენ თავს ვიცავდით მხოლოდ, — იმართლა თავი მიამ.

— რა მნიშვნელობა აქვს, — ვამეხმა ხელი ჩაიქნია, — სიკვდილი სიკვდილია. — სავარძლის ზურგს მიესვენა, სახეზე აიფარა ხელები. რატომღაც ტყვექალი გაახსენდა და თითებშუა გაჰხედა მიას.

მია რაღაც უხილავმა ძალამ მოაბრუნა, თვალი გააპარა ვამეხისაკენ და მის მოპარულ მზერას შეეფეთა. შეცბა. ჟრჟოლამ დაუარა ტანში.

„რა მიმზიდველი ყოფილა, — ფიქრობდა ვამეხი. — რატომ აქამდე ვერ ვამჩნევდი. რა ტანი აქვს. მკერდი, ყელი, ტუჩები. მაგრამ ის მაინც სულ სხვაა. — ვამეხმა თითები მიატყუპა. მიასა და მას შორის უკუნეთი ჩამოწვა. უმანძილო, უკიდეგანო. შორეული, ზარივით წმინდა ხმა ჩაესმა: „სიკვდილს ეთამაშები. დიდებით გინდა დატკბე. მისი ბრწყინვალება გვირგვინად დაიდგა. ნუ, ნუ წახვალ, თორემ... განა აქ ცოტა საქმეა? განა აქ არავინ გრჩება ისეთი, ვისი გულისათვისაც ღირს დარჩენა, მიწისეული ტვირთის ზიდვა. „პატარკაცობა?“ — სიტყვებს ხატება მოჰყვა. შეწუხებული, ვედრებით სავსე თვალები.

— ისევ იმაზე ფიქრობ? — მირაჟივით გაისმა უცხო ხმა. ღვთაებრივი სიმფონია დაირღვა, შეწყდა. ჯერ ეგონა, მომეჩვენაო, ისე არ უნდოდა განშორებოდა წარსულს, მაგრამ ძველის აღდგენა აღარ მოხერხდა. უხალისოდ მოიშორა ხელები სახიდან. თვალები გაახილა.

— ისევ იმაზე ფიქრობ? — გაუმეორა კითხვა მიამ.

— არა, — იცრუა ვამეხმა და იქვე ინანა, საკუთარ თავს გაუჯავრდა: — რა დაგემართა, რატომ ტყუი. — სიტყვა არ უთქვამს, ისე მორჩილად შეხედა მიას.

— ძალიან გიყვარს? — ჯიუტად შეეკითხა მია.

— მე? — დაიბნა ვამეხი. — ვინ უნდა მიყვარდეს? რატომ?

მია უფრო ახლოს მივიდა.

— სხვას რომ უყვარდე? — არ ეშვებოდა იგი.

— არა! — სწრაფად იუარა ვამეხმა, თითქოს შეეშინდა, სხვა რამ არ წამომცდესო. — რად უნდა ვუყვარდე? ვის?

— ტყუი! — ხმას აუწია მიამ.

ვამეხმა დამნაშავესავით დახარა თავი. მან მშვენივრად იცოდა ყველაფერი, მაგრამ არ უნდოდა საკუთარ თავს გამოტყდომოდა.

— ყველაფერი ძალიან კარგად იცი, მაგრამ ტყუი, — განაჩენივით გამოაცხადა მიამ. მერე ნაძალადევად გაიღიმა. — თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს ახლა. რამდენიმე საათის შემდეგ ყველაფერი დამთავრდება. გესმის? ყველაფერი! არც სცადო ჩემი შეჩერება. რახან დავიწყე, ბოლომდე ვიტყვი. შენ ხომ ყველაფრის ცოდნა გიყვარს. ჰოდა, მომისმინე: ჩვენ მოჯადოებულ სამყაროში მოვხვდით. კოსმოსის ყველა ბოროტმა ძალამ პირი შეკრა ჩვენს წინააღმდეგ. ჩვენ განწირულნი ვართ. აბა, ვინ მეტყვის, რამდენს ვიცოცხლებთ კიდევ. ვინ გამცემს პასუხს? განა არსებობს ადამიანი, რომელიც ამ კითხვაზე მიპასუხებს. არა, არ არსებობს! თუმცა ამასაც აღარ აქვს მნიშვნელობა. არც იმას, რის თქმასაც ვაპირებ, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა. მე ვიცი ყველა შენი სიმფონია. ყველა შენი ლექსი ზეპირად მახსოვს. ყველა პოემა, ძველი თუ ახალი. მე ვიცი შენი ცხოვრების ყველა დეტალი, ყველა წვრილმანი. მე ვფიქრობ შენზე დღისით თუ ღამით, ყოველ წუთს, ყოველ წამს. ყველგან და ყოველთვის. შენ ავსებ ჩემს ცხოვრებას.

ჩემი ცხოვრების აზრი და მიზანი ხარ. შენ კი არ გინდა დაინა-

ხო. განგებ თვალებს ხუჭავ. ჩემთან შეხვედრას ერიდები. ჩემთან ყოფნას გაურბიხარ. მაგრამ ვეღარ მოგართვეს. ის, რაც ჩვენ არ გამოგვივიდა, დრომ მოახერხა. ახლა ჩვენ ერთი ბედით ვართ გადაჯაჭვულნი. ბედს კი ადამიანი ვერსად გაექცევა. — მიამ საზეიმო, გამარჯვებული იერი მიიღო. — ცისა აღარ არსებობს. ამაოდ იტყუებ შორეული ზმანებით თავს. ჩვენ ისე შორს ვართ, რომ ყველაფერი უსასრულობამ შთანთქა. დრომ და სივრცემ დაგვიმონა, დაგვიმორჩილა. სამუდამოდ დაგვაკავშირა ერთმანეთს. აქ არის ჩვენი დასაწყისი, აწმყო და ბოლო, აქ, და წარსულში ნუ იყურები.

— მია! — ვამეხი ყურებს არ უჯერებდა. გაოგნებული უყურებდა. მართალი იყო მია, მართალი, მაგრამ ამას შეიძლება კოსმიური აგონია მოჰყვეს, ეს კი უკვე საშიშია. ვამეხმა შესიტყვება სცადა.

— ნუ მაწყვეტინებ, — შეევედრა მია, — ბოლომდე მათქმევინე. მცირე საბჭოზე ვერ მოვახერხე, ვერ გავბედე. ახლა კი ყველაფერი უნდა ვთქვა. ნუ გაგიკვირდება. ცოტაღა დარჩა და იმიტომ ვჩქარობ. ეს იქნება განწირული ადამიანის აღსარება. ბოლოთქმა. მეტად მე აღარ შეგაწუხებ. გარე სამყაროსთან კავშირი გაწყვეტილია. ვერავინ გაიგებს ჩვენს ძახილს. ჩვენს ხმას. არავინ გამოეშურება ჩვენს საშველად. რამდენიმე საათის შემდეგ დასახლება ძმათა სასაფლაო გახდება. ჩვენ, დრო და მეკობრენი სამკვდროსასიცოცხლოდ დავუპირისპირდით ერთმანეთს.

— მია! — იყვირა ვამეხმა. — რას ამბობ, მია! — მივიდა, ორივე ხელი მხრებში ჩაჭიდა, შეანჯღრია. — გონს მოდი, მია!

მია გაჩუმდა. სიზმარეულად შეხედა ვამეხს. აკვირდებოდა, თითქოს პირველად ხედავსო. ხელებიდან დაუძვრა. უკან დაიხია. გაკვირვებულმა გააქნია თავი, გადაიხარხარა. მერე უცებ გაჩუმდა. მოეშვა, მოდუნდა. დატუქსული ბავშვივით მივიდა ვამეხთან. კისერზე მოეხვია, აზლუქუნდა:

— მაპატიე, მაპატიე! — ლუღლუღებდა მია.

ვამეხმა უსაშველო შვება იგრძნო. რაღაც მძიმე ტვირთი მოშორდა თითქოს ღრმად ამოისუნთქა. ხელი შეაპარა თმებში. მოეფერა, მიეალერსა. შუბლზე აკოცა. მსუბუქად აიტაცა ხელში. საგარძელში ჩასვა, საკინძე შეხსნა.

— არაფერია, გაგივლის, — ანუგეშა ვამეხმა. — ასე იცი-

ზედმეტმა დაძაბულობამ. მოულოდნელმა ტრაგიზმმა. ხუმრობა-ხუმრობა არ არის, ასე მოკლე დროში ამდენი მოულოდნელობა. ერთი-ორი ელექტრომაგნიტური აბაზანა და ხვალ ჩიტივით იქნები. მია ზომიერად სუნთქავდა და ვამეხი მიხვდა, რომ ეძინა. ფრთხილად მოშორდა. სამზერ ფანჯარასთან მივიდა. გაიხედა.

ყოფილ სასტარტო მოედანზე სფეროები ირეოდნენ. აქა-იქ უწესრიგოდ ეყარა შუაგადახსნილი ნახევარსფეროები. თავშეჭყლეტილი სფეროელი ხტუნვა-ხტუნვით დარბოდა შუშხუნასა და სოკოსებრ ნაგებობას შორის. რამდენჯერმე გარშემოც შემოურბინა. საცეცები მოუთათუნა და ისევ შუშხუნისაკენ გაქანდა. მინდორში სფეროები რიგებად ეწყობოდნენ.

— შეტევისთვის თუ ემზადებიან, — ხმამაღლა გაიფიქრა ვამეხმა. — არაფერია, ჩვენც წესისამებრ დავხვდებით.

— უაზრობაა. ჩვენ მარტონი ვართ. უმწეონი. სასაცილო მიზნით და სურვილებით. არავის ვახსოვართ. ერთი ცვლა დარჩა და, თუ ისინიც დროზე მოფრინდნენ, მათი საზრუნავიც მიცვალებულთა მოვლა-პატრონობა იქნება მხოლოდ. ეს არის სიმართლე. სიმართლე კი რატომღაც არავის უნდა.

„არ სძინებია“, — გაიფიქრა ვამეხმა და თითქოს მიას ნათქვამი სულაც არ გაუგონიაო, ისე შეეკითხა:

— დედამიწაზე რომ დაბრუნდები, რას გააკეთებ?

— არ ვიცი, — მექანიკურად უპასუხა მიამ, — არასოდეს მიფიქრია ამაზე.

— მე კი ვიცი, — ძალდატანებული ხალისით თქვა ვამეხმა. — ცოტა ხნით მშობლიურ სოფელში დავისვენებ. მერე ახალ ექსპედიციაში ჩავეწერები და სხვა უცხო პლანეტას დავიპყრობ.

მიას გაეღიმა.

— მოუსვენარი ბუნების კაცი ხარ, ვამეხ. ძალიან მოუსვენარი. როგორ შეგიძლია ამაზე ფიქრი ახლა... ნუთუ არაფრის გეშინია?

— ქალების გარდა არაფრის.

— მე კი მეშინია, — არ მიიღო ხუმრობა მიამ. — უფრო სწორედ გული მწყდება. სისულელეა ჩემს ასაკში ასე სიკვდილი. განა რა ვნახე? რას მოვესწარი?

— ყოველგვარი სიკვდილი სისულელეა, მაგრამ ამაზე ნუ ვი-

ლაპარაკებთ. ხედავ, სფეროელნი ისევ რკალებად ეწყობიან, თავ-
დასხმას აპირებენ.

— ალბათ ძალიან სასაცილო ვიყავი წეღან, — მიამ ხმას აუ-
წია. — უნდა მაპატიო. თვითონაც არ ვიცი, რას ვაკეთებდი, რას
ვამბობდი. ეტყობა, ნერვებმა მიმტყუნეს. გადავიღალე. ნეტა შე-
იძლებოდეს დასვენება, სიამოვნებით დავიძინებდი საღათას ძი-
ლით და როცა ეს ჯოჯოხეთი დამთავრდებოდა, გავიღვიძებდი.

— ყველაფერი კარგად იქნება, ყველაფერი. მხოლოდ ასე
ფიქრს თავი დაანებე. მოიშორე როგორც მტერი, როგორც სხეუ-
ლის დამშლელი მატლი. საქმეზე იფიქრე, მოყვასზე ზრუნვა გამო-
გაფხიზლებს. იმოქმედე.

ფრონტულად გაშლილი სფეროელნი დასახლებისაკენ მო-
გორავდნენ. სოკოსებრი ნაგებობა მზესავით ბრწყინავდა. დასახლე-
ბის ჩრდილოეთით ჟანგისფერი მტვერი აისვეტა. წყლის გამომმუ-
შავებელი კოშკი თვალის დახამხამების უმალ გაქრა. სასოებით
ნაგროვები წყალი ხარბად შეიწოვა გამომშრალმა ნიადაგმა. ზედი-
ზედ იქუხა ატომოკარაბინმა. რამდენიმე სფეროელი კარებშივე დაი-
ფერფლა. ორანჟერეის თაღი დაიცხრილა. ნაწილი ჩამოინგრა.

— სკაფანდრები! — ბრძანა ვამეხმა. ოთახში გაბნეული ნივ-
თები ერთად მიაწყო. „უკან დახევისას ხელი რომ არ შეგვიშა-
ლოს," — ფიქრობდა იგი.

მიამ უხალისოდ დაიწყო ჩაცმა.

აფეთქების ძლიერმა ტალღამ მთელი დასახლება შესძრა. ობ-
სერვატორიის გამჭვირვალე კედელი დასკდა, დაიბზარა. ჰერმეტუ-
ლობა დაირღვა.

— ფეთქებად ნივთიერებათა საწყობი ააფეთქეს, — თქვა ვა-
მეხმა. — მეზდრას გადაეცი, სამალში გადავიდეს. თუმცა მოიცა,
მგონი უკვე გვიან არის.

ორანჟერეაში რუმი და მისი რაზმი უკან იხევდა. მათ ფეხდა-
ფეხ მოსდევდნენ სფეროელნი. დროდადრო ელავდნენ, ყველაფერს
ფერფლავდნენ გზაზე. რაზმეულის ერთმა წევრმა წაიფორხილა,
დაეცა. დანარჩენებმა ექსპერიმენტული ფიზიკის შენობას შეაფა-
რეს თავი. სფეროელებმა დაჭრილი ცალი საცეცით აიტაცეს და
შუშხუნისაკენ გააქანეს. უნდა გენახათ, რა დღეში იყვნენ, როგორ
ზმუოდნენ. ისევ გაბრწყინდა სოკოსებრი ნაგებობა. უხილავმა

ყუმბარამ ობსერვატორიის თაღი გააქრო. ვამეხმა და მიამ ძლივს მოასწრეს გამჭვირვალე მუზარადების ჰერმეტულად ჩაკეტვა. უკვე სახიფათო იყო ოთახში ყოფნა. ქანქარასავით ქანაობდა ობსერვატორიის კედელი. ყოველ წუთს შეიძლებოდა ჩამონგრეულიყო. ეზოდან ატომკარაბინების ბათქი მოისმა. რუმის რაზმი საფარიდან გამოვარდა, ქუჩა გადაირბინეს და სადისპეტჩეროს კარებს იქით მიიმალნენ. სფეროები კარებს შეაღოღდნენ. ვაკუუმოთახის ორმაგი კარი შეირყა. სფეროთა ალყა თანდათან ვიწროვდებოდა. არ ჩქარობდნენ, ჯიუტად მიიწევდნენ წინ.

— „ალბათ, ცოცხლად აპირებენ ხელში ჩაგდებას"—გაიფიქრა ვამეხმა და თოფნაკრავივით შემობრუნდა უეცარი შეხებისაგან. გვერდით მია იდგა, რაღაცას ანიშნებდა ხელით. პირველად ვერ გაიგო, რაში იყო საქმე. მერე მოისაზრა და მიასთან ერთად დერეფანში გავარდა. ბეწვზე გაასწრეს. ობსერვატორიის კედელი ჩამოიქცა. მტვრის კორიანტელმა დაფარა ყველაფერი. ხელის ფათურით მიიკვლევდნენ გზას და დიდი წვალების შემდეგ, როგორც იქნა, გარეთ გააღწიეს, ეზოში გავიდნენ.

სადისპეტჩერო მიწასთან იყო გასწორებული. რუმი რაზმთან ერთად სამალისაკენ გარბოდა. ხანდახან ჩერდებოდა და ატომკარაბინების ქუხილი არემარეს აყრუებდა. სფეროელნი ჩერდებოდნენ. ელოდნენ, სანამ წინ მიმავალი დაიფერფლებოდა და მხოლოდ შემდეგ მიგორავდნენ წინ. რუმი ხეს ამოეფარა. კარაბინი შეათვალიერა. ქამარზე მოისვა ხელი. სათადარიგო ვაზნები გასთავებოდა. ბევრი აღარ უფიქრია. კარაბინი ჯოხივით მოიმარჯვა და პირველსავე სფეროელს თავზე გადაატეხა. სფეროელი ბურთივით შეხტა. გარუჯული ხის ტოტებში გაეჩხირა. მეორე უკანიდან წამოეპარა რუმს და საცეცებით შემოეხვია ფეხებზე. ვამეხმა მია სამალში გაგზავნა, თვითონ რუმისკენ გაეშურა. რეფლექტორის გამშვებს გამოსდო თითი. სფეროელი გაწითლდა და დაიფერფლა. მეორე ადამიანის გამოჩენას სფეროელნი, ეტყობა, არ მოელოდნენ. სფეროებში ჩაძვრნენ და შუშხუნისაკენ გაგორდნენ. ამით ისარგებლა ვამეხმა, რუმს მხარში ამოუდგა და სამალავისაკენ წაიყვანა.

გათავხედებული სფეროელნი წაღმა-უკუღმა დაგორავდნენ ორანჟერეაში. ყველაფერს ანადგურებდნენ, წვავდნენ. გრუხუნით ჩამოინგრა მეორე თაღიც. ცენტრალური ჰელიოელექტროსადგური

განიმუხტა. წამით ცისფერმა ელვამ ხელოვნური მზის ელვარებე დაჩრდილა. ორანჟერეა სფეროებით აივსო. ბრძოლას აზრი აღარ ჰქონდა.

ვამეხმა ენერგიულად მიაბრახუნა კარებზე. ცოტა ხნის შემდეგ გაუღეს და სამალავში შევიდა.

მოულოდნელი სტუმარი

კიდევ კარგა ხანს ისმოდა სფეროელთა ყაპყაპი ორანჟერეიდან, ინგრეოდა შენობები, დამხმარე ნაგებობანი. ნადგურდებოდა ყველაფერი, რაც ადამიანის დაუღალავმა და დაძაბულმა შრომამ შექმნა. მტვრად იქცა უნიკალური აპარატურა და მეტად საჭირო ხელსაწყოები. გადაიბუგა სასოებით მოვლილ-ნაპატრონები ბაღჩა-ბაღები. შინაურ ცხოველთა უმრავლესობა გაწყდა. რაც გადარჩა, ისიც მალე დაიხოცებოდა შიმშილით. გარუჯული ხეები ნაწამები ადამიანებივით იდგნენ აქა-იქ. გავარვარებული მიწა დასკდა, შავი ნაპრალებით დაისერა. თანდათან დაეკარგა ელვარება ხელოვნურ მზეს. არემარეს შავ ლაქებად დააწვა მთათა ჩრდილები. მერე ჩრდილები და გარემო ერთმანეთში აირია, აითქვიფა. უკუნეთმა დაისადგურა.

ზედიზედ დაიქუხა კარაბინებმა. მოულოდნელობით დაფეთებულმა სფეროელებმა გააფთრებით შეუტიეს ცოცხლად დარჩენილებს. ძნელი და იმედგადაწურული იყო უთანასწორო ბრძოლის ბედი. მაგრამ სამალავში შეხიზნულები მაინც არ კარგავდნენ იმედს.

სროლა აღარ განმეორებულა. სფეროელნი თითქოს დამშვიდდნენ. უწყინრად დაგორდნენ ყოფილ ორანჟერეაში. სოკოსებრმა ნაგებობამ ბზრიალი შეწყვიტა. შუშხუნას პირვანდელი ფერი დაუბრუნდა. სფეროებმა ერთხანს კიდევ იწრიალეს ნანგრევებში და როცა დარწმუნდნენ, რომ დასანგრევ-დასაფერფლი აღარაფერი იყო, იქაურობას გაეცალნენ.

ვამეხმა სათადარიგო ტელერადიოლოკატორი ჩართო. მეტრობით დაათვალიერა სამალის ახლომახლო ტერიტორია. ეკრანზე ნანგრევებს ნანგრევი ცვლიდა, დალეწილ ხეებს — დამსხვრეული აპა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატურა. ძლივს გაარჩია ნანგრევებს შორის ადამიანის დასახიჩრებული გვამი.

„ამასაც მოვესწარით“, — გაიფიქრა მან. ეკრანი გამორთო. მეზდრას მოღიმარი სახე წარმოუდგა. — ნუთუ ველარასოდეს ველარ ვიხილავ? ნუთუ მია, რუმი, მე ან სხვები ერთ მშვენიერ დღეს ასე სულელურად, არაფრისათვის დავიხოცებით? რატომ? — ვერ იჯერებდა ვამეხი. ადრე არასოდეს უფიქრია სიკვდილზე. ახლა კი, როცა მისი ცივი სუნთქვა იგრძნო, მოსვენება დაკარგა.

— კარგი ბიჭი იყო მეზდრა, — თქვა ვიღაცამ.

— „მეზდრა?.. რომელი იყო ცუდი?“ — ვამეხი ხალხისკენ მოტრიალდა. — ისინი ბოლომდე ღირსეულად იბრძოდნენ, — თქვა მან.

ყველანი ფეხზე ადგნენ.

* * *

ორმოცდარვა საათი გავიდა დამოუკიდებელი დროით, შორეულ პლანეტაზე კი მხოლოდ ნახევარი ღამე გაილია. კიდევ რამდენიმე საათი და მეექვსე პარალელზე ინათებს. „წითელი ოკეანის“ ნაპირებს ცისფერი დილა ესტუმრება. დილა ახალ დღეს მოიტანს, შორეული პლანეტის ახალი წლის პირველ დღეს. ყოველი წლის პირველ დღეს კი დედამიწიდან ცვლა მოდის.

თუ ამჯერად არ დაიგვიანეს, იქნებ ცოცხლად დარჩენილებს ეშველოთ.

* * *

ვამეხმა თხრობა დაამთავრა, გაჩუმდა. დასახლების უფროსმა მძიმედ ასწია თავი.

— საოცარია, — თქვა მან. — საიდან გაჩნდა შუშხუნაში ჩვენი მსგავსი არსება. რამდენადაც ცნობილია, სამყაროში, დედამიწის გარდა, არ არსებობს ჩვენი ფორმის მსგავსი მოაზროვნე არსებანი.

— ის ჩემზე ნაკლებად არ იყო გაოცებული, როდესაც დამი-

ნახა, — თქვა ვამეხმა. — გაფართოებული თვალებით მიყურებდა. ვინ იცის, იქნებ, ისიც თქვენსავით ფიქრობდა.

შეფმა ხელები გაშალა.

— მაშინ გამოდის, უცნობ პლანეტაზე მამაკაცები რაღაც მიზეზების გამო მხოლოდ სფეროელებად განვითარდნენ, ხოლო ქალებმა სრულყოფილი, დახვეწილი ფორმა მიიღეს.

— ეს ეწინააღმდეგება კოსმოსში ადამიანის მსგავსი არსებების გავრცელების კანონზომიერებას, — შენიშნა რუმმა. — ჩემი აზრით, ისინი ორი სხვადასხვა სამყაროს ცივილიზაციის წარმომადგენლები არიან. თუ ასეა, მაშინ იქნებ ტყვექალთან დაგვემყარებინა ურთიერთობა. მისი დახმარებით გვემოქმედა სფეროელებზე.

— შეუძლებელია, — თქვა ვამეხმა და გაიფიქრა: „რა საოცრად ჰგავდა დიდი ლაპარაკის დროს ჩვენს ტალღაზე შემთხვევით ჩართულ უცნობი სამყაროს დიქტორს. თუმცა მას მაყვალივით შავი თვალები ჰქონდა, ამას კი — გაცრეცილ ცასავით ლურჯი. იგი ორეულივით ჰგავდა ცისას, ეს კი მისი ნეგატიური გამეორებაა. ის იყო პირქუში, შინაგანი ცეცხლით ავსილი, ეს კი — ფერიასავით ნაზი, უსუსური. და მაინც საოცრად ჰგავდა მზისა და მთვარის ზღაპრული ქვეყნის ასულს.“

— თუ უცნობი ქალი მართლა ტყვეა, — თქვა შეფმა, — მაშინ ჩვენი ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა. იგი იძულებულია, კონტაქტი დაამყაროს ჩვენთან.

— ყველა მიმღები მწყობრიდან გამოვიდა, — ამოიოხრა მიამ, თორემ ვცდიდი დაკავშირებას. ჯერ არ მომხდარა, რომ ქალებს ერთმანეთისა არ გაეგოთ.

— ახალი გადამცემი უნდა ავაწყოთ. ზოგიერთი რამ სათადარიგო ნაწილების საწყობის ნანგრევებში შეიძლება აღმოჩნდეს. საინტერესოა, რა ხდება გარეთ. ჩართეთ ეკარნი!

ვამეხმა ბერკეტი გადასწია. საერთო სარგებლობის ეკრანზე დასახლების დანგრეული ტერიტორია გამოიკვეთა. სხვადასხვა ფერად განათებული სფეროები ნანგრევებს შორის დაგორავდნენ ზანტად, უხალისოდ.

— გარეთ გასვლა სახიფათოა, — თქვა რუმმა. — ცოტა კიდევ მოვითმინოთ. ბოლოს და ბოლოს მობეზრდებათ უაზროდ გორვა და გაგვეცლებიან.

— სადამდე! — მოულოდნელად იყვირა რუმმა. მაგიდზე წამოიმართა. გაფითრებული იყო. მრისხანე მზერა მოავლო ხალხს. — ეროვნული ბიბლიოთეკა
კმარა! — ჩურჩულით თქვა ცოტა ხნის შემდეგ.

— რა კმარა? — იკითხა შეფმა.

— ყველაფერი, აბსოლუტურად ყველაფერი! — ამოღერღა რუმმა, — ხელსაწყოები მწყობრიდან გამოვიდა. წყალი თავდება. მალე ჟანგბადის მარაგიც გამოილევა... სამალავი ძმათა სასაფლაო გახდება. — ხელი სიღრმისაკენ გაიშვირა. — არ დაგავიწყდეთ, იქ შეხიზნული ხალხი ჩვენს გადაწყვეტილებას ელოდება, ჩვენ კი... — ხელი ჩაიქნია.

— ნერვებმა გიღალატეს. წადი, დაისვენე.

— ათი საათის შემდეგ ყველანი დავისვენებთ, — ამოგესლა რუმმა.

— სისულელეს ლაპარაკობ! — გაწყრა შეფი. — ასე მხდალებიც არ იქცევიან. შენ კი... მე გამოცდილ კოლონისტად გთვლიდი. ეს რომ ახალბედას ეთქვა, კიდევ ჰო, მაგრამ შენ..

— აღარ შემიძლია გულხელდაკრეფილი ველოდო სიკვდილს, — ვედრებით თქვა რუმმა — გესმით? აღარ შემიძლია! — მუშტი დაარტყა მაგიდას. ბეტატრონს წამოავლო ხელი, გასასვლელისაკენ შებრუნდა. ვამეხი წინ გადაუდგა.

— საით?

— იქ, ბრძოლაში მაინც მოვკვდები.

— სამალის საიდუმლოებას გასცემ. იქ სფეროები დაგორავენ.

— მით უკეთესი, ძვირად დავუსვამ ჩემს სიცოცხლეს.

— აქ შენს გარდა ჩვენცა ვართ. არ გაგიშვებ!

რუმს სისხლი მოაწვა სახეზე, სუნთქვა შეეკრა.

— რა უფლებით! ყველა ჩემი წინაპარი ვაჟკაცურად მოკვდა. ჩვენ სიმხდალე არ გვჩვევია.

— ჩვენც! — ვამეხმა მარწუხივით მოუჭირა მკლავზე ხელი.

პირისპირ იდგნენ. თვალებით ზომავდნენ ერთმანეთს. შემდეგ ვამეხმა ხელი შეუშვა. ისიც ცოტათი დამშვიდდა თითქოს. მიამ რაღაც თქვა, მაგრამ ყურადღება არ მიაქციეს. ვამეხი გვერდზე გადგა.

— წადი, აღარ გაკავებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუმმა ზურგი შეაქცია. ბეტატრონი მაგიდაზე დააგდო. სავარძელში ჩაჯდა. სახე ხელებში ჩამალა.

შეფმა უსიამოვნოდ გააქნია თავი.

— უფრო მეტი სიდინჯე გვმართებს, — თქვა მან, — მეტი თავშეკავებულობა. კინკლაობას გირჩევნიათ გადამცემი დაამონტაჟოთ. ვიდრე ცვლა დაგვიკავშირდება, მზად უნდა იყოს. თქვენ კი, ვამეხ, ორანჟერეაში გადით, დაათვალიერეთ. იქნებ ვინმე გადარჩა, დროზე უნდა ვუშველოთ.

ვამეხი უხმოდ გავიდა მეორე ოთახში. სკაფანდრი მოირგო. ბეტატრონი სამაგრზე ჩამოიკიდა და გარეთ გავიდა. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა სიბნელეში. ღამეში ხედვის აპარატი თვალებზე ჩამოიფარა. განათდა.

დასახლებას ველარ იცნობდი. სადღა იყო ობსერვატორიის მთავარი კორპუსი, ორანჟერეა საცდელი ნაკვეთებით, ზოობაღი ან დამხმარე სათავსოები, დასახლება ნაქალაქარს ჰგავდა. ყველაფერს მუქი ყავისფერი მტვერი ედო. მხოლოდ დამსხვრეული აპარატურა ლაპლაპებდა ვარსკვლავთა შუქზე.

ვამეხმა ქუჩა გადაკვეთა. სადისპეტჩეროსაკენ გაუხვია. ნანგრევებში შევიდა. ძლივს გაარჩია სადისპეტჩეროს მთავარი დარბაზი.

„რამდენიმე საათის წინ ახალწელს ვზეიმობდით, — გაიფიქრა ვამეხმა. — ახლა კი დარჩენილი სიცოცხლის საათებს ვითვლით. ვინ იფიქრებდა?“

ფრთხილად გადადგა ნაბიჯი. ერთადერთ მთელ კედელს შემოუარა. „დარბაზში“ გავიდა. უცებ მუზარადში ჩამალული მიმღები ახმიანდა. ნაცნობმა ხმამ შველა ითხოვა. ვამეხი შედგა. გაკვირვებულმა მიმოიხედა. არავინ ჩანდა.

„ალბათ მომესმა“, — დაასკვნა მან. გზა განაგრძო.

ძახილი განმეორდა.

„მეზდრას ხმაა“, — მინიატურული პელენგატორი ჩართო. პაწია თეთრმა ისარმა ზუსტად განსაზღვრა მიმართულება. ხმა ნანგრევებიდან მოდიოდა.

ნანგრევებს მიადგა. ყველგანმავალის შეტრუსული კორპუსი შეათვალიერა. დიდი წვალებით ჩაამტვრია დეფორმირებული კარი, პროჟექტორი ჩაანათა. ნახვრეტის ვიწრო ყელში მეზდრა გამოჩნდა. ვამეხის დახმარებით ამობობღდა, გასწორდა.

— ეშმაკმა დალახვროს, — თქვა მან. — ბედად გადავრჩი. ყველგანმავალში ჩაჯდომა და კედლის ჩამონგრევა ერთი იყო. ჩვენები როგორ არიან? გადარჩნენ?

— ვინც სამალავში შესვლა მოასწრო, გადარჩა. ვინც ვერ მოასწრო...

— ვიცი, ყველაფერი ჩემს თვალწინ მოხდა. ბევრი ვეცადე, მაგრამ ვერ დავეხმარე. ჩემი სიცოცხლეც ბეწვზე ეკიდა.

— შორს არიან?

— ორანჟერეის დასაწყისში.

ვამეხი ორანჟერეისაკენ წავიდა. მეზდრა გვერდით მიჰყვებოდა. ახლოდან უფრო საზარელი სანახავი იყო ნაომარი ადგილები. დამსკდარი მიწა, დამწვარ-დახრუკული პლასტიკატები, დალეწილი აპარატურა, დაჭმუჭნული რკინის კონსტრუქციები. ლურჯად მოჭიქული ნიადაგი და მტვერი. ყველაფერს ჟანგისფერი მტვერი ედო. ვამეხმა სქელლანჩიანი ფეხსაცმელები შენიშნა. გაოგნებული იდგა. თუმცა ელოდა, მაგრამ ფაქტის დანახვამ სული აუფორიაქა, გონება აემღვრა. მეზდრა მოიხმო, გაირინდა, როდემდის იდგა ასე, აღარ ახსოვს. გონს რომ მოეგო, თავს სძლია და მეგობრის გვამი შედარებით სუფთა ადგილზე გამოათრია. პიროვნების ამოსაცნობი ფირფიტა მოხსნა მკერდიდან, მეზდრას მიაწოდა. რკინის ნაგლეჯი მოძებნა, საფლავის გათხრა დაიწყო.

„ნუთუ ნორმალური სიკვდილის ღირსი აღარა ვართ? მკვდართა ორბიტაც სანატრელი გაგვიხდა. მთელი ამხელა ტანჯვა-წამები წყალში გადაიყარა. რა აზრი ჰქონდა ჩვენს აქ მოსვლას, თუ ყველაფერი ასე უსახელოდ დამთავრდებოდა. განა სიკვდილი იქ არ შეგვეძლო? მაშ აქ რა გვინდა? რისთვის ვიშრომეთ? რისთვის ვთქვიეთ, უარი დედამიწისეულ ბედნიერებაზე? — ამოიოხრა. მიწის თხრას თავი დაანება, მეზდრას დააკვირდა... — იქნებ ესეც მოკვდა და მე მეჩვენება, რომ ცოცხალია? ან ჩემს სიცოცხლეს რაღა ფასი აქვს? ხომ არ სჯობს, საფლავი გავადიდოთ და ყველა შიგ ჩავწვეთ? დიდმა ტრაგედიამ და უმოქმედობამ სიკვდილ-სიცოცხლეს შორის ზღვარი წაშალა. კოსმოსის უკიდეგანო სივრცეში გავითქვიფეთ, დავიკარგენით. — მექანიკურად განაგრძო საფლავის თხრა. ცდილობდა ამაზე აღარ ეფიქრა. მთელ გულისყურს აქსოვდა საქმეს. გულმოდგინედ მუშაობდა, ასწორებდა, ზომავდა. როცა საფლავის

თხრას მორჩა, მეზდრა დაიხმარა და მეგობრის გვამი ორმოში გადაასვენა. მიწა მიაყარა. მერე საიდანღაც რკინის მოზრდილი ნაჭერი მოათრია, თავთან დაუდო. ვარსკვლავთა მკრთალ გამონაშუქზე ძლივს გაარჩევდით წარწერას: „გაკეთებულია სრულიად დედამიწის“ — მერე ასოები აღარ ჩანდა. აი, ყველაფერი, რაც სიკვდილს გადაურჩა და მარადიულობას ეზიარა. ვამეხი ადგა.

— სამალავში წადი, გელოდებიან. მეც მალე მოვალ.

მეზდრამ სიტყვის თქმა დააპირა, მაგრამ ვამეხმა ხელით ანიშნა, წადიო, და ახალ საფლავთან ჩამოჯდა.

მეზდრა წავიდა. ვამეხმა ღამეში ხედვის აპარატი გამორთო. იდუმალებით სავსე სიბნელე შემოეხვია, სულში ჩაუძვრა. დროდადრო შორეული ვარსკვლავიდან ან ნისლოვანებიდან მოსული მკრთალი შუქი აირეკლებოდა საფლავის თავთან დადებულ ლითონზე. ციცინათელასავით გააშუქებდა. ვამეხმა სიბნელეს გაუშტერა თვალი. როცა მობეზრდა, მზერა ზღაპრული ფორმის მწვერვალებით შემორაგულ ჰორიზონტზე გადაიტანა. ნაპერწკლებით და წინწკლული ხავერდოვანი ცა საოცრად დადაბლებულიყო. სადღაც იქ, უსწორმასწორო ჰორიზონტს მიღმა, ახალი დღის მაცნე, ლურჯი მზის პირველი სხივი იბადებოდა. რა იმედებით ელიან ადამიანები ამ დღის მობრძანებას შორეულ პლანეტაზე. განსაკუთრებით ახლა. ნეტა შეიძლებოდეს რამდენიმე საათით მისი მოახლოება. საათი რაა, თუნდაც წუთებით. მაგრამ დრო ბატონობს ყველგან და არა ადამიანი. დრო გვევლინება შემოქმედად. იგი ქმნის გალაქტიკებს, სამყაროებს და თვითონვე სპობს მათ. აბა, პატარა ადამიანს სხვა რა დარჩენია, მორჩილების გარდა.

რადიოსაათმა წკრიალით ჩამორეკა დრო.

„ცოტაღა დარჩა გათენებამდე“, — გაიფიქრა ვამეხმა. საოცარი დაღლა იგრძნო. სხეული მოუდუნდა. სიმთვრალესავით მოერია ძილი. იცოდა, რომ გარეთ ძილი სიკვდილს ნიშნავდა მაგრამ ვერაფრით ვერ გაართვა თავი. ბურუსში გაეხვია, ჩასთვლიმა. არავინ იცის, რამდენ ხანს იქნებოდა ასე, რომ უსიამოვნო გრძნობას არ გამოეფხიზლებინა. ძალდატანებით გაახილა თვალები. ხელისფათურით მოძებნა ღილაკი. ღამეში ხედვის აპარატი ჩართო. იფიქრა მეჩვენებაო. რამდენჯერმე ჩართო და გამორთო აპარატი. არაფერი არ შეცვლილა. ბოლოს ირწმუნა სინამდვილე. გაშრა, გააჟრ-

ჟოლა. სცადა უკან დახევა, ვერ მოახერხა. ლითონივით დამძიმებულიყო.

მის წინ, მტვერში, თავდაყირა ესო სფეროელი. დგრეხილ საცეცებს გველებივით ასავსავებდა. იქვე ეყარა გადახსნილი ნახევარსფეროებიც.

„ნეტავ რამდენ ხანს მეძინა?“ — გაიფიქრა ვამეხმა. ბეტატრონისაკენ გააცურა ხელი. სფეროელს მისი მოძრაობა არ გამოეპარა, უკუ შეტრიალდა, საცეცებით რეფლექტორი მოიმარჯვა, დაუმიზნა. ვამეხი გახევდა.

„კიდევ ერთი საფლავი შეემატება .ამ ცოდვილ პლანეტას. გიხაროდეთ! — მიმართა ვილაცას. — ჩემი აღსასრულიც დადგა. ჩემი დროც ამოიწურა. დიახ, ასეა, ყოველთვის კოკა წყალს არ მოიტანს. ჰოდა, გათავდა, გიხაროდეთ!“ ვის უნდა გახარებოდა? რატომ? არავინ იცოდა.

მაგრამ სფეროელი არ ჩქარობდა. ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა ერთადერთი თვალით. გაოცებული ჩანდა. მერე რამდენჯერმე გარშემო შემოურბინა და ისევ წინიდან დაუდგა.

„ადამიანად არ მთვლის. კარგია, რომ არ ვინძრევი, საგანი ვგონივარ ალბათ“. სფეროელი მიუახლოვდა, საცეცით მხარზე დაეყრდნო, ორი ზევით ასწია და სახეში მყრალი, მომწვანო სითხე შეასხა. სიამოვნებისაგან შეხტა, ნახევარსფეროებს შორის ჩადგა, სფერო შეიკრა და შუშხუნისაკენ გაგორდა.

„ნამდვილად ბედი მწყალობს, ან ამ უბედურებს ჭკუის ნატამალი არ გააჩნიათ.“

ხმაური მოესმა. ადროვა, როცა სფერო თვალს მოეფარა, წამოდგა. მინდორში სფეროებს დიდი წრე შეეკრათ და ყაპყაპებდნენ. ვამეხმა წინ წაიწია.

„თუ ყველაფერი თავიდან დაიწყო, დავიღუპეთ“, — მოხერხებული საფარი შეარჩია სათვალთვალოდ.

შუშხუნიდან გადმოგდებული მდიდრულად მორთული ტახტრევანი სფეროელებმა საცეცებით აიტაცეს და დიდი ზარ-ზეიმით დაასვენეს წრის შუაგულში. მერე უკან გაქანდნენ. ორ რიგად მოეწყვნენ შუშხუნასა და ტახტრევანს შორის. გაისუსენ. კარებში ქალის სილუეტი გამოიკვეთა.

— „ტყვექალი!“ — იცნო ვამეხმა.

ტყვექალს ვიღაცამ უკანიდან საცეცი ჰკრა, გადმოაგდო. სფეროელებმა ჰაერში დაიჭირეს იგი, ფრთხილად დაუშვეს მიწაზე. გაირინდნენ. კარებში დიდთავა სფეროელი გამოჩნდა. მკაცრად გადახედა მრევლს. უცნაური ხმა გამოსცა. შეიკუნტრუშა, ჩამოხტა. უნდა გენახათ სფეროელთა აღტაცება, როდესაც დიდთავამ ტყვექალი საცეცით აიტაცა და მოსწორებული მოედნისაკენ გაქანდა. გეგონებოდათ, მეორედ მოსვლაა. ერთმანეთს ეხეთქებოდნენ, ხტოდნენ, კიოდნენ. მტვრის კორიანტელმა დაფარა იქაურობა. დიდთავამ ქალი ტახტრევანზე დააგდო, მთელი ხმით იყვირა:

— ეკო! — თავზე წაიშინა საცეცები, ისე მაგრად, რომ ვამეხს ბრაგა-ბრუგის ხმა მოესმა. მერე შეხტა და უსიცოცხლო თოჯინასავით დაეკოსა ტყვექალის გვერდით.

სფეროელებმა დიდი წრე შეკრეს. შუშხუნიდან ორი ერთი ფერის სფერო ჩამოხტა. წრეში მდგართ მწვანე კონუსები ჩამოურიგა. დიდთავას კი ოციოდე სხვადასხვა ფერის კონუსი დაულაგეს. დიდთავა თავაწეული იჯდა, ვერ გაიგებდით, ლოცულობდა თუ ვარსკვლავებს ესაუბრებოდა. უცებ სფეროელებმა კონუსი პირში ჩაიჩარეს, სითხე გამოსცალეს და ცარიელი კონუსები ერთმანეთს თავზე გადაამტვრიეს, წრე გამრუდდა, დაირღვა სიმეტრია. სფეროელებმა რწევა დაიწყეს.

„გამარჯვებას თუ ზეიმობენ“, — გაიფიქრა ვამეხმა, გვერდი შეინაცვლა.

ერთმა სფეროელმა დიდთავას მოწიწებით მიართვა ვარდისფერი მილი. დიდთავა ზედ დააჯდა. გაისმა ჯოჯოხეთური ხმები, ყიჟინა. სფეროელებმა როკვა დაიწყეს. ბურთივით ხტოდნენ, თავდაყირა ესობოდნენ, საცეცებს ასავსავებდნენ, ბუქნავდნენ. დიდთავა თანდათან გამოცოცხლდა; გაიბერა — გაიფუყა, გაწითლდა, ტყვექალს საცეცი გაჰკრა, შეხტა, თავდაყირა დაესო. ტყვექალი არც განძრეულა, ალბათ შეჩვეული იყო ასეთ მოპყრობას.

ვამეხი ისე გაიტაცა ამ სანახაობამ, რომ სულ გადაავიწყდა, სად იმყოფებოდა. გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს. ცდილობდა არაფერი გამოჰპარვოდა.

დიდთავა რწევა-რწევით წამოდგა, ზამბარასავით დაიჭიმა, ჯერ ერთი საცეცი ასწია, მერე მეორე. შეხტა, დაიკლაკნა. ხტუნვა დაიწყო. ამასღა ელოდნენ. სფეროელნი ზღაპრულ ილეთებზე გადავიდ-

ნენ. ჰაერში ციბრუტივით ბზრიალებდნენ, უცნაურად იგრიხებოდნენ. გულისწამღებად ჭყვიტინებდა მილისმაგვარი საკრავი. მოედანი მროკავ სფეროელთა ფეხქვეშ ზანზარებდა. ყველაფერი აირია, აითქვიფა. ტყვექალი ადგა, თვალი მოავლო შეშლილ სფეროელთ და უხმოდ გაეცალა იქაურობას.

ოდნავ ინათა, უფრო სწორედ, პირველად მგრძნობიარე ხელსაწყოებმა იგრძნეს მისი მოახლოება. ეს მათთვის თენდებოდა პირველად. გაივლის ხანი და „ტექნიკურ განთიადს“ ნამდვილი დილა მოჰყვება. ყველაზე დიდი და ბედნიერი დღის დასაწყისი. ვამეხმა ღამეში ხედვის აპარატი გამორთო. ვისაც დღის ამ დროს უვლია გარეთ, მხოლოდ მას ესმის „ტექნიკური განთიადის“ მთელი მშვენება. ირგვლივ უკუნეთია, მაგრამ გრძნობ, უფრო გრძნობ, ვიდრე ხედავ, რომ ღამე გატყდა, გაილია. სადღაც შორს, გამუქებულ ჰორიზონტს ფერი ეკარგება. მთის მწვერვალები კუნძულებივით რონინობენ შავ ფონზე. შემდეგ მგრძნობიარე თვალი კუპრივით შედედებულ ღამეში ცვლილებას ამჩნევს. იწყება ფერთა დაბადება. ვამეხი იდგა და თვალს ვერ აშორებდა აღმოსავლეთს, სადაც იმედებით სავსე დილა უნდა გამოჩენილიყო.

მტვრევის ხმამ გამოარკვია. სფეროელნი ტახტრევანს ლეწდნენ. ზიზღით მოარიდა თვალი. სამალავისაკენ გაემართა. საფლავთან შედგა, პატივი სცა მეგობრის ხსოვნას. გადაბუგული ორანჟერეა გაიარა და სამალავში შევიდა.

— რა ხდება? — შეაგება კითხვა შეფმა.

ვამეხმა მუზარადი მოიხსნა.

— თუ მათ მოქმედებას რაიმე აზრი აქვს, გამარჯვებას უნდა ზეიმობდნენ.

— გზაში მარტოხელა სფერო თუ შენიშნე?

— არა, რა იყო?

— წეღან სამალავის შორიახლო დაგორავდა. ალბათ ჩვენს ადგილსამყოფლს დაეძებს.

არა მგონია. ისინი დარწმუნებული არიან, რომ დავიღუპეთ.

სათვალთვალო საკანთან მდგომი მია ელდანაცემი მოტრიალდა.

— კარებთან სფეროა, — ჩურჩულით თქვა მან.

— სფერო? — გაიმეორა რამდენიმე კაცმა ერთდროულად.

კარებზე ვიღაცამ დააბრახუნა. არაადამიანური ძალით მოაწვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუმმა ელექტროიმპულსატორს წამოავლო ხელი, კარებთან დადგა, დანარჩენები დარბაზში ჩასაფრდნენ.

ბრახუნი განმეორდა.

— მე თუ გამომყვა, — თქვა ვამეხმა. — ან იქნებ რომელიმე მთვრალმა „რაინდმა“ ღონის მოსინჯვა გადაწყვიტა. ორივე შემთხვევაში აქ უნდა მივიღოთ, აქ იოლად გავუსწორდებით. შემოუშვით!

— სამალავის საიდუმლოებას გავცემთ.

— შემოუშვით! — თქვა შეფმა.

ეს უკვე ბრძანება იყო. ხმაურით გაიღო ვაკუუმოთახის კარი. სფერო შემოგორდა და ცისფერი ნათებით აავსო იქაურობა. დატრიალდა. მცირე დარბაზში გადმოინაცვლა, გაუფერულდა, ჩაქრა. კარგა ხანს იდგა გაუნძრევლად, მერე უცებ შუაგადაიხსნა.

„ნამდვილად გავგიჟდები“, — გაიფიქრა ვამეხმა. თვალები დააჭყიტა.

გადახსნილ სფეროებს შორის ტყვექალი იდგა. ამაყი, ნახევრად შიშველი. მიასკენ წარსდგა ნაბიჯი. გაშლილი ხელი ასწია, ჩაიღიღინა:

— ტაბია ბოა.

მამაკაცები უხერხულად შეიშმუშნენ.

— ტაბია. — გაიმეორა ტყვექალმა. ვამეხს მოუბრუნდა, ორივე ხელი დაადო მხარზე. — ტაბია, ბოა, ბია. — ტყვექალმა კარებზე მიუთითა.

— რაღაცას გვანიშნებს, — თქვა რუმმა. — იქნებ ვინმე ელოდება, ან მდევარის ეშინია. რას გაჩუმებულხართ? ხმა ამოიღეთ!

— სხვა ოთახში გადავიყვანოთ, თუნდაც ჩემთან, ჩვენ კი მოვითათბიროთ — თქვა ვამეხმა.

რუმს გაეღიმა.

— მოსასვენებლად მიას ოთახი აჯობებს.

— მართალია, — დაეთანხმა ვამეხი. — მაგრამ რა ვუთხრათ? რა ენაზე ველაპარაკოთ? როგორ გავაგებინოთ?

უხერხული დუმილი ჩამოვარდა. ტყვექალი ყურადღებით ათვალიერებდა დარბაზში შეკრებილთ. ისე ეჭირა თავი, თითქოს მისთვის ყველაფერი გარკვეული და ნათელი იყო. აქაოდა, არაფერი მომხდარაო. ბოლოს მიამ გაბედა. ფრთხილად მოჰხვია ხელი, გასასვლელისაკენ მიიპატიჟა. ქალი მორჩილად გაჰყვა.

მამაკაცებმა თავისუფლად ამოისუთქეს. გათამამდნენ. ენაც გაიკრიფნენ. მთელ იმედებს ტყვექალზე ამყარებდნენ. რა ვარიანტი აღარ მოიფიქრეს. რა ხერხი არ მოიგონეს. მთასა და ბარს მოედნენ. ბევრი იქაქანეს, მაგრამ ვერაფერზე შეთანხმდნენ.

— რუმს დაევალოს საერთო ენის გამონახვა, — თქვა ბოლოს შეფმა, — ეს მისი პირდაპირი მოვალეობაა.

— უნდა სცადო, — გაამხნევა ვამეხმა. — რაც არ უნდა იყოს...

— მეტისმეტად ხომ არ დაგვაგვიანდა? — შეაწყვეტინა რუმმა, — ვის რაში სჭირდება სიკვდილის წინ მეცნიერული ექსპერიმენტები. ესეც არ იყოს, ქალებთან შენ უფრო პოულობ საერთო ენას.

ვამეხმა წყენა არ შეიმჩნია.

„შესაძლებელია, — დაეთანხმა იგი, — მაგრამ შენ მაინც უნდა სცადო.

— ვცადო?.. რატომ? ხომ არ დაგავიწყდათ, რომ ჩვენი სიცოცხლე გარკვეული დროიდან ჟანგბადის მარაგით განისაზღვრა? იცით, რამდენ ხანს გვეყოფა ჟანგბადი?

— ცხრა საათს.

— ცხრა? — რუმმა ნაძალადევად გაიღიმა. — სცდებით, ბატონებო, ცდებით! ახლა ერთი ადამიანით მეტი ვართ და ჩვენი სიცოცხლე შესაბამისად შემცირდა.

— ერთ ადამიანს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს.

— რასაკვირველია, — პათეტიკურად გაჭიმა სიტყვა რუმმა. — რა მნიშვნელობა აქვს, თხუთმეტი წუთით ადრე გაიგუდები, თუ გვიან.

— კმარა! — მოჭრა ვამეხმა. — ტყვექალს ჩემი ულუფიდან მივცემ ჟანგბადს. შეგიძლიათ დამშვიდდეთ. იცოცხლებთ იმდენს რამდენიც გეკუთვნით.

რუმმა შუბლი მოისრისა.

„რა მომდის? რა მემართება?“ — გაიფიქრა მან.

უკვე საკმაოდ ინათა. სფეროელნი კი ძველებურად როკავდნენ ჭყვიტინა მუსიკის ტაქტზე. ვამეხი თვალს არ აშორებდა მათ მოძრაობას და უცებ ზეშთაგონება ეწვია. სფეროელთა მოძრაობასა და ქცევაში რაღაც მანქანური, არაადამიანური შეიცნო. სახეზე ნათელი მოეფინა. იმედის ნაპერწკალმა იფეთქა.

„საჭიროა მხოლოდ დამტკიცება. რუმმა თუ საერთო ენის გამონახვა მოახერხა, იქნებ ყველაფერი გაირკვეს... ან იქნებ მართლა მე ვცადო?...“

მუსიკა შეწყდა. სფეროელებმა როკვა შეწყვიტეს, იქვე გაგორდნენ მტვერში. შუშხუნიდან სფერო ჩამოხტა, დიდთავასთან მიგორდა, ყვითელი სითხე გადაასხა თავზე. ალაპარაკდა. დიდებულმა საცეცებიდან დაიწყო გაწითლება. მთელ ტანს მოედო. ნაკვერჩხალს დაემსგავსა. გასივდა.

„ნეტა რა უთხრეს ასეთი?“ — გაიფიქრა ვამეხმა.

იდეალური სიწყნარე დაირღვა. ყველაფერმა სული ჩაიდგა, ამოძრავდა. დიდთავა ხტუნვა-ხტუნვით გაიქცა შუშხუნისაკენ. სფეროელნი სფეროებში ჩასხდნენ, მინდორში გაიფანტნენ. ერთი ჯგუფი დასახლებისაკენ გამოგორდა.

ოთახში ტექნიკური სამსახურის ცვლის უფროსი შემოვიდა. ძლივს სუნთქავდა. ცხვირსახოცით იწმენდდა გაოფლილ სახეს.

— ხელოვნური წყლის გამომმუშავებელი სათადარიგო აპარატი მწყობრიდან გამოვიდა.

შეფმა მძიმედ ასწია თავი.

— რამდენი დარჩა?

— უკანასკნელი რეზერვუარი დავცალეთ.

— არაფერია, — ანუგეშა შეფმა. — გაეცით ხელშეუხებელი მარაგიდან. მხოლოდ ექვს საათს უნდა გავძლოთ, ექვსს! ექვსი საათის შემდეგ ცვლა მოვა და ყველაფერი ბევრი გვექნება.

— ხუმრობთ?

— ასეთ დროს არ ხუმრობენ, — შეფი წამოდგა. ეს წუთია ველაპარაკეთ მაშველი ჯგუფის ვარსკვლავთმფრენის კაპიტანს. საჭიროა ექვს საათს გავძლოთ.. გესმით?! ასე გადაეცით სხვებსაც.

ვამეხმა ტუჩზე იკბინა. მან კარგად იცოდა, რომ შეფი ტყუოდა. არავითარი მაშველი ჯგუფი არ არსებობს, არავითარი კაპიტანი. ყველაფერი მოგონილია. უბრალოდ ექვსი საათის შემდეგ ჟანგბადის მარაგი გამოილევა და... დანარჩენი თავისთავად ნათელია.

— ჰო, ველაპარაკეთ, — მისდაუნებურად დაემოწმა ვამეხი შეფს. — ზუსტად ექვსი სათის შემდეგ აქ იქნებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიმედებული ცვლის უფროსი გახარებული გავიდა ოთახი-დან. ვამეხისა და დასახლების უფროსის მზერა ერთმანეთს შეხვდა. შეფმა სიკვდილმისჯილივით დახარა თავი.

გ ა ნ წ ი რ უ ლ ნ ი

როგორც იქნა, გადამცემი დაამონტაჟეს, მაგრამ შუშხუნას ვერ დაუკავშირდნენ. იგი ან გადამცემის მოქმედების სფეროს გარეთ იმყოფებოდა, ან მიმღები ვერ ღებულობდა სიგნალებს. ყოველი წუთი, ყოველი წამი აახლოებდა საბედისწერო ფინალს. განწირულნი ინერციით განაგრძობდნენ ცხოვრებას. მექანიკურად აკეთებდნენ ყველაფერს. შეფი გამომთვლელი მანქანის „გულში“ იქექებოდა. ვამეხი გაუნძრევლად იჯდა და ვერ გაიგებდი, ფიქრობდა თუ ეძინა, მხოლოდ მეზდრა ფხიზლობდა. ხან რას იგონებდა გასართობად და ხან რას. ახლა ჭადრაკი ჩართო პირადი სარგებლობის ეკრანზე. „კოსმოსური თავსატეხის“ ამოხსნას შეუდგა. ერთი-ორი სვლა გააკეთა. ჩაფიქრდა.

— ჩემთან ვიქნები, — თქვა რუმმა და კარებისაკენ შებრუნდა.

— არა, მოიცა, — შეაჩერა შეფმა, — დარჩი, საჭირო ხარ. იქნებ საავარიო მაცნე შუშხუნები ავუშვათ. რას იტყვი?

— უაზრობაა. ადგილსამყოფელს გავცემთ. სფეროელნი უფრო ადრე გაგვანადგურებენ, ვიდრე ჟანგბადი გამოგველევა.

— მე კი მგონია, ეს ერთადერთი გამოსავალია. თუ ჩვენებმა დროზე შენიშნეს შუშხუნები. ვფიქრობ სფეროელთა თავდასხმის შემთხვევაშიც კი გავძლებთ მათ მოსვლამდე. რა სისტემის შუშხუნებს მირჩევთ?

რუმმა მხრები აიჩეჩა.

— ასეთ დროს ყველაზე ეფექტურია აემ-41.

— კეთილი, იყოს აემ-41. მოამზადეთ სამი შუშხუნა. ზუსტად ათი წუთის შემდეგ მიეცით სტარტი.

რუმმა ენის წვერზე მომდგარი კითხვა უკან დააბრუნა.

„ბოლოს და ბოლოს რა მნიშვნელობა აქვს, რას გავაკეთებ, —

გაიფიქრა, — მთავარია რაღაც ვაკეთო...“ — კარები გააღო, დერეფანში გავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვამეხმა თვალი გაახილა. ზლაზვნით წამოდგა, თითქოს ეს წუთია, გაიღვიძაო. მიასთან მივიდა, ყასიდად იკითხა:

— ტყვექალი რას აკეთებს?

— ჩემთანაა, დგას და სამყაროს რუკას ათვალიერებს.

ვამეხმა უაზრო მზერა მოავლო ოთახს.

— რა გავაკეთო? წავალ, გავივლი.

მკრთალად განათებულ დერეფანში ადამიანის სილუეტს მოჰკრა თვალი. შედგა. კარგად დააკვირდა და იცნო. მიას ოთახთან რუმი იდგა, კარის სახელურს აწვალებდა. ვერ გადაეწყვიტა, შესულიყო თუ არა. ვამეხი ფეხაკრეფით მიუახლოვდა. ჩაახველა. რუმი დამნაშავესავით შემობრუნდა.

— მიას ნახვა ხომ არ გინდა? — გაკენწლა ვამეხმა.

— ჰო, არა... — დაიბნა რუმი. — ისე უბრალოდ. ვიფიქრე... შენ აქ რა გინდა?

— მე? მეც ისე... რაღაც ხომ უნდა გავაკეთო? ჰოდა, ვიფიქრე... შუშხუნების რა ჰქენი?

— ნუთუ შენც გჯერა ამ მასკარადის?

— ნუ ფილოსოფოსობ, რუმ. გააკეთე, რაც გევალება.

რუმმა ამოიოხრა.

— რას იზამ. რახან ყველამ პირი შეჰკარით, წავალ. ღმერთმა ხელი მოგიმართოს.

რუმის ბეჭებში მოხრილი ფიგურა დერეფნის სიღრმეში გაუჩინარდა. ვამეხი ერთხანს იდგა, მერე სახელური მოსწია და ოთახში შევიდა.

ტყვექალმა თავი ასწია, სევდიანი თვალები მიაპყრო ვამეხს. ადგა. სახეზე ჩამოშლილი თმები უკან გადაიყარა. ორივე ხელი წინ გაიშვირა.

— აბუა, ბია, — ჩაიღიღინა მან.

ვამეხი თვალს ვერ აშორებდა ტყვექალს. მის ყოველ ნაკვთს ზომავდა, წონიდა.

„ასეთი დახვეწილი ნაკვთები მხოლოდ ცივილიზებულ, მაღალი კულტურის ხალხს შეიძლება ჰქონდეს. ბიოლოგიური პროგრესი წარმოუდგენელია აზრობრივი განვითარების გარეშე. იქნებ ჩვენ

მართლა გავუგოთ ერთმანეთს. მაგრამ, ვაი, რომ მეტისმეტადაგვიანია, — ირონიულად გაიღიმა.

ტყვექალმა მხრებზე დაადო ხელი. რაღაც ჩაიღიღინა. ვამეხმა სიტყვები ვერ გაარჩია.

„როგორ ჰგავს ცისას“, — გაიფიქრა საოცარი მსგავსებით გაკვირვებულმა.

ტყვექალმა შუბლი შეჭმუხნა. ეტყობოდა, რაღაცაზე ფიქრობდა. ბოლოს თქვა:

— ცი.

„ნუთუ აზრების კითხვაც შეუძლია? — გაოცდა ვამეხი. — თუ ასეა, იოლად გამიგებს“, — გათამამდა, გაშლილი ხელი დაადო მკერდზე. თქვა:

— ვამეხ.

— ვა, — გაიმეორა ტყვექალმა.

ვამეხმა რამდენჯერმე მიიდო გაშლილი ხელი მკერდზე, დამარცვლით გაიმეორა თავისი სახელი. მერე ფაქიზად შეეხო ტყვექალს. თვალებში ჩახედა. ქალი ჩაფიქრდა. ხან ვამეხს უყურებდა, ხან მკერდზე დადებულ ხელს.

— იოგა, — თქვა მცირე დუმილის შემდეგ.

— იოგა? — გაიმეორა ვამეხმა. „მგონი, რაღაც გამოდის. — ხალისი მოემატა. — თუ რამე გავაგებინე, იქნებ გვეშველოს.“

ვამეხი დაძაბული ფიქრობდა. უცებ გაახსენდა, რომ ყველაზე გასაგები მათთვის კოსმოსი იყო. სამყაროს რუკასთან მივიდა. მზის სისტემა მოძებნა და პაწაწკინტელა ცისფერ წერტილს თითი დაადო.

— დედამიწა, — თქვა ვამეხმა.

ტყვექალი გაირინდა. თვალები მოწკურა, სუნთქვაც კი შეწყვიტა.

— ნაუმა, — თქვა ბოლოს, ვამეხთან მივიდა.

— დედამიწა, გაიმეორა ვამეხმა და რამდენჯერმე დაჭკრა თითი პაწაწკინტელა წერტილს.

— დეა, — წაუმღერა ტყვექალმა. ხალისით მოავლო თვალი რუკას. დიდხანს ათვალიერებდა, თან ღიღინებდა. ცენტავრას თანავარსკვლავედი მოძებნა. თავისუფალ ადგილს დაადო თითი.

— ნაუმა, — თქვა მან.

ვამეხი რუკას დააკვირდა. იქ, სადაც ტყვექალს თითი ედო, არა-

ფერი არ იყო აღნიშნული. უფრო მეტიც: რამდენიმე პარსეკის მანძილზე სიცარიელე სუფევდა. მართალია, უახლოესი მზე გიგანტთა ჯგუფს ეკუთვნოდა, მაგრამ რამდენადაც ცნობილია, ასეთ მზეებს პლანეტები არ გააჩნიათ. ვამეხმა გაკვირვებით შეხედა ტყვექალს.

— ნაუმა მია ისა, — თქვა ტყვექალმა. მერე დედამიწას დაადო თითი, ჩაიღიღინა: — დეა.

— დედამიწა, — გაუსწორა ვამეხმა და საკუთარ თავზე გაეცინა: „ორ წუთში მინდა ლაპარაკი ვასწავლო“.

ტყვექალმა ისევ დაადო თავისუფალ ადგილს თითი. ჩაიღიღინა:

— ნაუმა, ნაუმა, ნაუმა.

ერთი რამ ცხადი იყო. ტყვექალს ან წარმოდგენა არ ჰქონდა სამყაროზე, ან იქ, სადაც თითი ედო, მართლაც არსებობდა მზის სისტემა, რომლის შესახებ დედამიწაზე არაფერი იცოდნენ. ეს ფაქტი ტყვექალის განსაკუთრებულ განათლებაზე ლაპარაკობდა. უკიდეგანო სამყაროში იმდენი მზის სისტემაა გაბნეული, რომ მათი ცოდნა წარმოუდგენელია. ბოლოს არსებობდა კიდევ ერთი „მაგრამ“ — ტყვექალის ენის თავისებურება. იქნებ ნაუმა სულაც არ ნიშნავს მზის სისტემას ან პლანეტას. ხომ შეიძლება რომელიმე ნისლოვანების, ან უბრალოდ საჭმელის სახელი იყო. ვინ იცის? ვამეხმა ყოველ შემთხვევისათვის, იმ ადგილას, სადაც ქალს თითი ედო, ვიბროკალმით პატარა წრე მოხაზა. ნაუმა მიაწერა.

— ნაუმა, ნაუმა! — წამოიძახა ტყვექალმა. გახალისდა. თხელი მოსასხამი დაკეცა, ფეხქვეშ დაიგო. ხელები აღაპყრო, აბუტბუტდა. სახე აემღვრა, თვალები დაუნაკვერჩხლდა. ვამეხმა საამო თავბრუდახვევა იგრძნო. თვალებზე ბინდი ჩამოეფარა. გრძნობდა, რომ, რასაც აკეთებდა, არ უნდა გაეკეთებინა. მაგრამ ვერ ერეოდა თავს. სურვილის წინააღმდეგ მივიდა ქალთან, დაიჩოქა. ტყვექალმა ორივე ხელი დაადო თავზე. ვამეხს ნიადაგი გამოეცალა ფეხქვეშ. ამსუბუქდა, გაფრინდა. ყველაზე საოცარი ის იყო, რომ არაფერში არ იჯდა, სკაფანდრიც კი არ ეცვა. მერე კოსმოსი გაჰქრა. ხაზებით დასერილი დედამიწისმსგავსი პლანეტა გამოჩნდა. ხაზები თანდათან გამსხვილდა, გიგანტურ მილებს დაემსგავსა. დააკვირდა, მილები თრთოდნენ. საერთოდ მთელი პლანეტა საოცრად ჰგავდა ცოცხალ ორგანიზმს. როდესაც უფრო მიუახლოვდა, ატმოსფეროში ადამია-

ნისმსგავსი არსებანი გაარჩია. ისინი თევზებივით მოძრაობდნენ ჰაერში. ერთ საოცრებას მეორე ცვლიდა. აი, გაუფერულდა — გაჰქრა ცადაზიდული ნემსისმაგვარი ყვითელი ნაგებობა. მის ადგილას მომწვანო-მოყვითალო გუმბათოვანი დარბაზი გაჩნდა. დარბაზი ხალხით იყო სავსე. ქალები ჭარბობდნენ. აქა-იქ კაცებიც ისხდნენ, მაგრამ ქალებისგან ვერ გაარჩევდით. დარბაზის შუაგულში, კვარცხლბეკივით შემაღლებულ ადგილას, ტყვექალი იდგა ხელაწეული. ყოველ მის სიტყვაზე დარბაზი გუგუნებდა. ლაპარაკობდა ვამეხის მშობლიურ ენაზე — ქართულად. რომელიღაც ახალ ბიორობოტებს აქებდა. უცებ ყველა და ყველაფერი გაქრა. ვამეხი წყვდიადში მოექცა. მერე ოდნავ ინათა. თანდათან მოეცა გონს. ნელა ასწია დამძიმებული ქუთუთოები. გამოერკვა, შეშინებული წამოხტა.

ტყვექალი თავაწეული, შეშლილი თვალებით ჩაშტერებოდა ერთ წერტილს. ბურუსივით ეხვია ჩამოშლილი თმები. სიმივით დაჭიმულიყო. ამქვეყნიურს არა ჰგავდა. უცებ ჩაიმუხლა, სახეზე ხელები აიფარა. ატირდა.

ვამეხს მოეჩვენა, თითქოს უსაყვარლესი ქანდაკება დაემსხვრა. გული შეეკუმშა. მიუახლოვდა, მხარზე მოუთათუნა ხელი.

სადღაც დაიგრუხუნა. ტყვექალი შეკრთა. ადგა.

— მეობა ბია, — ჩაიღიღინა.

„არა, ზეციერო, — ეს უკვე დასასრულია, — გაიფიქრა ვამეხმა. — მშვიდობით, ფერიავ. ჩვენ უდროო დროს შევხვდით. — ნაძალადევად გაუღიმა. — სხვა დროს რომ შევხვედროდით, რა მოხდებოდა? არაფერი, აბსოლუტურად არაფერი“, — თითქოსდა საკუთარ თავს ანუგეშებსო. თვალი მოარიდა.

ისევ დაიგრუხუნა. ამჯერად ახლოს.

— მეობა ბია, — ისევ ჩაიღიღინა ქალმა.

„შენ რა, ჩვენ ვიკითხოთ, — გაიფიქრა ვამეხმა. — ჩვენი მტერი შენი მოკეთეა. ტყუილუბრალოდ არ გაგწირავენ. საცარი ახალი წელი გათენდა. გათენდა კია?“ — კარგად იყავი. — თქვა ხმამაღლა და, რომ ცდუნებას არ აჰყოლოდა, სწრაფად გავიდა ოთახიდან.

— მეობა ბია. — დაადევნა ღიღინი ქალმა. ვამეხს სიტყვები არ გაუგია. სწრაფად მოიხურა კარები. დერეფანში რუმს შეეჩეხა.

— თავს როგორა გრძნობს ტყვექალი? — მრავალმნიშვნელოვნად შეეკითხა რუმი.

ვამეხმა არ უპასუხა.

— მესმის, მესმის, — გაზვიადებით განაგრძო რუმმა. — სიკვდილის წინ თქვენი პოეტური სული შთაგონების წყაროს ეძებდა. უკვე მოხაზეთ უკვდავი სტრიქონები, რითმები, რიტმი... გადაიხარხარა. — სისულელეა. ყველაფერი სისულელეა სიკვდილის გარდა. მხოლოდ სიკვდილშია პოეტური სრულყოფა... უცებ დასერიოზულდა და ყალბი პათოსით განაგრძო: — სამწუხაროა მხოლოდ, რომ უცნობი სამყაროს ასული ჩვენს უსუსურობას უნდა შეეწიროს.

— ტყვექალს ჩემს წილ ჟანგბადს მივცემ, ამასობაში ჩვენებიც მოვლენ.

— დაგაგვიანდათ, ვაჟბატონო, მე უკვე მივეცი ჩემი ულუფიდან.

— შენ?

— რა მოხდა? არ მოელოდი? — ღიმილი მოეფინა სახეზე. რუმს მხოლოდ რამდენიმე წუთის სიცოცხლე დარჩა. ხუთის, თხუთმეტის, დავუშვათ, ოცის. მე აღარაფერს აღარ წარმოვადგენ. ყველაფერმა ამ პატარა ჟანგბადის ბალონში მოიყარა თავი. მე აღარ განვაგებ ჩემს სიცოცხლეს. სასაცილოა, არა?

— ეს არ მოხდება. ჟანგბადს თანაბრად გავინაწილებთ. თუ სხვა გამოსავალი არ არსებობს, ყველანი ერთად დავიხოცებით.

— არა, შენ უნდა იცოცხლო. შენ დედამიწაზე გელოდებიან. მე კი არავინ მელის.

— სისულელეს ლაპარაკობ!

სადღაც, სულ ახლოს, ბათქით ჩამოიქცა კლდე. ძირფესვიანად შეირყა სამალავი. დერეფნისა და მცირე დარბაზის გამყოფი კარი ჩამოვარდა. მიმქრალ შუქზე მიას შეწუხებული სახე გამოჩნდა.

— ვიჩქაროთ, რუმ! — იყვირა ვამეხმა.

ლურჯად ჩამოიფერა კამკამა ცა. ჰორიზონტს გვირგვინად დაადგა ცისფერი მზე. მთათა ჩრდილები ზღაპრულ სურათებად გაწვნენ დაბლობებში. ნაპრალებში შუქმა ჩაიხედა. დანგრეულ-დალეწილი დასახლება დღის შუქზე უფრო შესაზარი შესახედი იყო. ყველგან, სადაც კი თვალი მიგიწვდებოდათ, სფეროები დაგორავდნენ. სოკოსებრი ნაგებობა ციბრუტივით ბზრიალებდა. მტვრის

კორიანტელი ცას სწვდებოდა. ზოგიერთ სამალავში ნაბზარი გაჩნდა. ოთახებში დაგროვილი ჟანგბადი გაიპარა ნახვრეტებიდან. ... ხიზნულმა ხალხმა ნიღბები გაიკეთა.

როგორც იქნა, სფეროელებმა მიაგნეს სამალავს, გააფთრებით შემოუტიეს. ზედიზედ იძრა მიწა. სულ ახლოს უხილავი ყუმბარა გასკდა. თაღი დაიბზარა. მამაკაცებმა დერეფნისკენ დაიხიეს. ჩამონგრეულ თაღში სფეროელის მახინჯი თავი გამოჩნდა. ვამეხმა ბეტატრონის გამშვებს გამოსდო თითი. სფეროელი ფერფლად მოეფინა იატაკს.

რუმმა საათზე დაიხედა, დერეფნისაკენ დაიწყო გადანაცვლება. მცირე დარბაზის შემოსასვლელი ჩამოინგრა. სფეროელნი ოთახში შემოცვივდნენ. ვამეხმა ავტომატურზე გადართო ბეტატრონი. კარებთან რუმმა ჩაიმუხლა. შეფი და მია კედელთან იდგნენ. სფეროელნი აღარ ისროდნენ, მხოლოდ ელავდნენ და ჯიუტად მიიწევდნენ წინ.

— ჩქარა დერეფანში! — იყვირა ვამეხმა.

ფეხად გაასწრეს. ორმაგი კარები ჩამრაზით ჩაკეტეს. სიღრმისაკენ გაეშურნენ. მიას ოთახთან ვამეხმა წაიბორძიკა, დაეცა. იქვე რუმი ეგდო. სიკვდილს ებრძოდა. ჟანგბადის მაჩვენებელი ისარი ნულზე იყო დასული. სწრაფად მოიხსნა ნიღაბი, რუმს გაუკეთა. დიდი წვალებით წამოდგა. გაიფიქრა: „ოთახში შესვლა უნდა მოვასწრო“, — რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, ყელზე იტაცა ხელი.

„აქედანაც გაპარულა ჟანგბადი, — გაუელვა თავში. — რადაც არ უნდა დამიჯდეს, ოთახში უნდა შევასწრო... კიდევ რამდენიმე ნაბიჯი...“

მუხლები მოეკვეთა, წაიფორხილა, ზედ კართან ჩაიმუხლა. წამოდგომა დააპირა, მაგრამ ღონემ უმტყუნა. თავბრუ დაეხვა. თვალებზე ბინდი გადაეფარა.

სფეროელებმა ოთახის კარები შემოამტვრიეს. ვამეხმა უკანასკნელად გაიბრძოლა. ოდნავ წამოიწია და იატაკზე გაიშხლართა.

სოკოსებრი ნაგებობა გაჩერდა. მეკობრეთა შუშხუნას ელვარება დაეკარგა. მინდორში გაბნეული სფეროები ერთ ადგილზე გაიყინენ. მიდამო უსულგულო სურათს დაემსგავსა. ასე გაგრძელდა რამდენიმე წუთს. მერე უცებ ყველაფერი ამოძრავდა, თითქოსდა შეჩერებული კინოფირი ჩართესო. შუშხუნა აძიგძიგდა. გაშეშებუ-

ლი სფეროები დაბზრიალდნენ. შუშხუნას მიაშურეს. უნდა გენახათ, რა სიჩქარით გარბოდნენ. ერთმანეთს ახტებოდნენ, ელავდნენ. მცირე დარბაზის ნანგრევებში შემთხვევით გადარჩენილი მიმღები მთელი ხმით გაჰყვიროდა:

— დასახლება ას ხუთი, დასახლება ას ხუთი! ლაპარაკობს ტრანსგალაქტიკური ვარსკვლავთმფრენის მთავარი კაპიტანი. გაგვაგებინეთ, რა ხდება? რატომ დუმხართ? დასახლება ას ხუთი...

* * *

კოსმოსის „ბებერმა ლომმა“ მძიმედ ასწია თავი. მიკროფონი ჩართო, ბრძანა:

— გადადით წრიულ ორბიტაზე. დაიწყეთ დამუხრუჭება. მოამზადეთ მაშველი შუშხუნები.

ვიდეოფონის ეკრანებიდან მთავარი კაპიტნის მოადგილეები გაჰქრნენ. „ბებერი ლომი“ მარტო დარჩა. დროის მრიცხველს ახედა.

„თუ ყველაფერი რიგზე იქნა, მივუსწრებთ,“ — გაიფიქრა მან.

ტრანსგალაქტიკური ვარსკვლავთმფრენი ოდნავ დაირწა. პარაბოლური ტრაექტორიიდან წრიულზე გადავიდა. სპეციალური დანიშნულების სათავსოს კარები ფართოდ გაიღო. მაშველი შუშხუნები ცივი კოსმოსის კამკამა სივრცეში გაუჩინარდნენ.

— ათი წუთის შემდეგ დავიწყებთ დაშვებას, — მოახსენა მთავარ კაპიტანს პირადი ხედვის ეკრანიდან მორიგე შტურმანმა.

„ბებერმა ლომმა“ თვალი გადაავლო აპარატურას. თავის დაქნევით მისცა თანხმობა. დისტანციური მართვის ბლოკი აიღო. მიკროფონი ჩართო.

— დასახლება ას ხუთი, დასახლება ას ხუთი! გელაპარაკებათ კოსმომფრენ „დედამიწა 11“-ის მთავარი კაპიტანი. გვაცნობეთ ნულოვანი მერიდიანიდან მოსალოდნელი გადახრა. მოამზადეთ სასტარტო მოედანი შუშხუნის მისაღებად. ათი წუთის შემდეგ...

* * *

მინდორში გაბნეულმა სფეროებმა გვიან შენიშნეს მაშველი შუშხუნები. ბრძოლაზე ხელი აიღეს, უკუიქცნენ. უწესრიგოდ გარ-

ბოდნენ მეკობრეთა შუშხუნისაკენ. დიდთავა სფეროელი შუშხუ-
ნის შესასვლელ კარებში იდგა. მთელი ხმით ყაპყაპებდა. ყურადღებას
არავინ აქცევდა. ყველა ცდილობდა, გვერდი აევლო მისთვის, რაც
შეიძლება ჩქარა შეეღწია შუშხუნაში. როდესაც მაშველი შუშხუ-
ნები ყოფილ სასტარტო მოედანზე დასხდნენ, დიდთავა მრგვალი
კარების სიღრმეში გაუჩინარდა. შუშხუნას ცეცხლი მოედო, გაა-
ლისფრდა. მრგვალი კარი მჭიდროდ ჩაეხრახნა კორპუსს. უპატრო-
ნოდ მიტოვებული სფეროები მინდორში გაიფანტნენ. გაისმა გრუ-
ხუნი. ტრანსგალაქტიკური ვარსკვლავთმფრენი დაშვების ადგილს
უახლოვდებოდა. წინ გაწვდილი ცეცხლის ორი ზოლი ნარნარად
ნთქავდა სიჩქარეს. მერე წამით შუშხუნა ჰაერში გამოეკიდა და
გრძელი ამორტიზატორებით მსუბუქად შეეხო მიწას. იგი ჯერ კი-
დევ ირწეოდა, როდესაც საბარგო განყოფილების კარები ჩამოიშა-
ლა. დაჯავშნული ყველგანმავლები მეკობრეთა შუშხუნისაკენ გა-
ცოცდნენ. ჯიუტად მიბობღავდნენ წინ. მეკობრეთა აცახცახებული
შუშხუნა მზესავით გაბრწყინდა. მტვრის კორიანტელი დააყენა.
სროლაზე სროლითვე უპასუხეს. მოწინააღმდეგის შუშხუნის კორ-
პუსს ტკაცატკუცით მოსწყდა ელექტრონის ლურჯი ბურთულები.

„რადიკალური ზომები უნდა მივიღოთ“, — გაიფიქრა „ბებერმა
ლომმა“, — დაიწყეთ ბლოკირება, — ბრძანა მან. — მოემზადოს
გრომოვი. თუ მოწინააღმდეგემ მაინც მოახერხა აფრენა, — „უშიშა-
რა“ დაედევნოს კოსმიური აბორდაჟისთვის.

მეკობრეთა შუშხუნასა და დაჯავშნულ ყველგანმავლებს შო-
რის თანდათან მცირდებოდა მანძილი. ცოტაც და ბლოკირების წრე-
დი შეიკვრება. ცოტაღა დარჩა გაბედული ოპერაციის დამთავრება-
მდე. საჭიროა მეტი სიჩქარე, მოქნილობა.

მეკობრეთა შუშხუნის ამორტიზატორები თანდათან დამოკლდ-
ნენ. ჩაერთო ძრავა. ცეცხლის მსხვილი ჭავლი ეძგერა მიწას. ფა-
ფუკმა კვამლმა დაფარა შუშხუნა. ცეცხლის ჭავლი თანდათან დაგრ-
ძელდა. შუშხუნა კვამლს გამოეყო, ამოიწვერა. სწორედ ამ დროს
იქუხა „უშიშარას“ ძრავამ. „ბებერმა ლომმა“ უკმაყოფილოდ მო-
კუმა ტუჩები. წარბებს ქვემოდან ახედა დროის მრიცხველს.

— წუთი დააგვიანა, — თქვა მან. — ცუდია. ერთი საათის
შემდეგ „უშიშარა“ საკრეისრო სიჩქარეს განავითარებს და მხო-
ლოდ ოცდაათი საათის შემდეგ დაეწევა მოწინააღმდეგეს.

* * *

კარგა ხანია, რაც შორეული დედამიწიდან ცვლა მოფრინდა და კოსმოსის მეკობრეთა თარეშს ბოლო მოეღო. დასახლების დანგრეული ტერიტორია გაიწმინდა-გასუფთავდა. აშენდა ახალი ნაგებობანი. ახლომახლო ტერიტორია დახურული, ახალი, გზებით დაიქსელა. ზღაპრულად ბევრი საქმე გაკეთდა შედარებით მოკლე დროში და მაინც კიდევ ბევრი რამ დარჩა გასაკეთებელი. მშენებლებმა გაითვალისწინეს ვამეხის წინადადება. ძვირადღირებული დამცველი ფარი ანტიმეტეორიტული, ელექტრომაგნიტური დაცვით შეცვალეს. ზოგან თაღი დამატებითი აჟურული ფერმებით გაამაგრეს. თავდასხმის მოლოდინიც გაითვალისწინეს. ჰელიოელექტროსადგურების რიგს სპეციალური დანიშნულების სადგური შეემატა. მოხდა კიდევ მეტად საინტერესო ფაქტი. გადაბუგულ ორანჟერეაში ერთი ხე გადარჩა და უცხო პლანეტის ჰავას შეეგუა. ეს თითქმის გამარჯვება იყო. უცხო პლანეტის ბრმა ძალებმა უკან დაიხიეს. დედამიწიდან მოსულ სიცოცხლეს საარსებოდ ადგილი დაუთმეს. ვამეხის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. უკვე შეიმუშავა შორეული პლანეტის გამწვანების გრანდიოზული გეგმა და ახლა მის პრაქტიკულ განხორციელებაზე ფიქრობდა.

— მალე მთელი პლანეტა მწვანე მასივებით დაიფარება, — გატაცებით ამბობდა იგი. — ატმოსფეროში ჟანგბადი იმატებს. შორს აღარ არის დრო, როდესაც ადამიანები თავისუფლად ისეირნებენ მარადმწვანე ბაღებში და პლანეტის ნამდვილი კოლონიზაცია დაიწყება. კიდევ ერთი დედამიწა დაიბადება სამყაროში. საჭიროა მხოლოდ პლანეტის გარშემო იონიზებული სარტყელი შევქმნათ ბუნებრივი რადიაციის შესამცირებლად. და მერე აღარაფერი დაგვიდგება წინ. ჩვენ ვიქნებით ამ პლანეტის ადამი და ევა. ჩვენვე დავწერთ მომავალი ცხოვრების, ნათელი მომავლის, ახალ ბიბლიას.

დრო კი არ ითმენს. ჯიუტად აახლოებს დედამიწაზე გაფრენის ჟამს. ტრანსგალაქტიკური ვარსკვლავთმფრენი დიდი ხანია განრიგით დადგენილ დროს ელოდება, რათა გრუხუნით გააპოს შორეული პლანეტის პირქუში ცა და გეზი დედამიწისაკენ აიღოს.

„ბებერი ლომი“ ორანჟერეაში ახლად დარგულ პურის ხესთან შეჩერდა.

„უცნაური რამ არის სიცოცხლე, — გაიფიქრა მან, — მეტის-მეტად უცნაური. საკმარისია სადმე შესატყვისი პირობები იარსებოს და მთელი ძალით ჩაეჭიდება, ფესვებს გაიდგამს. აბა, ვინ იფიქრებდა ათეული წლის უკან, რომ ასე შორს გადაიწეოდა სიცოცხლის ზღვარი. — „ბებერი ლომი“ დასახლების უფროსს მოუბრუნდა. ჰკითხა: — როგორ ფიქრობ, სად უნდა გამქრალიყო ტყვექალი? ან იქნებ ეს თქვენი ფანტაზიაა? ხომ გაგიგონია, „შიშს დიდი თვალები აქვსო.“ ხომ არ მოგეჩვენათ?

— რას ბრძანებთ, — იწყინა შეფმა. — საკუთარი თვალით ვნახე.

— მაშ სად გაქრა? — ჯიუტად ჩაეკითხა „ბებერი ლომი“.

— ზოგი ამტკიცებს, შუშხუნაში შესვლისას შევასწარი თვალი. დანამდვილებით კი არავინ არაფერი იცის. საერთოდ, იმდენი რამ არის გასარკვევი, რომ ვშიშობ, დრო არ მეყოფა.

— კოსმიურ ცენტრში დროის მეტი რა გექნებათ?

— სამწუხაროდ, აქ უფრო საჭირო ვარ. შემდეგ ცვლას გამოვყვები.

— რჩებით? — „ბებერ ლომს“ გაკვირვება გამოეხატა სახეზე. — მაშინ რატომ წინასწარ არ გააფრთხილეთ კოსმიური ცენტრი? იქ თქვენს მოხსენებას ელიან.

— ამას ვამეხიც მოახერხებს.

— ვამეხიც რჩება. როგორც გამონაკლისს,. დიდმა საბჭომ ნება დართო. უცნაური ყმაწვილია. — „ბებერ ლომს“ ღიმილი მოეფინა სახეზე. იმის მაგივრად, რომ მოსულიყო და ეთხოვა, მომახსენა: „მე ვრჩები. კანონიერი საფუძველის მოძებნა თქვენთვის მომინდვიაო“. როგორ მოგწონთ? — „ლომმა“ გადატკეცილ თმაზე ხელი გადაისვა. მკერდზე დაკიდებულ დროის მრიცხველს დახედა. უსიამოვნოდ გააქნია თავი და ბავშვივით წმინდა, უძირო თვალებით ახედა ზეცას.

„უშიშარა“ იგვიანებს, რა მოუვიდა ნეტავ? — გაიფიქრა მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ყოჩაღ, — შეაქო ხომალდის კაპიტანმა პირველი შტურმანი. — მშვენიერი მანევრი იყო, გადადით წრიულ ორბიტაზე და თანდათან შედით ამ უცნაური პლანეტის ატმოსფეროში.

ასეთ შექებას ახალგაზრდა ასტრონავტი არ მოელოდა, გაწითლდა, სავარძელში გასწორდა და სამართავი დაფის კლავიშებზე კარგი პიანისტივით აათამაშა ოცივე თითი...

სპირალოიდი შეტოკდა, პლაზმის ვიწრო ზოლი წინ გამოისროლა და დამუხრუჭება დაიწყო. შტურმანმა შუბლზე გამწკრივებული თვალები დააფახულა და დისტანციური მართვის ბლოკი აიღო. რამდენიმე ბერკეტი გადასწია, უცნობი პლანეტის ატმოსფეროს სინჯი აიღო, გააანალიზა. უკმაყოფილო დარჩა შედეგით, ისევ გადასწია ბერკეტი და ანტინივთიერების დოზირებას შეუდგა. საწვავის განყოფილებაში ერთი საცავიდან მეორეში წუილით გადაინაცვლა თხევადმა ნივთიერებამ. გამომთვლელმა მანქანებმა ყველაფერი დააჯამეს, შეაჯერეს და პასუხების ჭრილში მზა მონაცემები ჩამოყარეს. შტურმანმა კმაყოფილებით გადახედა აპარატურას.

— საინტერესოა, — ჩაესმა შტურმანს კოლეგის ნაფიქრი, — არსებობს ამ პლანეტაზე სიცოცხლე, როგორც ამას ჩვენი საბჭოს ზოგიერთი წევრი ამტკიცებს, თუ ამჟამადაც ხელმოცარული დავრჩებით!

— ცისფერ პლანეტებზე საერთოდ არ არსებობს სიცოცხლე, — ფიქრითვე უპასუხა პირველმა შტურმანმა, — ასეთ პლანეტებზე ჭარბადაა ჟანგბადი, ჟანგბადი კი, როგორც მოგეხსენება, მომაკვდინებელი აირია.

— მაგრამ არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც...

— მოსაზრება ბევრია, ფაქტი კი ცოტა, — შეაწყვეტინა პირველმა.

სპირალოიდი წრიულ ორბიტაზე გავიდა, პირველმა შტურმანმა ანტიგრავიტონი გამორთო. მერე, ყოველ შემთხვევისათვის, ანტინივთიერების დამცველი მაგნიტური ველი გააძლიერა და სპირალო-

იდის დასაჯდომად ხელსაყრელი ადგილის ძებნას შეუდგა. დისტანციური ხედვის აპარატი გამორთო, ვიზუალურ დაკვირვებაზე გადავიდა. ყველა თვალი ერთად გააჩერა და ვიდეოფონის ეკრანს გაუშტერა. ეკრანზე გარკვევით ჩანდა ოკეანეთა და კონტინენტების კონტურები. ზოგან დიდ-დიდი მდინარეები და ზღვები ლაპლაპებდნენ მზის შუქზე. მომწვანო-მოშავო ფერის ხავერდოვანი ტყის მასივები პლანეტის მთელ სიგრძეზე გადაჭიმულიყო. დაბლობები და სწორი ადგილები უფრო ღია ფერად იყურებოდნენ. სპირალოიდმა მეორედ შემოვლა დაიწყო. შტურმანმა ყურადღება გაამახვილა. გამოჩნდა მთიანი მხარე, ცოტა იქით — ციცაბო კლდეები, უფრო იქით კი — ვაკე ადგილები.

— უცნაური პლანეტაა, — გაიფიქრა მეორე შტურმანმა, — არაფრით არ ჰგავს ჩვენს ურუს.

— ურუსთან შედარებით ეს ნამცეცი პლანეტა წერტილივით გამოჩნდებოდა, — ფიქრითვე უპასუხა პირველმა შტურმანმა., — მაგრამ მეტად ბრაზიანი ჩანს.

— ყველა პალნეტა ასეთია ამ უცნაურ გალაქტიკაში, — დაეთანხმა მეორე. — ისე ბზრიალებენ და ბორგავენ, თითქოს ორი დღის სიცოცხლე ჰქონდეთ.

— იქნებ ეს ახლად დაბადებული გალაქტიკაა და სამყაროს კანონზომიერებანი ჯერჯერობით ბოლომდე არაა ჩამოყალიბებული.

— შესაძლებელია, ყველაფერი შესაძლებელია, — გაიფიქრა პირველმა და დისტანციური მართვის ბლოკზე ყვითელი ბერკეტი გადასწია. სადღაც, გიგანტი სპირალოიდის სიღრმეში, რთული მექანიზმები ამუშავდა და დაშვების ადგილისაკენ მცირე ყალიბის მართული ყუმბარა გაქანდა. რამდენიმე წუთის შემდეგ თვალისმომჭრელმა ელვარებამ წამით მზის სიკაშკაშე დარჩდილა. სითბოსა და ორთქლის მძლავრმა ტალღამ სპირალოიდამდე მოაღწია, შტურმანმა გვერდითი ილუმინატორიდან გადაიხედა. ქვემოთ, პატარა გორაკების ადგილას, შავად მოჭიქული მრგვალი მოედანი ჩანდა.

დაიწყო დაშვება. სპირალოიდი პლანეტის ატმოსფეროს მკვრივ ფენებში შევიდა. შტურმანმა კორპუსის გამაცივებელი მოწყობილობა ჩართო და ხომალდის სისწრაფის შესამცირებლად მარაოსმაგვარი ფრთები გაშალა. უკვე კარგად ჩანდა პლანეტის მთაგორიანი ზედაპირი და ვეებერთელა, კრიალა წყლის მასივები. როგორც

ეტყობოდა, პლანეტაზე გრიგალი ბობოქრობდა. აქა-იქ ზოგჯერ ტოტებად იქსაქსებოდა ცისფერი ელვა. ხანდახან რომელიმე ადგილი ელვებით შესვენებული, ვულკანი ამოიხავლებდა და დაგროვილ ბოღმას ამოანთხევდა გულიდან. შორს, სადღაც, ტყის ვრცელი მასივი იწვოდა და არემარეს ყვითლად ფერავდა.

შტურმანმა შეამოწმა ატმოსფეროს სინჯი და თავი უკმაყოფილოდ გააქნია.

— სიცოცხლისათვის მეტად მოუხერხებელი პლანეტაა, — გაიფიქრა მან. — ყველაფერს კიდევ ეშველებოდა, ატმოსფეროში ამდენი ჟანგბადი რომ არ იყოს. ეს მომაკვდინებელი აირი იმდენია ამ ცეროდენა პლანეტაზე, რომ გიგანტ პლანეტებსაც კი მოწამლავდა.

ტრანსგალაქტიკური სპირალოიდის დაშვება არც ისე იოლი საქმე იყო. პირველი შტურმანი დაიძაბა. მას ერთი სურვილი ამოძრავებდა: ისე სწრაფად და უხიფათოდ დაესვა სპირალოიდი, რომ მთავარი კაპიტნის ქება დაემსახურებინა.

რაც უფრო ღრმად შედიოდა სპირალოიდი პლანეტის ატმოსფეროს მკვრივ ფენებში, მით უფრო მეტად ედებოდა ცეცხლის ალი. ახლა იგი კუდიან ვარსკვლავსა ჰგავდა, რომელიც წარმოუდგენელი სისწრაფით უახლოვდებოდა დედამიწას. კიდევ რამდენიმე წუთი და ალბათ დაენარცხებოდა კიდეც, მაგრამ უცებ, მიწიდან რამდენიმე მეტრის სიმაღლეზე, ვარდნა შეწყვიტა და ჰაერში გამოეკიდა. ცეცხლის ალი მინელდა — დაცხრა. სპირალოიდი შეტორტმანდა და გრძელი, ჰიდრავლიკური ამორტიზატორებით მსუბუქად შეეხო შავად მოჭიქულ მოედანს. ნარნარად დაირწა ამორტიზატორებზე. შემდეგ გაჩერდა და ფანტასტიკურ მოჩვენებასავით გაირინდა უღრანი, დაბურული, მწვანე ტყის ფონზე.

* * *

კარგა ხანია იგი თვალების ფახულით გასცქერის მოპირდაპირე მხარეს და ფიქრობს. ძლიერ უჭირს ერთდროულად ამდენ რამეზე ფიქრი, მით უმეტეს, რომ შია და ცხოველური ინსტინქტი ტყისაკენ უხმობს. ტყე კი მისთვის, პირველ რიგში, საჭმელს ნიშნავს. იქ უამრავი გუცია, პია და ლაოლაო დადის. ამ ბუყბუყა მიწის ნა-

პირზე კი მყრალ მშის თუ დაიჭერს მხოლოდ. დაიჭერს? ესეც
კითხვაა, მაგრამ მაინც ვერ სცილდება იქაურობას, ბუჩქებს მო-
რის გაწოლილი, შიშითა და ძრწოლვით გასცქერის სპირალოიდს და
მის ახლომახლო მოფუსფუსე უცნაური ფორმის ცხოველებს. მერე
მზერა ნაცნობ ადგილებზე გადააქვს, მაგრამ ვერ პოულობს და
ძალიან უკვირს. მერამდენეჯერ აკეთებს ამას, ვინ მოთვლის, ახ-
სოვს მხოლოდ, როგორ ამოვიდა ორჯერ ბრაზიანი მთის იქიდან
მშვენიერი ამუ და ორჯერვე მოეფარა მტირალა მთას. მშვენიერი
ამუ გაცილებით მეტჯერ მოევლინა ცას, მაგრამ მან მხოლოდ ორამ-
დე იცოდა თვლა.

წოლა მალე მობეზრდა. ადგა, შავი, მოკლე ბეწვით დაფარული
ფართო ბეჭები გაშალა და დაფანჩული წარბები ჩაშავებული,
გრძელფრჩხილა კოტიტა თითებით მოიფხანა. მერე დაკოჟრილი
ხელი დაქანებულ, განიერ შუბლზე გადაისვა, ცხვირის ნესტოები
დაჰბერა და სტვენით ამოუშვა ჰაერი. ესიამოვნა. ბუდეში ღრმად
ჩამჯდარი თვალები ეშმაკურად დაახამხამა და გაიფიქრა:

„მიწაში ჩაძვრა.“

სხვანაირად ვერ წარმოედგინა. განა შეიძლება მთელი მთა
გაქრეს, უგზოუკვლოდ დაიკარგოს? არა, მან უბრალოდ ადგილი შე-
ინაცვლა და მიწაში ჩაძვრა.

„აი, ისე, როგორც ლაო-ლაო, — ფიქრობდა იგი, — მე მას
ვჭამ და იგი ჩემში გადმოდის, მე კი მიწაში გადავალ, როგორც ეს
დიდთავა ყუს დაემართა მისთვის ყველაზე მოკლე დღეს. მიწა?..“

მიწა რაღაში გადადიოდა, ეს კი აღარ იცოდა. ესეც არ იყოს
მობეზრდა ამდენი უაზრო ფიქრი. დაიხარა, სასოებით აიღო ხელ-
ში ჭაღარა ხის ფოთოლში გახვეული მოგრეხილი ხის ტოტი, მეო-
რე ხელით ვეებერთელა კეტი აიტაცა და ტყისაკენ შეტრიალდა.
მალიმალ იყურებოდა უკან და თანდათან უჩქარებდა ნაბიჯს. უცებ
გადაავიწყდა ყველაფერი. სამი დღეა არაფერი ჩასვლია პირში.
გუშინ მასის მცირეოდენი ფესვები ამოთხარა და ჭამა, მაგრამ ფეს-
ვებმა გაბერა, დაპურებით კი ვერ დააპურა.

„ლაო-ლაო რომ მომაკვლევინა, ყველას გვეყოფოდა ხორცი“, —
გაიფიქრა და შუაგულ ტყეში შედგა.

ტყის სიღრმიდან მობერილმა ნიავმა ნადირის სუნი მოიყოლა.
მან კისერი წაიგრძელა, დაიძაბა. თვალები აემღვრა და ჩაუსისხ-

ლიანდა, კუნთები აუცახცახდა. უფრო მაგრად ჩაეჭიდა კეტს, ქურდულად მიმოიხედა, ჰაერი დაყნოსა. ფრთხილად წაიწია წინ და თავდასასხმელად მოხერხებული ადგილი შეარჩია.

ჩამიჩუმი არ ისმოდა. მხოლოდ ერთხელ გადაიფრინა მჩხავანამ და ჭრელი ფრთების ტლაშა-ტლუშით ტყის სულ ზემო სართულის მცხოვრებნი დააფრთხო. ირგვლივ ისევ იდუმალებით სავსე სიწყნარე გამეფდა. რამდენჯერმე შარიშურით გაისრიალა მის წინ ბრძენმა სისინამ და ჯაგნარებში მიიმალა. ეს კარგის მომასწავებელი ნიშანი იყო. იმედი მიეცა. გააასკეცა ყურადღება.

„უცებ გამოხტება ბილიკზე და თუ დამაგვიანდა, მერე სიკვდილიც კი ვერ დაეწევა“, — ფიქრობდა იგი.

ტყეში თითქოს გოლიათმა გაიღვიძაო, ყველაფერს გამოცოცხლება დაეტყო. დამფრთხალი მხეცები უკანმოუხედავად გარბოდნენ. ჭყივილით გადაირბინეს ხის კენწეროები ცანცარა პრანჭიებმა და ისევ გაისუსა, გაირინდა ტყე. მის მახვილ სმენას ლაო-ლაოს ძახილი ჩაესმა. გული აუჩქროლდა. საჭმლის მოლოდინში ნერწყვი ჩაუდგა პირში.

სულ ახლოს ტკაცუნით გადაიმტვრა ხმელი ტოტი, ფშვინვა მოისმა. გვიმრით დაფარული ბილიკი შეირხა და ლაო-ლაოც გამოჩნდა. იგი მოდიოდა თავდახრილი, ნაცრისფერი ზურგი ნერვიულად უცახცახებდა. ხშირად ისვენებდა, ფრთხილობდა, მალიმალ ყნოსავდა ჰაერს და გაბრაზებული ზმუოდა: „ლაო-ლაო!“

იგი კუნთებად და სურვილებად იქცა. კიდევ წამი და ლაო-ლაოს გემრიელი ხორცი შიმშილს მოუკლავს. დენივით დაუარა ჟრუანტელმა, თვალებზე ბინდი გადაეფარა, წამით გონება დაკარგა. როცა გამოერკვა, ლაო-ლაოს უკვე ჩაევლო. დაგვიანება კიდევ რამდენიმე დღის შიმშილს ნიშნავდა. იგი ორად მოიხარა, შეიკუმშა და უცებ ფოლადის ზამბარასავით გაიშალა. მოწყვეტით ნასროლმა კეტმა ხშირ ფოთლებში გაიწუილა. ორ ხეს შორის გაჭიმულ ლიანას მოხვდა, ნახევარმთვარესავით გაზნიქა და გაორკეცებული ძალით გამოაბრუნა უკან. თავზევით გადაუფრინა, რამდენიმე ხმელი ტოტი მოტეხა და ხმაურით დაეცა მის უკან.

ლაო-ლაომ დაიზმუილა, ბილიკიდან ისკუპა და დაბურული ტყის სიღრმისაკენ გაქანდა. შეშინებული ცხოველების კივილმა და

ხმელი ტოტების ლაწალუწმა მთელი ტყე შეძრა, შეაშფოთა, შეაზანზარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღაც ჩასწყდა გულის სიღრმეში. ააკანკალა, შესცივდა. მოშაო-მოყვითალო ბეწვი ყალყზე დაუდგა. უსიცოცხლო, გაფართოებულ თვალებს ელვარება დაეკარგა, დაებინდა, ჩაკვდა.

იდგა გაოგნებული. ასეთი რამ მის ცხოვრებაში არ მომხდარა. მისი ცხოვრება რაა, სხვისგანაც არ სმენია და, საერთოდ, როდის აქეთ დამეგობრდნენ ლიანა და ლაო-ლაო. თვალები დახუჭა. გაუგონარი ამბავია: ლიანამ უკან გამოისროლოს კეტი და ლაო-ლაო სიკვდილს გადაარჩინოს.

— აუ უ უ უ! — აღმოხდა მას.

ეს იყო განწირული ადამიანის ყმუილი. ცივმა, ძლიერმა ხმამ მახვილივით გააპო მყუდროება. ტყე წამით გაისუსა, გაირინდა და როგორც კი ხმა თავის სიღრმეში შთანთქა, ისევ ამოითქვა სული, ახმიანდა. მას უკვე აღარაფერი ესმოდა. გახევებულიყო და თვალს არ აშორებდა ლიანას, რომელიც ჯერ კიდევ ირხეოდა და სისინასავით იგრიხებოდა. თანდათან დაეუფლა შიში. მზერა მოარიდა და თავისთვის დაიწყო ბუტბუტი:

„უძლიერესი ცეცხლის მარად უქრობ სულს ვფიცავ, არ მეგონა, თუ შენ მისი მეგობარი იყავი. მე მხოლოდ ლაო-ლაოს მოკვლა მინდოდა. ტყუილად ბრაზობ და იკლაკნები... მე შენ წყენინებას არ ვაპირებდი... მე მხოლოდ ძალიან მშია და...“

თავი ასწია, ლიანას შეხედა. ლიანა უძრავად ეკიდა ორ ხეს შორის. კარგად ენიშნა მისი გაჩერება. გათამამდა. მიუახლოვდა, ახლოდან დაუწყო თვალიერება. დიდხანს, ძალიან დიდხანს აკვირდებოდა და რაღაცას ბუტბუტებდა თავისთვის. ბოლოს გაბედა, ხელითაც შეეხო, სიხარულისაგან შეხტა და იმ ხის გარშემო დაიწყო სიარული, რომელზედაც ლიანა იზრდებოდა. სულ უფრო და უფრო სწრაფად უვლიდა ხეს გარშემო და გამუდმებით ბუტბუტებდა. როცა დაიღალა, ხის ძირას ჩაჯდა. ისევ გაუშტერა თვალები ლიანას.

„შენ ჩემი მეგობარიც უნდა გახდე, — დაასკვნა მან. — ძალიან მჭირდები. შენ მე პატარა შვილს მაჩუქებ, მე კი ყველაზე საზიზღარი და ბრაზიანი ბუხუნას ჭრელ ტყავს მოგართმევ, შენს ფერხთით დავაგებ, როცა თეთრი დღეები გვესტუმრება, აღარ შეგცივდება, თბილად იქნები“.

ადგა, ფრთხილად მიეალერსა, მიესიყვარულა. წელზე დაკიდებული პატარა ძვლის დანა შეიხსნა, ყველაზე ნორჩი ტოტი შეაჭრა. შიშითა და ძრწოლვით აიხედა ზევით. სახე გაებადრა, ყურებამდე გაიღიმა. ლიანა უძრავად ეკიდა ორ ხეს შორის.

„გმადლობთ, ჩემო კეთილო მეგობარო, გმადლობთ, გაიფიქრა თავისთვის. — დღეის იქით ჩვენი მეგობრობა ცეცხლისა და ხის მეგობრობაზე მტკიცე იქნება. ხშირად გესტუმრები, დაგეხმარები და რასაც შეგპირდი, იმასაც მალე მოგართმევ.“

ხალისი დაუბრუნდა. ჭრელი ხის ფოთოლში გახვეული მშვილდივით მოქნილი ტოტი ამოიღო და ლიანასთან ერთად შეახვია. როცა საქმეს მორჩა, შიმშილმა ისევ მოაგონა თავი და ყველაფერი გადაავიწყდა. ველური სურვილები მიეძალა, აწრიალდა, აცმუკდა. ნაღვლიანი თვალები მოავლო ტყეს.

„წავალ სადგომში, — გაიფიქრა მან. — იქნებ სხვამ მოკლა რამე“.

მოკლე და ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა. ბეჭებმოხრილი ბილიკს ჩაშტერებოდა და სხვას არაფერს არ აქცევდა ყურადღებას. უნდოდა, რაც შეიძლება, ჩქარა მისულიყო სადგომში და გამძღარიყო. ცალ მხარზე კეტი გაედო, მეორე ხელში კი ჭაღარა ხის ფოთოლში შეხვეული მშვილდის ფორმის ტოტი და ლიანა ეჭირა.

დღე გაილია, გაუფერულდა და ღამეში აითქვიფა. იგი შედგა, მიმოიხედა. ნესტოები აუცახცახდა. სახე ნიავს მიუშვირა. კვამლის სუნით იგრძნო სადგომის სიახლოვე. უფრო ენერგიულად გაუყვა ბილიკს. შიშითა და მოჩვენებებით სავსე თხელი ტყე გაიარა და მიწისა და ცის შესაყართან ცეცხლის ალს მოჰკრა თვალი. იმწამსვე დაეუფლა სიმშვიდე, შიში გაქრა და გარსშემოხვეულმა მოჩვენებებმა უკან დაიხიეს. ახლა იგი თავაწეული მიაბიჯებდა.

მთის ძირას, იქ, სადაც გამოქვაბულები იწყებოდა, დიდი კოცონი ენთო. კოცონის გარშემო მისივე მსგავსი არსებანი იდგნენ. იდგნენ გაუნძრევლად და ჩუმად. მან იმწამსვე იცნო შავი ცის ფონზე მარტოდ მდგარი მრისხანე ტუ. იგი ყოველთვის განცალკევებით იდგა და ორივე ხელით ეყრდნობოდა ვეება კეტს, რომელიც მას, როგორც ყველაზე ძლიერს, გოლიათი კაპუს სიკვდილის შემდეგ ერგო. კეტი მაშინ დიდი მოწიწებით გადასცა მას სადგომის ყველაზე უხუცესმა წევრმა. ტუ ერიდებოდა კოცონს. ცეცხლთან სია-

ხლოვე მის მორჩილებად მიაჩნდა. ტუ კი ყოველგვარ მორჩილებას სისუსტედ თვლიდა. მეტად დამოუკიდებელი ხასიათის იყო. სხვა თვისებებთან ერთად ამანაც განსაზღვრა მისი წინამძღოლად არჩევა.

„არაფერია, როდისმე მეც გავხდები წინამძღოლი“, — გაიფიქრა მან და სადგომს მიუახლოვდა. დიდცხვირა ლოდს ამოეფარა, ტოტი და ლიანა საგულდაგულოდ დამალა, რაღაც გაუგებარი სიტყვები ჩაიბუბუნა და თამამად მივიდა კოცონთან. ახალი ხორცის სუნი ეცა. ჩასისხლიანებული თვალები მოავლო სადგომს. ძველი კოცონის ნანაცრალში შიშველ ქალებს და ბავშვებს ეძინათ, ცოტა იქით ნახევრად შეჭმული გიგანტი ეგდო. თვალთ დაუბნელდა, გონება აემღვრა. მხეცური სიშმაგით მიიჭრა ლეშთან, ძვლის დანით საკმაოდ მოზრდილი ნაჭერი ააჭრა, ორივე ხელით ჩაბღუჯა და თავგამოდებით დაუწყო გლეჯა მეჩხერი, გრძელი კბილებით.

შორს, ძალიან შორს, ტყეში რომელიღაც მხეცი აყმუვლდა. მას რამდენიმე წვრილი ხმა აჰყვა. მერე სადგომის ახლოს ქშენით გაირბინეს ჭრელთვალა ნაცარებმა და ირგვლივ ისევ სამარისებური სიჩუმე გამეფდა. შავნაბადმოსხმული ღამე კოცონის ირგვლივ დასახლდა. მყუდროება ტუმ დაარღვია:

— ბევრჯერ გვესტუმრა მშვენიერი ამუ, შენ კი არ ჩანდი, — ისე თქვა მან, რომ არ განძრეულა და არც მოუხედავს მისკენ. — ალბათ ისევ მზის შვილის სანახავად იყავი წასული მყრალი მიწის ნაპირას.

იგი მხოლოდ ერთი წამით შეჩერდა. დაუფარავი ზიზღით შეხედა ტუს და ისევ განაგრძო ჯერ კიდევ თბილი ხორცის ჯიჯგნა. სიჩუმეში დროდადრო მისი ტუჩების წკლაპუნი ისმოდა. პირისახე და მკერდი სისხლით მოესვარა, დახრული ძვლების გროვას ფეხი გაჰკრა, დაშალა. დამშვიდდა. გაძღა და სიამოვნებისაგან გაიზმორა. აღარ ეამა უმი ხორცი. კოცონიდან მუგუზლით გავარვარებული ბრტყელი ქვა გამოათრია და ზედ ხორცის ნაჭერი დადო, ყური მიუგდო. ხორცის შიშხინის ხმა შემოესმა, გახარებულმა ხელი ხელს შემოჰკრა და მოგუდული, გაურკვეველი ტემბრის ხმა ამოუშვა პირიდან.

— შენ კარგავ ადამიანის სახეს, — კვლავ გამოხდა სიბნე-

ლეში ტუს გამოკვეთილი ხმა. — შენ ემსგავსები უძლურ ...ებს. განა შეიძლება ძლიერ ადამიანს ასე მოშივდეს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მან არ უპასუხა, ხორცი გადააბრუნა და ნაცრიან მიწაზე პატარა წკეპლით ხაზების გავლება დაიწყო.

მშვენიერმა ამუმ ნახევარ გზაზე მეტი განვლო ღრუბლიან ცაზე და მტირალა მთისკენ გადაიხარა. კოცონის გარშემო უმეტესობას უკვე ეძინა ფეხმდგომელა, ფრთხილი ძილით. უბრალო ფაჩუნზე თრთოდნენ და შეშინებული იყურებოდნენ აქეთ-იქით. ეს იყო მხოლოდ თვალის მოტყუება, ბურანში გახვევა. ყოველ წუთს, ყოველ წამს, კაშკაშა კოცონის მიუხედავად, მოსალოდნელი იყო რომელიმე მხეცის თავდასხმა. წუხელ ორი უყურადღებოდ მიტოვებული ბავშვი გაიტაცა ბრაზიანმა ბუხუნამ. ამ ღამითაც შენიშნეს მწვანე თვალები სადგომთან და ამიტომ იყო დღევანდელი ღამე ასე შიშიანი და იდუმალებით სავსე. ფხიზლობდა ტუ და მის გარშემო მდგარი რამდენიმე მამაკაცი. ფხიზლობდა ბებერი ტამოც, ცეცხლის მოვლა-პატრონობა რომ ევალა და უხუცესთა შორის პირველ კაცად ითვლებოდა.

„ცეცხლს განსაკუთრებული მოვლა-პატრონობა უნდა, — იცოდა ხოლმე მან თქმა, — თორემ თუ გაგინაწყენდა, გაიპარება და სხვის სადგომში გადასახლდება“.

ბებერ ტამოს ცეცხლთან ყველაზე ახლოს ჰქონდა ადგილი მიჩნეული და მის სულიერ მამად ითვლებოდა. მას დღისით ეძინა, საღამოობით კი ცეცხლს დარაჯობდა. იგი ახლაც ფხიზლობდა და ბოროტად აცეცებდა ბუდეებში ღრმად ჩამჯდარ წირპლიან თვალებს. დღეს ტამო ჩვეულებრივზე მეტად ჩაფიქრებული და გულჩათხრობილი ჩანდა. მისი განწყობილება სადგომის სხვა წევრებსაც გადაედო და მთელი დღის განმავლობაში ერთი მხიარული სიტყვა არ თქმულა, ერთხელ არ გაულიმიათ. ბებერი ტამო ხმადაბლა ბუტბუტებდა ცეცხლის სადიდებელ ლოცვებს და დროდადრო კოცონის თავზე ლურჯად მოლივლივე ალს უშტერებდა თვალს. ხან თბილ ნაცარს მომუჭავდა ხელით და ჰაერში აბნევდა, ჩამოცვენილ მტვერს თვალს გააყოლებდა და ფერი ეკარგებოდა, შეშდებოდა. აი, მან ერთხელ კიდევ მომუჭა ნაცარი და ჰაერში გაფანტა. მერე თვალები მილულა, სუნთქვაც კი შეეკრა. სისხლი მოაწვა დამჭკნარ თვალებზე.

— ااااا! — იკივლა უცებ.

მთელი სადგომი შეტორტმანდა, ფეხზე დადგა. ტუ ენერგიულად ჩაეჭიდა ორივე ხელით კეტს და მძიმედ მოატრიალა თავზე, წელში გასწორდა, ბეჭები გაშალა.

ბებერმა ტამომ ხელები გაასავსავა და ტუჩები ააცმაცუნა, თუმცა ხმა არ გამოუცია და სიტყვა არ უთქვამს. მიცვალებულს დაემსგავსა. შიშითა და ველური მორჩილებით შემოეცალა ხალხი. ისინი ეძებდნენ ტამოს ასეთი ცვლილების მიზეზს, მაგრამ ვერ პოულობდნენ და უფრო მეტად ეძალებოდათ შიში. ბებერი ტამო ცახცახებდა და იგრიხებოდა.

„ალბათ ცივმა მიწამ მოუხმო“, — გაიფიქრა ტუმ და კოცონს თვალი მოარიდა, შებრუნდა. ტამოს არ გამოპარვია მისი მოძრაობა.

— მე ვხედავ მას, — როგორც იქნა ამოთქვა ხრინწიანი ხმით და თვალები გაუბრწყინდა, აუციალდა. — მე ვხედავ მას, — ჩურჩულით გაიმეორა ცოტა ხნის შემდეგ და ადგა. ორივე ხელი აღაპყრო ცისკენ, თითები მომუჭა და უხილავ მოწინააღმდეგეს დაემუქრა. ქალები კივილით დაემხნენ ნაცრიან მიწაზე და თავი ხელებში ჩამალეს. ბავშვები აბღავლდნენ და დედებს მიეკრნენ. კაცები ტუს გარშემო შემოიკრიბნენ.

იგი არ განძრეულა. თავდაღუნული ავლებდა წკეპლით ნაცარში ხაზებს და ფიქრობდა. მერე წკეპლა კოცონში ისროლა, შემწვარი ხორცი ქვიდან გადმოიღო, ნაცარი ჩამოაბერტყა და უხალისოდ დაუწყო ძიძგნა.

„დროზე უნდა მოვიცილოთ თავიდან“, — გაიფიქრა ბებერმა ტამომ და მანჭვა-გრეხას თავი დაანება. დამშვიდდა. თვალი შეავლო თავზარდაცემულ ხალხს. მიხვდა, სადგომი რომ მის გადაწყვეტილებას ელოდა და საკუთარი თავის უპირატესობა იგრძნო. — „ახლა ყველაზე ხელსაყრელი დროა, — დაასკვნა მან. — თუ დღეს არ გადაწყდა, ხვალ უკვე გვიან იქნება. ხვალ მეორე წავა მყრალი მიწის ნაპირას და მალე სადგომში აღარც ერთი მონადირე აღარ დარჩება. გიგანტის ხორცი ორ დღეში გათავდება და მერე შიმშილით სიკვდილი გველის მოხუცებს.“

— მე ვხედავ მას, — განსაკუთრებული იდუმალებით წარმოთქვა ტამომ, — იგი ღამესავით საშიში და ცეცხლივით გაუმაძღარი ბოროტებაა. მას შიმშილი და სიცივე მოაქვს. მის წინაშე თვით მარადუქრობი ცეცხლის სულიც კი კრძალვით თრთის. ჩვენს გარ-

შემო ნოტიო მიწის მოციქულები დაეხეტებიან და მხოლოდ ხელსაყრელ მომენტს ელიან, რომ ხელიდან გამოგვგლიჯონ დღეები და მათ-დიულ სიბნელეში გადაასახლონ ჩვენი სული. ფრთხილად, ეს ბოროტება ჩვენს შორის არის და ჩვენსავე რისხვას ელოდება.

ყველამ ერთმანეთს გადახედა, მერე რატომღაც ტუს შეხედეს.

— შენ ქარაგმებით ლაპარაკი გიყვარს, — თქვა ტუმ, — პირდაპირ თქვი და ვინც არ უნდა იყოს იგი, ჩემი კეტის სიმძიმის ქვეშ გაიჭყლიტება.

— მალე თეთრი დღეები ეწვევა ჩვენს მხარეს, — მაინც შეპარვით წამოიწყო ტუმ. — მდინარეები და ტბები სქელი ქერქით დაიფარება, ხეები გაშიშვლდება, სიცივე ნემსებს მოიმარჯვებს და ჩხვლეტას დაგვიწყებს. ნადირი უფრო ფრთხილი და უკარება გახდება. ჩვენ ერთმანეთის ხორცის ჭამას დავიწყებთ და...

— ეს არ მოხდება! — ერთდროულად წამოიყვირა რამდენიმე ხმამ.

ქალები ნაცრიან მიწიდან წამოიშალნენ და პატარები გულში ჩაიკრეს, ხელებით დაფარეს, თითქოს მათ უპირებდნენ შეჭმას. მრისხანე მზერა მიაპყრეს ტამოს. სიჩუმე ჩამოვარდა. მოჩვენებებით სავსე ღამემ სუნთქვა შეიკრა, გაისუსა. გაისუსა ტყე, წყალი, ზეცა. ნიავი უსიცოცხლოდ გაწვა მიწაზე, ბალახებში გაითქვიფა. გაუჩინარდა. კოცონმა რამდენჯერმე გაიტკაცუნა და ლურჯად მოლივლივე ალი ვარსკვლავებივით აკიაფებულ ნაღვერდალში ჩაძვრა, ჩაიფერლა. უფრო მეტად მოეძალა სიშავე ღამეს.

ტუ შეირხა. იგი გრძნობდა, რომ ახლა მისი ჯერი იყო. ყველა მას მიშტერებოდა, მისგან ელოდა პასუხს. დაგვიანება ძალაუფლების დაკარგვას ნიშნავდა.

— ეს არ მოხდება! — დაიბუხუნა მან კარგა ხნის ფიქრის შემდეგ და გამარჯვებულის მზერა მოავლო სადგომს.

ტუმ მთელი თავისი გულისწყრომა ამ ორ სიტყვაში ჩაატია, თუმცა გაცილებით მეტის თქმას აპირებდა. სამაგიეროდ, რაც სიტყვებით ვერ თქვა, თვალებით გამოხატა.

„მალე ტუს კეტს საქმე გაუჩნდება“, — გაიფიქრა ცბიერმა ტამომ და სიამოვნებისაგან ენა გააწკლაპუნა. — აქვე უნდა გაკოჭონ და ცეცხლში ჩააგდონ, რომ მისი ფერფლი ტყე-მინდორს მოფინოს ქარმა.

იგი შეაშფოთა განსაკუთრებულმა სიწყნარემ. შეიშმუშნა, ხოლ-ცის წიწკნას თავი გაანება, წამოიზლაზნა, გაიზმორა და მხოლოდ ახლა შენიშნა მის გარშემო მდგარი ხალხი. სათითაოდ შეათვალიერა ყველა. მერე მზერა უფრო შორს გადაიტანა და ტუს თვალებს შეეფეთა, ნაკვერჩხლებივით რომ ბრდღვიალებდა სიბნელეში. არ ესიამოვნა, ინსტინქტურად დაიხია უკან და დიდცხვირა ლოდისაკენ გააპარა მზერა. თვალი შეავლო საიმედოდ დამალულ ნივთებს და წელში გასწორდა. ჩამქრალ თვალებში იმედის ნაპერწკალმა ელვა ამოიგმინა.

სადგომი შეტორტმანდა. კოცონის გარშემო გაწოლილი ჩრდილები აფარფატდნენ, გადაიხლართნენ, ერთმანეთში აირივნენ. ამ მოულოდნელ მოძრაობას ყმუილით გამოეხმაურა ტყე და ყველამ და ყველაფერმა სული ჩაიდგა, ამოძრავდა. თანდათან შეიკრა მის გარშემო უხილავი ჯადოქრული წრე. მან მოწყალებით ახედა მშვენიერ ამუს და ვედრებით მიმართა:

„შენ დამიფარე, მშვენიერო ამუ, ბოროტ ადამიანთა რისხვისაგან. მიეც ჩემს სხეულს ძალა და გამბედაობა. გამიხსენ გონება, გამინათე გზა აზრით და იმ მთის ძირს, სადაც ყოველდამ ინებებ ჩაბრძანებას, ყოველთვის დაგხვდება ჩემგან საჩუქარი. ან მიბრძანე და...“

მას მოეჩვენა, თითქოს ამუმ თვალი ჩაუკრა და გაუღიმა. უფრო მეტად გაბრწყინდა ვარსკვლავებით მოჭედილ ცაზე და ვერცხლისფერ ნათებად მოეფინა არემარეს.

თავისუფლად ამოისუნთქა. კარგად ენიშნა ამუს აკიაფება. მადლიერების გრძნობა გამოეხატა სახეზე. სხეულს შიშით წართმეული ძალა დაუბრუნდა და გონებას აზრი მიეცა. დამშვიდდა და ოდნავ გათამამდა.

— რა მოხდა? — გაბედა, როგორც იქნა, — რატომ მიყურებთ ასე?

— შენ არღვევ ყოვლისმძლე ცეცხლის წმინდა კანონს, — ჯიქურ შეუტია ბებერმა ტამომ, — აღარ ემორჩილები სადგომის გადაწყვეტილებას. მაინც დადიხარ ცბიერი მზის შვილის სანახავად მყრალი მიწის ნაპირას. შენი საქციელი გადამდებია, და თუ კვლავ ასე გაგრძელდა, ჩვენი ამქვეყნად ყოფნის დღეები საოცრად შემცირდება. შენ უნდა მოკვდე!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— არა! — წამოიყვირა მან.

— უნდა მოკვდე! — ჯიუტად გაიმეორა ტამომ და ბოროტად მოჭუტა თვალები. — სხვანაირად სიმშვიდე არ გველირსება. გუშინ შენს გატკეპნილ ბილიკს ორი ახალგაზრდა გაჰყვა და გიგანტებზე ნადირობისას ოთხი ძლიერი ხელი დაგვაკლდა. დღის მობრძანებისას კიდევ ორმა სცადა გაპარვა და ასე იქნება მანამ, სანამ შენს ცოდვილ სულს ნოტიო მიწა არ მიიბარებს.

მან ნაბიჯი წარსდგა წინ, სიტყვის თქმა დააპირა, მაგრამ მიხვდა, რომ თავის მართლებას ან შეცოდებას აზრი არ ჰქონდა. ტამოს სიტყვებმა თავისი გააკეთა; ხალხში შიში და უნდობლობა დათესა და ახლა გადაწყვეტილების შესრულებამდე ცაზე ვარსკვლავის გაელვებაზე უფრო ნაკლები დრო დარჩა.

ტუმ კეტი მოიმარჯვა და დაიძრა. იგი წინ წახრილი მოდიოდა და გოროზ ტანს მსუბუქად მოათამაშებდა. ნადირივით აბრიალებდა ჩაწითლებულ თვალებს და საკუთარი ძალით გათამამებული ნეტარებდა. მალე მისი შემწეობით ყველაზე საშიშ ბოროტებას მოეღებოდა ბოლო, უხაროდა. უფრო მეტად ამაღლდებოდა კაცების თვალში, ხოლო დღეის შემდეგ ყოველი ქალის ოცნება გახდებოდა მის გვერდით წოლა.

„მე მოვკლავ მას, — ფიქრობდა ტუ. მოვკლავ პირველივე დარტყმით, ერთი მოქნევით, დანარჩენზე ტამო იზრუნებს. მე კი... — თვალი შეავლო საქალებოს, — იმ უკარება ალქაჯს დავითრევ ამ ღამით...“

თანდათან მცირდებოდა მათ შორის მანძილი.

— შენ ვერ ვაბედავ, ვერა! — დაიქუხა მან და შეჩიხული ნადირივით აწრიალდა.

ეს იყო მომაკვდავის უკანასკნელი გაბრძოლება. ხმა გრგვინვასავით დაირხა სიბნელეში და იმდენად მოულოდნელად, რომ ტუ შედგა, შეყოყმანდა. მაგრამ ყველაფერი გაელვებაზე უსწრაფესად მოხდა და ტუს შეყოვნება არავის შეუმჩნევია. იგი გააოცა წამიერმა სისუსტემ, უფრო ენერგიულად გასწია წინ, ჯიქურ მიიჭრა მასთან და ვეება სიმძიმის კეტი მსუბუქად აიტაცა ორივე ხელით. მერე ყველაფერი სიზმარივით უცნაურად და სწრაფად მოხდა. კეტმა წუილით მოხაზა ნახევარწრე სივრცეში და მიწას დაასკდა. მაგრამ

რაც ყველაზე საოცარი იყო, მან მოასწრო გვერდზე გახტომა და სიბნელეში გაუჩინარდა.

ტუ თვალებს არ უჯეროდა. კარგა ხანს ეგონა, რომ მისი მსხვერპლი კეტის სიმძიმემ მიწაში ჩაიტანა. თავდახრილი ჩაშტერებოდა ერთ წერტილს, კვალს ეძებდა, მაგრამ ამაოდ. ნაბზარიც კი არსად აჩნდა მიწას. გაკვირვებული თვალები მოავლო ხალხს. მათ გაცრეცილ, ფერდაკარგულ სახეებზე შიშის გარდა ვერაფერი ამოიკითხა. მერე მოწყვეტით მობრუნდა და ისევ იმ ადგილს დააშტერდა, სადაც რამდენიმე წამის უკან სამსხვერპლო იდგა. მყუდროება სიბნელიდან მოვარდნილმა სიტყვებმა დაარღვია:

— მე მოვალ! აუცილებლად მოვალ დილასთან ერთად და შურს ვიძიებ!

ეს იყო ზარივით წმინდა და ფოლადივით მტკიცედ თქმული სიტყვები, ელვასავით მოკვეთილი და გრგვინვასავით ძლიერი.

ტუმ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა სიბნელისაკენ და უცებ შედგა, ბოროტად გაეღიმა. კისრის ძარღვები დაებერა, დაეჭიმა. თვალები აუწყლიანდა. აეწვა. სახე მოექცა. გაეცინა, თანდათან აუწია ხმას, ახარხარდა. გაბოროტებული თვალები გაუფართოვდა, ხელები გაშალა და გაოგნებული ერთ ადგილზე დატრიალდა. მისმა ძლიერმა ხმამ მიძინებული ღამე გამოაფხიზლა და ყმუილ-ხრიალი აიყოლია. თავზარდაცემული ხალხი პირქვე დაემხო, ბავშვები აბღავლდნენ. ყველაზე გულადმა კაცებმაც კი ცეცხლთან სიახლოვე ამჯობინეს ტუს გვერდით დგომას. ბებერ ტამოს იმედი გადაუწყდა, ორად მოიკეცა და კოცონის პირას ჩაცუცქდა.

ტუ ძველებურად როხროხებდა და ექოთი დაბოხებული მისი ხმა ლომის ბუხუნივით გაისმოდა ვიწროებში. მერე უცებ შეწყვიტა ხარხარი და სიტყვაუთქმელად განმარტოვდა ჩაფიქრებული.

ამ ამბის შემდეგ დიდმა დრომ განვლო. ტყე ახლად შეიმოსა, მინდვრები ლორთქო ბალახით დაიფარა. თეთრი დღეები შორეულ ქვეყნებში გადასახლდა და ზამთრით წელგაწყვეტილმა ადამიანებმა შვებით ამოისუნთქეს. ნადირთა ტყავის მძიმე ქურქები შეიხსნეს, გახალისდნენ და ჟივილ-ხივილით მოედვნენ სადგომის ახლომახლო ველ-მინდვრებს. სიკვდილის პირას მისულმა ბებერმა ტამომ თვალებში გამოიხედა, სული მოიბრუნა, თავის ძველ საქმიანობას მიჰყო ხელი და სწრაფად აღიდგინა ავადმყოფობით შერყეული მდგო-

მარეობა. კაცებმა ახალი იარაღის შეკვრა-გამოთლა დაიწყეს და ხშირად წესიერი კაჟის ძებნას მთელ დღეს ანდომებდნენ. ბავშვები ძლივს ერეოდნენ, იმდენი მოჰქონდათ საჭმელი ბალახი და სხვადასხვა მცენარის ფესვები. ცეცხლზე განუწყვეტლად თუხთუხებდა წყალი, იხარშებოდა საჭმელი. ყველა რაღაცას საქმიანობდა, ფუსფუსებდა, მხოლოდ ტუ იყო უცვლელი. იგი ისევ განცალკევებით იდგა გულჩათხრობილი და იმღამინდელ ამბავს ვერ ივიწყებდა. გულისფანცქალით ელოდა ყოველი დილის მობრძანებას, მის გამოჩენას, ელოდა, თუმცა დარწმუნებული იყო, რომ იგი კარგა ხანია რომელიმე მხეცის ლუკმა გახდა და, თუ მართლა გამოჩნდებოდა სადმე, აუცილებლად ნადირის სახით. ან იქნებ თეთრმა დღეებმა გაიყოლიეს თან. ზოგჯერ მასზე ფიქრი სისულელედ ეჩვენებოდა. მაგრამ ხანდახან ღამით, რაღაც გაურკვეველი, ცხოველური ინსტინქტი გამოაფხიზლებდა ჩათვლემილს და შეშფოთებული ამახვილებდა სმენას, თვალს უშტერებდა ფერდაკარგულ ღამეს.

აი, ახლაც რაღაცამ ისე ძლიერ შეაწუხა, რომ თვალები ჭყიტა და მორგვივით კისერი რამდენადაც შეეძლო წაიგრძელა. თვალი შეავლო სადგომს — ყველას ეძინა. ეძინა ყველაზე ფხიზელ ყურსაც. ამან დაამშვიდა. ცას ახედა და დაბერილი ფილტვებიდან შუილით ამოუშვა ჰაერი. ირგვლივ საეჭვო არაფერი იყო, თუმცა რაღაც გაურკვეველი გრძნობა მაინც არ ასვენებდა და აფრთხობდა.

შორს, ქვეყნის დასალიერს, ცას ნათელი შეეპარა. დაიწყო ფერთა ჯადოქრული მოსვლა-მოზღვავება. სამყარო გამოცოცხლდა და ამოძრავდა. მთელ ღამეს ფეხზე მდგარი მთები ნაცრისფერ ჩრდილებად გაწვნენ დაბლობებში. არემარე დაფერიანდა, ახავერდდა. ჯერ ერთი გულჭრელა მიესალმა დილის მობრძანებას, მერე — მეორე, მეორეს მესამე მოჰყვა, მესამეს — მეოთხე და რამდენიმე წუთში სამყარო ყალიბივით შეივსო ხმებით. ყვავილებმა კისკისით გამოანათეს ბრდღვიალა ფერებით და ფიანდაზად დაექარგნენ ფერდობებს.

ტუმ ხარბად შეისუნთქა დილის ჰაერი და უხალისოდ შეიშმუშნა. თვალები მუშტით ამოისრისა, რაღაც ჩაიბურდღუნა და ორივე ხელით დაეყრდნო კეტს. მამაკაცებისაკენ გააპარა მზერა. მამაკაცებს ფეხზე მდგომთ ეძინათ. ესიამოვნა მათი სიფრთხილე. ხალისით გახედა ჰორიზონტს, უხერხულად მოიქექა კეფა და მხრები შეათამაშა.

მსხვერპლს დადარაჯებული ნადირივით გაირინდა, ყურები ცქვიტა. მის მახვილ სმენას ჩქამი ჩაესმა. წინ გადაიხარა, გაიხედ-გამოიხედა. ხმაური აღარ განმეორებულა. დამშვიდდა. სხვა რამეზე დაიწყო ფიქრი. წარბები შეჰყარა, შუბლი დაუნაოჭდა. გამალებით ფიქრობდა: დღეს, როგორც კი მზე ნაკვერჩხალს გააუფერულებს, ტამო ნიშანს მისცემს და ნადირობისადმი მიძღვნილი ცეკვა დაიწყება. შემდეგ კი, თუ მარად უქრობი ცეცხლი ინებებს, სანადიროდ წაიყვანს ხალხს. ეს იქნება ამ წლის პირველი და ყველაზე დიდი ნადირობა. მის კეთილად დამთავრებაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული.

„ახლა იოლია ხალხის დამორჩილება, — ფიქრობდა იგი. — ყოველდღე სანადიროდ ვივლი და მზის შვილზე ფიქრისთვის აღარ ეცლებათ. ძველი ტყავკაბაც გაცვდა, გაიქექა, გამოსაცვლელია, ტყავი კი არა გვაქვს. ხორციც აღარ გვქონია კარგახანია საძღომად. თეთრმა დღეებმა ხალხი დააბეჩავა და დააჩაჩანაკა. უსაქმობისაგან გაირყვნენ — ზიზღით გადახედა კოცონის პირას მიგდებულ ორ ახალგაზრდას. — რა ჯანდაბა იზიდავს ამ უბედურებს მყრალი მიწისაკენ. მზის შვილი ამაყი და დაუნდობელია. განა მის დედამშობელს — მზესა ჰგავს, რომელიც გვათბობს და ნათელით გვმოსავს. რომ შემეძლოს...“

ტუმ ფიქრი შეწყვიტა და შეწუხებულმა მიმოიხედა. ისევ ჩაესმა რაღაც ხმა, მაგრამ ვერ მიხვდა, გამხმარი ტოტი ჩამოტყდა ტყეში, თუ შამბნარში მხეცმა გაირბინა. სხვა დროს ამ უმნიშვნელო ხმაურს ამდენ ყურადღებას არ მიაქცევდა, მაგრამ დღეს რატომღაც ყველაფერი აღიზიანებდა და ზედმეტად აფრთხობდა.

„დიდი ხანია აღარ მინადირია და ალბათ ამის ბრალია, — დაასკვნა მან. — გადამავიწყდა მაცდური ტყის ენა“, — მერე სიამოვნების ტალღამ გადაუარა სახეზე, საკუთარ მკერდსა და ხელებზე დაიხედა. ესიამოვნა ქვასავით მკვრივი კუნთების თრთოლვა და მორებივით მსხვილი ხელების ხილვა.

„თუ ნადირობამ კარგად ჩაიარა, თეთრი დღეების მეორედ მობრძანებამდე ხალხი მორჩილებაში მეყოლება და ბებერი ტამო ჩემს თავს შეავედრებს ყოვლისმძლე ცეცხლს. მთავარია, პირველი ნადირი მე მოვკლა, თანაც ერთი დარტყმით.“

ამ უკანასკნელმა სურვილმა ის წყეული ღამე მოაგონა. მაშინაც ერთი დარტყმით აპირებდა მის მოკვლას, მაგრამ არ გამოუ-

ვიდა და რის ვაივაგლახით შეინარჩუნა ავტორიტეტი. ცუდ ხასიათ-ზე დადგა. უხალისოდ აიტაცა კეტი ცალი ხელით და მეორეთ ... თრევა-თრევით სადგომის შემოვლა დაიწყო. ფეხაკრეფით და მე-პარვით მიაბიჯებდა. ქურდივით აცეცებდა თვალებს. ყველას და ყველაფერს აკვირდებოდა, თითქოს პირველად ხედავსო. უწესრი-გოდ მიყრილ ქალებთან და ბავშვებთან შედგა. მძიმედ დაუშვა კეტი. დიდხანს ეძება იგი, ვისი დამორჩილებაც იმ ღამით ვერ მოა-ხერხა. ბოლოს შენიშნა. განაპირად იწვა დედამისის ახლოს და სა-ხეზე ხელები ჰქონდა აფარებული. ყურცქვიტას გაქექილი ტყავი სანახევროდ უფარავდა სხეულს. სპილენძისფერი ხორცსავსე ტანი უცნაურად ბზინავდა ძალადაკარგულ კოცონის შუქზე. მკვრივი, შიშველი მკერდი ზომიერად ადი-ჩაუდიოდა. ყელზე ირიბად გა-წოლილი ძარღვი მშვიდად უცემდა. ტუმ პირში დაგუბებული ნერ-წყვი გადაყლაპა, წელიდან დაცურებული წინსაფარი შეისწორა და სიამოვნებისაგან ხელი-ხელს შემოჰკრა.

„უნდა მივეპარო და მოულოდნელად ვეცე“. — გაიფიქრა მან.

კატასავით ფრთხილად გადააბიჯა მძინარე ქალებს, გაინაპირა და ძუნძულ-ძუნძულით გაეშურა მისკენ. ფეხაკრეფით მიუახლოვდა, თავზე წაადგა.

„იმღამინდელივით კბენა რომ დამიწყოს, — გაიფიქრა მან. — სინსილასავით მოვახრჩობ.“

უცებ მოიხარა წელში, ცალი ხელი მხარში ჩააცლო და კა-ტის კნუტივით აიტაცა. შემობრუნდა, ბანჯგვლიან მკერდზე მიიკრა.

გოგო ჯერ კიდევ ბურანში იყო და ბრმად ემორჩილებოდა მის ველურ ვნებას. ტუ უცებ შეკრთა, თმა აებურძგნა, აეშალა. ყუ-რები ყურქვიტასავით აუთამაშდა. დამდუღრულივით შეუშვა ხე-ლი მსხვერპლს. გოგონა მოწყვეტით დაეცა მიწაზე, გონს მოეგო და შეშინებულმა შეჰკივლა.

ტუმ თვალები დახუჭა. სისხლად მოწოლილი ვნება უკუიქცა. გაფითრდა. გვერდით წუილით ჩამოუქროლა რაღაცამ და უხმოდ ჩაერჭო მიწაში, ზუსტად მის ფეხთან. იგი არ განძრეულა, ოდნავ მოატრიალა თავი, ქუთუთოები მძიმედ ასწია და ჩასისხლიანებული თვალები მიწაში ჩარჭობილ თხილის წვრილ ღეროს გაუშტერა. ღე-რო ჯერ ისევ ქანაობდა. წინ გადაიხარა, გაავებული ხარივით დახა-რა თავი და მკერდზე ნიკაპმიბჯენილი კარგა ხანს იდგა. მერე მოტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიალდა და წარბებს ქვემოდან ახედა მოსალოდნელ მოწინააღმდეგეს. ალბომ არ უღალატა. უახლოეს ბექობზე, იქ, სადაც ჭალები თავდებოდა, ამაყად იდგა მისი მოსისხლე მტერი და უტიფრად უყურებდა.

„შურისძიების ჟამი დადგა“, — გაიფიქრა ტუმ და რამდენიმე ნახტომით კეტთან გაჩნდა. ჩვილი ბავშვივით აიტაცა ხელში და გულში ჩაიკრა. იმწამსვე მიეცა ძალა, დამშვიდდა და გათამამდა. თვალები დაუბრიალა ქალებს. ქალები წივილ-კივილით შემოეცალნენ. პირქუშმა მამაკაცებმა, ყოველი შემთხვევისათვის, იარაღი მოიმარჯვეს. ვინ კეტს დაეყრდნო, ვინ ქვაგამობმულ ჯოხს წაატანა ხელი, ვინ უბრალოდ გამოჩორკნილ შუბისმაგვარ ტოტს წაეპოტინა.

— გათავდა! დღეს გაიმარჯვებს ყველაზე ძლიერი! — წამოიყვირა ტამომ და წამოდგა. ტუსთან მივიდა და მრავალმნიშვნელოვნად ჩახედა თვალებში. ტუმ უხეშად ჩამოიცილა გზიდან ღა თამამად გადადგა ბექობისაკენ ნაბიჯი.

„მთავარია ერთი დარტყმით მოვკლა, რომ იმღამინდელი ამბავი არ განმეორდეს“, —ფიქრობდა და ჯიუტად უახლოვდებოდა მოწინააღმდეგეს.

— კიდევ ნაბიჯი და შენ მოკვდები! — მოისმა ბექობიდან.

ტუ შედგა. სიბრაზისაგან ნაკვერჩხალივით გაწითლდა. კბილები გააკრაჭუნა, ერთი კი მოიხედა უკან და ბექობისაკენ ისკუპა.

ტუ ჯერ კიდევ ჰაერში იყო, როდესაც მან მშვილდივით მოხრილი ხე მარცხენა ხელით ასწია. მის ბოლოზე გამობმულ ლიანას წვეტიანი თხილის წვრილი ტოტი გამოსდო და ლიანა, რაც შეიძლებოდა, დაჭიმა. მერე უცებ გაუშვა ხელი და გაირინდა.

ტუმ დაიბღავლა, მკერდზე იტაცა ხელი და მიწას დაენარცხა. ტკივილებს სძლია, წამოხტა, მაგრამ ისევ დაეცა და აფართხალდა. ორივე ხელით ჩაეჭიდა თხილის წვრილ ღეროს. მკერდიდან ამოძრობა სცადა, მაგრამ ამაოდ: რაც უფრო ცდილობდა, მით უფრო მეტად მოსჩქეფდა სისხლი ჭრილობიდან. სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, სიმწრისაგან ჯოხი ჭრილობაშივე გადატეხა და ნაკუწებად აქცია. ალარ ბღაოდა. მხოლოდ ზმუოდა და ამაოდ ლამობდა ფეხზე წამოდგომას. ერთი-ორჯერ ჩაიმუხლა კიდეც, მაგრამ პირქვე ჩაემხო და თვალცრემლიანმა განუტევა სული. უკანასკნელად ესღა გაიფიქრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რაც მთავარია... ერთი დარტყმით უნდა მოვ...“

მეტი აღარ დასცალდა. მისი დაუდგრომელი სული ნოტიო მიწის მოციქულებმა მიიბარეს.

იგი დინჯად ჩამოვიდა ბექობიდან, ჯერ კიდევ თბილ ვვამს მიუახლოვდა, ფეხი გაჰკრა, გაასწორა და ზედ შედგა. გამარჯვებული სახით გადახედა თავზარდაცემულ ხალხს. მერე მსუბუქად ჩამოხტა ძირს, ტუს კეტს წამოავლო ხელი, ემძიმა, მაგრამ არ შეიმჩნია და სადგომს მიუახლოვდა. ხალხი ორად გაიყო და გზა მისცა. თავაწეულმა გაიარა მათ შუა, კოცონთან მივიდა და ტუს ხელისუფლების სიმბოლო — კეტი ცეცხლში ისროლა.

გმინვა აღმოხდა ხალხს. ბებერმა ტამომ უკმაყოფილოდ ჩაიბურდღუნა, მაგრამ სწრაფად გაჩუმდა და ფარული მზერა გააპარა ტუს კეტისაკენ. გამომშრალ ხის მორს ხარბად ლოკავდა ცეცხლის ენები და კუნძისხელა კეტი თვალის დახმახამებაში დანაკვერჩხლდა; ტამო გაოცდა.

„გათავდა, ყველაფერი გათავდა“, — ფიქრობდა იგი და კოცონს თვალს არ აშორებდა. თანდათან გაუარა დაბნეულობამ. კოცონის გარშემო დაიწყო ქოთქოთი და ყველას ყურადღება მიიპყრო. მისგან ელოდნენ ამ გაუგონარი ამბის ახსნას. ეს ტამოს კარგად ესმოდა, მაგრამ პასუხისათვის დრო იყო საჭირო და სწორედ ამიტომ დაიწყო კოცონის გარშემო ხტუნვა-ხტუნვით სიარული. ბოლოს შედგა, გაშეშდა. ორივე ხელი ზეაღაპყრო და გადმოკარკლული თვალები ცეცხლის ალს გაუშტერა.

— აღსრულდა! — აღმოხდა მას, — გაიმარჯვა უძლიერესმა. დღეიდან ჩვენი წინამძღოლი მზის შვილის მეგობარი იქნება, ჩვენ კი მისი ნების აღმსრულებლები და მორჩილნი. ასეთია ყოვლისშემძლე ცეცხლის ნება-სურვილი.

ცხოველური მორჩილებით გადახედა ტამომ ახალ წინამძღოლს და ხელით ანიშნა კოცონთან ახლოს მისულიყო. იგი სიამაყისაგან წამოწითლდა, მაგრამ უხერხულობას სძლია, კოცონთან მივიდა და ყველას გასაგონად თქვა:

— ნადირობის დღეს სხვა დროს დავნიშნავ. ახლა ქალები წავლენ შიშველი მთის ძირას და ჩემს ნანადირევს მოიტანენ. ხორცი ბლომად არის, ბევრ დღეს გვეყოფა.

თქვა ეს და განერიდა აღტაცებულ ბრბოს. დიდცხვირა ლოდ-

თან მივიდა მხრიდან მშვილდი მოიხსნა, ქამრიდან ისრები ამოაცურა და მოწიწებით დაალაგა მიწაზე. გვერდით მიუჯდა, ხელი მიუთათუნა გამომშრალ თხილის ღეროებს, ზურგით ლოდს მიესვენა და ოცნებაში წასულმა ჩასთვლიმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი უჩვეულო ხმამ გამოაფხიზლა, მაგრამ ვიდრე გონს მოვიდოდა, რაღაც ძალამ ჰაერში აიტაცა, ამოტრიალდა და მიწას გააკრა. მწარე ტკივილის მიუხედავად სწრაფად წამოხტა, მშვილდ-ისარს ხელი წამოავლო და შეშფოთებულმა მიმოიხედა.

ირგვლივ გაუგონარი ამბავი ხდებოდა; მთები და ბორცვები ირყეოდა, მიწა ზანზარებდა, რამდენიმე ადგილას ღრმა ნაპრალს დაეღო პირი. ძირიანად ამოგლეჯილი ვეებერთელა ხეები უწესრიგოდ ეყარა, ზოგიც ბალახივით გაწოლილიყო მიწაზე. ხმელ ხეებს ცეცხლი ეკიდა. ბუჩქები დაფერფლილიყო. ჰაერში წყლისა და მტვრის ბული იდგა. მზე სავსე მთვარესავით ეკიდა ჰორიზონტზე და ყველაფერს რაღაც სევდიანი, მოყვითალო-მონაცრისფრო ელფერი გადაჰკრავდა. საოცარია, რაღაც ერთი წუთით ჩასთვლიმა მხოლოდ და როგორ შეიცვალა ყველაფერი.

სადღაც შორს, გულისშემაღონებელად წუოდა რაღაც და თუმცა ხმა თანდათან სუსტდებოდა, მაინც ისე ჭრიდა სმენას, რომ სხეული თრთოდა. ირგვლივ არავინ ჩანდა. აქა-იქ ცოცხალ-მკვდარი ადამიანები ეყარნენ. მისგან ხელმარცხნივ, ჩამქრალ კოცონთან, ტამოს გულაღმა ამოტრიალებული გვამი ეგდო.

ჩამოცხა. ბურუსი აიშალა, ზემოთ აიწია, იჭექა. მერე ცხელმა ნიავმა წამოუბერა და წამით ცა გახსნა. მან თავი ასწია და თუმცა მზის ელვარებამ დააბრმავა, მაინც შეავლო თვალი, როგორ მიფრინავდა მზისკენ ცეცხლმოდებული პატარა ბურთი.

„წავიდა, მზესთან დაბრუნდა“, — გაიფიქრა მან.

ცა დიდი ხანია შეიკრა, წვიმამაც მოუხშირა, მაგრამ იგი ძველებურად თავაწეული იდგა და თვალდახუჭული მაინც ხედავდა მზის შვილს, გრძნობდა მის ძალას და სიდიადეს. იდგა გაუნძრევლად და მისი სველი სხეული ბრინჯაოს ქანდაკებასავით ლაპლაპებდა პირველყოფილი ბუნების ფონზე.

როდესაც სათადარიგო ძრავები გამოერთო და სპირალოიდზე

ხელოვნური მიზიდულობა ჩართეს, პირველი შტურმანი სასტარტო აბაზანიდან ამოძვრა და სამართავ პულტთან მოიკალათა. მეორე შტურმანს დაესწრო მისთვის და სტარტის დროს დაშვებულ შეცდომებს ასწორებდა. ხომალდი თანდათან გადადიოდა ძირითად კურსზე.

— მე მეგონა, უფრო გაძნელდებოდა სტარტი, — გაიფიქრა პირველმა შტურმანმა. — ურუდან აფრენა უფრო მტკივნეული იყო.

— პლანეტის ატმოსფეროს აფეთქების ეშინოდათ, — უპასუხა მეორემ, — მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა. უცნაური პლანეტა იყო, — დაუმატა მანვე ცოტა ხნის შემდეგ.

— მე კი ძალიან მომეწონა. განსაკუთრებით ფერთა გამა და ორ ქვედა კიდურზე მოარული სასაცილო ცხოველები. სიამოვნებით ვიცხოვრებდი ამ პლანეტაზე, ამდენი ჟანგბადი რომ არ იყოს. იგი ისეთი პატარა და საყვარელია, რომ ზუსტად ერთი ოჯახისთვისაა განკუთვნილი. ასეთი ბუნებრივი თანამგზავრები მაინც მისცა ურუს, — ინატრა მან.

— მე კი არასოდეს ვინატრებდი ასეთ პლანეტაზე ცხოვრებას. ერთ დღეს იქნება, ჟანგბადი აფეთქდება და მერე მშვიდობით, სიცოცხლევ, კოსმიურ მტვრად იქცევა შენი საყვარელი პლანეტა.

— ეგ არ მოხდება, — არ დაეთანხმა პირველი. — მალე იქ მოაზროვნე ცხოველები გაჩნდებიან, ჩამოყალიბდება ადამიანი. გახსოვს, რა ჭკვიანი თვალები ჰქონდა იმ ორ კიდურზე მოარულ ცხოველს, ჩვენს შორიახლოს რომ დადიოდა და გვითვალთვალებდა. ხიმმა მისი ტვინის იმპულსები ჩაიწერა და გაშიფვრისას იმ დასკვნამდე მივიდა, რომ შეიძლება აზროვნებდნენ კიდეც. ყოველ შემთხვევაში, იმპულსებს შორის გარკვევით შეინიშნება ლოგიკური თანმიმდევრობა.

— ვიცი, ვიცი, — შეაწყვეტინა მეორემ. — ორგანული სიცოცხლის განვითარების ცნობილი თეორიაა. გაჩნდება ადამიანი, შემდეგ საზოგადოება, ცივილიზაცია, პროგრესი. შეიქმნება კულტურა, დაიხვეწება ფორმა...

სპირალოიდი გასცდა ყვითელი მზის მიზიდულობის სფეროს და ძირითადი მარშრუტის ელიფსოიდის შემოვლა დაიწყო. იგი თანდათან უმატებდა სიჩქარეს და მალე კოსმოსის ხავერდოვან სივრცეში პაწია ვარსკვლავად აკიაფდა. მერე ელვარე წერტილად იქცა და ბოლოს, სამყაროს უკიდეგანო სივრცეში გაუჩინარდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უსასრულობიდან

ვუძღვნი ნოდარ დუმბაძის ნათელ ხსოვნას.

ᲘᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲑᲐᲠᲘᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲚᲛᲐ

როდესაც შემოქმედთა დიდი საბჭოს უხუცესი ფორუმის შუაგულში გამოვიდა და სწორკუთხა თეთრი ფირფიტა აღმართა, მოლოდინით დამძიმებული დარბაზი ტაშმა შეატორტმანა. ტალღა ყველა კუთხე-კუნჭულს მოედო. დარბაზი აზრიალდა, აზანზარდა. ხალხი წამოიფოფრა, წამოიშალა. ვიღას ესმოდა სიტყვები, ისედაც ყველაფერი ნათელი იყო.

ულოცავდნენ.

ულოცავდა ყველა: მოხუცი თუ ახალგაზრდა, ქალი თუ კაცი, მტერი თუ მოყვარე. მეგობარი, ვინც დღენიადაგ მის გვერდით იდგა თუ მოწინააღმდეგე, რომელსაც პროექტის გრანდიოზულობა, მასშტაბები აშინებდა და ეჭვი ეპარებოდა მის განხორციელებაში.

ერა ძლივს მიიკვლევდა გზას შედედებულ ზღვა ხალხში. სიხარულით გაოგნებულს ერთი მიზანი ამოძრავებდა; რაც შეიძლება სწრაფად გასცლოდა მოზეიმე დარბაზს და იქ, მარტოობაში, ერთხელ კიდევ აეწონ-დაეწონა ყველაფერი. ყველაფერი თავიდან გაეანალიზებინა, ყველა დეტალი გაეჩხრიკა და თუ სადმე უზუსტობას შეამჩნევდა, უარი ეთქვა, უარი ეთქვა იმ დიდებაზე, დღეს რომ ხალხმა ფიანდაზად გაუგო ფეხქვეშ. ჯერ კიდევ შეიძლებოდა უარის თქმა, უზომო პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება. მაგრამ ეს მხოლოდ სიხარულით აფორიაქებული გონების წამიერი სისუსტე იყო, რადგან შეუძლებელია შენთან ერთად დაბადებულ, ახდენილ ოცნებაზე უარის თქმა. დღესავით ნათელ და წმინდა ოცნებაზე, ფიქრიან ღამეებზე, იმედ-უიმედობის გაუთავებელ ჭიდილზე, კამათზე, რომელსაც არც ბოლო ჰქონდა და არც დასაწყისი.

— „ჩქარა ოცნების ბაღში“, — ფიქრობდა იგი და ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა გასასვლელისკენ. „ჩქარა! — აჩქარებდა საკუთარ თავს. — ჩქარა! მხოლოდ იქ შეიძლება განვმარტოვდე, გავერთეულდე.“

რის ვაი-ვაგლახით მიაღწია გასასვლელს, კარებში გასხლტა და

უკან მოიტოვა სიხარულით შეშლილი სახეები, გაბრწყინებული თვალები. მისალოცად აღმართული ხელების ტყე და ყიჟინა, ზარივით რომ რეკდა თავში. კიბეები ჩაირბინა. სასტარტო მოედნისაკენ გაიქცა. შორიდანვე შენიშნა შინდისფერი დისკომფრენი. როგორც ყოველთვის ეულად ეკიდა სივრცეში და თრთოდა. აღარ დაელოდა ღუზის აშვებას, მხარზე მოიგდო მრავალფენოვანი სიფრიფანა წრე და როცა გაფრინდა, მხოლოდ მაშინ ჩართო სამარშრუტო ავტომატი. შვებით ამოისუნთქა. ეამა სხეულის ამსუბუქება, მოხერხებულად შეატყუპა ფეხები, ჰაერის აღმავალ ტალღაზე გაწვა და ისარივით გაქანდა ცისკენ.

„ზევით! რაც შეიძლება ზევით! — ფიქრობდა იგი. — ზევით! იქ, სადაც სიმაღლე და სიწმინდეა, აბსოლუტური სიმარტოვე და სისავსე. იქ, სადაც სისწრაფეა, ზღვარდაუდებელი სისწრაფე... ფერების სამყაროში... იისფერი ბარიერის მიღმა“.

ოდნავ შებრუნდა. სახე შეაგება ჰაერის გრილ ნაკადს. სასიამოვნო ჟრჟოლამ დაუარა სხეულში. სიგრილე შემოეჭდო, შემოესალტა. სულსა და გულში გაუჯდა. გადატრიალდა. მზერა გააპარა ქვემოთ. იქითკენ, სადაც რამდენიმე წუთის უკან სიცოცხლის განვითარების ახალი ერა დაიწყო.

გაეღიმა.

„წუთი, — გაიფიქრა მან. —რა მცირე დროა და როგორ ტევადი. მთელი ჩემი სიცოცხლე, ნამოღვაწარი, ოცნება, ფიქრი იმ ერთ წუთში ჩაეტია, რაც უხუცესმა თეთრფირფიტიანი ხელის აწევას მოანდომა. არადა ადრე რამდენი წუთი ყოფილა ჩემს ცხოვრებაში, ვინ მოთვლის. მილიონი? არა მილიარდი და უფრო მეტი. და მაინც იმ ერთ წუთს ხვდა წილად ბედი, დასაბამისი მიეცა სიცოცხლის ახალი ტალღისათვის. მე თუ მკითხავთ, წუთი წყვეტს ყველაფერს, ყველა დანარჩენი კი ჩვეულებრივი დროის მდინარეებაა და სხვა არაფერი. წუთია, როცა ახლადშობილი პირველად ჩაისუნთქავს ჰაერს. წუთია, როდესაც პირველად შევხედავთ სამყაროს, პირველად ვიგრძნობთ ტკივილს და მარტოობას, ცრემლსა და სიხარულს. პირველად შევიყვარებთ და პირველად მოგვიკვდება გული. წუთია, როცა პირველად ავალთ გამარჯვების კვარცხლბეკზე და პირველად მოვიხდით ჩვენს ადამიანურ ვალს ქვეყნის წინაშე. და ბოლოს, წუთია ის ჟამი, როდესაც ვემშვიდობებით ამქვეყნიურ

სიცოცხლეს და ფერთა სამყაროში გადავსახლდებით. აბა, ეგ სამო-
რიცხეთ ეს წუთები ჩვენი ცხოვრებიდან და რა დაგრჩებათ? მარ-
ტოდ მარტო ერთფერი დრო, სხვა არაფერი.

ქალაქს გაჰხედა. წყვილი მზის სხივებით დაფერილი მუდმივ-
მოძრავი სფერო უცნაური სანახავი იყო ამ სიმაღლიდან; უზარმა-
ზარი, ათასფრად მოციმციმე, ცოცხალი ორგანიზმივით მოთახთახე,
მოუსვენარი, ზღაპარავით მიმზიდველი. ქალაქი სივრცეში! აზროვ-
ნების უსასრულობისა და მუდმივი მოძრაობის სიმბოლო. ქალაქი
ქარაგმა! სადაც ყოველი სახლი, ქუჩა თუ ბაღი, ან სხვა რამ ნაგე-
ბობა, ყოველ წუთს, ყოველ წამს ადგილს იცვლის და სხვა ფორმით
გევლინება. სადაც არასდროს არაფერი არ მეორდება, სადაც ჯა-
დოქრულ ფერთა სიმრავლე ფანტასტურ ფარდაგებს ქსელავს. სა-
დაც ყოველთვის ახალს ელი და მუდმივ ძიებაში ხარ.

ერამ თვალები მოწკურა. ძლივს შეიცნო ფორუმი და მისი
შემოგარენი. ადამიანები პალიტრის ლაქებივით აჩნდნენ სივრცეს.
ისიც თანდათან იშლებოდა, იფანტებოდა. ბოლოს ჰორიზონტს იქით
გაუჩინარდა, გაქრა, სივრცემ შეისრუტა. ქალაქი უფრო შეიკრა,
ბურთივით დამრგვალდა.

სიმაღლემ იმატა. აცივდა. ავტომატურად ჩაერთო მიკროამინდი.
ერას გარშემო უხილავი ბარიერი შეიკრა. ზომიერად დათბა. სუნთქვა
გაიოლდა. სიჩქარე კი სულ მატულობდა და მატულობდა. გარემო
გაერთფერდა, განაცრისფერდა.

„— ცოტა კიდევ, სულ ცოტა და დადგება ის ნეტარი ჟამი,
რომლის გააზრება შეუძლებელია, — ფიქრობდა იგი. — ჟამი, როდე-
საც სიჩქარე მაქსიმუმს მიაღწევს და სამყაროს შეერევი, ფერად
იქცევი. ვიქნები ყველგან და ყველაფერში და არსად, უსასრულო-
ბად გადავიქცევი.“

მას ყველაზე მეტად ეს გარდამავალი წამი ხიბლავდა. წამი
როდესაც უნდა გამქრალიყო ხელმეორედ დასაბადებლად, ახალ,
დღემდე უცნობ ფერად. ახლაც მოახლოებული ნეტარების მო-
ლოდინში გაინაბა, თვალები დახუჭა. ისევ იმატა სიჩქარემ. იგი
გრძნობდა, როგორ პატარავდებოდა, როგორ კარგავდა წონას. რო-
გორ იშლებოდა ნაწილაკებად. სულ უფრო და უფრო მცირე ნა-
წილებად. ატომებად. გრძნობდა როგორ იძარცვებოდა თანდათან
სხეულისაგან. შიშვლდებოდა გონება. იკვეთებოდა მხოლოდ აზრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გრძნობა. კიდევ რაღაც კილომეტრები... რაღაც წუთები... წამები და იისფერი ბარიერის მიღმა....

ვიდრე გონება რამეს აღიქვამდა მან უფრო იგრძნო, ვიდრე შეიცნო სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის მდგარი ზღვარი. ზღვარი, რომლის ხილვა ჯერ არვის ღირსებია და ამდენად მხოლოდ თეორიულად არსებობს. მისი მათრობელა სუნთქვა მოეძალა, უსაზღვროება დაეუფლა და უცებ განათდა. მზის დაბადებასავით გადაანათა იქაურობა რაღაცამ. მთელ სამყაროს მოედო. აციალდა-ათინათინდა. სიჩქარის გრძნობა გაქრა. არაამქვეყნიური სიმშვიდე დამკვიდრდა. მარადიულობაში გადასახლდა.

ფრთხილად გაახილა თვალები. გაოცდა. ფერად ქცეული უცნაურ ფერთა სამყაროში დაცურავდა. ამდენი ფერი ერთად არასოდეს უხილავს. აქ იყო ყველა ფერის ყველა სპექტრი, ყველა ტონი თუ ნახევარტონი. თვალით უხილავი ნათება, რომელსაც მხოლოდ გონება სწვდება. მათი ნამრავლი, შერწყმა, შეუღლება. ეს იყო ჟამი, როცა იგი მხატვრობაზე ოცნებობდა, ფერით აზროვნებაზე. ფერად მუსიკაზე, პოეზიაზე. უსაზღვრო სიყვარულზე. მისთვის რომ გეკითხათ ამ დროს, გიპასუხებდათ — „არაფერია ამ ქვეყანაზე ფერის გარდა. არსებობს ფერი, მხოლოდ ფერი და დიდი გრძნობა. სხვა დანარჩენი მირაჟია არარსებულის.“

ირგვლივ ყველაფერი პულსირებდა, ციმციმებდა, ფეთქავდა. სხვადასხვა ფერთა გამები ერთმანეთს ერწყმოდნენ, ერთფერიანდებოდნენ, ქრებოდნენ და ასე დაუსრულებლად. თვალსაწიერზე გამთლიანებული სამყარო მუდმივ ფერთაცვლაში იყო, რომლის საზღვართწვდომა მხოლოდ გონებას თუ შეეძლო.

ერა ცდილობდა ყველაფერი დაენახა, შეემჩნია, გაეგო. დედაარსის სიღრმეს ჩასწვდომოდა. რამდენჯერმე, როცა თეთრ ფერს ჩაუქროლა, გულში ჩახედა და საკუთარ ანარეკლს მოჰკრა თვალი. ძლივს შეიცნო ალისფერი ნათება. ფრიად განწმენდილი და ჰაეროვანი. უსხეულო, უსახო, სიმივით გაჭიმული. წამიერად დაიხატა და გაჰქრა მის სიღრმეში. სხვათა ფერში აითქვიფა.

„—წინა გარდასახვისას მეწამულ ფერად დავიბადე, — გაიხსენა მან, — ახლა ალისფრად. ალბათ სხვა სიჩქარით ვმოძრაობდი, ნეტა რომლით?

არემარე შეათვალიერა. ნაცნობ ფერს დაუწყო ძებნა — იისფერს,

ლევდიან ცაზე განთიადისას რომ გამოკრთება. მაგრამ ამაოდ. ის იისფერი არსად ჩანდა. სხვა კი მის გონებას არ იზიდავდა. ერთხელ, თითქოს თვალი მოჰკრა მის ანარეკლს, გამოეკიდა კიდეც, მაგრამ ამაოდ, ვერ დაეწია. სხვა მრავალ ფერთა სიჭრელეში გაუჩინარდა. გაქრა. დაენანა მანძილის ასე უაზროდ ხარჯვა. შემოტრიალდა. პირისპირ შეეფეთა უკან ატუზულ შავ ფერს და გვერდი უქცია. მოერიდა მასთან შეხლა-შეჯახებას. მზერა დაადევნა. მხოლოდ ახლაღა შენიშნა პირველად, რომ მათი სიმრავლე ფერით იყო გამოწვეული, შავი ფერით. სინამდვილეში ციტა ერია აქა-იქ. მობეზრდა ცქერა მხიარულ ფერთა გუნდისაკენ გაექანა. ჯერ უსაშველოდ გაიჭიმა, გაიწლაწნა. მერე შეიკუმშა, ბურთივით შეიკრა და, როცა მიუახლოვდა, უცებ გაიშალა — გაიბნა. მთელ არემარეს მოედო. სხვა ფერები თითქოს შეკრთენ, წამით ჩაქრენ. მაგრამ როცა იგი კვლავ გამთლიანდა, სხვა ფერებიც აკიაფდნენ. ძველი ხალისი და სიკაშკაშე დაიბრუნეს. გარსშემოეხვივნენ, შემოესალტენ. ყველა ცდილობდა მიახლოებას, შერწყმას, შეერთებას. მაგრამ მის ფიქრს არცერთი არ იზიდავდა. ყველას მოხდენილად უსხლტებოდა, მაგრამ ისე, რომ ზიანი არავისთვის მიუყენებია. და ახლა სხვა ფერთა გუნდისკენ მიიჩქაროდა.

— ფუჭად ირჯები! — ჩაესმა უცებ ხმა შორეული. — შენ შეუძლებელს ეძებ. ფერი, რომელსაც შენ დაეძებ, არ არსებობს. მოგონილია.

იგი შეკრთა.

— მაგრამ მე ვნახე, ნამდვილად ვნახე! — უფრო ვედრებით წარმოთქვა მან, — წინა გარდაქმნისას ვნახე. დღესაც მოვკარი თვალი. იისფერი იყო. ნამდვილი იისფერი.

— აბა მიმოიხედე, იისფერით სავსეა სამყარო.

— ის სხვა ფერია, სხვა იისფერი. როგორ გითხრა? როგორ აგიხსნა? უპრეტენზიო, წმინდა, უმანკო. ყოვლის გამგე და ყოვლის მომცველი. მე ვიცი, მჯერა, აქ არის იგი. თუ შეგიძლია, დამეხმარე მის მოძებნაში.

კარგა ხანს დუმილი ჩამოვარდა. მერე ისევ ალაპარაკდა სამყაროს აზრი:

— ფერი, რომელსაც შენ დაეძებ, შენვე შექმენი და შენშივეა. შენ შენს თავს ეძებ. ეს კარგია და მივესალმები. მაგრამ გახ-

სოვდეს, ამ უსასრულობაში თავი რომ იპოვო, სხვა სიჩქარეებით უნდა იმოძრაო. სხვა გარდაქმნები არის საჭირო, სხვა გარდასახვა. სხვა ფერად დაბადება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე მსურს სრულყოფა. სრულყოფა კი მასთან შერწყმაა, მისი შთანთქმა!

— მცდარი აზრია. შთანთქმით გასრულება მისი მსხვერპლშეწირვაა. შენ აკლებ სამყაროს, იმის ნაცვლად, რომ რამ შეჰმატო, გააბევრო, გაასავსეო. ფერი, რომელსაც შენ დაეძებ, შენ მოიგონე. ეგ ნიუანსი მხოლოდ შენშია და მისი შობაც შენზე არის დამყარებული. უფრო ჩაღრმავდი საკუთარ თავში. რაც უფრო ხშირად ჩააკითხავ აზრთა სიღრმეებს, მით უფრო მეტად ამაღლდები. აზრი, რომელიც უსაზღვროა, უკიდეგანო, ყველა კითხვაზე პასუხს გაგცემს. აუხდენელი აგიხდება, აგიცხადდება. ფერსაც იპოვნი, სიჩქარესაც და უკვდავებას ეზიარები როგორც სამყარო.

ხმა გაწყდა, გაჰქრა. არემარე დაყრუვდა უცებ.

იგი ფერთა ორომტრიალში მიექანებოდა. სიმივით ვიწრო და გრძელი, ხაზივით აჩნდა სამყაროს გულს. მკრთალ ნათებად, მუდმივ მოძრავ და მოუსვენარ ალისფერ ხაზად.

სიჩქარემ იკლო. ფერები გაქრნენ. თანდათან მიეცა სხეულს წონა. ხავერდოვანი შავი ცის ფონი ვარსკვლავებით დაიჩითა. აქა-იქ შორეული გალაქტიკები თეთრ ლაქებად დაეხატა სივრცეს. სადღაც, შორს, ქვემოთ, ურუ ბორგავდა. მძიმე-მძიმედ უვლიდა დედაპლანეტას გარშემო. სამარშრუტო ბლოკში ჩამრთველმა გაიტკაცუნა და, როცა ერა საკუთარ სხეულს დაუბრუნდა, უკვე ოცნების ბაღში იყო. ხეებით დაბურულ ჩრდილში ძლივს ატანდა მზის სხივი. ქოლგისმაგვარი დაძარღვული ფოთლები ოდნავ ირწეოდნენ დაბინდული ჰორიზონტის ფონზე. იდეალური სიმყუდროვით, სიმშვიდით, ყვავილთა მათრობელა სურნელით გაჟღენთილიყო სივრცე.

ერა გადამტვრეულ ხის მორზე იჯდა. სახე ხელებში დაემალა და იდაყვებით მუხლებს ეყრდნობოდა. ღუზადაშვებული დისკომფრენი, იქვე, სივრცეში ეკიდა და თრთოდა. ტყის ბინადარნი სიზმარეულად უცებ გამოკრთებოდნენ ბუჩქნარებში ჩამღრჩვალ ბილიკებზე და ასევე უცებ გაუჩინარდებოდნენ. მალე კაიტუნაც მოფრინდა ჭრელი და გრძელი ფრთებით და იქვე ახლოს მორზე ჩა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძოჯდა. აშლილი ბუმბული დაილაგა, მახვილი ფრთები შეიკეცა და წითელნარევი შავი თვალებით ერას მიაშტერდა.

ერა არ განძრეულა.

კაიტუნამ თითქოს იწყინა უყურადღებობა, გაიფხორა და სივრცის გამკვეთი ბგერა გამოსცა.

ერა უხალისოდ შეიშმუშნა.

კაიტუნამ იქით-აქეთ დაიწყო სიარული.

— ვიცი, ვიცი, ნაწყენი ხარ, — თავისთვის ჩაილაპარაკა ერამ. — ყურადღება ვერ მოგაქციე, გვიან მოგინახულე.

კაიტუნა შეჩერდა. ღრმად შეისუნთქა ჰაერი და ისევ ის ცივი, გამყინავი ხმა გამოსცა.

— გასაგებია. — თქვა ერამ. — შენ როგორც ჩემი ოცნების ნაყოფს, საუბარი გსურს. აზრი გინდა გაგიზიარო. დაგარწმუნო გადაწყვეტილების სისწორეში. კეთილი, იყოს შენებურად. — ერა ჩაფიქრდა. მერე თითქოს საკუთარ თავს ელაპარაკებაო, ჩუმად დაიწყო: — მაგრამ თუ ფერი, რომელსაც ვეძებ, არ არსებობს და მართლა ჩემშია, მაშინ ძიებას რა აზრი აქვს? ანდა საჩინოს აღმოჩენა რა ბედენაა? იქნებ გონების უსასრულობაში უნდა ვეძიოთ სახეთმრავლობა და არა მის მიღმა. გონებამ მისცა აზრი სამყაროს, მანამ კი მხოლოდ ქაოსი იყო. აზრის წყალობით შევიცნობთ მყობადს და ამ ბნელეთით მოცულ სამყაროში გონების შუქი თუ გაგვინათებს გზას და ბილიკებს. ოოოო... კაიტუნა, კაიტუნა, ჩემი სულის ორეულო, ყველაზე მეტად შენ გესმის ჩემი. კაცის, რომელიც დღეის იქით გალაქტიკის მოქალაქეა, ხედავ, ძვირფასო, რაზე ფიქრობს.

ერამ ხელები ჩამოუშვა, გასწორდა. ზურგით გადატეხილი ხის ტანს მიეყრდნო. ფიქრი განაგრძო:

„—ეჭვები მიპყრობს, ჩემო კარგო, შავი ეჭვები. ნუთუ ვიპოვით იმ ენერგიას, დაუსრულებლად რომ ვიმოძრაოთ. ამ სიჩქარით კი, ახლა რასაც ვფლობთ, შორს ვეღარ წავალთ. ჩვენი გალაქტიკის გარშემო თუ ვიხეტიალებთ, ეს იგივეა, უკვე ცნობილი ვეძიოთ ისევ. მუდმივ სიჩქარით მოძრაობა კი სიკვდილია. შეხედე ურუს, სულ უფრო და უფრო ჭირს ახლით ცხოვრება. ყველგან მოვედეთ. აღარსად დარჩა ადგილი, ჩვენ რომ არ ვიყოთ. ეს სიკვდილია, გადაშენება. თუ არ დავმკვიდრდით უსასრულობაში, დავიღუპებით. სამყა-

რო უსასრულოა და თუ აზრსაც არ აქვს სასრული, მაშინ სიცოცხ-
ლეც უსასრულო-უკვდავი არის. ისიც მოძრაობს ისე, ვით
და ყველაფერი. მაშასადამე, ჩვენი უკვდავებაც მოძრაობაშია
არა მყობად არსებობაში. თუ არ ვიპოვეთ ენერგია ახალ-ახალ სიჩ-
ქარეთათვის, თუ არ მოვედეთ, განვეფინეთ მთელ სამყაროში, და-
ვიღუპებით! მოძრაობა სიცოცხლის თვისებაა და ისიც ფერივით,
სიჩქარეების მიხედვით, იცვლის სახეს და ფორმას.

ერამ თვალები გაახილა. ღიმილმა გადაურა სახეზე. ხელი გა-
დაუსვა კაიტუნას. დრუნჩზე ჩამოჰკრა. კაიტუნამ იწყინა, მოშორე-
ბით დგომა არჩია. მერე ცას შეხედა. ღონივრად მოიქნია ფრთები
და დაბურულ ხეთა ფოთლებში გამოწურულ მზის სხივს გაჰყვა.
ერას არ უცდია მისი შეჩერება. მხოლოდ დაღლილი მზერა გაა-
ყოლა და, როცა თვალს მოეფარა, ისევ განაგრძო ფიქრი:

—თუკი ჩვენ ვბრუნავთ დაუსრულებელ მოძრაობაში, იქნებ
არსებობს ამოსავალი წერტილი სადმე, საიდანაც იწყება და სადაც
მთავრდება ყველაფერი. საიდანაც ყოველ წუთს, ყოველ წამს რა-
ღაც იბადება და რაღაც კვდება. მარადიული შობა და განქრობა
სამყაროს მეორე ძირითადი თვისებაა. მისი მაჯისცემა მისი წო-
ნასწორობაა. და თუ პირობითად არა, სინამდვილეში ამოსავალი წერ-
ტილი არ არსებობს. ან უფრო სწორად: ამოსავალ წეოტილად სამ-
ყაროს ნებისმიერი მონაკვეთი შეიძლება მივიჩნიოთ. ძასაც გონე-
ბის თვალით თუ დავინახავთ, თორემ ამ კოლოსალური სიჩქარეების
დროს, მისი აღქმა-დანახვა შეუძლებელია. სამყარო სავსეა ასეთი
წერტილებით. ნებისმიერზე შევაჩეროთ ჩვენი გონება და დავრწ-
მუნდებით, რომ ადრე შობილი თავის სიკვდილით ახალს შობს და
ასე უსასრულოდ. უსწრაფესი სიჩქარეებით აზრი მოივლის მთელ
სამყაროს სიცოცხლის სახით. ხოლო აზრი უპირველესი თვისებაა
სამყაროსი. არარა ხდება აზრის გარეშე და თუ ჩვენ მაინც ბევრი
რამე უაზრობად გვეჩვენება, მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ ვწვდებით
გონების სიღრმეს. მხოლოდ ჟამიერ ჩავღრმავდებით და მაშინ სამ-
ყაროც გაგვეხსნება-გაგვიმჟღავნდება. უაზროს აზრი მიეცემა,
გაცნაურდება და ასე უსასრულოდ.“

ერას გულის სიღრმეში რაღაც ჩაეღვენთა. უჩვეულო სითბო
მოედო სხეულს. მზერა იგრძნო. შეიშმუშნა. მძიმედ ასწია თავი.
თვალები გაახილა.

— ვიცოდი, რომ აქ გიპოვიდი. — გალობასავით გაისმა სიტყვა. — ეს ბალი შენი ოცნების ნაყოფია, მე კი ნაწილი მისი. — ზუს თვალები უციმციმებდა.

— რატომ ნაწილი, დასაბამისი. — ერა წამოდგა. მოწიწებით მოჰხვია ხელი. თუ რამე ხდება ჩემში, ჩემს ირგვლივ შენით ხდება. განა არ იცი?

ზუმ ფრთხილად გააშვებინა ხელი. გვერდზე გადგა, საზეიმო პოზა მიიღო.

— მომილოცავს! — თქვა მან და წარბებს ქვემოდან გამოანათა მზერა. — ფორუმზე ვერ მოვახერხე, მეორედ მოსვლა იყო. ხალხი კინაღამ შეიშალა. იმდენი თაყვანისმცემელი გაგიჩნდა უცებ, რომ...

— რატომ ვერ გნახე?

— ისე იყავი გაოგნებული წარმატებისგან, რომ მე კი არა, ვერავის ველარ ამჩნევდი. რა სახე გქონდა, რა თვალები. რა გატაცებით ჰყვებოდი მომავალ მოგზაურობაზე...

— მხოლოდ შენ! — ჯიუტად თქვა ერამ. — მხოლოდ შენა ხარ ჩემი თავდავიწყება, ჩემი გატაცება. შენ ხომ ჩემი..

— ოცნება ვარ, — სიტყვა ჩამოართვა ზუმ, — აუხდენელი ოცნება, ამის თქმას აპირებდი, არა?

— ზუსტად მიმიხვდი.

ზუმ ეშმაკურად მოწკურა თვალები.

— თუ ასე არის, ერთი ეს მიბრძანე; იმ შორეული მოგზაურობისას როგორ გაძლებდი მარტო, უჩემოდ?

— უშენოდ? უშენოდ რატომ? განა ოცნება მიმატოვებს? განა იმედი ჩემთან არ იქნება იმ შორეული მოგზაურობისას? განა შენ შეძლებ უჩემობას?

— მე ხომ ფერთა სრულყოფაზე ვმუშაობ ახლა. იმედიანი შედეგებიც მაქვს. კიდევ ცოტა და შენ ველარ იცნობ ადამიანს. მისი სრულყოფა იდეალურს მიაღწევს მალე.

ერამ თვალი ააყოლა სიფრიფანა თეთრი სამოსით დაფარულ სხეულს. წელის ნატიფ ხაზებს, მარმარივით მკვრივ მკერდს, ყელს, ტუჩებს, ცხვირს და თაფლისფერი თვალების ვნებიან ოკეანეში ჩაიძირა მისი მზერა.

„—ნუთუ არსებობს ამაზე მეტი, — გაიფიქრა მან, — სად არ

ვყოფილვარ, რა არ მინახავს, მაგრამ მსგავსი მშვენება — არ სადა-ხმამაღლა კი დაუმატა: — ჩემო კეთილო მეგობარო, შენ თუ ფორმათა სრულყოფაზე მუშაობდი, მე არ ვიცოდი. მე მეგონა მუზითა და ფერადი მუსიკით იყავი გატაცებული.

ერა მიუახლოვდა, მოეხვია.

— ეგ ადრე იყო, — თქვა ზუმ, — ახლა მე მინდა ადამიანი სრულვყო როგორც ბუნება და მივაღწევ კიდეც. რატომ მიყურებ ასე? იქნებ ჩემი კანის ფერი არ მოგწონს. მალე ადამიანი კანის ფერს ისე იოლად გამოიცვლის, როგორც სამოსს ან სხვა რამ ყოველდღე სახმარ ნივთს. დილის მზის ფერი კი შენს საამებლად ავარჩიე, დღევანდელი დღის პატივსაცემად. თუკი ისურვებ, შენს საყვარელ ფერადაც ვიქცევი.

— იისფრად! — აღმოხდა ერას და რატომღაც ის წამი გაახსენდა, როცა ფერთა სამყაროში იისფერს მოჰკრა თვალი.

— ის ფერი მე ვიყავი, — ჩაიღიღინა ზუმ.

— შენ?!

— დიახ, მე! და იცი რატომ? შენ ჩემზე მეტად შეიყვარე ის იისფერი და ისე ძლიერ, რომ შენმა სურვილმა ახალი ძალა-ენერგია შემაძლებინა. ახლა მე სულ სხვა სიჩქარეებით ვმოძრაობ და თუკი ისურვებ, იისფრადაც გადავიქცევი.

ერამ ეხლაღა შეამჩნია ზუს ახალი დისკომფრენი, რომლის სიფრიფანა რკალი ოქროსფრად ელავდა ზურგს უკან. მისი ანარეკლი ღაწვებზე კრთოდა და ფერფლისფერ თმაში ბუდარაობდა.

— გამოდის, ფერი, შენ რომ იქცევი, ჩემი სურვილით იბადება, — გაოცებულმა ჩაილაპარაკა ერამ.

— თითქმის, — ჩაფიქრებით თქვა ზუმ, — თითქოს იმიტომ, რომ მე ავაცხადე შენი ნება, შენი სურვილი. შენ ის მოგწონდა, მე კი მსურდა ვყოფილიყავ მოწონებული. ჰოდა, ვეცადე გარდასახვას. იისფრად ვიქეც.

— გამოდის, ჩვენი სურვილების ასაცხადებლად ჩვენი შერწყმაა საჭირო და გაერთკაცება, — ერას თვალები გაუბრწყინდა.

— როგორც სიყვარული მარად შევსებაა ერთი მეორით. მუდმივი ნდომა, მყუდრო სავანე. სადაც გაგება საფარია შმაგი აზრების, სადაც აკრძალვა არ არსებობს. სადაც გრძნობათა მოზღვა-

ვებას არა აქვს სასრული და სადაც სიცოცხლის მარადიული თესლი ღვივდება.

— მუზების ენით ლაპარაკობ ჭეშმარიტებას.

ერამ ხელი მოჰხვია ზუს. საამო ჟრჟოლამ დაუარა. პაწია ჩიტივით უცემდა გული. ალმური მოედო სახეზე. სუნთქვა მოეძალა. საამო თავბრუდახვევა იგრძნო. გარემო გაჰქრა-გაუფერულდა. ბურუსში გაეხვია. სამყაროც გაისუსა-გაინაბა. ნეტარი ჟამი დადგა.

როდესაც ერა გონს მოეგო, ურუსკენ მიფრინავდა. იქვე, გვერდით ზუ მიცურავდა აფრასავით გაშლილი თმით.

— რა იყო? რა მოხდა? — იკითხა ზუმ.

ერა გულალმა ამოტრიალდა. ქვემოდან მოექცა ზუს.

— სიზმარი ვნახე. — ჩურჩულით უთხრა მან, — თუმცა არ ვიცი, სიზმარი იყო თუ სინამდვილე... ერთი ცხადია. მე გადმოვსახლდი შენში და იყო ჟამი, როდესაც ორთავე დავიკარგეთ, ვნებადქცეულნი გავქრით.

ზუმ ყელზე აკოცა.

— ჩემი სიზმარი გინახავს. — მორცხვად ჩაიღიღინა მან. — უჩვეულო ცეცხლი მომედო. სხეულის ყოველ კუნჭულში დამიარა. მერე სამყარო აალდა თითქოს. სულმა სხეული მიატოვა, გონებამ — თავი. გავთავდი, დავშრი, აღარ ვიყავი. მაგრამ ეს არ იყო გარდაცვალება, რადგან სამყაროც აღარ იყო, აღარაფერი აღარ იყო. საყრდენგამოცლილი მივენდე ნებას.

ზუს კიდევ უნდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ ერამ აღარ დააცალა, მკერდში ჩაიკრა და კოცნით დაუფარა სახე.

ტრასაზე გამალებული მოძრაობა იყო. ვინ საით მიფრინავდა, ვინ საით. ზოგი სწრაფად, ზოგი ძლივს იძვროდა, ზოგიც ადგილზე გარინდულიყო ჩაფიქრებული. უმეტესობა ჩერდებოდა ერას დანახვაზე, ხელებგაშლილი ესალმებოდა და ულოცავდა. ულოცავდნენ დაუსრულებლად.

მშენიერი ამინდი იყო. დედაპლანეტის მზიან მხარეზე ღრუბლის ნატამალი არ ჭაჭანებდა. ამ გაკრიალებულ სივრცეში ხელისგულივით ჩანდა სუყველაფერი. ხავერდოვან ველ-მინდვრებს მუქი მწვანე ტყეები ცვლიდა, ტყეებს — სიმწიფით გადაყვითლებული პურის ყანები. ყანებს ხეხილის ბაღები, მდინარეები, ტბები. ფირუზისფერი ზღვები, ვეება ოკეანენი და ისევ ტყეები, ბაღჩა-ბღები,

პურის ყანები... მას შემდეგ, რაც პლანეტის მთელი მოსახლეობა ბი-
ლოვნურ თანამგზავრ ქალაქებში გადასახლდა, თანდათან გაქრა სუ-
პერქალაქები, ინდუსტრიული უჯრედები, დაბა-სოფლები. დედა-
პლანეტამ პირველყოფილი სახე დაიბრუნა. მწვანით შეიმოსა, აფე-
რიანდა. კრიალა ცა დაიმხო თავზე და აივსო ნადირ-ფრინველით.
დამუშავებული ნაკვეთები რომ არა, ვერც იფიქრებდით, უახლოეს
წარსულში ამ გიგანტ პლანეტაზე თავის უმაღლეს განვითარებას
რომ მიაღწია კაცობრიობამ.

— საოცარი სილამაზეა, — თქვა ზუმ. — გულგრილად ვერა-
სოდეს ვუყურებ. ანდამატივით მიზიდავს და მენატრება. სიამოვნე-
ბით ვიცხოვრებდი რომელიმე პატარა კუნძულზე, მარტოდმარტო,
ბუნების პირისპირ.

— ეს უკვე იყო ჩემო კარგო, დიდი ხნის წინათ. რახანია, რაც
გამოვედით მაგ ასაკიდან. ახლა პლანეტა ჩვენი მხოლოდ მარჩენა-
ლია და არა სახლი, ანდა კიდევ თავშესაფარი. გაივლის ხანი, ეგ
საზრუნავიც მოგვეხსნება, ფუჭი საქმისგან დავიხსნით თავს. დედა-
პლანეტაც მოისვენებს და ძველებურად გასრულდება, პირველშო-
ბილ სახეს მიიღებს. ათასში ერთხელ თუ ვესტუმრებით, ისიც
წარსულ ზმანებათა ასაცხადებლად. ჩვენთვის იგი ხომ აკვანი იყო,
მცირე აკვანი, სადაც დაირწა ჩვენი დიდი ცივილიზაცია და სხვა
არაფერი.

ზუმ მხრები აიწურა.

— მე კი უცნაური სევდა მიპყრობს მის დანახვაზე. ასე მგო-
ნია, ჩვენი წასვლით რაღაც დააკლდა, დაცარიელდა. სანამ იქ
ვცხოვრობდი, ასე მეგონა მისი ნაწილი ვიყავ, ორგანულად საჭი-
რო და აუცილებელი. ახლა გამოდის, თურმე მარტო საკვებად გვინ-
და, ისიც დროებით. განა ჩვენ ამით არ შეურაცხყოფთ მშობელს.
იმას, ვისგანაც ვიშვით?

— ასე ეგონათ ადრე. სინამდვილეში ჩვენ დრომ და სივრცემ
გვშობა. და იგივე განგვაქრობს. განგვაქრობს, რათა ხელმეორედ
დავიბადოთ ამ უკიდეგანო სამყაროს სულ სხვა მხარეში. აი, მა-
შინ კი ყველაფერი განმეორდება.

— ნეტავი მალე დადგებოდეს ეგ აღსასრული, — მხიარულად
წამოიძახა ზუმ, მერე მცირე ხანს ჩაფიქრდა და გამომცდელად შე-
ხედა ერას, — შენ როგორ ფიქრობ, რად შეიძლება მოვევლინო მე
ამ ქვეყანას განმეორებით?

— მხოლოდ ფერიად!

ზუს გაეღიმა.

— ზღაპრულ ქმნილებად? — ჩაეკითხა იგი, — განა ჩემში ხორციელი არაფერია? რატომ გამძარცვე ადამიანურ თვისებებისგან? რატომ წამართვი შენთან ყოფნის, სიახლოვის ბედნიერება. რატომ გამხადე უსხეულო, ხელშეუხები? ეს ხომ ფაქტიურად განშორებაა, ჩრდილად ქცევა. განა შეძლებდი არარსებულის შეყვარებას?

ერა მიხვდა, რომ ცუდად გამოუვიდა. რომ მას სულ სხვა რაღაცის თქმა უნდოდა, უფრო მეტის, ამაღლებულის. იმაზე მეტის, რაც იყო და რაც არსებობდა... და უფრო მეტის. მაგრამ, ეტყობა, სიჩქარისგან უკეთესი ვერ მოიგონა და უნებლიეთ დასწყვიტა გული. ყველაფერი კი ურუს ბრალი იყო. მისმა დანახვამ, მასზე ფიქრმა მიწისეული შედარება დააცდენინა. უკვე მერამდენეჯერ მოსდის ასე. ვერ იქნა და ვერა წარსულის დავიწყება. წავა, წამოვა და, ისე როგორ იქნება, რომ ატავისტურმა აზრებმა უკან არ დაქაჩონ. არ დააბრუნონ იმ სამყაროში, როცა მისი წინაპრები შიშითა და ძრწოლვით შესცქეროდნენ ყოველ სიახლეს. როცა სიამე და ბედნიერება მიუღწეველი ქიმერა იყო. როცა სრულყოფის გამოსახატავ ნორმად და ნიმუშად იდეალიზებული სიმბოლოები მოიგონა ადამიანმა.

ერამ უხერხულობის დასაფარავად სალაპარაკო თემა გამოცვალა.

— მძიმე საქმე ვიტვირთე, — თქვა მან, — რას ვიფიქრებდი, თუ ზღვა საკითხების გადაწყვეტა მომიხდებოდა. ხანდახან შიში მიპყრობს. ვაითუ ვერ შევძლო? დღემდე შედარებით იოლი იყო. ყველაფერი ჩემზე იყო დამოკიდებული. შედეგიც მე განმადიდებდა ან დამცემდა. ახლა პასუხისმგებლობა იმდენად გაიზარდა, რამდენი კაციც ჩემთან ერთად იმოგზაურებს! ერთი უბრალო, პაწაწკინტელა შეცდომა შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს. რაღაც უმნიშვნელო, გაუთვალისწინებელ ელემენტარულ შემთხვევაზეა დამოკიდებული ამდენი ადამიანის ბედი. შედეგი ულმობელი და საბოლოოა. კოსმოსს არ უყვარს შეცდომები და ამიტომ ყოველი მათგანი სიცოცხლის ფასად უჯდება ადამიანს.

— სამაგიეროდ, შენში ხედავს ახლა ხალხი ხსნას. ერთადერთ

მისაღებ გეგმად შენი ირჩია. ფრიად დიდი პატივია უწინამძღვრო, უმეგზურო ახალ მიჯნების ათვისებისას. გაყინვისაგან იხსნა აზრი, წინ გადადგმული ნაბიჯია შეუცნობადში. ისევ იფეთქებს გონება. ახალ-ახალი აღმოჩენები გაამდიდრებს აზრთა სალაროს. ჩვენ მოვედებით უსასრულო სამყაროს სივრცეს და უკვდავებას ვეზიარებით. ამაზე მეტის, ვფიქრობ, ნატვრაც არ შეიძლება.

— სიმართლე უთქვამთ მუზათმფლობელებს, რომ ქალი არის წყარო სინათლის, იმედის წყარო. ფიქრის სათავე, ნუგეში. სითბო. ქალი რომ არა, ვერასოდეს ვერ გავბედავდი, შევჭიდებოდი ასეთ დიდ საქმეს. რწმენის გარეშე არ არსებობს შემოქმედება, რწმენის მიზეზი კი შენ ხარ, ძვირფასო.

— ანდა პირიქით, — დაიმორცხვა ზუმ, თუმცა აშკარად ესიამოვნა ერას შექება. გონების თვალი გადაავლო ყველა საქმეს, ყველა ქმედებას, რაც ოდნავ მაინც ეხებოდა მათ სიახლოვეს. ვერ მოიხილა ვერაფერი დასაეჭვებლად. მან ყველაფერი გააკეთა, რაც კი ევალა, როგორც ქალს და როგორც მეგობარს. უფრო მეტიც: არ გაუმხილა, თორემ მუზა და მუსიკა იმისთვის დათმო, რომ მისი ნება აღასრულოს თავით ბოლომდე. რომ სულის გარდა გონებითაც გადაეჭდოს იმ ადამიანს, რომლის გარეშე არ არსებობს მისი ცხოვრება. ზუმ ხელის აქნევით მოიცილა ფიქრი და ჩაიღიღინა:

— რომელი ფორმა შეარჩიე სამოგზაუროდ?

— სფერო, — თქვა ერამ, და მცირე დუმილის შემდეგ დაუმატა: — არის რაღაცა სიმრგვალეში ამოუცნობი და მიმზიდველი. შეკრულია ყოველი მხრიდან და, ამავე დროს, ყველა ფორმა, ყველა ზომა ეტევა მასში. გარდა ამისა მიმოიხედე; ჩვენ გარშემო ყველგან წრეა, სავსე სიმრგვალე. შეხედე ურუს, უპის, თანაველს. მზეებს შეხედე! ვარსკვლავებს, სივრცეს. საცა თვალს ჰკიდებ, ირგვლივ ყველგან სიმრგვალე არის.

— ერთი შეხედვით, მართლაც, ეგრეა, — დაეთანხმა ზუ, — მაგრამ თუ უფრო ჩავუკვირდებით, სამყაროში ელიფსი ჭარბობს. გარდა ამისა, ელიფსს მეტი აქვს ამოუცნობი და ამდენადვე უფრო მეტად გვაინტერესებს. სიმრგვალე კი თავის სისრულით-ფორმით, მრავალჯერსმენილ სიმფონიის ბოლო აკორდს ჰგავს.

— თუნდ ეგრე იყოს. ჩვენი საქმისთვის სიმრგვალე მიჯობს. ის ტევადია. წასაღები კი იმდენი არის, ამ შორეული მოგზაურობისას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მარტო ჩამოთვლა მთელ თვეს წაიღებს. თანაც სიმრგვალეს შეუძლია იმოძრაოს ყოველგვარ გარემოში, ყველა სიჩქარით. გარდა ამისა, ყველა ფორმა მისკენ მიილტვის და, ადრე თუ გვიან, სიმრგვალედ იქცევა. ესეც არ იყოს, სიმრგვალეა ჩვენი საწყისი. თანაც ხომალდის პლანეტასთან მსგავსება გაგვიიოლებს განშორებას, მოულოდნელ გაჭირვებებს, წინ რომ მოგველის. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, წახვიდე ისე, რომ აღარასდროს აღარ დაბრუნდე. არ ინახულო შენი მხარე, შენი ქვეყანა. ჩვენ ხომ ურუსთან გრავიტონიულ თასმების გარდა, სულიერადაც მიჯაჭვული ვართ. ეს ხომ ჩვენი პირველი გაკოსმოსებაა, პირველი ნაბიჯი საიდუმლოებით მოცულ მომავალში.

— იქნებ წარსულში? — გამომწვევად ჩაეკითხა ზუ. და ერას სახეზე გაკვირვება რომ ამოიკითხა, განაგრძო: — დიახ წარსულში, — უფრო თამამად გაიმეორა მან. — თუ სიცოცხლის თვისება მოძრაობაა, თანაც წრიული, როგორც ყოველდღე მზის ამოსვლა, ვით ფოთოლთცვენა ხელმეორედ შესამოსელად. როგორც თესლის გაღვივება-აღმოცენება, მხოლოდ იმისთვის, რომ ხელმეორედ თესლად იქცეს. როგორც წყალი ორთქლად ქცეული წყლად იქცევა, ასევე ერთ დროს იქნებ ჩვენც ვიყავით და მოვედით განმეორებით. და თუ ასეა, მაშინ სიახლე მოგზაურობით გამოწვეული, არ გაგვაკვირვებს, რადგან იქნებ ჩვენ სწორედ იქ მივდივართ, საიდანაც დავიწყეთ.

ერა გაოცდა. ეს აზრი მასაც აწუხებდა, თან არაერთხელ. მაგრამ ახლა, როცა იგი სხვისგან ისმინა, დამაჯერებლად მოეჩვენა. სფეროს არ იყოს, ეს დებულებაც სრულყოფილს ჰგავდა, ხოლო სრულყოფა თავისთავად კანონი არის.

— მე მიფიქრია ამ საკითხზე. — ჩაილაპარაკა ერამ. — მიფიქრია ათიათასჯერ. — ირონიული ღიმილი გაწვა სახეზე. ჩაფიქრდა, — პარადოქსია, — თქვა მან. — გასაოცარი პარადოქსი! ბუმერანგივით დაბრუნდე უკან, მაშინ როდესაც სულ წინ მოძრაობ, მხოლოდ წინ და ირგვლივ არაფერი არ მეორდება. ვერ გამიგია რანაირად უნდა დავბრუნდე?! — ისევ ჩაფიქრდა. — მაგრამ არსებობს სხვა თვალთახედვაც; თუ ჩვენ ვმოძრაობთ ნებისმიერი ფორმის შეკრულ სამყაროში დაუსრულებლად, მაშინ, ადრე თუ გვიან, მართლაც უნდა დავუბრუნდეთ რომელიმე ნებისმიერად აღე-

ბულ საწყის წერტილს. გამოდის ჩვენი მოძრაობა ასეთ [illegible] ტილთა ჯამი არის, რომელთა შორის ჩვენი ურუც იგულისხმება. ასე ამრიგად, აქ ჩვენ ერთხელ უკვე ვიყავით და მხოლოდ იმისთვის ვტოვებთ ამ მხარეს, რომ ხელმეორედ მოვევლინოთ დედასამყაროს. ამასობაში მილიარდობით სხივწელი გავა. მოვალთ და ვნახავთ სულ სხვა ქვეყანას, სულ სხვა მხარეს. სხვა სანახები გადაგვეშლება. არავინ იცის რა დაგვხვდება. იქნება ვაკუუმი? სიცოცხლისთვის უვარგისი, ან ნეიტრონი მომაკვდინებელი გამოსხივებით? ანდა პირიქით — სამოთხე დაგვხვდეს. მოვალთ და შევჩერდებით, იქნებ არც შევჩერდეთ. გადავიდეთ ახალ წერტილში, სხვა სივრცეში გადავინაცვლოთ. შესაძლოა, სისწრაფის გამო წინმავალ ცივილიზაციას წამოვეწიოთ. იქნებ გავუსწროთ კიდეც და ჩვენს კვალს, ჩვენს საწყისს წავაწყდეთ სადმე, არა სიცოცხლის ზოგად საწყისს, რომლის მიგნება ადამიანს არ შეუძლია, რადგან ასეთი არ არსებობს ჩვენს სამყაროში... შესაძლოა, შევჩერდეთ კიდეც, თუმც სამყაროსთვის ეს შეჩერება არ იარსებებს, როგორც არ არის, არ არსებობს კაცის სიცოცხლე ისტორიისთვის. რამდენი წელი, საუკუნე არ უნდა გავიდეს, სამყაროსათვის მაინც წამი იქნება ყველა. ან უფრო მცირე, უმცირესი დროის ნაწილი. ეს შეჩერება ჩვენ გვჭირდება მგზავრობით დაღლილთ ახალ-ახალი სასიცოცხლო ენერგიის ასათვისებლად, — არა სამყაროს.

ანდა ვინ იტყვის, სად განვჭრებით, ან სად მოგვიწევს ხელმეორედ გამოცოცხლება. რომელ სივრცეს, რომელ მხარეს დავუბრუნდებით. რა დაგვხვდება. სად და როგორ ჩავისახებით. რა ფორმაში მოგვიხდება გარდასახვა, გადასახლება. ხომ შეიძლება ატომებად დავიშალოთ უსწრაფესი სიჩქარეების დროს, როგორც ეს ინსფერი ბარიერის მიღმა ხდება? სხეულისაგან განვიძარცვოთ. აზრად ვიქცეთ, ფერად აზრად! ყველაფერი შესაძლოა მოძრაობისას. ჩვენ რომ შეგვეძლოს მომავლის ხილვა, მასთან შეხვედრა, დროის სიშორის გამო, ვერ შევიცნობდით. უცხო სამყაროდ მივიჩნევდით. ხედავ, რარიგ იცვლება უმტკიცესი კანონები დიდ მასშტაბებში უსასრულოდ სწრაფად მოძრაობისას?

ავიღოთ ხაზი, სწორი ხაზი, რომლის გარეშე არ არსებობს ჩვენი ყოფა, ჩვენი ცხოვრება, იგივე ხაზი სამყაროსათვის არ არის სწორი. მას მხოლოდ ჩვენი თვალსაწიერი მიიჩნევს სწორად. სინამდვი-

ლეში არავინ იცის მისი ფორმა, მოხაზულობა. ის შეიძლება ნაწილი იყოს ტეხილი ხაზის, მრავალკუთხას, წრეხაზის წრფისა ან ელიფსის. ანდა პირიქით: სადაც წრფეს ვხედავთ, იყოს ნაწილი ელიფსისა, წრის თუ ოთკუთხას. მაგრამ ერთი რამ ყველასათვის საერთო არის. ნებისმიერი სწორი ხაზით უსასრულოდ მოგზაურობისას შეკრულ სამყაროში, რა ფორმისაც არ უნდა იყოს იგი, ეს სწორი ხაზი, ბოლოს და ბოლოს, შეიკვრება და საწყის წერტილს დაუბრუნდება. აი, რატომაა, რომ ჩვენ შეიძლება იქ მივიდეთ, საიდანაც ვიწყებთ მოძრაობას, ჩვენ — როგორც სიცოცხლე. ან უფრო სწორად სიცოცხლე მივიდეს ჩვენი სახით .

ეს თეორიული მსჯელობაა. პრაქტიკულად კი სამყაროში არც „იქ“ არსებობს და არც „აქ“. რადგან ის, რაც მოძრაობის დასაწყისისას „იქ“ იყო, „იქ“ აღარ დაგვხვდება და როცა „იქ“ მივალთ აღარც „აქ“ იქნება თავის ადგილზე. და არა უბრალოდ გადაადგილდებიან ეს სივრცეები სამყაროში, არამედ თვისობრივად იცვლებიან დროის წყალობით. სამყარო ამ განახლებული, ახალ-ახალი სივრცეებით ივსება მუდამ. სწორედ ამიტომ ასეთ სამყაროში მოძრაობა არის სწორედ უსასრულობა და არა სივრცეში უთავბოლოდ გასროლილი სწორი ხაზის დაუმთავრებლობა.

— მომილოცავს, — ჩაესმა ერას ხმა შორეული და მხარზე ხელის მოთათუნება იგრძნო. უცებ ვერ მიხვდა, მამაკაცის ხმას არ ელოდა. მერე უსასრულობაში გატყორცნილი აზრი მოთოკა, მოიწია და შეიცნო მეგობარი.

— მადლობელი ვარ თქვა ერამ, — მაგრამ რატომ მილოცავ? ეს გამარჯვება ხომ ყველასია — ზუს, შენი, ჩემი“ განა მე ისეთს რას მივაღწიე, თქვენ რომ არ გსურდათ?

— მართალი ბრძანე, — დაეთანხმა რ ა. მერე ერთხანს ყოყმანობდა; ეთქვა თუ არა და ბოლოს მაინც თქვა ნაღვლიანად: — მაგრამ ჩემს პროექტს რომ გაემარჯვა, ისიც ხომ ჩვენი იქნებოდა — ზუს, შენი, ჩემი?

უხერხული დუმილი ჩამოვარდა.

— შენ კარგად იცი, ხალხმა ირჩია უკეთესი, — თქვა ბოლოს ერამ.

რ ა მ ზუს შეხედა საყვედურით და ამ მზერაში ჩააქსოვა სუყველაფერი. ზუმ სიჩქარეს მოუმატა და დაწინაურდა.

— როგორ უხდება ზუს მზის ფერი, თეთრი სამოსი. — უფრო თავისთვის ჩაილაპარაკა რ ა მ. — ოცნებასავით ლამაზია, ხანდახან ვფიქრობ, უსხეულოა, მარტოსული. განსაკუთრებით, როცა სადმე მიიჩქარის განმარტოებით. ფიქრივით რთული, ამოუცნობი...

— მიხარია, რომ ასე მოგწონს. — ერამ ხელი მოჰხვია მეგობარს, ზუზე ანიშნა. — აი, მიზეზი გამარჯვებისა, ეგ, რომ არა, ოცნებად დარჩებოდა ჩემი დიდება.

— მაგრამ ხალხი? — გაოცდა რა. — ნუთუ ხალხი, ვისაც ეკუთვნის შენი პროექტი, ვინც ასე წრფელად მოგილოცა დღეს გამარჯვება — არაფერია?

ერამ სერიოზული სახე მიიღო და დიდხანს დუმდა.

— ეგ თავისთავად, — თქვა ბოლოს, — რ ა ს თ ან მივიდა. — ყური დამიგდე, ჩემო კარგო. როცა რამეს ქმნი, მიზანი მუდამ კონკრეტულია. ხოლო როცა გსურს, შენი ფიქრი ან იდეა საყოველთაო გახადო, მაშინ ყველას აზრი უნდა გაიზიარო, დაქუცმაცდე, გაყველავდე და დაიკარგო. სულ სხვაა, როცა შენი ფიქრი, შენი მიზანი, შენი ყოფით, შენი გრძნობით დაბადებული, შენეულ მიზანს ემსახურება. როცა შენ თავად სრულყოფას აღწევ, მაშინ მიზანიც სრულყოფილია და თავისთავად ყველასი ხდება. სწორედ ამიტომ, ზუზე ფიქრმა დაბადა აზრი, რის გამოც დილით ასე უხვად დამაჯილდოვეს. მე უმისობას ვერ ავიტან. ამიტომაც მთელი იდეა ერთ წერტილში დამიფოკუსდა, ჩემს ნებას დაჰყვა, ჩემს მიზანს დაემონა და მხოლოდ შემდეგ დამენახვა — გასაცნაურდა. — ერა ჩაფიქრდა. — რა არის ყველა? ყველა კრებითი გაგებაა, სხვა არაფერი, უსახო, უსხეულო. გახსოვდეს, ძმაო; როცა ყველასთვის აკეთებ რამეს, აღარავისთვის აკეთებ მაშინ. ყველასათვის კეთება აღარავისთვის კეთებას ნიშნავს. ხომ ცნობილია, როცა ყველა ბოროტი არის, ბოროტება აღარ არსებობს. ან — როცა ყველა კეთილია, მაშინ სიკეთეს ტყუილად ეძებ. ან სიყვარული. განა შეძლებდი ყველას სიყვარულს? განა ყველას იმის მოცემა შეუძლია, რასაც ერთი გაძლევს? თავს ნუ იტყუებ! ყველას რომ შეეძლოს იმის მოცემა ან გაკეთება, რასაც თითოეული აკეთებს ცალკე, მაშინ სამყაროც ყველად იქცეოდა და ასეთ სახეთმრავლობაზე არ იზრუნებდა. შეიქმნებოდა რაღაც ერთი ყოვლისმომცველი, სხვა ყველაფერი, რის გულისთვისაც ღირს სიცოცხლე, არ იქნებოდა. გავქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებოდით მე, შენ, ისინი. წამით ჩაფიქრდი, სულ ზუ რომ იყოს, ან შენ ან მე; რა იქნებოდა? აი, რატომ არ ვფიქრობდი მაშინ ზუ-ზე, რადგან ყველაზე ფიქრი, არავიზე ფიქრი გამოდის.

უფრო მეტს გეტყვი. ყოველ წუთს, ყოველ წამს ზუს ხატება მედგა თვალწინ. მისმა ყოფამ, მისმა უსაზღვრო სიყვარულმა გადამწყვეტინა, უკვდავმეყო იგი .მინდა, რომ მუდამ იყოს ეს სიყვარული. მაშინაც კი, როცა განვქრებით და არ ვიქნებით, ეს სიყვარული განმეორდება. შესაძლოა, სიცოცხლის სულ სხვა ფორმაში, მაგრამ მჯერა, რომ უეჭველად განმეორდება. რადგან სრულყოფა თვისებაა უსასრულობის, ჩვენი ნდომაც სრულყოფილია და უსასრულო.

— დამაჯერებლად ლაპარაკობ. სხვანაირად წარმოუდგენელია ხალხის მეთაური, უსასრულობაში მეგზური კაცი. შენ რაც თქვი ახლა, ყველაფერი მართალი არის, მაგრამ ჩვენ მაინც წვეთი ვიცით. სამყარო მუდამ შეუცნობადი დარჩება.

— არა იმიტომ, რომ გონება ვერ სწვდება საიდუმლოს, არამედ მიტომ, რომ მუდამ ცვალებადია თავად სამყარო. ჩვენ ვერ ვასწრებთ ერთის ამოხსნას, რომ ახალი დილემის წინაშე ვდგებით. მასაც ამოვსხნით, ახლა სხვა დილემა აღიმართება და ასე მუდამ... სხვა სანახები, სხვა სივრცეები, სხვა ჰორიზონტი ახალ პრობლემებს დააყენებს ჩვენ წინ.

გამოძახების ბლოკზე წითელი ნათურა აციმციმდა. ერამ ვიდეოფონი მიღებაზე გადართო.

— რატომ გაქვთ კოორდინატორი გამორთული? რამდენი ხანია დაგეძებთ და ძლივს გიპოვეთ. ოცნების ბაღის შემდეგ დამეკარგეთ, გაქრით.

ერამ კორდინატორი ჩართო.

— თავად არ ვიცი, — თქვა მან. — ალბათ უნებურად. — თითი შეახო ღილაკს. არემარეს მისი სამყაროში გადაადგილების უხილავი სიგნალები მოედო.

— ყველაფერი რიგზეა, — ისევ მოისმა მიმღებიდან, — ჩვენ კი იისფერი ბარიერის მიღმა დაგეძებდით. — მერე ტონი შეიცვალა, ცივი და მბრძანებლური გახდა. — გადადეთ ყოველგვარი საქმე და სასწრაფოდ გამოცხადდით შორეული კავშირის ცენტრში.

— მესმის, მაგრამ... — ერას უნდოდა ეთქვა, რომ სწორედ გუშინ შეათანხმა იქ ყველაფერი, მაგრამ ვიდეოეკრანი ბრაზულ შორეული კავშირის ცენტრში? თანაც საჩქაროდ? — ჩაილაპარაკა ერამ. — რას უნდა ნიშნავდეს ეს?

— მე შენთან ერთად წამოვალ. — თქვა ზუმ. ერას მხარეს გადაინაცვლა. სახე გაუცისკროვნდა, გაუღიმა. — რაღაც წვრილმანი იქნება დასაზუსტებელი. — ჩაიღიღინა მან.

— რასაკვირველია. — კვერი დაუკრა რამ. მერე უცებ იცვალა სახე; აფუსფუსდა, აჩქარდა. — ცილის დამამზადებელი აგრეგატი შეფერხდა. — თქვა მან. — ურუზე უნდა დავეშვა. — ზუს მიაპყრო სევდიანი მზერა. — მე კი მეგონა, ჩემთან ერთად წამოხვიდოდი. ადრე მუდამ გიტაცებდა ურუს ხილვა. მიწაზე ფეხის დადგმა. ზღვის პირას ჯდომა. ტალღათა ჩურჩულის სმენა... მიწისეული სიკეთით დამუხტვა, როგორც შენ გიყვარდა თქმა.

ზუ შეკრთა.

— არა, არა! სწრაფად თქვა მან, თითქოს ცდუნების ეშინიაო. — მხოლოდ ახლა არა! სხვა დროს თავად შემოგვეხვეწები. შენთან ერთად გასეირნება ყოველთვის დიდი ბედნიერებაა. სამივე წავალთ. ახლა კი არა, ნუ გეწყინება.

რამ მორჩილად დახარა თავი. გამომშვიდობების ნიშნად ორივე ხელი გაშალა, შეტრიალდა და შურდულივით გაქანდა ქვევით.

ერამ მზერა დაადევნა. რა თანდათან დაპატარავდა. წერტილს დაემსგავსა. ბოლოს სულ გაქრა. ურუს ფონზე გაუფერულდა. დაიკარგა. ისე როგორც წვეთი იკარგება ოკეანეში, ისე როგორც ქვიშის ნამცეცი — უდაბნოში, როგორც ატომი — სამყაროში.

ფიქრის კვადრატი

— ტრანსმთვარეულ ტრასაზე შეწყვიტეთ ყოველგვარი მოძრაობა, — მოისმა მიმღებიდან ცივი, ლითონისებური ხმა. — მიმდინარეობს მიწის მორიგი პარტიის ტრანსპორტირება. დაიცავით უსაფრთხოების მანძილი. ვიმეორებ!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეჩერდა ერა, შეჩერდა ზუც. ერთმანეთს გადახედეს. ერამ ფანჯარა კომფრენის შემოსავლელ მარშრუტზე გადართვა დააპირა. ზუმ შეაჩერა, ხელი დააფარა ჩამრთველს.

— ნუ წამართმევ ამ იშვიათი სანახაობის ხილვის ბედნიერებას. რაც შემოვლისას დროს დავკარგავთ, მოდი აქ დავყოთ. წუთები უკვე ველარ შეცვლის მათ აზრს, ვისაც სურს, რაღაც სიახლე გამცნოს. სამაგიეროდ, მე ვიხილავ შენი პროექტის დაბადებას. დაბადება კი, როგორც სიკვდილი, ერთხელ ხდება ამ ქვეყანაზე.

ერამ გაულიმა.

— როცა ვუყურებ მიწის ვეებერთელა მასის გადაადგილებას სივრცეში, — განაგრძო ზუმ, — სიამაყით მევსება გული. ასე მგონია ყოვლისშემძლე შემოქმედი ვარ.

ერა ჩაფიქრდა. მას აოცებდა ზუს ფიქრები და პრეტენზია. ასე მხოლოდ მას შეეძლო. უცებ, დაუფიქრებლად, დაესკვნა რამე. ასეა, მაგრამ მაინც ეამა, რადგან შეცდომა, თანაგრძნობით გამოწვეული, უკვე შეცდომა აღარ არის და სხვა რამე ჰქვია.

— დიახ, ასეა, — თქვა ერამ, — თითქმის ასე. თითქმის იმიტომ, რომ ჩვენ უკვე არსებულს ვიყენებთ, როგორც მასალას მზამზარეულს და როდესაც რაიმეს ვქმნით, აუცილებლად რაღაცას ვანგრევთ. სხვანაირად არ შეგვიძლია. როგორც ბავშვები, ფერად-ფერადი კუბებისაგან, სხვადასხვა მოცულობებს ქმნიან, ასევე ჩვენც, არსებულის კომბინაციით ვაღწევთ სიახლეს. ეს თავისთავად დიდი საქმეა. მაგრამ არაფრისაგან რომ შეგვეძლოს რაიმეს შექმნა, პაწაწკინტელა მატერიის, ატომის მაინც, ან მასზე მცირე სხვა ნაწილაკის, მაშინ მართლაც რომ შემოქმედი ვიქნებოდით; საწყისთა საწყისი. ერთ დროს ამასაც მივაღწევთ ალბათ. სადღაც, ამ უკიდეგანო სამყაროში, რომელიმე ცივილიზაციამ შეიძლება მიაღწია კიდეც განვითარების ისეთ სიმაღლეს, რომ არაფრისაგან რაიმეს შექმნა მათი ყოველდღიური საქმიანობა — ზრუნვა არის. სხვანაირად, გონიერების, აზრის გარეშე, შეუძლებელია ასეთი მრავალსახა სამყაროს არსებობა. მართლა თავისთავად, ყოველგვარი ნებისა და სურვილის გარეშე, უმიზეზოდ, არაფრის გამო, სტიქიონისგან ხომ არ იშვა ამხელა სივრცე. ასეც რომ იყოს, თვით სტიქიონიც შედეგია რაღაც მიზეზის, ვიღაცის ნების.

— შენი სიტყვები ჯადოსავით მოქმედებს ჩემზე. — ჩაიღიღი-

ნა ზუმ —— ახლოს მიფრინდა. ფაქიზად შეეხო მხარზე. მიწია, მიეტკიპა. — აზროვნების ასეთ სივრცეებს მხოლოდ გონების თვალი თუ წვდება, გრძნობა კი ვერა. როცა ვფიქრდები, რა შორეთში იკარგება ჩვენი საწყისი, ანდა ბოლოს სად უნდა დავმთავრდეთ, შიში მიპყრობს, ვპატარავდები. ისე ვმცირდები, ვიკარგები, ასე მგონია აღარ ვარსებობ. რა საჭიროა ამ სიშორიდან სამყაროს ჭვრეტა. ხომ შეიძლება, ამ სიმაღლიდან, სიშორის გამო, უნებლიეთ მეტად საჭირო, სადღეისო, საქმე გამოგვრჩეს. თანდათანობით განვიძარცვოთ ადამიანურ თვისებებისგან, გონებად ვიქცეთ; მანქანური აზროვნების ლოგიკურ წყებად. ჩავეძიებდეთ მხოლოდ მართალს, მხოლოდ სწორ გზას ვირჩევდეთ მუდამ. განა შეცდომა ადამიანთა ხვედრი არ არის? განა სამყარო მართლა ასე დალაგებულ-დაწყობილია? ან უცოდველი, უშეცდომო, როგორც შენ ამბობ?.. ვერ დავიჯერებ! — ხმამაღლა დაასკვნა ზუმ. მერე ერთხანს იყუჩა და ისევ გაიმეორა უკვე წყნარად და ჩუმად: — ვერ დავიჯერებ. ვერა, რადგან მშობელი მუდამ მის მსგავსს შობს და თუ ჩვენ მართლა ამ ვეებერთელა სივრცის შვილნი ვართ, დროის ნაყოფი როგორც ამტკიცებ, და მაინც ვცოდავთ. ან რამ გვეშლება, ყველაფერი მშობლის ბრალია. მან გვიწილადა საკუთარი თვისებების რაღაც ნაწილი და ჩვენ ქცევებზეც თვითვე უნდა აგოს პასუხი. მაშ სხვანაირად რითი ავხსნა ან ვით გავიგო ის შეცდომები, აჩრდილივით უკან რომ დაგვდევს. ყოველ ნაბიჯში, ყოველ ქცევაში იმალება რაღაც შეცდომა და თუ არა ჩანს, ან ვერ ვამჩევთ, მხოლოდ იმიტომ, რომ თვით შეცდომა პაწაწაა და უმნიშვნელო, მაგრამ არის! ჩასაფრებული მუდამ თან გვდევს და თუ გვიყელა, თუ სიმართლემ, სიკეთის ხმამ არ დათრგუნა, დააჩიავა, შესაძლოა ეს მცირე ვნება ბოროტებად გადაიქცეს, სიცოცხლეს რომ სპობს. — ზუ დადუმდა. მერე უცებ სახე გაუცისკროვნდა, გვერდზე გადგა და გადაიკისკისა. — აუ! — თქვა მან. — სად მომისროლა მომავლის ფიქრმა. ჯანდაბას, იყოს, როგორც არის. მე იმითაც კმაყოფილი ვარ, შენს გვერდით რომ ვარ. რომ მცირედ მაინც ვალამაზებ შენს დიდ ცხოვრებას, რაღაცით ვავსებ. რომ ის რაღაცა, შენ რომ ასე ძლიერ გჭირდება, მარტო მე მაქვს, მე გამაჩნია. და არ არსებობს ქვეყნად მეორე ჩემი მსგავსი, ჩემი შემცვლელი, თავად სამყაროც, ის რომ მოგცეს, რაც ჩემში არის. ის მცირე რაღაც, შენ რომ ასე ძლიერ გჭირდება. თა-

ვად არ ამბობ, რომ ჩემმა ყოფამ, ჩემზე ფიქრმა ფრთები შეასხა შენს იდეას და გამარჯვება მოგიტანა. არა იმიტომ, რომ გაკვირვებ გონიერებით, ან აზრის სიღრმით გაგაოცე, არამედ იმით, რომ უბრალოდ ვარსებობ, როგორც ზღვაწყალი, ჰაერი, ცეცხლი, როგორც სიცოცხლე მიწასავით მარადმშობელი. ეს მე ვარ ერთი, ამ ზღვა ხალხში გამორჩეული. უფრო მეტს გეტყვი! ეს მე შეგქმენი, მე გაგაჩინე არა როგორც ძე დედისშობილი, არამედ კაცად, სიყვარულად დაბადებული. მე მივეც ბიძგი აზროვნებას, მე შთაგოგონე ის იდეა, ასე რომ ამკობს შენს დიდებას. უპირატესის სწორედ ეს თვისება მაფიქრებს და მაგულიანებს, რომ მდედრი არის სწორედ ის ძალა, რომელმაც შექმნა ყველაფერი, თავად სამყაროც.

შარავანდედით მოცულ ზუს მზესავით უბრწყინავდა თვალები. იგი ნებიერად გაწვა სივრცეში და თვითკმაყოფილი გაეთიშა ირგვლივ სამყაროს. გაკვირვებული ერა წამოეწია, მაგრამ მყუდროების დარღვევა ვერ გაუბედა. შორი-ახლოდან უცქერდა, როგორც საოცრებას პირველადხილულს და რატომღაც სინდისის ქენჯნას განიცდიდა.

„—განა ისეთი რა ვთქვი? — ფიქრობდა იგი. — რამ აუფორიაქა, რამ აუშალა ფიქრი? ვაითუ, მომავალზე ოცნებას გამოკიდებულმა ყურადღება დავაკელი? — ერა უფრო ახლოს მივიდა. მაპატიე. — თქვა მან თუმცა სულაც არ აპირებდა ამ სიტყვის თქმას. — მაპატიე, — გაიმეორა ისევ, — ისე შორს იყო ჩემი აზრი... წამით კონტაქტი დამეკარგა. თუმცა მოწმეა ზეცა, შენს წყენას სულაც არ ვაპირებდი. — რა სისულელეებს ვლაპარაკობ, — გაიფიქრა ერამ. დაფიქრდა. — ჭეშმარიტებას ღაღადებდა შენი ბაგენი, — ჩაიდუდუნა მან, — ის აფეთქებაც, შენს აზრს რომ მოჰყვა, მდედრის თვისება იყო ყოველთვის და არა გონის სისუსტეთა გამომჟღავნება. რაოდენ ნაზი, მიმზიდველი იყავი მაშინ, როცა ამბობდი, რომ მშობელი მუდამ მის მსგავსს შობს. რომ ერთი არის მშობლისა და შვილის ბუნება. მხოლოდ შევნიშნავ, რაც არაერთხელ ადრეც მითქვამს, რომ ჩვენ, მე და შენ, რომ ისინი, ყველანი ერთად, პაწაწკინტელა ნაწილი ვართ დიდი სამყაროს. უპირატესის ის თვისებაც, ასე რომ ამკობს შენს სიცოცხლეს, თავად სამყაროს უპირატესი თვისებაა მდედრის სახით გამოხატული. კა-

ცობრიობა თანდათანობით შეიცნობს იმას, ვისგანაც იშვა, როგორც ბავშვები, დიდობისას იგებენ, რაა მშობელი. — ერამ ამოთქოხრა. — მაგრამ ჯერ მრავალი მზე ჩაქრება ცაზე, და უფრო მრავალ მზეთა დაბადების მოწმე გავხდებით, ვიდრე გავიგებთ რანი ვართ, ან რა ვიქნებით.

ხვალეზეც ფიქრი არასოდეს არ გამორიცხავს დღევანდელობას. ასე დაყოფა ათვლისათვის არის საჭირო. სინამდვილეში დღეს და ხვალე არ არსებობს. და თუ მაინც გსურს, ასე იყოს, დღეისაში მუდამ ხვალეა, ხოლო ხვალეში დღევანდელი დღე. ასე რომ, ფიქრი საწყისზე ან ბოლო დღეზე, საყოველდღეო ფიქრი არის მხოლოდ დიდი დღის. და ნუ გაშინებს ნურც სირთულე და ნურც სიშორე, ნურც სიმაღლიდან გადმოხედვა დააფრთხობს შენს სულს. ზემოდან მუდამ უკეთა ჩანს ერთიც, მეორეც. ნურც მე დამძრახავ, თუკი ფიქრი გამექცა უცებ, აღარ ძალმიძს მისი მოთოკვა. — ერამ უფრო იგრძნო, ვიდრე იხილა, რომ სადღაც ქვემოთ, რაღაც ხდებოდა. ყურადღება გაამახვილა. — თუმცა რაღა დროს ამაზე ლაპარაკია, — თქვა მან, — შეხედე, დატკბი. ჩვენ ხომ იმისთვის შევჩერდით აქ, რომ ასეთი იყო შენი სურვილი, სურვილი მდედრის.

ზუ გამოერკვა, გახალისდა, გამოიცვალა. თვალის ცეცება დაიწყო. ვერსად შენიშნა საგულისხმო, საყურადღებო. გაკვირვება ვეღარ დაფარა ნათელ სახეზე.

— უფრო ქვემოთ, ოდნავ ხელმარცხნივ, — წამოეხმარა ერა.

ზუს თვალის გუგები გაუფართოვდა. ათასი უხილავი წვრილმანი შეამჩნია, ადრე რომ ვერ ამჩნევდა. ბოლოს მისი მზერა მიეჯაჭვა ურუს იმ ნაწილს, სადაც პაწია ნაპერწკალი აენთო უცებ. სხვა დროს ასეთ მცირე ნათებას ყურადღებას არ მიაქცევდა, მაგრამ ახლა, რატომღაც, მზერა ვერ მოსწყვიტა. ურუს ზედაპირზე მნათი წერტილი თანდათან გაიზარდა, გამოიკვეთა. მონაცრისფრო კვამლი მოედო მწვანე პლანეტას. მერე იფეთქა. ეს აფეთქება პირველს არ ჰგავდა. ცეცხლის ენები ცის კიდეს მისწვდა. არემარე გადაანათა. რაღაც ნაწილი მათ სახეებზეც აირეკლა. ყველაფერი ერთ წამში მოხდა. მერე თეთრ ბურუსს უფორმო მასა გამოეყო და ცისკენ გაქანდა. ზღაპრულად სწრაფად იზრდებოდა და როგორც კი პლანეტის ატმოსფეროს გასცდა, უცებ შემოეცალა ბული. თანდა-

თან გამოიკვეთა მიწის ვეება ცილინდრი, რომელიც ისარივით მიექანებოდა ზემოთ. უკვე ყველაფერი კარგად ჩანდა; სიგრძე-სიგანე-ბოლოში სასაცილოდ მიკრული, საბარგო ატომომფრენი, იისფერი ცეცხლის მოკლე კუდი. ეს მოძრაობა მოჩვენებას ჰგავდა, რადგან სივრცეში სხეულის გადაადგილებისას საგანი ზღაპრის გმირივით მოცულობაში დიდდება ყოველ წამს, ყოველ წუთს და სიჩქარეს მხოლოდ მაშინ შეიგრძნობ, როდესაც ცხვირწინ ჩაგიქროლებს და დაჩუტვა-დაპატარავებას დაიწყებს. ახლაც ასე მოხდა. სანამ ზუ ყველაფერს გაიაზრებდა, გიგანტური ზომის ცილინდრმა უცებ გაუელვა თვალწინ და სადღაც იქით გაუჩინარდა. მაინც მოასწრო დაენახა, როგორ ისრუტავდა ვაკუუმი ჰაერის ვეებერთელა ბუშტულებს. ატომომავალის დუზებიდან გამოტყორცნილი ცეცხლის ალის სიმხურვალეც იგრძნო და სულ ეს იყო. გათავდა, ყველაფერი თვალისდახამხამების უმალ გათავდა. ზუს უკმარისობის გრძნობა დაეუფლა, ამაოდ იყურებოდა იმ მხარეს, საითაც მიწის მასა გაუჩინარდა, სივრცემ შეიწოვა.

„— ნუთუ მომეჩვენა და სინამდვილეში არაფერიც არ მომხდარა“ — გაიფიქრა ზუმ და ერას შეხედა.

ერამ გაუღიმა.

— არ მოელოდი? გეგონა, იხილავდი მზის დაბადებას, რაღაც გრანდიოზულს, ჯერ არნახულს.

ზუმ მზერა მოარიდა.

— სინამდვილეში ყველაფერი უბრალოდ ხდება. — თანაგრძნობით წამოიწყო ერამ. — გაცილებით უბრალოდ, ვიდრე ჩვენ ვფიქრობთ და მხოლოდ მაშინ გვიკვირს, როდესაც შედეგს ვხედავთ. შედეგისგან კი ძლიერ შორსა ვართ. სამაგიეროდ, მოწმენი გავხდით იმ დიდი ისტორიისა, რომელიც სადღაც იქ დაიწყო და სადღაც იქ უნდა დამთავრდეს. — ერამ საწინააღმდეგო მხარეს გაიშვირა ხელი სივრცეში. — ჩვენ ამ დიდი ისტორიის დასაწყისი არ გვინახავს, ვერც ბოლოს ვნახავთ. ჩვენთვის ის მაშინ დაიწყო, როცა პირველი ნაპერწკალი შევნიშნეთ ურუზე და მაშინ დამთავრდა, როცა სივრცეში დაიკარგა, გაუჩინარდა. სინამდვილეში ყველაფერი გაცილებით ადრე იყო და არვინ უწყის როდის დამთავრდება. გაივლის ხანი და ამდაგვარი ფრაგმენტებისგან, სამყაროში, ურუს ახალი ხელოვნური თანამგზავრი დაიბადება! მომავლის ხო-

მალდი, ოცნების ბინა. ასე ნელ-ნელა, ნაწილ-ნაწილ, სიცოცხლის მარადყოფნის მთელი ფილმი აიკინძება. აი, შედეგი იმ მცირე საქმისა, ჩვენ რომ ვიხილეთ.

ტრასა „გაიხსნა“. ერა გაფრინდა. ცოტა ხნის შემდეგ ზუც აედევნა. დუმდნენ. არცერთს არ სურდა დაერღვია ერთფეროვნება. ზუ წუხდა. მისი ბუნება ვერ შეეგუა, რომ ყველაფერი ასე უცებ, მარტივად მოხდა. ჩაფიქრებული მიფრინავდა და მალიმალ იყურებოდა იმ მხარეს, საითაც ვეებერთელა მიწის მასა გაუჩინარდა. მერე წყვდიადში, გონების სხივმა, თითქოს რაღაც საგანი გაანათა, სულ რაღაც წამით და ირგვლივ ისევ დაუნახავი წყვდიადი ჩადგა.

ჰორიზონტზე შორეული დასახლების კონტურები გამოიკვეთა. უცნაურად დაქსელილი სივრცე მეწამული ფერის მზის შუქზე ათასფრად ელავდა, ციალებდა. სხვადასხვა ფორმის ანტენები მძიმედ ბრუნავდნენ და ახალ-ახალ ობიექტებს დაეძებდნენ სამყაროში. ზოგი ჯიუტად ჩაშტერებოდა ერთ წერტილს და წლობით ელოდა, როდის ალაპარაკდებოდა „სიცარიელე“. ასე ნათლავდნენ მეცნიერები სამყაროს იმ ნაწილს, სადაც, მათი აზრით, არაფერი არ იყო და მაინც გულდაგულ უთვალთვალებდნენ, მოთმინებით ელოდნენ. ელოდნენ, რადგან იყო შემთხვევა, როცა „სიცარიელე“ ალაპარაკდა და გოლოგრაფიულმა რადიოტელესკოპებმა ახალი გალაქტიკები, ბიოლოგიური სიცოცხლის არსებობის მოსალოდნელი სივრცეები აღმოაჩინეს.

ზუ ერას წამოეწია.

— ხომალდს, რომელსაც შენ აშენებ, ალბათ ნახევარი ურუ მაინც დასჭირდება, — ჩაიღიღინა მან.

— ასი ისეთი ცილინდრი, წელან რომ იხილე.

— ასი?! — გაუკვირდა ზუს და მცირე დუმილის შემდეგ დაუმატა: — ასი ბევრია, განახევრდება დედაპლანეტა. ხალხი?

— რა სთქვი?

— ხალხს რა მოუვა? ვინც დარჩება, იმათ რა ელით? — ალბათ, სიკვდილი. შენ აქ ხელოვნურად სპობ სიცოცხლეს, რომ მერე იქ, სადღაც შეუცნობადში, ხელმეორედ დაამკვიდრო იგი. ეს თვითმკვლელობა, ჟინი უფროა, ვიდრე ლოგიკური აუცილებლობა. აბა, დაფიქრდი.

— დავფიქრდე, ახლა?! — ელდანაკრავივით შედგა ერა, —

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერამდენეჯერ? ასი ათასჯერ ნაფიქრია სუყველაფერი, ყველა წვრილმანი. განა პროექტში მოიხილე რამე საეჭვო. ან ვით იფიქრე სხვათა განწირვა. ან შემიძლია სისხლიანი გზებით ვიარო? რაღა აზრი აქვს მაშინ მიზანს, ნახევარ თუ შევეწირებით. ტყუილად დარდობ, ამით ურუს არაფერი არ დააკლდება და უფრო მეტიც; ის გიგანტები, შენ რომ იხილე, ოკეანეთა ფსკერებიდან ისე ამოგვაქვს, იმ ანგარიშით, რომ მილიონობით ჰექტარი მიწა წყლის ტყვეობიდან განთავისუფლდეს. წყლის დონე დაიკლებს, ახალ-ახალი სახნავ-სათესი შეემატება დედაპლანეტას. მართალია, ზღვა არანაკლებ საკვებს იძლევა, მიწა სულ სხვაა. ახალი მიწები ახალი საკვებია, ჭარბი საკვები — ახალი სასიცოცხლო ენერგია. ჩვენი მგზავრობით მოსახლეობაც განახევრდება და ახალი ძალით იფეთქებს ცივილიზაცია. მერე, ვინ იცის, რა სიმაღლეებს დაიპყრობენ ჩვენი არყოფნით.

— თუ ასე არის, როგორც შენ ამბობ, გამოდის, კლებაც სასარგებლოა. მაშ, რატომ ვილტვით გასავსებად, გასასრულებლად, თუკი მოკლებით შეგვიძლია მივაღწიოთ იმავე მიზანს. გამოსახშირად ნუთუ სხვა გზა არ არსებობს, გარდა სივრცეში გაბნევა-გადასახლებისა. თუ ჩემი ყოფის ბოლო სიკვდილია, როგორც ამტკიცებ, რაღა აზრი აქვს, სად მოვკვდები აქ თუ იქ, გზაში. მითუმეტეს, რომ არავინ იცის, რა გველის ხვალე. რა ხიფათები, ტანჯვა-წამება. ხომ შეიძლება მიზნამდე გავქრეთ? მაშინ ამდენი ჯაფა-შრომა უქმად ჩაივლის და ყოველივე, რაც ჩვენ წინ გველის, თვითმკვლელობა უფრო იქნება, ვიდრე სიცოცხლის უკვდავყოფა.

ერას ქვასავით მოხვდა გულზე ზუს ნათქვამი. რაღაც შორეულმა, ყრუ ტკივილმა წამოყო თავი, დარდად შემოაწვა. თითქოს წაიბორძიკაო, უსუსურად გაშალა ხელები. გაოცებულმა შეხედა ზუს და, როცა მის სახეს გაოცების ნატამალი ვერ შეამჩნია, თვითდაჯერებამ შეაშფოთა. ეს ეჭვი იყო. სწორედ ის ეჭვი, დღენიადაგ სულს რომ უღრღნიდა. ეჭვი, რომელიც მომავლის ნათელხილვას ჩრდილივით დაჰყვა, მოსვენება დააკარგვინა. მართალია, ასე ათასში ერთხელ ხდებოდა, მაგრამ ეს ერთხელ ისე არყევდა რწმენას, რომ იმ ათასს მართალს, მრავალჯერ გათვლილს და ნაფიქრს, შემოწმებულს და შეჯერებულს, საეჭვოდ ხდიდა.

„— მართლაც და რაა ჩვენი ნება, ჩვენი სურვილი. — ფიქრობდა ერა, — იმ მანძილებთან, წინ რომ მოგველის? სამყაროს

ცენტრი, საითკენაც ასე მივილტვით, ისე შორს არის, რომ ბილიკი-
ვით მოჩანს მიზანი. ირგვლივ, საითაც არ გაიხედავ, ათასობით პარ-
სეკის მანძილზე, არაფერია; სიცოცხლის ნიშანწყალიც კი არსადა
ჩანს. ირგვლივ ვაკუუმია, ცივი და უსიცოცხლო, სხვა არაფერი...
იქნებ სწორია, ვინც ამტკიცებს, რომ ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი ყოფა
ლოკალურია, რაღაც ფართობით, რაღაც სივრცით შემოფარგლული.
ვინ იცის, იქნებ მართლაც ბიოლოგიური ბარიერის ტყვე ვართ და
მთელი ჩვენი მეცადინეობა ფუჭი და ამაოა? იქნებ ამ ბარიერის
იქით სხვა სიცოცხლეა, ჩვენი კი არა? ერას ტუჩის ბოლო გაექცა,
სახეზე ნაძალადევი ღიმილი გამოეხატა. — რა არის ეს? განაგრძო
ფიქრი. — შიში თუ ჭეშმარიტების ქვეშეცნობითი აღქმა? იქნებ
სისუსტე?.. როგორ ყველაფერი მზესავით ნათელია და რატომღა
დაჰკრავს მაშინ ჩრდილი ამ ბრწყინვალებას? — ერამ გონება და-
ძაბა, უფრო ჩაღრმავდა საკუთარ თავში. ასიათასჯერ გადაქექა ასია-
თასჯერ უკვე ნაქექი. გადაამოწმა შედეგები, წინაპირობა. მერე რა-
ღაცამ გაიბრწყინა გონებაში მცირედ, მაგრამ ისე ძლიერ, რომ
ყველა ეჭვი გადაჩრდილა. თავისუფლად ამოისუნთქა, გაეღიმა. —
ყველაფერი გასაგებია. — თქვა ხმამაღლა და ხალისით დაუმატა: —
შენ დაგაეჭვა კონკრეტულზე ფიქრმა და შიშმა. შემოიზღუდე შე-
ნი არსით, შენი სიცოცხლით. ხელოვნურად გამოეყავი
დედამშობელს და როგოც მდედრმა მოინდომე დასაბამი მიგეცა
მისთვის, ვინც თავად შეგქმნა. ის ინტერესიც, რამაც ასე შეაშ-
ფოთა შენი ბუნება, მხოლოდ და მხოლოდ პირადული განცდის
ბრალია. რაც შეეხება იმ სანახებს, წინ რომ მოგველის, იქ სხვა
წესი და კანონები ბატონობენ. თუ ყველაფერი აქ ჩვენს ნებას ემორ-
ჩილება, იქ არავინ იცის, რა ვიქნებით, როგორ ვიქნებით. ერთი ცხა-
დია, რახან ერთხელ გავჩნდით ამ ქვეყნად, გავჩნდით იმიტომ კი
არა, რომ ჩვენ ასე გვსურდა, არამედ მიტომ რომ თვით სამყარომ
შობა აზრისმთქმელად ადამიანი. ასე იყო, ასე არის, ასე იქნება. ასე
იქნება მანამ, სანამ თავად სამყარო არ გაბერწდება. ჩვენ შეიძლება
მართლა გავქრეთ, გარდავიცვალოთ, მაგრამ სიცოცხლე აღარას-
დროს აღარ ჩაქრება, ვით ვერ გაქრება სამყარო-სივრცე. და თუ
ოდესმე დადგება ჟამი, როცა სუყველა, ყველაფერი, თავად სამყა-
როც უნდა მოკვდეს, გაქრეს, დაივსოს, მხოლოდ იმისთვის რომ
ქაოსიდან ხელმეორედ იშვას სიცოცხლე, იშვას აზრი. რადგან ყო-

ველი: ლექსი, ნახატი, ნებისმიერი მოქმედება, შენება-ნგრევა, არა-
რაობად იქცეოდა შემფასებელი აზრის გარეშე. მხოლოდ აზრის
წყალობით საცნაურდება სინამდვილე. აბა წამით წარმოიდგინე მარ-
ტო თავი, უჩემობა, ან შენი ტრფობა სანაცვლოს გარდა, მთა, ზღვა,
ეს სივრცე ჩვენს გარეშე. თუნდ შენი თავი სამყაროსდარად ასე
დიდი და უკიდეგანო, მრავლასახა და მრავალფერი. წარმოიდგინე,
რომ ყველაფერი, რისი ქონებაც შესაძლოა, გაქვს და ისიც, რასაც
ვერ წარმოიდგენ, მაგრამ არსებობს, რა იქნებოდა შემფასებლის,
აზრის გარეშე? არარაობა! მაშასადამე არსებობისთვის მარტო ყოფა
საკმარისი როდი ყოფილა. საჭირო არის შენი ყოფის შემფასებელი.
საჭირო არის ყველა იმის გააზრება, რაც უკვე იყო, ანდა რაც არის,
თორემ, როცა გონების თვალით საწყისს ვწვდებით, შორეულ ქა-
ოსს, მართლა ქაოსი კი არ იყო, როგორც ზოგს სჯერა. როგორც რა-
ღაცა ამორფული, უშინაარსო, უსახო და უკანონო, წესისა და რი-
გის გარეშე, ეფემერული რაღაც სივრცე, ნაგვისმაგვარად რომ ეგდო
სადღაც და მერე ვინმემ დაალაგა, გაანაწილა. ეს გონდახშული სი-
ბეცეა, სიბნელე აზრის. სინამდვილეში რასაც ვხედავთ, ვუყურებ-
დით ანდა ვიხილავთ, უხსოვრად დიდხანს არსებობდა, თუმც სახე-
ცვლილი, მაგრამ სახეცვლა ქაოსს არ ნიშნავს.

გაივლის ხანი, უსაზღვროდ დიდი. ვინ მოთვლის, ანდა ვინ გან-
საზღვრავს, რამდენი დროა კიდევ საჭირო, ვიდრე სამყარო განმეო-
რებით იმშობიარებს. მას სხვა სამყარო არ სჭირდება, დრო-ჟამის
გარდა. ეს კია, განუზომელ ტკივილს განიცდის, ის აფეთქებაც, და-
ბადებას წინ რომ უსწრებს, მეორედ მოსვლა უფრო არის, ვიდრე
ამებისმსგავსი, უმტკივნეულო ორად გაყოფა. აი, ასეთ დროს ხელ-
მეორედ იბადება სუყველაფერი, თავად სიცოცხლეც, მაშინ,
როცა სამყაროსათვის ეს ყველაფერი სახეცვლაა და სხვა არა-
ფერი.

და თუ ჩვენ მაინც ვიშველიებთ ქაოსს საწყისად, შეცდომა
ჩვენი ცოდნის სისუსტეში უნდა ვეძიოთ. შენ ალბათ გახსოვს უძ-
ველესი ეს ისტორია, ღმერთმა რომ შექმნა ადამიანი, რომ ადამიანს
შემდეგ ეცნო მისი შემქმნელი. მანამ ღმერთიც ქაოსი იყო, ვიდრე
არ გაჩნდა აზრისმთქმელი. მისი საქმის, მისი ყოფის შემ-
ფასებელი. ვით ბავშვობაში ჩვენ არ გვესმის, რაა მშობელი, ზრდას-
თან ერთად ცოდნის თვალით გამჟღავნდება ეს საიდუმლო, რაც

ადრე სხვისთვის დიდი ხანი ცნობილი იყო. ასე სამყაროც, თანდათანობით გაგვიმჟღავნებს იმ საიდუმლოს, რისგანაც რაა, რა არის და რაღა იქნება. მაგრამ რომ ჩავწვდეთ ამ საიდუმლოს, ჩვენი ცოდნის ფარგლებს მიღმა უნდა გავიდეთ, ხოლო ამისთვის სხვა სიჩქარე, სხვა იმპულსი არის საჭირო.

აქ ყველაფერი შევიცანით. რისი გაგებაც კი შეგვეძლო, უკვე გავიგეთ. ყველა რესურსი ამოვწურეთ. კარგა ხანია ერთ ადგილს ვტკეპნით. სინამდვილეში ერთ ადგილზე ვერ გაჩერდები, რადგან შენს ირგვლივ ყველაფერი მოძრაობს, ბრუნავს და ჩვენი დგომაც ერთ ადგილზე დგომა კი არა, უკუსვლაა, დეგრადაცია, გნებავს სიკვდილი.

ჩვენ ხომ პაწია ნამცეცი ვართ სამყაროსათვის, სულ პაწია, პაწაწკინტელა. ჩვენი სიცოცხლეც ხომ არაფერია იმ სიცოცხლის მაჯისცემასთან, სამყაროს რომ აქვს. და თუ მაინც გვსურს ვიყოთ მუდამ როგორც ბუნება, კლებით კი არა, გასრულებით მივაღწევთ მიზანს. ხედავ სად ცდები, ჩემო კარგო, როცა სამყაროს პირადული სიცოცხლით ზომავ. უფრო მეტს გეტყვი: ჩვენი ყოფა, შენი, ჩემი, ყველასი ერთად, იმ შორეული დასაწყისიდან იმ ბოლოს ჩათვლით, რომლის კონტურებს სიშორის გამო ვეღარც კი ვხედავთ, არაფერია იმ უსაშველოდ დიდი სიცოცხლისათვის, რომელსაც არც საწყისი აქვს და არც ბოლო, მუდმივად არის. რამდენჯერ გითქვამს, გინატრია სახეცვლა, ჟამი განშორების — გარდაცვალების, რომ ხელმეორედ მოვევლინოთ ამ ქვეყანას სხვა სახით, ფორმით. რომ ხელმეორედ, ახალი ძალით, იფეთქოს აზრმა, რომ სიახლეში არის ხსნა და მარადყოფნა. მხოლოდ ასე შეიძლება უკვდავყოფა და სულერთია ვინ იქნება იგი, ადამიანი თუ მისი მსგავსი სხვა რამ არსება, რომელიც შემდეგ, მილიარდი წლების შემდეგ, მოევლინება ამ სამყაროს, ჩვენი სიცოცხლის გაგრძელება, ჩვენი პირმშო, ჩვენი შვილი იქნება მაინც. და არა სისხლით, არა ხორცით ნათესავი, არამედ გენით, იმ ბობოქარი გენის წყალობით, რომელიც ასე არ ასვენებდა ჩვენს წინაპარ მშობელს, ჩვენ არ გვასვენებს და არ მოასვენებს მომავალში მას, ვისაც წილად ხვდება მოაზროვნის ტვირთის ტარება.

ის მოგზაურობაც შეუცნობადში, წამით რომ ასე შეაშფოთა შენი ბუნება, ახალ-ახალი აღმოჩენებით შევსებული სიცოცხლეა, სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაფერი. ის ხიფათებიც, წინ რომ მოგველის, ჩვენი სიმტკიცის გამოცდაა. ისიც ცხადია, გარკვეული შიში არსებობს, მოსალოდნელი ტანჯვა, წამება, გადაულახავ პრობლემებთან პირისპირ დგომა. საკითხი ვინ ვის, მუდამ ჩრდილივით თან დაგვყვება. კიდევ ათასი უთვალავი შემთხვევითობა, ცალ-ცალკე, ერთად, მოგველის, მაგრამ განა სიცოცხლეს უამისოდ რამე აზრი აქვს? შეხედე ურუს, თანამოძმეთ, თვითდაჯერებულ მათ სახეებს. მათი ყოფა თანდათან კარგავს იმ ელვარებას, მძაფრ აზრს რომ ახლავს. მათ ქცევაში სიყალბე გაჩნდა. თანდათან ქრება გულწრფელობა. სამაგიეროდ, მოიძალათ შური და მტრობა. ყველა საკუთარ სამყაროში ცდილობს ჩაკეტვას, ეგოცენტრულ მიკროსივრცეში. ყველა ყველაფერს ლაპარაკობს, მსჯელობს, კამათობს. აზრის გამოთქმა სავალდებულო ნორმად იქცა. უნდა არ უნდა, იცის თუ არა, მაგრამ აზრი თუ არ გამოთქვა, ასე ჰგონია აღარ არის, აღარ არსებობს. საღადაა ჭეშმარიტება. ნავარჯიშები სპორტსმენივით ბევრის თქმით ცდილობს დაგიმტკიცოს უმტკიცებელი. თუ გამძლეობამ გიღალატა, იქნებ გამტყუნდე კიდეც. აბა გაბედე და ის უწოდე, რისიც ღირსია, ანდა სიმართლე მოიმარჯვე, თუკი მას არ სურს. ზოგი თანხმობაში, მორჩილებაში ჭვრეტს სიკეთეს და მერე ისე თავხედდება, შენგანაც იგივეს მოითხოვს. ბევრის პრინციპით მოქმედებენ. აკი საქვეყნოდ ცნობილია, როცა სუყველა კეთილია, ანდა ბოროტი, მაშინ არცერთი არ არსებობს, რადგან საზომი დაკარგულია. ამიტომ ცდილობენ, ყველა ერთს ჰგავდეს და ერთი ყველას. გაერთფერება ზოგს ხელს აძლევს, რადგან ერთად ქცეულ მრავალში მოწინააღმდეგე არ არსებობს და უვიცობა თამამად ხარობს. ის, ვინც მოითხოვს ბობოქარ აზრის სტანდარტიზაციას, ადრე თუ გვიან დაიღუპება. დედაკანონი გადხვევას არ აპატიებს. როცა ვინმე ძირითადს უარყოფს, უარყოფს თავის თავს. როგორც შეუძლია ერთგვაროვან. რაღაც ერთ მასად შეჰკრა სამყარო, ასევე შეუძლებელია სუყველაფრის გაერთაზრება. და თუ მაინც ძალადობით, იძულებით ან სხვა ხერხით, დროებით ვინმე დედაკანონს დაარღვევს და მიზანს ეწევა, ეს გამარჯვება კი არადა, სიკვდილია. და როგორც ჩირქი ჯანსაღ სხეულზე, ზედმეტი ხორცი ფუჭი და უქმი, თავად ბუნება მოიშორებს და კვლავ აღდგება წონასწორობა. ისე ვით ჩვენ ვიშორებთ ყოველგვარ ზედმეტს, რაც კი სიცოცხლეს სარფთხეს უქ-

მნის. კიდევ კარგი, რომ ამ სენისაგან საკმაოდ შორს ვართ, მაგრამ ზოგ-ზოგან მაინც ვხვდებით მის მცირე ნიშნებს. თითქოს უდღეურს, მაგრამ საშიშს, დამაფიქრებელს. ნუ, თორემ ამ სენმა თუ მართლა იმძლავრა, ის თაობები, შემდეგ რომ მოვა, ისე საშინლად გაზულუქდება, ადამიანის სახეს დაკარგავს. ჭეშმარიტება ჩაიძირება ბრწყინვალებით გარემოცულ სიყალბეში, რომელიც თვალს ჭრის, გონებას კი სათოფეზე არ ეკარება. მე ველარ შევძლებ შენს სიყვარულს, შენ კი დაკარგავ უპირატესის იმ თვისებას, ასე რომ ამკობს შენს ცხოვრებას. შთაგონების წყარო დაშრება და ყველაფერი, რაც ასე აკრთობს გულს და გრძნობას, რაც ნათელ მიზნად გვეხატება მომავლის ცაზე, უცებ გაქრება. ადამიანი გაკვირვებაგაოცებას გადაეჩვევა. ამის შემდეგ ცოტას იცოცხლებს, მერე მოკვდება, უკვე მოკვდება და არა გარდაიცვლება, რომ სახეცვლილი ერთხელ კიდევ მოევლინოს ამ ქვეყანას გასააზრებლად. აი, რატომ გადავწყვიტეთ შეუცნობადში მოგზაურობა. და თუ ჩვენ მართლა ამ სამყაროს შვილები ვართ და თუ ჩვენ მართლა აზრისმთქმელად გავჩნდით ამ ქვეყნად, მაშინ გავუძლებთ, გადავრჩებით. თუ არა და უმიზნობის, ფუჭი დიდების, საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრის სიმძიმის ქვეშ გავიჭყლიტებით. მაგრამ მე არ მსურს, ჩემი აზრი ვერ ეგუება, რომ შეიძლება შენ დაგკარგო, აღარ იყო. გამიქრეს ნდომა, მონატრების ტკბილი სურვილი. ან სილამაზე, მზეებს რომ ჩრდილავს. სიზმრად ნანახი სიხარული, ასე რომ არ ჰგავს სინამდვილეს და მაინც გჯერა. დაიკარგება შვილის უფლება, ჩვენი შვილის, შენი და ჩემი. არა, ძვირფასო, გამოხშირვით მხოლოდ ნაწილს უნდა დარჩეს. ამ სიკეთეთა სამკაული და ვინც მოკვდება, უნდა მოკვდეს მხოლოდ იმისთვის, რომ მისმა ტოლფასმა ასე ისურვა. აქ მე ვერ ვხედავ ვერც ლოგიკას, ვერც გამართლებას. რა უფლება გვაქვს მოვსპოთ თუნდაც რაღაც ნაწილი, როცა სამყაროს სასიცოცხლო სივრცეს ბოლო არ უჩანს. როცა არსებობს მარადყოფნის საშუალება, რად ვთქვათ უარი.

ერამ ზუს დამშვიდებულ სახეს შეხედა. მიხვდა, რომ წამიერი აფეთქება უკვალოდ გაქრა. რომ ზუს ის უფრო სჯეროდა, რაც მოისმინა, ვიდრე ის, რაც დაეჭვებულმა წეღან იკითხა. საოცარია მდედრის ბუნება. დაუზარელი, ფრთხილი, იცის, სჯერა და მაინც ეჭვობს. ახალ-ახალ საბუთებს ეძებს. სურს ყველაფერი კიდევ ერთ-

ხელ გადაამოწმოს. ვაითუ ცდება, ანდა უფრო მოკლე, სხვა გზა არ-სებობს. იქნებ სიფრთხილე მდედრის სწორედ ის თვისებაა, რომ-ლის გარეშე თვით სიცოცხლე ვერ იარსებებს. გაამაყებული ერა თვალს ვერ აშორებდა ზუს, რადგან გრძნობდა, რომ მისი აზრის მკაცრი მსაჯული, სიყვარულით ეჭვიანობდა, რომ ეს იყო მოფრ-თხილება, ზრუნვა, შიში. ზუ ერთხელ კიდევ დარწმუნდა ერას აზ-რების სისწორეში, დამშვიდდა და ვინ იცის, ახლა მისი ფიქრი სად დაჰქროდა, რომელ საჭოჭმანო საკითხს დაჰფარფატებდა.

კარგა ხანია რაც შორეული კავშირის ცენტრის სივრცეში შე-ვიდნენ. მართვა ადილობრივი დისპეტჩერის ნებას დაემორჩილა. ერა აღარ ირჩევდა მარშრუტს, მხოლოდ თვალს ადევნებდა მიმარ-თულებას, სურდა გაეგო, სად მიიყვანდა გზა, ვინ იბარებდა. ტერი-ტორიაზე სწრაფად ფრენა აკრძალული იყო. სიჩქარემ იკლო. ახლო-დან შორეული კავშირის ცენტრი აბურდულ მორგვს ჰგავდა. სხვა-დასხვა ზომის სადენები, თუ გზა-გვირაბები, ისე იყო ერთმანეთში გადახლართული, რომ არც დასაწყისი უჩანდათ და არც ბოლო. ყველაფერი ელავდა და ცოცხალი ორგანიზმივით თახთახებდა. ყვე-ლაზე მეტად ჰელიოსადგურები გამოირჩეოდნენ. ვეებერთელა მან-ძილებზე გადაჭიმული, ჩაზნექილი სარკეები იმ მზისფრად ციალებ-დნენ, რომლისკენაც დამიზნებული იყვნენ და მასთან ერთად ბრუ-ნავდნენ. დრო და დრო ჰელიოსადგურების ანტენებს სხვადასხვა ფერის ბურთულები მოსწყდებოდა და სივრცეში იკარგებოდა. მა-თი ფერი და ელვარება მუხტის ენერგიასა და სიდიდეზე იყო და-მოკიდებული. აქვე იყო ენერგიის ძირითადი მომხმარებელიც — შორეული კავშირის ცენტრი. ობობასმაგვარი ქსელით დაფარული მთავარ კორპუსიდან სხვადასხვა ფორმისა და დანიშნულების ანტე-ნებს ამოეყოთ თავი. აქ იყო მუდმივი და პერიოდული კავშირის უბნები. ურუს მართვის ცენტრი. სავარსკვლავთშორისო კავშირის პრესბიურო. სხვა ცივილიზაციებთან მუდმივი კავშირის ბლოკი, რომელსაც დრო და დრო რომელიმე ფერი ტალღასავით გადაუვ-ლიდა. ყველა ეს ნაგებობა ერთმანეთთან ვეებერთელა მოქნილი შლანგით იყო დაკავშირებული.

კაცის ჭაჭანება არ იყო. მართალია, ერამ ზონაში შესვლისას თვალი მოჰკრა ერთს, მაგრამ უცნობი ზურგით იყო, დისკომფრენი ფარავდა და ვერ შეიცნო. იქვე, მის ახლოს, სივრცეში ნებიერად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაწოლილი ზუ მოფრინავდა. ღიმილი დასთამაშებდა სახეზე, ხან მოიღუშებოდა, ტუჩებს მოკუმავდა და შუბლზე ნერვიული ნაოჭი აუთამაშდებოდა. ხან თვალები გაუბრწყინდებოდა, გადაუნათდებოდა სახე. გაიღიმებდა, თითქოს ვიღაცას ეფერება-ელოლიავებაო. ერამ გამოლაპარაკება დააპირა, მაგრამ ზუ ისე შორს იყო რეალობისაგან, გადაიფიქრა.

ისევ შეიცვალა მიმართულება. შორეული კავშირის ცენტრმა თანდათან დაიწყო დაშორება, დაპატარავება. სიჩქარემ ოდნავ იმატა და ერა მიხვდა, სადაც იბარებდნენ, ვისთანაც მოუხდებოდა საუბარი. ამ მიხვედრამ უფრო გააკვირვა, რადგან წინ ბიოლოგიური სიცოცხლის გავრცელების არეალის შემსწავლელი მთავარი კორპუსი იყო. იქ იყო თავმოყრილი სამყაროში ბიოლოგიური სიცოცხლის განვითარების, ყოველნაირი ფორმისა და სახის, ურთულესიდან უმარტივესამდე, შეგროვილი, შეჯერებული და გაანალიზებული მასალა. ყველაფერი, რისი შეგროვება და შესწავლაც ურუს ცივილიზაციამ მოახერხა.

თეთრი ტეტრაედრი შორიდან ვეებერთელა კრისტალს ჰგავდა. როცა მიუახლოვდნენ, გამოირკვა, რომ მისი ოდნავ გამობურცული კედლები უამრავი სხვადასხვა ზომის ნახვრეტით იყო დაფარული, ათასფერი მოთუხთუხე მასით შევსებული ნახვრეტები დროგამოშვებით ელავდა. ზოგჯერ ყველა ერთად იფეთქებდა და ტეტრაედრის ჩოფურა გვერდს ფეიერვერკის ფერები გადაუვლიდა. ერა შეუნელებელი სიჩქარით უახლოვდებოდა ტეტრაედრის ქიმს. მერე უცებ იცვალა მიმართულება და, სანამ რამეს წესიერად მოისაზრებდა, მის წინ ერთ-ერთი ნახვრეტი გაიხსნა, ზუსტად იმხელა და იმ ფორმისა, თვითონ რომ გატეულიყო და, როცა უკან მოიხედა, შენიშნა, როგორ გამოიწურა კედლიდან ზუ და მის გვერდით დაეშვა გამჭვირვალე კვადრატულ იატაკზე.

— ეტყობა, აღარ ხუმრობენ, — თქვა ერამ და დისკოფრენი გამორთო. მიმოიხედა. ჩაფიქრებულმა გააქნია თავი. — საუბარიც უფრო სერიოზული გვექნება, ვიდრე ველოდი.

ზუმ არ უპასუხა, იგი დარბაზის დათვალიერებით იყო გართული. ზევით იყურებოდა და, როცა მისი მზერა ვერ მისწვდა დარბაზის გვირგვინს, აზრობრივად დაამთავრა ის, რაც არ ჩანდა. ქვემოთაც ასე იყო, მაგრამ ვერ გაარკვევდით: ის, რაც ჩანდა, ზედას

ანარეკლი იყო თუ მისი გაგრძელება. იდეალური სისუფთავე და სიწყნარე სუფევდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოპირდაპირე მხარეს, რამდენიმე ადგილას, წამით გაიხსნა კედელი და ისევ დაიხურა. დარბაზში სამი მამაკაცი შემოვიდა. მკაფიოდ გაისმა მათი ნაბიჯების მწყობრი ხმა. იყო რაღაც უჩვეულოდ საზეიმო და დიდებული მათ მსვლელობაში. ერა შეფიქრიანდა. შავ რეიტუზებში გამოწყობილი მამაკაცები შორიახლო შედგნენ და ხელების გაშლით მიესალმნენ დამხდურთ. საპასუხოდ ერამაც გაშალა ხელები. ქალებთან მისალმებისას ასეთი რიტუალის დაცვა სავალდებულო არ იყო და მხოლოდ შეხედვით დაკმაყოფილდნენ. ერა ელოდა საუბრის დაწყებას, მაგრამ მასპინძლები რატომღაც არ ჩქარობდნენ. იდგნენ თავდახრილნი.

— ალბათ ვინმეს ელიან, — გაიფიქრა ერამ. სწორედ ამ დროს მოპირდაპირე მხარეს ისევ გაიხსნა კედელი და დარბაზში შუახნის, ჩაფსკვნილი მამაკაცი შემოვიდა. მოკლე, ჩქარი ნაბიჯებით გამოეშურა ცენტრისკენ. შორიდანვე მისალმების ნიშნად ხელები გაშალა და დარბაზის შუაგულში შეჩერდა. ყველანი მისკენ გაემართნენ. მცირე წრის გარშემო დადგნენ.

— დაბრძანდით, — თქვა ბოლოს მოსულმა და თვითონ პირველი დაჯდა იატაკიდან უცებ ამოზიდულ სკამზე. სავარძელმა იმ წამსვე მისი სხეულისათვის მოსახერხებელი ფორმა მიიღო. დანარჩენებიც დასხდნენ.

— ჩვენი ლაპარაკი კატეგორიული და პრინციპული იქნება, — თქვა ბოლოს მოსულმა.

ერამ გაკვირვებით შეხედა. არ ესიამოვნა ბოლოს მოსულის ტონი, შესიტყვება დააპირა, მაგრამ როცა თვალი შეავლო მის დაღლილ, მშვიდ თვალებს, მკაცრად მოკუმულ ტუჩებს, ნერვულად დაჭიმულ თხელ ცხვირს, მიხვდა, რომ აქ მკაცრი ლოგიკური მტკიცების გარეშე ლაპარაკს აზრი არ ექნებოდა.

— თქვენ მოგიხდებათ სვლა-გეზის შეცვლა, — დაარღვია მყუდროება ბოლოს მოსულმა.

ერას ელდა ეცა. ყველაფერს, მაგრამ ამას არ ელოდა. მოულოდნელობისგან სავარძლიდანაც წამოიწია. გული შეეკუმშა აფო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიაქებულ გონებაში აზრი ვერ იპოვა სათქმელად. რაღაც უხილავ-მა ძალამ ენა დაუბორკა.

— ჩემთვის გასაგებია თქვენი მღელვარება. — თქვა ბოლოს მოსულმა. — მაგრამ მდგომარეობა გვაიძულებს ასე მოვიქცეთ. თქვენ გაემგზავრებით ათასმეშვიდე კვადრატისაკენ.

— პერიფერიაში? არასოდეს! — აღმოხდა ერას. ადგა. საკარძელი იმ წამსვე გაქრა. კარგა ხანს ჩუმად იდგა გაოგნებული. როცა ოდნავ დამშვიდდა, ისევ ამოიდგა ენა: — ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ ათასმეშვიდე კვადრატი სიცარიელეა, სტერილური ვაკუუმი. თან ისე შორს არის სამყაროს ცენტრიდან, რომ მისი ყოფაც საეჭვოა და მხოლოდ თეორიულად არსებობს.

— სიცოცხლისათვის არ არსებობს პერიფერიის ის გაგება, თქვენ რომ ახლა თქვით. სიცოცხლეს მხოლოდ საარსებო ფართი სჭირდება, სხვა არაფერი — გაისმა დარბაზში.

ერამ რატომღაც ზევით აიხედა, თუმცა ხმა ყოველი მხრიდან მოდიოდა. მიხვდა. საუბარში ბიოლოგიური სიცოცხლის მთავარი ტვინი ჩაერთო.

— მესმის, მესმის, — სწრაფად დაეთანხმა ერა, — მაგრამ რა აზრი აქვს სიცოცხლეს, თუ აზროვნება გაყინულია. ყველაზე კარგი, სრულყოფილი ერთფეროვნება, უბრწყინვალესიც, სიკვდილია პროგრესის და მიზნის გარეშე. იმაზე აუტანელი არაფერია, როცა საკუთარი ყოფის შენარჩუნებაზე იხარჯება მთელი ენერგია. როცა არავინ არის მაძიებელი აზრის მქონე, რომ გაანათოს მომავალი, დღე ხვალინდელი. ახალ სანახთა დასალაშქრავად გაუძღვეს ხალხს და დრომოჭმულ დამყაყებულზე უარი თქვას. ჩვენ მუდამწამიერ წინ უნდა ვიდოდეთ. პერიფერიაში გამგზავრება კი უკან, წარსულში დაბრუნებაა. ისიც სწორია, რომ წარსულში უნდა ხშირად ვიხედებოდეთ, როგორც მრავალჯერ წაკითხულ წიგნში, მაგრამ არა იმისთვის, რომ ხელმეორედ გავიმეოროთ ის, რაც იყო, არამედ იმიტომ, რომ მომავალში შეცდომებისგან დავიცვათ თავი. თანაც ყოველი განმეორება ენერგიის ფუჭი ხარჯვაა, უკვე მრავალგზის გატკეპნილი ადგილის ტკეპნა. მაშ რაღად გვინდა იმ შორეულ წარსულში დაბრუნება, როცა ჩვენ თვითონ წარსული ვართ სამყაროსათვის, განვითარების შორეული პერიფერია. აქამდის ყველას საზრუ-

ნავი ცენტრისკენ ლტოლვა იყო, სამყაროს იმ გულისაკენ, სადაც აზროვნებისათვის კოლოსალური ენერგია არსებობს, იმდენად დიდი, რომ საზომად თავად სამყარო თუ გამოდგება. ჩვენი ვალია გასრულება, შეძენა, ცოდნა. ცოდნა იმისა, რა ვიყავით, რანი ვართ და რანი ვიქნებით.

— რასაც თქვენ ამბობთ, — შეაწყვეტინა ბოლოს მოსულმა,— სულაც არ უარყოფს ჩვენს მოსაზრებას. ასე გვეგონა ადრე სუყველას, ახლა სხვაგვარად გვიხდება ფიქრი. საქმე ის არის, რომ წუხელ, მოულოდნელად, ათასმეშვიდე კვადრატი ალაპარაკდა. ჩვენ მთელი ღამე არ გვიძინია, სანამ გავშიფრეთ რამ შეაწუხა ჩვენი სხეულის ეს შორეული ნაწილი. — ბოლოს მოსული წამით დადუმდა. დაღლილ თვალებზე მოისვა ხელი, მოისრისა, მერე განაგრძო: — თურმე სიცოცხლე იქაც არსებობს, იმ სტერილურ სიშორეში, იმ ცივ და უსულგულო ვაკუუმში, როგორც თქვენ ინებეთ წელან თქმა. თანაც ისე მაღალგანვითარებული, რომ ჩვენთან დაკავშირებაც მოახერხეს. თქვენ ალბათ გესმით, რაოდენ დიდი ენერგია არის საჭირო იმ უთავბოლო მანძილების დასაფარავად, ჩვენ რომ გვაშორებს. ჩვენ, მაგალითად, უკუკავშირს ვერ შევძლებდით, საამისო ენერგია არ გაგვაჩნია. ახლა გასინჯეთ, საით უფრო უკეთესია, იქით, სადაც უკვე ცნობილი სამყაროს გული გელოდებათ, თუ იქით, სადაც ყველაფერი წყვდიადშია მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ მის შესახებ არაფერი არ გვსმენია? იქნებ სამყაროს ორი გული აქვს,ორი ცენტრი, ან უფრო მეტიც? ან რატომ ფიქრობთ უკვდავსაყოფად ერთი გზაა, ერთი მიზანი?.. რა არის ერთი? ერთი ბევრის ნაწილაკია და არვინ უწყის, რომელია უფრო სწორი, უფრო მართალი. ხომ შეიძლება ის გზა, რომელიც აირჩიეთ, ჩიხით დამთავრდეს. გზად, რომელიც აღარსად მიდის და მიზნის ეფემერული სიშორის გამო, გზად მიიჩნიეთ. წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა ხელოვნება მარტო სკულპტურით, ლექსის, პროზის, ღვთაებრივი გალობის გარეშე, ან გრაციების ტანთა რხევის, როკვა-თამაშის, ან იმ ლამაზი მშვენიერების ხატვა-განწყობის გარეშე, გარს რომ გვარტყია. ეს და მრავალი, სხვა კიდევ ბევრი, ხელოვნებისკენ გზასავალია. თქვენ კი რაც ბრძანეთ, დედაკანონს არ ეგუება. თუკი სამყარო უსასრულოდ მრავალსახაა, მაშინ მიზანიც უთვალავი უნდა იყოს და მათკენ ლტოლვაც უსაშველოდ მრავალნა-

ირი. აბა ვინ იცის, იქნებ სწორედ იქ იმალება ის ენერგია, ჩვენ რომ გვჭირდება. ან ხომ შეიძლება მათთვის ჩვენ სწორედ სამყაროს ის ნაწილი ვართ, სიცარიელედ, პერიფერიად, რომ მივიჩნევთ. ხედავთ, როგორ იცვლება სუყველაფერი, როგორც კი სამყაროს სხვა წერტილიდან დაუწყებთ ცქერას. ახალი აზრის დაბადებამ არ უნდა შეგვაშფოთოს. აზრთა მრავლობა ჭეშმარიტებისაკენ მიმავალი გზაქსელია. იმ უსასრულოდ გრძელი გზის მეორე ბოლო სიშორის გამო რომ არა ჩანს, მაგრამ არსებობს როგორც ერთი, მთლიანი სამყაროს, ერთი სხეულის ჯერ გაუაზრებელი ნაწილი. აი, რატომ გთავაზობთ სვლაგეზის შეცვლას.

ეს ყველაფერი ერასათვის ცნობილი იყო, გრძნობდა საკითხის მასშტაბურობას, სიღრმეს და მაინც სჯეროდა, რომ მართალი იყო, რომ მისი ფიქრი ქვეყანას მისწვდა, რომ ყველაფერი აწონ-დაწონა. ახლა გამოდის თურმე ფუჭად უმუშავნია. როგორი ნათელი, ახლობელი მიზანი ჰქონდა, ახლა კი ყველაფერი ბურუსში გაეხვია.

„—ნუთუ სამყაროს ცენტრიდან ასე შორს, — ფიქრობდა იგი, შეიძლება არსებობდეს სიცოცხლის კერა? ათასმეშვიდე კვადრატი ხომ ჩვენი სამყაროს საზღვარია, მისი კიდე. რა ენერგია შეიძლება არსებობდეს ამ სიშორეზე, როცა ჩვენ თვითონ, ცენტრთან ახლოს არ გვყოფნის იგი? მეორე ცენტრი?.. ან იქნებ ეს სწორედ ის ადგილია, სადაც ადამიანთა ყოველდღიური საქმიანობა ახლის შექმნაა? ან ნეტა როგორ მოახერხეს იმ ენერგიის დაოკება, ჩვენ რომ გვაწვდინეს.

ან?..

ან?..

ან?..

ბოლო არ უჩანდა კითხვებს.

— ვფიქრობ, ყველაფერი ნათელია!

— დიახ, დიახ, რასაკვირველია, — სწრაფად დაეთანხმა ერა, თუმცა სულაც არ აპირებდა ამის თქმას და გაოგნებული სავარძელში ჩაჯდა. — გასაგებია. — გაიმეორა მან და ხმამაღლა დაიწყო ფიქრი: — რატომ მაინცდამაინც ათასმეშვიდე კვადრატი? განა სიგნალებს სამყაროს ცენტრიდან აღარ ვღებულობთ? ან უფრო ახლოს შეუსწავლელი ობიექტი აღარ არსებობს? მარტო ზერე-

ლე ვარაუდით, ათამდე უცნობი ცივილიზაცია უნდა შემოგვხვდეს გზაზე. მათი გაცნობა, კონტაქტები, ურთიერთობა, განა ცოტაა? ესეც არ იყოს, თუ მათ მართლა განვითარების ისეთ მაღალ საფეხურს მიაღწიეს, რომ ჩვენთან კავშირი მოახერხეს, რატომ თავად არ უნდა გვესტუმრონ? ვინ იცის, იქნებ გზაშიც არიან? აქ ბევრი რამე ბუნდოვანი, გასარკვევია. ასე უბრალო სიგნალებმა ვით შეაშფოთა თქვენი გონება, სამყარო სავსეა ასეთი სიგნალებით, კიდევ მრავალი აღმოჩნდება თანდათანობით, ყველასკენ ჩვენ რომ გავეშუროთ, რა ხალხი გვეყოფა, რა ენერგია?

— საქმე ის არის, — გაისმა ისევ ყოველი მხრიდან, — ჩვენ კარგა ხანს პასუხს ვერ გავცემთ, საამისო ენერგია არ გაგვაჩნია. ვაითუ დუმილი სიცარიელედ მიიჩნიონ ჩვენმა შორეულმა თანამოძმეებმა და ხელმეორედ დაკავშირება აღარ ისურვონ. ასეა ხშირად, როცა საგან-მოვლენებზე არ გვსმენია, ისინი ჩვენთვის არც არსებობენ, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ასე არის სინამდვილეში. მართალია, სიგნალები მცირეა, მაგრამ ისეა დატვირთული ინფორმაციით, რომ სწორედ ენერგიის სიმცირეზე მაფიქრებინებს. ამიტომ განმეორებითი კავშირის იმედი აღარა გვაქვს. ასეთი მაქსიმალური ეკონომია გაჭირვების ბრალი უფროა, ვიდრე მდიდარი კაცის ხელგაშლილობა.

დუმილი ჩამოვარდა. ეტყობოდა, ბიოლოგიური სიცოცხლის შთავარმა ტვინმა ახალი ინფორმაცია მიიღო გადასამუშავებლად. დარბაზში მქრქალი, ლურჯი ფერი აციალდა. სადღაც, შორს, თითქოს ზარმა ჩამორეკა.

— მართალია, საბოლოო პასუხამდე კარგა დიდი დრო გავა. — გაისმა ისევ ყოველი მხრიდან. — მაგრამ ზოგი რამ ახლაც ნათელია. გადაცემის რიტმი, სიხშირე, ფსიქოლოგიური ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ სიგნალები საგანგაშოა. აჩქარებით, სახელდახელოდ შედგენილია. არც კოდი არის შერჩეული შესაფერისი. გამოდის, უჭირთ.

— უფრო ზუსტად! — შეევედრა ზუ.

— მე ვფიქრობ! — იყო პასუხი. შემდგომ კითხვებს აზრი არ ჰქონდა. როცა ტვინი ფიქრობს, მასთან საუბარი აკრძალულია.

— მაშ ასე, — თქვა ბოლოს მოსულმა. — ყველამ გავიგო-

ნეთ, რაც ახლა ითქვა. სიგნალები გადაუდებელი აუცილებლობით არის გამოწვეული. მართალია არ ვიცით რით, მაგრამ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იქნებ სიცოცხლე საფრთხეშია? — შეაწყვეტინა ზუმ.

— შესაძლებელია, თუმცა ვადაწყვეტით რაიმეს თქმა არ შეიძლება. — ბოლოს მოსული ერას მოუბრუნდა. — ერთი კი ცხადია, რაც უფრო მეტი საიდუმლო გვექნება ამოსაცნობი, მით უფრო საინტერესო ხდება ათასმეშვიდე კვადრატი. მით უფრო გამართლებულია სვლაგეზის შეცვლა. იქნებ ეს მხარე სამყაროს სწორედ ის ნაწილია, თქვენ რომ ოცნებობთ. იქნებ ნგრევის, დაბადების მოწმენიც გახდეთ, უშუალო მონაწილე. ამაზე მეტს შემოქმედიც ვერ ინატრებდა.

ბოლოს მოსული ერას სანუკვარ ოცნებას შეეხო. იმ სათუთ გრძნობას, ფარულად რომ ინახავდა განუხორციელებელ სურვილთა შორის.

„ნუთუ ეს შესაძლებელია? — გაიფიქრა მან და სულწასულობის შერცხვა. ძალად მოიშორა აკვიატებული აზრი. — რა დროს ესაა!“

— ის რაც სტკივა, სამყაროს, შენი, ჩემი, ყველას სატკივარია. — დაარღვია ერთფეროვნება ბოლოს მოსულმა. — განა ის კიდე, ის საზღვარი, რომელმაც თავი მოგვაგონა, ერთი მთლიანი სხეულის ნაწილი არ არის, როგორც გული, ფილტვი, ფეხი, ხელი ჩვენი სხეულისათვის? განა ჩვენ გვახსოვს მათი ყოფნა, თუ არ ვიგრძენით, ან არ დაგვჭირდა. უნდა აგვტკივდეს, რომ გაგვახსენდეს. სწორედ ტკივილით შევიცნობთ ჭეშმარიტებას. წუხილი არის ერთადერთი გზა სინამდვილისკენ. დარდი ჩრდილია სიხარულის. მხოლოდ ამ გზით გავიგებთ, რანი ვართ, სადამდე ვართ, რას ვფლობთ, რა გვეკუთვნის და, როცა დავრწმუნდებით, რომ ერთი მთლიანი სამყაროს ნაწილი ვართ და არა რაღაც თავისთავადი, უცხო სხეული, მაშინ ჩემი-შენი აღარ იქნება და ჩვენი დიდი სხეულის რომელი ნაწილიც არ უნდა შეწუხდეს, ყველას ტკივილი იქნება და აუცილებლად გავუწვდით დახმარების ხელს.

ერას გული შეეკუმშა, სავარძლის ზურგს მიესვენა. ყრუ, შორეული, ტკივილი იგრძნო. ტკივილი თანდათან მოედო სხეულს. სულში ჩაუძვრა, გონებაში გაიდგა ფესვი. შესძრა, შეაზანზარა. თვალები დახუჭა, მაგრამ ნათლად დაინახა განსაცდელში ჩავარდ-

ნილი თანამოძმის განწირული სახე. ყვირილი მოესმა. ისე ძლიერი, რომ მისი ხმა სამყაროს შუაგულს მისწვდა. საშველად გამოწვდილი, ათრთოლებული, ცივი ხელების შეხება იგრძნო. გაარჟროლა. ბოღმა აუგუნდავდა ყელში. სუნთქვა შეეკრა. შეშინებულმა გაახილა თვალები და მისი მზერა ვედრებით სავსე უცნობის თვალებს შეეფეთა. თვალი თანდათან გაიზარდა, გაფართოვდა, გადიდდა. მთელი დარბაზი შეავსო. ყველა კიდე და კუნჭული. სივრცეს მოედო. სამყაროსავით დიდი და ცასავით კრიალა გახდა და ერა მისი სილურჯის სიღრმეში ჩაიძირა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარჩევი

გაუკვალავი გზებით 3
საგანგებო შემთხვევა 3
უხილავი მდევარი 15
სტარტი 30
კოსმოსის მეკოგბრენი 40
კატასტროფის წინაშე 40
ელჩობა 68
თავდასხმა 81
მოულოდნელი სტუმარი 94
განწირულნი 107
ცისფერ პლანეტაზე 118
უსასრულოგიდან 139
იისფერი ბარიერის მიღმა 139
ფიქრის კვადრატი 158

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს. ბ. № 1275

რედაქტორი ნ. ქ ა რ თ ვ ე ლ ი შ ვ ი ლ ი
მხატვარი გ. მ ა ჭ ა რ ა შ ვ ი ლ ი
მხატვრული რედაქტორი შ. დ ო ლ ი ძ ე
ტექნიკური რედაქტორი ზ. დ ო ნ დ უ ა
კონტრ.-კორექტორი ლ. ს უ ლ თ ა ნ ი შ ვ ი ლ ი
კორექტორი გ. ტ ო გ ო ნ ი ძ ე

გადაეცა ასაწყობად 5. 07. 85. ხელმოწერილია დასაბეჭდად 8. 04. 86. ქაღალდის ზომა 60×84 1/16. გარნიტური ვენა, ბეჭდვა მაღალი, პირობითი ნაბეჭდი თაბახი 10,69 საბ. ქაღალდი № 1. საღებავგატარება 11,27. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 9. ტირაჟი 20.000. უე 01563. შეკვ. № 223.

ფასი 30 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, მშვიდობის გამზ. 28

Издательство «Накадули», Тбилиси, пр. Мира 28

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Садрадзе Отар Никифорович

ПИРАТЫ КОСМОСА

(на грузинском языке)

Детюниздат Грузинской ССР
«Накадули», Тбилиси, 1986

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძვირფასო მკითხველო!

ამ წიგნს რომ წაიკითხავთ, არ
დაიზაროთ და მოგვწერეთ თქვენი
შთაბეჭდილებანი.

ჩვენი მისამართია:

თბილისი, ვაჟა-ფშაველას პროსპექტი № 15
„ნაკადულის“, საბავშვო წიგნის სახლი

84Гр7
Ь 154

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სადრაძე ო. ნ.

კოსმოსის მეკობრენი. თბ.: ნაკადული, 1986, 184 გვ.
(მეცნიერულ-ფანტასტიკური ლიტერატურა).

მეცნიერულ-ფანტასტიკური მოთხრობები კოსმოსზე. ავტორი საინტერესოდ ჰყვება უცხოპლანეტელთა და დედამიწელთა მომავალ შეხვედრებზე.
საშუალო და უფროსი ასაკის მოსწავლეთათვის.

70803—3
С ——————— 138—86
М—603(08)—86

ეროვნული
ბიბლიოთეკა